ლამარა გვარამაძის სახსოვრად

სიტყვითა და საქმითა[1]

ზოგიერთი ჩანაწერი, რომელიც სურვილისა და მოცალეობის შემთხვევაში, შესაძლოა, კულტურულ-ანთროპოლოგიურ ნაშრომადაც ქცეულიყო, ცხადად თუ შეფარვით საკაცობრიო პრობლემას შეიცავს. გთავაზობთ ისტორიაში ნათქვამ სიტყვებს და ქმნილ საქმეებს, ან სიტყვას და საქმეს ერთად, და ფიქრებს მათზე. ბევრი მათგანი, შესაძლოა, ეფემერულად მოგვეჩვენოს (და იყოს კიდეც), მაგრამ ისინი ღირს დაფიქრებად და მედიტაციების საყრდენად. გამოცდილებით ვიცით, რომ ადამიანური ფასი ხშირად წარმავალს უფრო ადევს, სწორედ იმის გამო, რომ წარმავალია და, ამდენადვე, განუმეორებელი.

I.

სიტყვა და საქმე

ხშირად რაიმე აქტი, ქმედება, უსიტყვოდაც შთამბეჭდავია, ხოლო სიტყვა ქმედების გარეშეც დაუვიწყარია. მაგრამ არის საქციელი, რომელსაც სიტყვაც ახლავს. არათუ ახლავს, ერთდროულად არიან შობილნი.

პლუტარქე გვიამბობს პომპეუსზე, რომელსაც სენატმა რომის პურით მომარაგების საქმე ჩააბარა. როცა პურის ქვეყნებში - სიცილიაში, სარდინიაში, ლიბიაში - გამგზავრებას აპირებდა, ზღვაზე საშინელი ქარიშხალი ამოვარდა და მესაჭეებმა ზღვაში გასვლა ვერ გაბედეს. მაშინ პომპეუსი პირველი ავარდა ხომალდზე, ბრძანება გასცა, ღუზა აეშვათ, და შესძახა: "ზღვაში გასვლა აუცილებელია. სიცოცხლე არ არის აუცილებელი!" პომპეუსმა მამაცობამ და თანაც დავლათმა ბაზრები პურით აავსო, ხოლო ზღვა ხომალდებით გაჭედა. ამგვარი მომარაგების წყალობით რომაელთა მეზობელ ხალხებსაც კი უხვად ჰქონდათ პური. ეს მომარაგება დაუშრეტელი წყაროს ნაკადებივით მოეფინა ყველგან... " - ამთავრებს ამ ეპიზოდს პლუტარქე.

"ნაოსნობა აუცილებელია. სიცოცხლე არ არის აუცილებელი" - რაოდენ პარადოქსულია ეს ძახილი: ხომალდები სწორედ სიცოცხლისთვის, რომელიც პურს უნდა მოეტანა, უნდა გასულიყვნენ ზღვაში, ეს კაცი კი იძახის, სიცოცხლე აუცილებელი არ არისო. ვისი სიცოცხლე - პომპეუსის? მეზღვაურების? რომის? ან სიცოცხლე საზოგადოდ? არანაირად არ ხერხდება ამ შეძახილის რაციონალურად ახსნა, რადგან ეს შეძახილი სხვა ჰემისფეროს ნაყოფია, არა იმისა, სადაც ჭკუა-გონება ბუდობს. ამ შეძახილს ნამდვილად დაგმობდა სოკრატე, ნამდვილად მას "ჭკვიანნი ვერ მიჰხვდებიან". ამიტომაც არც უნდა გახდეს ის საღი აზრის განსჯის საგანი. მისი გამართლება, საზრისი მისით გამოწვეულ შედეგში ძევს. ამ აბსურდმა არარაობად აქცია ქარიშხალი, რომელსაც ესოდენ უფრთხოდნენ გამოცდილი ნაოსნები.

მრავალი საუკუნის შემდეგ, სრულიად სხვა საზოგადოებაში ეს შეძახილი განზოგადებულ დევიზად იქცა. ჰანზის კავშირმა ის თავისი საქმიანობის მოწოდებად აქცია. რა ენაზე წარმოითქვა პირველად ეს სიტყვები? ალბათ ლათინურად, თუმცა ისტორიამ ის ბერძნულად შემოინახა *(პლეინ ანანკე, ძეენ უკ ანანკე)*. არ ვიცით, როგორ ჟღერდა ეს ძახილი პომპეუსის ბაგეში მის მშობლურ ენაზე. მაგრამ ის მაინც დაუბრუნდა თავის ენას არანაკლები ლაკონიზმით და რკინისებრი სიმტკიცით: Navigare necesse est, vivere non est necesse.

რა მოუტანა ჰანზის კავშირს ამ თითქოსდა აბსურდულმა ამ მოწოდებამ? ისევ და ისევ პლუტარქეს თუ დავესესხებით, ამ მოწოდების დავლათმა (ხარიზმამ) რომლის უკან

[1] ლურჯად გაფერადებული მონაკვეთები არ მოხვდა ნაბეჭდ წიგნში: *სიტყვითა და საქმითა: ჩანაწერები,* „ინტელექტი", თბ., 2013.

თავგანწირვა იყო, ბაზრები დოვლათით აავსო, ხოლო ზღვა ხომალდებით გაჭედა. ამგვარ მომარაგების წყალობით ჰანზელთა მეზობელ ხალხებსაც კი უხვად ჰქონდათ პური. ეს მომარაგება დაუშრეტელი წყაროს ნაკადებივით მოეფინა ყველგან... და მაინც ამ აბსურდის შესანელებლად მოგვიანებით დაუმატეს Sed sine vita non navigamus … "მაგრამ სიცოცხლის გარეშე არ ვნაოსნობთ".

***

ცნობილია ალექსანდრე მაკედონელის სიტყვები, რომელიც მან დიოგენის გაცნობის შემდეგ წარმოთქვა. მისი მხლებელნი აღშფოთებას ვერ მალავდნენ სინოპელი ბოგანოს სიტყვა-პასუხზე, ალექსანდრემ კი, ამ კაცის უსაზღვრო თავისუფლებით შეძრულმა, თქვა: ალექსანდრე რომ არ ვიყო, დიოგენობას ვისურვებდიო.

ეს სიტყვები აგონდება კაცს, როცა იხსენებს უდაბნოში ალექსანდრეს საქციელს, როცა მან რის ვაივაგლახით მოპოვებული და მისთვის მუზარადით მორთმეული წყალი ჯარის თვალწინ გადაღვარა.

ამის შემხედვარე დიოგენესაც უნდა ეთქვა: დიოგენე რომ არ ვიყო, ალექსანდრეობას ვისურვებდიო.

მაგრამ იყო რაბი ზუსია, რომელმაც სიკვდილამდე მცირე ხნით ადრე თქვა: "თუ სამსჯავროზე შემეკითხებიან, რატომ მოსე არ იყავიო, მე ვიცი, რა ვუპასუხო. მაგრამ თუ მკითხეს, ზუსია რატომ არ იყავიო, ვერაფერს ვუპასუხებ".
(ხასიდური სწავლანი, გვ. 8).

ალექსანდრეს ეს საქციელი აგონდებოდა კაცს, რამდენჯერაც ჩაუვლიდა ვაკე-საბურთალოს გასაყარზე აღმართულ გიგანტურ სტენდს წარწერით: "დაემორჩილე წყურვილის გრძნობას!"

სად არის ახლა ის წარწერიანი სტენდი? ნუთუ საბოლოოდ დამკვიდრდა ადამიანთა ბუნებაში და შეეზარდა მას, რომ მისი გამოფენა საჭირო აღარ არის?

ტელემაქე

იყო ერთი აღმოსავლელი ბერი, სახელად ტელემაქე. ერთ მშვენიერ დღეს სულიწმიდის შთაგონებით დატოვა თავისი განდეგილობის სენაკი და შორს, რომისკენ აიღო გეზი. არც კი იცოდა, სად მიდიოდა, რისთვის მიდიოდა, რა მიზნით მიდიოდა. რომის ქუჩებში აედევნა ახმაურებულ ბრბოს და მისდა უნებურად კოლიზეუმში მოხვდა. აქ შეესწრო იგი გლადიატორთა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას და იმდენად შეზარა ამ სანახაობამ, რომ გადავიდა არენაზე, მიეჭრა გლადიატორებს, ჩადგა მათ შორის და შესძახა: "ქრისტეს სახელით, შეწყვიტეთ!" ერთ-ერთმა მათგანმა, გაოგნებაც ვერ მოასწრო, რომ ანგარიშმიუცემლად დააღირა ბერს მახვილი და განგმირა. როცა ხალხმა დაინახა ორ გლადიატორს შორის თავისსავე სისხლში დაცემული უცნობი ბერი, შეწყვიტა ყიჟინა და სათითაოდ დატოვეს კოლიზეუმი. სამი დღის შემდეგ იმპერატორმა დეკრეტით გააუქმა კოლიზეუმის ორთაბრძოლები.

ჩვეულებრივ ასე ყვებიან ამ ამბავს. ხოლო ვინც პირველად - ეს იყო ეკლესიის ისტორიის ავტორი თეოდორიტე კვირელი - აღწერა იგი, ამგვარად მოგვითხრობს:

"ჰონორიუსმა, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო დასავლეთის იმპერატორობა, გააუქმა გლადიატორთა ბრძოლა, რომელიც რომში ძველთაგანვე იმართებოდა. ეს ასე მოხდა. ერთი კაცი, სახელად ტელემაქე, ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდა. წამოვიდა აღმოსავლეთიდან და ამ მიზნით რომში მოვიდა. როცა ამ საშინელი სანახაობის მოწმე შეიქნა, გადავიდა არენაზე და შეეცადა წინააღმდეგობა გაეწია გლადიატორთათვის, რომლებიც ერთმანეთს მახვილს უღერებდნენ. გაშმაგებულმა მაყურებლებმა, როცა დაინახეს, რომ მათ სანუკვარ სისხლიან სანახაობას ჩაშლა ემუქრებოდა, ქვებით ჩაქოლეს მშვიდობისმყოფელი. როცა ბასილევსს ეს საკვირველი ამბავი

შეატყობინეს, მან ტელემაქე ძლევამოსილ მოწამეთა რიცხვს მიათვალა და ეს უღვთო სანახაობაც გააუქმა".

დაისმის კითხვა: რომელია ბრბოს ავთენტური საქციელი - ის, რომ სამუდამოდ უარი თქვა სისხლიან სანახაობაზე თუ ის, რომ შური იძია გლადიატორთა არამკითხე გამშველებელზე?

ეს მოხდა იმპერიის გაქრისტიანების შვიდიოდე ათეული წლის თავზე. რაც ვერ მოახერხეს რომის ეკლესიის ეპისკოპოსებმა, ვერც თავად უზენაესმა პონტიფექსმა, თავიანთი ქადაგებებით, შეძლო უცნობმა, არაფრით გამორჩეულმა ბერმა, რომლის ცხოვრება გარეშეთათვის იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ მარტიროლოგიას მისი ამ უკანასკნელი აქტის გარდა, არაფერი შემორჩა. ჭეშმარიტად, მან თავისი სიკვდილით სამუდამოდ დასაჯა გლადიატორობა.

[მისი სიკვდილის თარიღიც - 403 წელი იმ მიზეზით არის ცნობილი, რომ ამ წელს გაუქმდა გლადიატორთა ბრძოლა რომში].

თქვა რაბი შლომომ: "თუ გინდა ამოიყვანო ლაფში და სიბინძურეში ჩაფლული ადამიანი, ნუ გგონია, რომ ხელის გაწვდენა იყოს საკმარისი. შენ თავად უნდა ჩახვიდე მასთან ლაფში და სიბინძურეში. აქ მაგრად შემოაჭდო ხელები და შენს თავთან ერთად ამოათრიო სინათლისკენ". (ხასიდური სწავლანი, გვ. 11).

ჩაკეტილი წრე

I. დიოგენე ლაერტელი მოგვითხრობს ლეგენდას ელადის შვიდ ბრძენზე და ზღვიდან სათხეველს ამოყოლილ ოქროს თასზე. ვიღაც არკადიელ ბათიკლოსს ანდერძით დაუტოვებია თასი ბრძენთა შორის უბრძნესისთვის გადასაცემად. უბრძნესად თალესი ჩათვალეს და თასიც მას მიართვეს. თალესმა თასი გადასცა მას, ვინც თავისზე ბრძნად მიიჩნია. მიმღებმა იგივე გაიმეორა და ასე მოიარა თასმა ექვსი ბრძენი, ბოლოს კი კვლავ თალესს დაუბრუნდა. თალესმა ამჯერადაც არ დაიტოვა თასი და აპოლონს გაუგზავნა. გადმოცემით თასი, რომელმაც აპოლონის ტაძარში დაიდო საბოლოო ბინა, ასეთი წარწერით ყოფილა შემკობილი: "ნელევსიანთა მოდგმის მეუფეს, ფებს (აპოლონს), მომართვა მე თალესმა, თავად ორგზის ღირსეულად რომ დამიმსახურა".

თასმა შვიდი ბრძენის ხელში გაიარა და ყოველ მათგანში სიბრძნის დამოწმების შემდეგ, რაც თითოეულის საქციელმა ცხადყო, თავის ჭეშმარიტ პატრონს მიეძღვნა. ლეგენდა სიბრძნის წყაროს აპოლონში ხედავს და, ამასთან ერთად, ადასტურებს ჰარმონიას ბერძნული ელინური სულიერი კულტურის შვიდ ფუძემდებელს შორის და მათ თანასწორობას სიბრძნის წინაშე, რომლის ნიშნად მათ თასი გამოეცხადათ.

II. მაკარიოს მეგვიპტელს სტუმრად მისულმა ერთმა ბერმა ყურძენი მიართვა. მაკარიოსმა თავისთვის ვერ გაიმეტა ყურძენი და მის ახლოს დაყუდებულ, სნეულებაში მყოფ ბერს გაუგზავნა. ამ ბერმაც არ ახლო ხელი ყურძენს და სხვა ბერს გაუგზავნა. სხვაც ასე მოიქცა და ამ ყურძნის მტევანმა ახლო-მახლო დაყუდებული ყველა ბერი მოიარა.

თქმულება არ ამბობს, რა უყო უკანასკნელმა ბერმა, რომელიც თითოეული წინამორბედის აზრით ყველაზე მეტად იმსახურებდა, მტევანს. გამოიყენა მან ყურძნის მტევანი ყოფითი დანიშნულებით? არაპრაგმატული ლოგიკა გვკარნახობს, რომ უკანასკნელის ხელში ყურძნის მტევანმა მოიპოვა ის სიმბოლურ-ზერეალური საზრისი, რის აღსაქმელადაც შემზადებული იყო მონაზონთა ეს წრე. ასე სპონტანურად შედგა ცდა, რომელიც ეკლესიის დაფუძნებით დასრულდა. ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ წრის ჩამკეტი ბერი ყურძნის მტევანს, როგორც ქრისტეს სისხლს, შესწირავდა "საკურნებელად ხორცისა და სულისა".

III. საბჭოთა ტაშკენტში, დასავლური ყაიდის რესტორანში კორუმპირებული სუფრა, რომელიც ერთი პატივსაცემი გვამისთვის გაიმართა, დასასრულს უახლოვდებოდა. წესისამებრ,

პურობა ფინჯანი ჩაით უნდა დასრულებულიყო. მომტანმა თავის დაკვრით ფაიფურის ჩაიდანი მიართვა პატივსაცემ გვამს და თავის დაკვრითვე მოშორდა სუფრას. გვამი დინჯად შეუდგა ჩაის წრუპვას. თავზე ეთნიურობის ნიშანი ეხურა, თითქოს სახე ამ ნიშანზე უფრო მეტყველი არ ყოფილიყო. დასავლელი სტუმრის შეცბუნება იმის გამო, რომ სუფრაზე ამ ისედაც პატივით ავსებულ პირს მიენიჭა ჩაის სმის პრიორიტეტი, სხვანი კი სასოებით შესცქეროდნენ, ზუსტად იმდენ ხანს გაგრძელდა, რამდენ ხანსაც ჩაის აუჩქარებელი სმა მოითხოვდა. სუფრის რჩეულმა ფაიფურის ჩაიდნიდან თავისი ხელით ავსებული ფინჯანი ხელმარჯვნივ მჯდომს მიაწოდა, რომელმაც მისი დაცლის შემდეგ იგივე მოიმოქმედა და ასე შემდგომ და ასე შემდგომ, ერთმა ფინჯანმა მთელი სუფრა მოიარა და შეკრა წრე. სტუმარი არ იყო დარწმუნებული, რომ მეინახეთა რიცხვი შვიდი შემთხვევითი არ იყო.

არჩევანი

ადამს სამომავლოდ ორი გზა ჰქონდა - ღვთიური და საკუთარი, იგი ამ უკანასკნელს დაადგა. ღმერთს "გული დაწყდა", რომ მისმა ხატმა ეს ეკლიანი გზა აირჩია, მაგრამ მაინც "კმაყოფილი დარჩა", რომ მისმა ქმნილებამ, ამიერიდან არჩევანის უფალმა, არ დამარხა მინიჭებული ტალანტი - არჩევანის ნება და უფლება, და აირჩია. საკუთარ გზაზე მას ღმერთმა საგზლად გააყოლა წმიდა გონება და პრაქტიკული გონება, რომ შერჩენოდა, ერთი მხრივ, სამოთხისეული მჭვრეტელობითი უნარი და, მეორე მხრივ, წუთისოფლის ვითარებაში საორიანტაციო პრაქტიკული უნარი. ამ ორი იარაღით მას უნდა აეცილებინა მესამე პერსპექტივა - სატანის გზაზე სიარული და საბოლოოდ მისი ნებისადმი დამორჩილება.

"ბჰაგავატ-გიტაში" ნათქვამია: "მეჭველნი დაიღუპებიან". მეჭველნი ანუ სულმუდამ მეყოყმანენი. ადამმაც თავისი არჩევანით თავი გადაირჩინა მარადიული და უნაყოფო ყოყმანობის პერსპექტივისგან.

შეეკითხა რაბი ზუსია თავის ძმას:

- ძმაო, წმიდა წერილში წერია: ყველა კაცის სული პირველი კაცის, ადამის, სულში იყო მოთავსებულიო და, თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენც იქ ვყოფილვართ და ჩვენც გვიჭამია ცნობადი ხის ნაყოფი. ვერ გამიგია, როგორ მივეცი ჭამის ნება, ან შენ როგორ მიეცი ჭამის ნება?

მიუგო რაბი ელიმელექმა:

- ჩვენ, როგორც ყველა სხვა, იძულებული ვიყავით. ადამს რომ არ შეეჭამა, მასში სამუდამოდ დარჩებოდა გველის შხამი და სულმუდამ ამ ფიქრში იქნებოდა: შევჭამ და ღმერთი გავხდები! შევჭამ და ღმერთი გავხდები!
(ხასიდური სწავლანი, გვ. 10).

II.

მარტოსული ყველაზე ძლიერია

ჰენრიკ იბსენის დრამა "ხალხის მტერი" ამგვარად მთავრდება. ეს ქალაქისგან და მეგობრებისგან გარიყული დოქტორი სტოკმანის უკანასკნელი სიტყვებია.

"დოქტორი სტოკმანი: ...ვინ გამაგდებს ქალაქიდან, როცა ჩემზე ძლიერი არავინაა ამ ქალაქში.

ფრუ სტოკმანი: უფრო ძლიერი?.. ახლა?

დოქტორი სტოკმანი: სწორედ ახლა. მე ისიც შემიძლია ვთქვა, რომ ახლა მთელს მსოფლიოში არავინაა ჩემზე ძლიერი.

მორტენი: უყურე ერთი!

დოქტორი სტოკმანი: (ხმას დაუწევს). ჩუ! ჯერჯერობით ჩვენში უნდა დარჩეს. მე აღმოვაჩინე...

ფრუ სტოკმანი: კიდევ აღმოჩენა?!

დოქტორი სტოკმანი: ასეა, ასე! (ყველას თავის გარშემო შემოიკრებს თითქოს საიდუმლოს სათქმელად). იცოდეთ, რომ მთელ მსოფლიოში ყველაზე ძლიერი ის არის, ვინც ყველაზე მარტოა''.

მოგვიანებით, როცა ავტორს უხსენეს ეს სიტყვები, ვერც კი გაიხსენა, თუ სად ითქვა ისინი. როცა გაიხსენა, დასძინა: სტოკმანთან მე საუკეთესო ურთიერთობა მქონდა, მაგრამ მე არა ვარ პასუხისმგებელი ყველა იმ სისულელეზე, რასაც ეს კაცი როშავსო.

სიუხვე

კლოდ ლევი-სტროსი "ნაღვლიან ტროპიკებში": "პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ძალაუფლებისა არის სიუხვე (ხელგაშლილობა). ეს არის არსებითი ატრიბუტი ძალაუფლებისა პრიმიტიული ხალხების უმეტესობაში, განსაკუთრებით ამერიკაში. იგი თამაშობს მნიშვნელოვან როლს პრიმიტიულ კულტურებშიც კი, სადაც მთელი ქონება უმარტივესი საგნებისგან შედგება. სიუხვე ის მუდმივშეხებადი სიმია, რომლის ჟღერადობაზეა დამოკიდებული აღიარების ხარისხი. ამის გათვალისწინებით, ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ ბელადის მიერ მიღებული საჩუქრები მთლიანად იქნება გასაჩუქრებული. გასაჩუქრებაზე უარისთქმით ბელადი თავის ძალაუფლებას სერიოზული განსაცდელის წინაშე აყენებს" (403).

"განსაკუთრებით ამერიკაში". რატომ მაინცდამაინც პრიმიტიულ და განსაკუთრებით ამერიკაში, როცა ძველ კონტინენტზე ისევე ძველია "მეფეთა შიგან სიუხვე", როგორც თავად ძველი კონტინენტია ძველი? სიუხვე მსჭვალავს "ვეფხისტყაოსანს". სიუხვე აქ ხელმწიფების ნიშანი და მისი ლეგიტიმაციის შეუცვლელი პირობაა. სიუხვე ყოფიერების საფუძველში ძევს, ის "ვით ედემს ალვა რგულია". ის ღვთიური ყოვლისმომცველობის, პირთამდე ავსებულობის და სიჭარბისგან გადმოდინების ამქვეყნიური ხატია. ადამიანი, მით უფრო ხელმწიფე, გაცემით თვისობრივად იმაზე მნიშვნელოვანს იძენს, რაც გასცა. დოვლათი, რომელიც უხვად გაიღო, დავლათად უბრუნდება. ამიტომ არის ის სვიანი.

ინგე კონუნგის ქარიზმა

ინგე, ძე ჰარალდ კონუნგისა (1135-1162), ერთი წლისა დაობლდა და ამავე ასაკში კონუნგად გამოაცხადეს. სნორი სტურლუსონი გვიამბობს, რომ ბრძოლაში, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა, თუ ვისი დავლათი სძლევდა - ინგე შეინარჩუნებდა კონუნგობას თუ მისი მეტოქე მაგნუს უსინათლო გახდებოდა კონუნგი, ინგეს ერთგულმა დიდებულმა იღლიაში ამოიჩარა ჩვილი ბავშვი და დროშის ქვეშ ბრძოლით გაიკაფა გზა მტრის რიგებში. ამბობენ, რომ სწორედ მაშინ მიიღო ინგე კონუნგმა ჭრილობა, რამაც ის სამუდამოდ ხეიბარი გახადა: ხერხემალი მოღრეცილი, ხოლო ერთი ფეხი მოკლე და ისეთი სუსტი ჰქონდა, რომ მთელი სიცოცხლე სიარული უჭირდა. ნორვეგიის ისტორიაში იგი ''ინგე კუზიანის'' სახელით არის ცნობილი.

სნორი არ განმარტავს დიდებულის ამ მოქმედების მისი მკითხველისთვის ისედაც ცხად მოტივს. დიდებულს იღლიაში ამოჩრილი უსუსური ბავშვის სახით ბრძოლაში მეფური ხარიზმა, ქართულად დავლათი, სვე, ნორვეგიულად hamingja, როგორც მისი მამისა და წინაპარ კონუნგთა მემკვიდრეობა, მიუძღოდა. დავლათი არა მხოლოდ ცოცხალ არსებაში, თუნდაც უსუსურ ბავშვში, არამედ საგნებშიც არის განივთებული - შუბში, ხმალში, მოსასხამში... მათი დაკარგვით მეომარს სტოვებს ხარიზმა და მარცხიც გარდაუვალია (დიმიტრი ამილახვრის მოსასხამი ამის მაგალითია ჩვენ დროში).

ისტორიის წინაშე

ექსპრეზიდენტის წარმოსათქმელი სიტყვა, რომელიც მას უნდა წარმოეთქვა უკანასკნელად, მაგრამ ვერ წარმოთქვა (გამზადებული ჰქონდა, მაგრამ გარემოცვამ საშუალება არ მისცა, ვერ წარმოთქვა ან არ წარმოთქვა რაღაც მიზეზის გამო, რაღაც ქაღალდი ეჭირა ხელში და ვერ წაიკითხა):

“ჩემო ხალხო, თქვენ მოგმართავთ თქვენი პრეზიდენტი, აწ უკვე ყოფილი, ექსპრეზიდენტი, რაც გინდათ ის დაარქვით; მოგმართავთ პრეზიდენტი, რომელიც თქვენ აირჩიეთ... გემსახურებოდით, ვემსახურებოდი ქვეყანას, ხალხს, როგორც შემეძლო და როგორც ვიცოდი, ბევრი შეცდომები მქონდა; არ ვყოფილვარ შეუმცდარი... ახლა ვხედავ, რომ თქვენ უკან იბრუნებთ ხმებს (ვაღიარებ გაყალბებებს, იყო ეს...). მე ვემორჩილები თქვენს ნებას... თქვენი ნება უზენაესია... მე ახლა მივხვდი, რომ თქვენ ხართ ხელისუფლების ნამდვილი და უტყუარი წყარო... თქვენ ახლა კონსტიტუციაზე მაღლა დგახართ, მე კი დავარღვიე იგი... მე ვგრძნობ, რომ დგება ახალი დრო, თქვენი აზვირთება ამის ნიშანია... მე... ისტორიის წინაშე...” და ა. შ. და ა. შ.

ისტორიის გარეთ

იონესკუ: “სამარცხვინოა, რომ ეკლესია ისტორიაში გათქვეფას ცდილობს, ისე ეშინია ისტორიის გარეშე დარჩენისა. მაგრამ ეს ცთომილებაა, რადგან ეკლესიის როლი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ დარჩეს ისტორიის გარეთ და გაიძღოლოს ხალხი, რომ ისტორია ზეისტორიად აქციოს. ის კი, ვაგლახ, მხოლოდ პოლიტიკით და დემაგოგიით არის გატაცებული... დამთრგუნველია ეს სეკულარიზაცია... ისტორია არის რღვევა და დაღუპვა, ის ქაოტურია... სოფელი თუ იღუპება, სოფელში მყოფი ეკლესიაც დაიღუპება სოფელთან ერთად. ეკლესია რომ ხელს უწვდიდეს სოფელს, სოფელი შევიდოდა ეკლესიაში. მაგრამ ეკლესია თავად შედის სოფელში და იღუპება სოფელში, ისტორიაში, პოლიტიკაში...”

ეს სიტყვები ამ სახითაც შეეძლო რომელიმე ეკლესიის მამას წარმოეთქვა, მაგრამ ისინი ეჟენ იონესკუს, აბსურდის კლასიკოსს ეკუთვნის. მის ბაგეებში დამაჯერებლად ჟღერს ეს ვერდიქტი და მას უფლებაც ჰქონდა წარმოეთქვა იგი. მან ხომ თავისი ნაწერებით დიაგნოზი დაუსვა სოფლის ყოფას, როგორც აბსურდს, და ამ აბსურდის ფონზე, სადაც ადამიანი თავს ვერ შეაფარებს, ერთადერთ მდგრად ჭეშმარიტ რეალობად მას ეკლესია მიაჩნია. სოფლის აბსურდმა კიდევ უფრო გამოაჩინა ეკლესიის საზრისი. იონესკო მით უფრო იცავს ეკლესიის დასაბამიერ საზრისს, რომ ამ სოფელში დასაცავი არაფერი ეგულება.

ქორწილი სუზაში

ალექსანდრემ სუზაში ოთხმოცდაათი წარჩინებული მაკედონელი ასევე წარჩინებულ სპარსელ და მიდიელ ქალწულზე დააქორწინა. თითეულ მათგანს თავისი ხელით დაურიგა მდიდრული მზითევი. თავად დარიოსის ასული შეირთო ცოლად. ამ ოთხმოცდაათი წარჩინებული მაკედონელის გარდა, კიდევ მისმა ათი ათასმა თვისტომმა იქორწინა აზიელ ასულზე; და ალექსანდრემ ყველასთვის სათითაოდ საქორწინო საჩუქარი გააცემინა. ქორწილი სპარსულ ყაიდაზე გაიმართა და ალექსანდრესაც - მთავარი მეფე-სიძეს მიდიურ-სპარსული სამოსელი ემოსა.

ბევრ მის თვისტომს, მათ შორის იმათაც, ვინც იქორწინა, არ მოსწონდათ ეს ქორწილი, რომელიც ელინს ბარბაროსთან ათანაბრებდა, მაგრამ ალექსანდრეს სწორედ ის ჰქონდა მიზნად, რომ დისკრიმინაციული ზღვარი წაშლილიყო ელინსა და ბარბაროსს შორის. არც ის მოსწონდათ, რომ ალექსანდრე და, მისი წაბაძვით, მისი თანამებრძოლნი სპარსულად იმოსებოდნენ, მაგრამ,

როგორც მისი მემატიანე წერს, ალექსანდრეს მიზანი იყო, ბარბაროსებს უცხო მეფედ არ ჩვენებოდა, ხოლო ელინების სიამაყე და ამპარტავნება დაეცხრო.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ქორწინება გადასვლის რიტუალია, რომლის წყალობით ადამიანი ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადადის, და იმასაც რომ სუზის ქორწინება წმიდაწყლის სიმბოლური აქტი იყო (სუზის მექორწილეთა შორის მცირე ნაწილმა თუ შექმნა ოჯახი), ალექსანდრეს ჩანაფიქრში მას უნდა მოესწავებინა ადამიანთა ცნობიერების ახალ ყაიდაზე გარდაქმნა, ისტორიულად კი ამ აქტმა ელინისტური მსოფლიოს დასაწყისის სიმბოლური მნიშვნელობა შეიძინა.

სხვაზე ვერავისზე მის მეგობართა შორის ვერ ვიტყვით, მაგრამ ალექსანდრესთვის უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა კუთვნილებას ელინობისა თუ ბარბაროსობისადმი. ალექსანდრე თავისივე ეფემერული იმპერიის ერთადერთი მოქალაქე იყო. აქ კიდევ ერთხელ ხვდებიან ერთმანეთს ალექსანდრე მაკედონელი და დიოგენე სინოპელი, რომელიც კითხვაზე საიდან ხარ, მსოფლიო მოქალაქე (*კოსმოპოლიტეს*) ვარო, პასუხობდა.
ელინისტური ხანის დასასრულს პავლე მოციქულის განთქმულმა სიტყვებმა - "სადაც არ არის არც ბერძენი, არც იუდეველი, არც წინადაცვეთა, არც წინადაუცვეთელობა, არ არის ბარბაროსი, სკვითი და თავისუფალი", - დაამოწმა, თუმცა სხვა საწყისებზე, ალექსანდრეს "პროექტის" შესაძლებლობა.

განა ელინიზმმა არ გაშალა ველი ქრისტიანობისთვის?

ჩინეთის კედელი

ჯუნგო "შუა სამეფო", როგორც ჩინეთმა უწოდა თავის თავს (და დღემდე ასეა). სვებედნიერად დავანებული ქვეყნიერების სწორედ იმ ადგილას, სადაც ცისა და მიწის ძალები ჰარმონიულ კავშირში არიან ერთმანეთთან, სადაც "მიწის ძლიერი და ჯანმრთელი სუნთქვაა", რაც კეთილისმყოფელია ადამიანური ცხოვრებისთვის, მაინც არ იყო მოსვენებული. ცისა და მიწის ჰარმონიის წყალობით ჯუნგოს ცისქვეშეთში შექმნილ ცივილიზაციას მუდმივად ემუქრებოდა ნგრევა და ქაოსი იმ ტომებისგან, რომელთაც ბედმა პერიფერიაზე, "სხვა სუნთქვის" მიწაზე ცხოვრება არგუნა. ქვეყნიერების შუაგულს გარს ერტყა ოთხივ კუთხის ბარბაროსობა - ჟუნ (თმაგაშვებული რომ დადიან), დი (მიწურებში რომ ცხოვრობენ), ი (უმს რომ ჭამენ), მან (ფეხმორთხმით რომ სხდებიან) - და ყველა, ვინც ხალათს მარცხნივ იკრავს... მოგვიანებით ჯუნგოელმა ელინებმა "თეთრი ბარბაროსებიც" გაიცნეს.

რა ეღონათ ცალკერძ სიმშვიდის მოსაპოვებლად, ცალკერძ ცივილიზაციის გადასარჩენად? ერთნი ამბობდნენ: შემოვიყვანოთ ჩვენს შუაგულში ხალათის მარცხნივ შემკვრელნი, რომ ჩვენთან ერთად ისუნთქონ და გახდნენ ჩვენსავით *ᴌÁ*ა (ცივილიზებულნი.
მაშინ ჩვენს ცისქვეშეთს მათგან საფრთხე აღარ დაემუქრება.

წამოდგა ერთი მანდარინი და მოახსენა კრებულს:

"შემოვიყვანოთ. ბევრი ანკარა ნაკადი მინახავს, რომელიც მღვრიეს აუმღვრევია; მაგრამ არ მინახავს, მღვრიე ნაკადი, რომელიც ანკარა წყალს გაეწმიდოს. შემოვიყვანთ და ასე მოხდება: ჩვენი სიწმიდისგან მათაც ვერაფერს შევმატებთ და ჩვენც დავკარგავთ სიწმიდეს. ვერც ისინი ისუნთქებენ ჩვენსავით და ჩვენც ვერ შევინარჩუნებთ ჩვენს სუნთქვას".

რაკი ვერავინ გამოძებნა ამის საწინააღმდეგო არგუმენტები, ახლა იმაზე დაიწყეს ფიქრი და მსჯელობა, რა ეღონათ მუდმივი შემოტევების თავიდან ასაცილებლად. მაშინ გადაწყდა, ჯუნგოსთვის დიდი კედელი შემოევლოთ.

ამიერიდან კედელმა დაამოწმა, რომ ჯუნგო ნამდვილად ქვეყნიერების შუაგულია.

მართუს ქორწინება

შუმერის ქალაქი, როგორც ყოველი ძველი ქალაქი, მცირე მასშტაბში ჯუნგოს განასახიერებდა: ისიც ქვეყნიერების შუაგული იყო და მასაც კედელი ჰქონდა შემოვლებული. მასაც ჰყავდა თავისი ბარბაროსი, რომლის შემოტევისგან მის კულტურას "შვიდი ბრძენის" ლიბოჩადებული კედელი იცავდა. მაგრამ, კედლის გარდა, მას სხვა დამცველიც ჰქონდა თუ ჰყავდა.

შუმერის ბარბაროსი ყოველთვის არ ცდილობდა ძალით შეჭრას ცივილიზებულ სამყაროში და შუმერიც არ ეწინააღმდგებოდა მის მიღებას თავის წიაღში. მითოსი მას გაკულტურების გზას სთავაზობდა. ასე მოხდა ენქიდუს შემთხვევაში, როცა ქალმა ველური კაცი უდაბნოდან გალავნიან ურუქში შეიყვანა და კულტურას აზიარა.

იყო სხვა ქალიც და სხვა ველურიც. იყო შუმერული ქალაქი ინაბი, მისი პატრონი ღმერთი ნუმუშდა, ნუმუშდას ასული ადგარ-ქიდუგი. და იყო მართუ... ქალაქის დღესასწაულზე ველური მართუს ასპარეზობაში გამარჯვების ჯილდოდ ნუმუშდა, ქალაქის ღმერთი, ოქრო-ვერცხლს სთავაზობს, მაგრამ მართუ არას აქნევს ნივთიერ დოვლათს, მას მისი ქალიშვილის ხელი სურს. ქალაქის ღმერთი არ იწუნებს სასიძოდ მართუს. ჯერი ქალწულზეა, რომელიც თანახმაა გაყვეს მას ცოლად, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია და სურს თავისი დაქალების რჩევა მოისმინოს. დაქალები ასე უხასიათებენ სასიძოს და მის ქვეშევრდომ ხალხს: აი, ვინ არის მართუ, ცოლად რომ მიყვები: შენი მართუ და მისი ხალხი ღმერთების აკრძალულს ჭამენ, არაფრის შიში არა აქვთ; მუდამ უდაბნოში დაეხეტებიან, ტყავებით იმოსებიან, კარვებია მათი საცხოვრებელი; ლოცვები არ უწყიან, მუხლის მოყრა არ უწყიან; უმი ხორცია მათი საჭმელი; სახლი არ იციან, ქალაქი არ იციან; როცა კვდებიან, არ იმარხებიან. მაშ, კიდევ მოსურვებ მართუს ცოლობას?" მაგრამ ადგარ-ქიდუგს არ აბრკოლებს მართუს ბარბაროსობა, მისი პასუხი ურყევია და ლაკონიური: "მართუს მივთხოვდები".

და ჩაესიძა ბარბაროსი მართუ შუმერის ქალაქს.

ქართული სადღეგრძელო

ლუბლინელი რაბი ამბობდა: "ისრაელის დიდმა კაცებმა რომ გითხრან, მართალი კაცი ხარო, არ დაიჯერო. ელიაც რომ მოვიდეს და ცის ანგელოზიც და გითხრან, მართალი კაცი ხარო, არ დაიჯერო. თავად უზენაესმაც - კურთხეულ იყოს მისი სახელი! - რომ გითხრას, მართალი კაცი ხარო, იცოდე, რომ მათი ნათქვამი ეხება მხოლოდ ამ წამს და არა შემდგომს."
(ხასიდური სწავლანი, გვ. 8).

ასე, სუფრის წევრო, ნუ გეგონება, რომ ყველაფერი, რითაც შენ, თავჩაქინდრულს ან სიამაყით თავაწეულს, სადღეგრძელოში გამკობენ, ყოველ დროსა და სივრცეში შენი არსების განუყრელი კუთვნილება იყოს. შენ მხოლოდ აქ (ამ სუფრაზე) და ამ ჟამს (სმენის პროცესში) შეიძლება იყო ასეთი.

და ის, ვინც ამას გეუბნება, თუმცა ამ წამებში დარწმუნებულია თავის ნათქვამის სიმართლეში, მანაც უნდა იცოდეს, რომ მისი სიტყვები შეიძლება მხოლოდ აქ (ამ აურაში) და ამ ჟამს იყოს ჭეშმარიტი და არა სხვაგან და სხვა დროს.

Pontifex - "ხიდის მკეთებელი".

კოპალობის დღესასწაულზე, რომელიც აგვისტოს ბოლოს იმართება ფშავში, უძილაურთის თემში, მლოცველთა პროცესია დეკანოზის წინამძღოლობით, რომელიც ნახევარი საათის სავალზე წინ უსწრებს მათ, მიემართება სოფლიდან აღმართებზე, ირემთკალოს გავლით, ციხეთგორისკენ. ირემთკალოდან, სადაც ეული სამრეკლოა აღმართული, პროცესია გაივაკებს და ახლა დაღმართს დაუყვება, გაივლის ტყეს და მიადგება სწრაფმდინარ და წყალუხვ ღელეს,

რომლის გაღმა, დაკიდებული აღმართის ბოლოს, ხატის პირველი შენობები გამოჩნდება. ბილიკი აგიყვანს დაფერდებულ გორზე – აქეთ ფშავია, იქით - ხევსურეთი, ლიქოკის ხეობა, ხეობის სოფელი აკუშო. აქ წელიწადში ერთხელ ერთმანეთს ხვდებიან ხევსური ხუცესი და ფშაველი დეკანოზი, ორივენი კოპალას მსახურნი. ფშავის მხრიდან წამოსული დეკანოზი ორიოდე თანმხლებ პირთან ერთად, რომელთაგან ერთი ამ კუთხის გასაცნობად ჩამოსული უცხო ეთნოლოგია, მიადგა წყალს. ის ნახევარი საათი, რომელიც მას მლოცველთაგან შორავდა, და სარტყელში უკანა მხრიდან ამოჩრილი ცული დეკანოზს დასჭირდა გასული წლის განმავლობაში იავარქმნილი ხიდის აღსადგენად, ხიდისა, რომელსაც დროშიონი და მლოცველი გაღმა ნაპირზე უნდა გადაეყვანა. ეს ხდებოდა ყოველ წელიწადს და ამ ბუნებრივ საქმიანობაში უჩვეულო არაფერი იყო. მაგრამ როგორც კი დეკანოზი შეუდგა ხიდის გამართვას და აამუშავა თავისი ხელსაწყო, იმ უცხოელს აღტაცებით აღმოხდა: *პონტიფექს*! ახლაღა მიხვდა, თუ რატომ ეწოდებოდა ეს სახელი - "ხიდის მკეთებელი" - ძველი რომაული რელიგიის ქურუმს, რომელსაც ამ ფშაველი დეკანოზის, სახელდობრ, იოსებ კოჭლიშვილის, მსგავსად ორ სამყაროს შორის ხიდის გადება ევალებოდა. Pontifex!

III.

თავისუფლების პარადოქსი

იბსენი ამბობს: "ძვირფასო მეგობარო, ლიბერალები თავისუფლების ყველაზე დიდი მტრები არიან. აბსოლუტიზმის დროს სულისა და აზრის თავისუფლება უკეთესად ხორციელდებოდა. ასე იყო თავდაპირველად საფრანგეთში [XVIII ს], გერმანიაში [XVIII-XIX სს] და რუსეთში [XIX ს]".

საფრანგეთსა და გერმანიაზე რა შეიძლება ითქვას, მაგრამ რუსეთზე აქ გამოთქმული აზრი არც ისეთი პარადოქსული უნდა იყოს, როგორც რუსეთის ისტორიის პერსპექტივით შეიძლება მოგვეჩვენოს. ვის შეუძლია წარმოიდგინოს იმაზე მეტი სრულყოფილება, რასაც პუშკინმა მიაღწია ყბადაღებულ ცარისტულ რეჟიმში. საკითხავია, თუ შესძენდა მას უფრო მეტს დემოკრატია, რისთვისაც თითქოს მისი მეგობარი დეკაბრისტები იბრძოდნენ? პეტერბურგიდან გადასახლებული პოეტი ახალ-ახალი შთაგონებებით ივსებოდა და გამდიდრებული ბრუნდებოდა "არაკჩეევის" პეტერბურგში.

ანატოლ ფრანსს უთქვამს, რომ შემოქმედებისთვის ისევე აუცილებელია წინააღმდეგობა, როგორც ფრენისთვის - ჰაერი.

***

ალექსანდრ გერცენი იგონებს ერთ ანეკდოტს (როგორც იმხანად უწოდებდნენ მსგავს ეპიზოდებს), რომელსაც ნიკოლოზ პირველის გამეფების შემდეგ ყვებოდნენ: ერთხელ პოლკში გვარდიელების სწავლების დროს უფლისწულს იმდენად დაუკარგავს წონასწორობა, რომ კინაღამ საყელოში წვდომია თავის თანაგვარდიელს (გრაფ სამოილოვს). ოფიცერს მიუხლია: "თქვენო დიდებულებავ, ხელში დაშნა მიჭირავს". ნიკოლოზს უკან დაუხევია, გაჩუმებულა, მაგრამ ბრაზი გულში ჩაუკლავს. 14 დეკემბრის შემდეგ ორჯერ უკითხავს გრაფ სამოილოვზე, ჩარეული ხომ არ არის შეთქმულებაში ეს ოფიცერიო. საბედნიეროდ თუ მეფოსთვის საწყენად ჩარეული არ აღმოჩნდა.

რამდენად გამოდგება ეს ისტორია თვითმპყრობელობის სისასტიკისა და უსამართლობის საჩვენებლად, რა მიზნითაც გვიამბობას მას ინგლისში გახიზნული გერცენი, მკითხველმა განსაჯოს, მაგრამ რეჟიმის გამოსარჩლებისთვის უნდა ითქვას, რომ ამ ისტორიამ აჩვენა, რომ იგი არ ყოფილა უკანონობაზე დაფუძნებული: მიუხედავად დიდი სურვილისა ყოვლისშემძლე თვითმპყრობელს აზრადაც არ მოსვლია, საქმე "შეეთითხნა" უკვე მისი ქვეშევრდომი

ოფიცრისთვის. მაინც არ იკადრა, პირადი პატიმარი ჰყოლოდა. რა იყო ის და რას ვუწოდებთ იმას, რაც ამის უფლებას არ აძლევდა?

ვამბერის განსაცდელი

უნგრელმა ებრაელმა ამინიუს ვამბერიმ (1832-1913), უნგრობის მხურვალე პატრიოტმა, მიზნად დაისახა მოეძებნა უნგრების დასაბამიერი საცხოვრისი, რომელიც სადღაც აზიაში ეგულებოდათ. მუსლიმური ენებისა და მოძღვრების ზედმიწევნით შესწავლამ ვამბერი დერვიშად აქცია და მათ ქარავანთან ერთად, რაშიდ-ეფენდის სახელით, ევროპელებისთვის დახურული ქალაქები (მექა, ბუხარა და სხვანი) მოატარა. წესის მიხედვით, ემირთა და წარჩინებულ მუსლიმთა კარზე, როგორც დერვიშს, საღვთისმეტყველო დისპუტებში უნდა მიეღო მონაწილეობა. გადერვიშებულმა გადაიტანა ეს განსაცდელი და წარმატებით ჩააბარა ეს უნებური გამოცდა. ამის შემდეგ მას მიეცა უფლება ეჩხრიკა ძველ ხელნაწერებში უნგრების გადასვლების კვალი. მაგრამ მას მძიმე განსაცდელი ელოდა გამჭრიახი ემირის კარზე. ემირის სისასტიკე განთქმული იყო და ვამბერი შიშობდა მასთან შეხვედრას, მოსმენილი ჰქონდა, როგორ დასაჯა ერთი თავისი ვეზირი, რომელმაც უნებლიეთ თვალი ჰკიდა მის მოახლეს ჰარემიდან, რომელიც იმჟამად ემსახურებოდა ემირს. გადაცმულ "ფრანგს" ვერაფერი უშველიდა, ვერც წინადაცვეთილობა, თუ რაიმე უნებურად გაამხელდა მის წარმოშობას.

ემირის კარზე ვამბერი ვერ მოხვდა, მაგრამ კინაღამ იაკუბ-ხანის არანაკლები გამჭრიახობის მსხვერპლი გახდა. იაკუბ-ხანის ორკესტრი ვენურ ვალსებს ასრულებდა და ვამბერიც გაიტაცა ჰანგებმა. მცირე ხნის შემდეგ მასპინძელმა მოიხმო ვამბერი და მხოლოდ ეს უთხრა: "ვფიცავ ალაჰს, შენ გადაცმული ფრანგი ხარ!" ვამბერი, რა თქმა უნდა, შეეცადა გაემართლებინა თავისი დერვიშობა და, როგორც ფიქრობდა, წარმატებითაც.

მრავალი წლის შემდეგ, როცა "გადაცმული ფრანგი" უკვე შორს იყო ამ ადგილებიდან, იაკუბ-ხანმა შეკითხვაზე, როგორ მიხვდიო, მიუგო: "ჩვენში მუსიკას ფეხს არასოდეს აყოლებენ ხოლმე. ბუნებრივია, ის უარყოფდა ამას და მეც არ მივწოლილვარ, რადგან ვიცოდი, რომ მხილების შემთხვევაში, სიკვდილი არ ასცდებოდა".

ენა და მუსიკა, ყველაფერი ენაა: დერვიშის მოსასხამიც, წინადაცვეთაც, არაბულისა და ყურანის ცოდნა, დერვიშული თმენა და სხვა და სხვა.

ვენური ვალსები XIX ს-ის ორმოცდაათიანი წლების ბუხარისთვის, ცოტა არ იყოს, მოულოდნელია, მაგრამ ფსევდორაშიდ-ეფენდის მხილებისთვის ვალსის ტაქტებზე ფეხის აწყობა ისეთივე სამხილი იქნებოდა, როგორც რომელიმე ევროპულ ენაზე შეძახილი მშობლიურ ადამიანთან შეხვედრისას.

სახელი აუცილებელია...

როცა სტარკადი დაბერდა და თითქმის დაბრმავდა, სულმუდამ იმის მოლოდინი აწუხებდა, რომ საწოლში მოკვდებოდა და არა სისხლიან შეტაკებაში. რაკი მხოლოდ ბრძოლაში დაცემულთა ხვედრია ვალჰალა, ''ჩალაზე სიკვდილი'' კი - არათუ საძრახისი (''საძრახ ას სიკვდილ'', იგულისხმება ბუნებრივი სიკვდილი), არამედ სამუდამო დაღუპვა, სხვა რა დარჩენოდა სტარკადს, თუ არა მკვლელის მისაზიდად კისერზე ჩამოეკიდა ბრძოლებში მოხვეჭილი ოქროთი სავსე ქისა და ველად გასულიყო. მკვლელიც გამოჩნდა: დაუძლურებული მოხუცი მოკლა ოქროზე დახარბებულმა ხატერმა, რომლის მამა სტარკადს ჰყავდა მოკლული.

ისლანდიური საგის ეს ეპიზოდი პარადიგმა იყო სტარკადის ბედში ჩავარდნილი ყველა თავმოყვარე ადამიანისთვის, ვინც მთელი სიცოცხლე კვებავდა თავს მოწოდებით, რომ *სახელი აუცილებელია, სიცოცხლე არ არის აუცილებელი.*

მსოფლიო პოეზიაში უმოკლესი ბალადა გვამცნობს:

"ერთი ვაჟკაცი ფხოველი შავწყალს საომრად დადგაო,
ადგა და შინ წამოვიდა, გზად შავანელი შახვდაო.
ჩაჭრეს ჩაკაფეს ერთურთი, მაშველი აღარ შაშჩაო.
ცითა მოვიდა ყორანი, მაგათ ნაომარს დახყვაო,
ჯერა დაითვრა სისხლითა, მერე ლეშ ჭამა, გაძღაო.
ადგა და ისევ წავიდა, მაგათ ვაგლახი დასცაო:
ორნივ ყოფილან უჭკონი, ერთმ მაინც რად არ დათმაო.

ჩანაწერს ახლავს მისი პირველჩამწერის (თედო რაზიკაშვილის) შენიშვნა: "მე ამათი ვერა გავიგე რა: ვინ იყო შავანელი ან სადაური".

გასაგებია ეს გაუგებრობა. ამ თითქოს უმიზეზო და უაზრო შეტაკების ჰერმენევტიკა მხოლოდ და მხოლოდ იმ საზოგადებისთვის არის გასაგები, სადაც მუშაობს მოწოდება სახელი აუცილებელია, სიცოცხლე არ არის აუცილებელი. ყორანი სხვა საზოგადოებიდან არის მოსული. ის იკვებება ამ მოწოდების შედეგით, მაგრამ დასცინის მოწოდებას.

ჩასაფრებული ეშმაკი

იოანე ოქროპირი ამბობდა: "არც ღმერთს არ შეუძლია ადამიანის იძულება სიკეთის საკეთებლად და არც ეშმაკს, - ბოროტების ჩასადენად".

აქედან ის აზრი გამოდის, რომ ყოველი საქციელის - კეთილისა თუ ბოროტის წყარო ადამიანის ნებაშია.

ადამიანს სურს დაივიწყოს ეს წყარო, თითქოს ის არც კი არსებობდეს. მას ურჩევნია ილაპარაკოს ზმნის აპოლოგეტივის ფორმებით *შემომეჭამა*, *შემომეხარჯა*, *შემომაკვდა*... - ამ ფორმაშია ჩასაფარებული ეშმაკი, თავისუფალი ნების არსებობა რომ დაგავიწყოს.

ფილოკტეტეს თასი

საქვეყნოდ ცნობილია დიოგენე სინოპელის საქციელი, რომლითაც მან ცივილიზაციის დასასრული და ბუნებისკენ მიბრუნება აჩვენა: თასის უკუგდებით ის თითქოს დაუბრუნდა კაცობრიობის ბავშვობას, როცა ადამიანი (თითქოს) კმაყოფილდებოდა საკუთარი სხეულისგან ქმნილი იარაღით. განა თავად თასი, წყლის სასმელი ხელსაწყო, ბუნებრივად შექმნილმა პეშვმა არ დაბადა? მიბაძვის მიბაძვა, - იტყოდა პლატონი. ერთხელ დიოგენემ ჰკითხა პლატონს, "იდეების სახელწოდებათა გამომგონებელს": "მითხარი, პლატონ, რატომ არის, რომ ტაბლას და თასს კი ვხედავ, ტაბლობას და თასობას ვერა?" - "გასაგებია, მიუგო პლატონმა: "ტაბლისა და თასის დასანახად თვალები გაქვს, ტაბლობისა და თასობის დასანახად კი გონება არ გაგაჩნია".

თასის მოსროლით დიოგენემ არათუ მისთვის უხილავი თასობა, არამედ თასის ხილულობაც უარყო.

სოფოკლეს დრამაში "ფილოკტეტე" ასეთი სცენაა:

ტროას ბრძოლიდან მობრუნებული ოდისევსი და მისი თანამგზავრები კუნძულ ლემნოსზე შეივლიან, სადაც სასიკვდილოდ განწირული ფილოკტეტე დატოვეს, თავად კი ილიონისკენ გზა განაგრძეს. იფიქრეს, უკან მობრუნებისას მის ძვლებს მაინც წაიღებდნენ მის სამშობლოში. ძვლების ძებნა მათ აღარ დასჭირდათ: გამოქვაბულიდან გამოვიდა ცოცხალი ფილოკტეტე, ხელში თასი ეჭირა, სურდა დაქანცულ სტუმრებს კუნძულის ანკარა წყლით გამასპინძლებოდა. ერთადერთი, რაც ფილოკტეტეს ელინურ კაცობრიობასთან აკავშირებდა ეს,

მისი ხელით ხისგან გამოჩორკნილი თასი იყო. ოდისევსის ირონიულ სიტყვებში "აჰა, მოაქვს თავისი განძიო", მისდაუნებურად, სრული ჭეშმარიტება იყო.

ძეტო თუ შეწყვეტილი ლიტურგიის დასრულება

1553 წლის 29 მაისს ჰაგია სოფიაში ლიტურგია ის-იყო მთავრდებოდა, რომ თურქებმა შეანგრიეს ბრინჯაოს კარი და შეიჭრნენ ტაძარში. მღვდლები განაგრძობდნენ მსახურებას, ვიდრე სხვა მრავალრიცხოვან მლოცველებთან ერთად ისინიც არ შეიპყრეს, როგორც ნაალაფარი, და შებორკეს. ამბობენ, ღრმად მოხუცებული მღვდლის წინაშე, რომელსაც ფეშხუმ-ბარძიმი მოჰქონდა, გაიხსნა სამხრეთის კედელი, შეიფარა იგი და კვლავ შეიკრა.

ბერძნებს სწამდათ, რომ როცა ქრისტიანი ერი კვლავ დაიბრუნებდა კონსტანტინე დიდის ქალაქს, გაუჩინარებული მღვდელი გამოვიდოდა ჰაგია სოფიის კედლიდან ფეშხუმ-ბარძიმითურთ და დაასრულებდა შეწყვეტილ ლიტურგიას.

"ამგვარად, წერს პროფ. ა. პ. ლებედევი, არა თავის ქალაქის დიდებაზე ოცნებობს ბერძენი, როცა ის აია სოფიას უცქერის, არამედ იმ ერთადერთზე, რაც მას სჭირდება: არა ომახიანი ძახილი *ძეტო* (იცოცხლოს!) სურს მან მოისმინოს, არა გულადი კონსტანტინე XII პალეოლოგი სურს იხილოს, არამედ იმ მოხუცებული მღვდლის პირით წარმოთქმული ლიტურგიის სიტყვები მოისმინოს".

მართლაც, რომ დავწეროთ ბიზანტიის მთელი ისტორია კონსტანტინოპოლის აშენებიდან უკანასკნელი კონსტანტინეს უკვალოდ დაკარგვამდე ქალაქის კედლებთან, რა დარჩება ღირებული, გარდა საღვთო ლიტურგიისა, რომლისთვისაც, როგორც ერთი საეკლესიო მწერალი ამბობს, შეიქმნა ეს სამყარო.

მოქანდაკე სოკრატე

ამბობენ, სოკრატეს მამა მოქანდაკე იყოო, დედა კი - ბებიაქალი. ბებიაქალობაზე – მაიევტიკის ხელობაზე სოკრატე ბევრს ლაპარაკობს: როგორც ბებიაქალი ეხმარება მშობიარეს შობაში, ასევე მე ადამიანებს ვეხმარები ჭეშმარიტების შობაშიო. ამის გარეშე ჭეშმარიტება თვლემს. ის მოელის მართლაც ბებიაქალს. პლატონმა ჭეშმარიტების დაბადების ამ მეთოდს ადექვატური ჟანრი მოუძებნა დიალოგების სახით.

მაგრამ სოკრატე არ ლაპარაკობს მამის პროფესიაზე, თუმცა მოქანდაკეობა არა ნაკლებად გამოხატავს მის მოღვაწეობას ათენის აგორაზე. შესაძლოა, უფრო მეტადაც: თუ ბებიაქალი ერთბაშად მიირქვამს ახალდაბადებულს, უკვე შექმნილს, მოქანდაკე თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ ათავისუფლებს ლოდში დაფარულ სახეს. განა ამგვარად არ მუშაობს სოკრატე პლატონის დიალოგებში?

მოქანდაკის ეზოში დიდხანს ეგდო მარმარილოს ლოდი, მაგრამ მოქანდაკემ მასში ვერაფერი დაინახა გამოსამზეურებლად. მოვიდა ჭაბუკი, შეხედა ლოდს, ერთი ნახტომით კამარა შეკრა მის წინ და შესძახა: მე ვიცი, აქედან რას გავაკეთებ! და პატრონმა დიდსულოვნად დაუთმო ჭაბუკს მარმარილოს ლოდი.

არა ისევ *ისე*, არამედ *ასე*

ისტორიულ მეცნიერებას რომ ისტორიის კანონების დადგენა შეეძლოს, ყოველ თაობას შეეძლებოდა წინამავალი თაობების შეცდომებზე სწავლა, მაგრამ ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეს ასე არ არის. წარსულში მოვლენა ასე მოხდა, მაგრამ ანალოგიური მოვლენა ჩვენს დროში არა ისევ ასე, არამედ ისე ხდება. ყველა თაობას თავისი გამოცდილება აქვს.

საზოგადოება, ხალხი შეცნობილი კანონების მიხედვით არ იქცევა. ასე რომ იყოს, ერთ თაობაში ჰარმონია დამყარდებოდა და ისტორიაც დასრულდებოდა.

ვიყავი უნაგირი...

"ეს არ არის ჩიბუხი", როგორც წარწერა მოწმობს რენე მაგრიტის (Margritte) ნატურალისტურად დახატული ჩიბუხის ქვეშ, სრული ჭეშმარიტებაა: ნამდვილად ეს არ არის ჩიბუხი, არამედ მხოლოდ გამოსახულება ჩიბუხისა. სად არის თავად ჩიბუხი, როგორც ასეთი, როგორც ამა და ამ ფუნქციის მქონე საგანი? სად სწევს ის ჩიბუხობას? ალბათ მხოლოდ მწეველი კაცის პირში გაჩრილი, მბოლავი ან, თუნდაც, ჩამქრალი. ანუ მაშინ, როცა ის თავის თანდაყოლილ ფუნქციას ასრულებს? დღეს ვინღა ფიქრობს, რომ პიგმალიონის შემოქმედება, რომელსაც არ სურს ხელოვნების ნიმუში რეალობისგან განასხვავოს, შემოქმედების მწვერვალია!

ნახატი ამბობს: "ასეთია ჩიბუხი, მაგრამ მე არ ვარ ჩიბუხი - მე ნახატი ვარ".

"...თავისუფალი ფორმა არის ყოფიერების წრიდან გასული საგანი, რომელსაც აღარავითარი პრაქტიკული ფუნქცია არ გააჩნია... ქოლგის სახურავჩამოფლეთილი კარკასი იდესღაც, ყოფიერებაში, ქოლგა იყო, მაგრამ ახლა იგი სხვა რამეა. ახლა იგი ავტონომიური აგებულების მქონე თავისუფალი ფორმაა..." (თემო ჯაფარიძე, "სარკე ბრმებისთვის").

"ყოფიერების წრიდან გასული"? - კარგი ნათქვამია, მაგრამ ახლა უმჯობესია ვთქვათ: თავიდან მოშორებილი და სანაგვეზე გადაგდებული, სადაც ფუნქციადაკარგული, ერთ დროს სასოებით შეძენილი ხელსაწყო, თავის თანდაყოლილ ფორმას აბრწყინებს სწორედ იმის გამო, რომ ფუნქცია წართმეული აქვს. ისევ აჯობებს სანაგვეზე ვეძებოთ მშვენიერი ფორმები, რომლებიც არაფერში გვადგია. მაგალითად "რკინის ფანტასტიური არსება" (თ. ჯ.), რომელიც ოდესღაც მყუდრო ბინაში საკერავი მანქანა იყო, ახლა კი თავისი ელასტიური ელვარე ტანით იშთარის კარიბჭის არარსებულ სურრეალისტურ ცხოველს გვაგონებს?

ან თუნდაც ეს გადაგდებული წყვილი ჩექმა, რომელთაც ესოდენი პატივი მიაგო მხატვარმა - რისთვის? რა დაინახა ამ მიბრეცილ-მობრეცილ, მოჩორთილ ხელსაწყოში, სახმარად რომ აღარ ვარგა? მას მხატვარი ხელოვნების ქმნილებად აქცევს მხოლოდ იმიტომ, რომ მას ჩამორთმეული აქვს თავისი პრაგმატულ-უტილიტარული ფუნქცია.

არის კიდევ სხვა გზა ფორმის გასათავისუფლებლად ფუნქციისგან. ეს მუზეუმია.

შევხედოთ უნაგირს, რომელიც ადამიანის სხეულის გარკვეულ ნაწილს - საჯდომს იმეორებს, და ის ამ საექსპოზიციო პოდიუმზე შემოდგმული, მკაფიოდ გამოაჩენს ამ ფორმას, რადგან მას ჩამორთმეული აქვს ფუნქცია, რისთვისაც შეიქმნა. რატომ იკრძალება მისთვის, როგორც მუზეუმში დავანებული ყველა სხვა ნივთისთვის, ხელის მიკარება, არათუ ცოცხალი ცხენის ზურგზე შემოდგმა? ის ამბობს: "მე არა ვარ უნაგირი. ასეთი იყო უნაგირი".

იმ ადგილიდან, სადაც თავდება მხატვრის ზემოთმოყვანილი ტექსტი "ახლა იგი ავტონომიური აგებულების მქონე თავისუფალი ფორმაა", ვკიხულობთ: "ამ ველზე მყოფი მაწანწალა ადამიანიც ახლებური ადამიანია. იგი ყოფიერებაში არაფრად აღარ ითვლება. გაქრა. მასზე აღარავინ ფიქრობს. პატარა კანფეტსაც არავინ მისცემს. ის აღარ ახსოვს კაცობრიობას. ის დავიწყებულია. მაგრამ ის მკვდარი არ არის. ინდივიდუალური სახის ფორმა აქვს და თავისუფალია საზოგადოებაში მცხოვრები ადამიანის ყველა მოვალეობისგან და კანონისგან..."

ტრაგიკულია ასეთი ხედვა, თუმცა ამ ფუნქციაჩამორთმეულ და გავერანებულ, მაგრამ უსაზღვროდ თავისუფალ არსებაში ხელოვნების ქმნილება გამოსჭვივის. თუნდაც იმ უმოწყალო, დაუნდობელ სურათში პოეტმა ნიკო სამადაშვილმა რომ გამოძერწა:

მათხოვარი ზის, როგორც ობობა,

მყარ ჯოჯოხეთის მოხდილი პკეა,
არც ზღაპარია, აღარც მოთხრობა,
ის თითქოს ჩიტებს აუკენკიათ.

IV

ელინი

ცნობილია, რომ ბიზანტიის იმპერიაში აღმსარებლობამ - მართლმადიდებლობამ ეროვნება შეცვალა. დავიწყებული და შეძულებული იქნა ეთნონიმი ელინი, რომელიც წარმართის სინონიმი გახდა. ბიზანტიის მოქალაქე, რომელი ეროვნებისაც არ უნდა ყოფილიყო, ტრადიციულად იწოდებოდა როგორც ჰრომაიოს, იმპერატორი კი როგორც ბასილეუს ტონ ჰრომაიონ "მეფე რომაელთა", რითაც ის ზეეროვნული სახელმწიფოს სუვერენის პრეტენზიას აცხადებდა. რამდენადმე ეს ასეც იყო იმ ხანებში, როცა იმპერია მთელს ახლო აღმოსავლეთს მოიცავდა.

მაგრამ, როგორც კი იმპერიის ეკუმენურობას ბზარი გაუჩნდა - იმპერიამ დაკარგა აღმოსავლეთი და ოდენ ბერძნული ტერიტორიით შემოიზღუდა, სარწმუნოებრივი პატრიოტიზმის ნაცვლად ეროვნული პატრიოტიზმი იჩენს თავს. უნივერსალურ სიფართოვეს ნაციონალიზმის სივიწროვე ცვლის და ეს პროცესი ემთხვევა ბიზანტიურ რენესანსს, რომლის ერთ-ერთი შედეგი ელინობის რეაბილიტაციის მცდელობა იყო.

და არა შემთხვევითად, სრულიად კანონზომიერად, ბიზანტიის იმპერიის დეკადანსის ხანაში, დაცემის წინადღით, იმპერატორის მრჩეველი არგიროპულოსი ევედრებოდა კონსტანტინე დრაგასს, "ელინთა ბასილევსის" ტიტული მიეღო. მაგრამ ვერც მან და ვერც მისმა მემკვიდრემ კონსტანტინე XI-მ, უკანასკნელმა იმპერატორმა, ვერ დათმეს ზეეროვნული ტრადიციული ტიტული.

"ჩვენ, ვისი მბრძანებელი და ბასილევსიც თქვენა ხართ, ელინთა რასის ნაშიერნი ვართ, რასაც ჩვენი ენა და ჩვენი სამშობლოს ტრადიციები მოწმობს".

თუ რაიმე ეწინააღმდეგებოდა ბიზანტიის ქრისტიანული იმპერიის (ბასილეია ტონ ჰრომაიონ) პრინციპს და საზრისს, ეს სიტყვებია, რომლებიც, როგორც მისი დაცემის სიმპტომი, წარმოითქვა:

"ბერძნული ენის გავლენა ძლიერია და უფრო გაძლიერდება იმ დროს, როცა ელინი იმპერატორი და მისი მემკვიდრენი აღადგენენ ელინურ იმპერიას, სადაც ელინთა გართიანებული შვილები შექმნიან ნაციას".

ჩვეულებრივ მიღებულია, რომ ნაციის გაგება საფრანგეთის რევოლუციამ მოიტანა, მაგრამ, როგორც ჩანს, ბიზანტიის არშემდგარმა (უდღეური რომ არ ვუწოდოთ) რენესანსმა სამი საუკუნით ადრე წარმოშვა ეს იდეა, რომელმაც შემდგომ იმპერიის ნანგრევებზე შეისხა ხორცი.

მეფე, კერა და ეკლესია

როდესაც უნგრების მეფე გეჩამ გაიგო, რომ ბორითი ფრანკების მეფესთან არის შეხვეწილი, სთხოვა მას, რომ მათი მეგობრობის პატივსაცემად გადაეცა მისთვის გათოკილი ბორითი. გაიგო რა ეს ფრანკთა მეფემ, ასე თქვა: "იცოდე, მეფეო, რომ მეფის სახლი ეკლესიას ჰგავს, მისი ფეხი კი საკურთხეველს. როგორ შემიძლია გადმოგცე გათოკილი ის, ვინც მეფის სახლში შეაფარა თავი, როგორც ეკლესიას, და ისე ჩაუვარდა ფეხებში მეფეს, როგორც საკურთხეველს?"

ამაზე ელჩმა უპასუხა: "ჩვენმა სწავლულებმა აგვიხსნეს, რომ ეკლესია არ ღებულობს უკანონო შვილს".

***

როგორც არ უნდა ვკიცხოთ ისტორიის სამსჯავროზე მეფე გიორგი VIII, რომელმაც არ გადასცა თემურლენგს მისგან დევნილი მტერი, რამაც სათავე დაუდო ქვეყნის მრავალგზის აოხრებებს, მისი ეს საქციელი ნამდვილად მეფური იყო და მას სხვანაირად მოქცევა არ შეეძლო. უზენაეს სამსჯავროზე, შესაძლოა, მან პასუხი აგოს ამ ქვეყნისთვის, მაგრამ სამსჯავროზე მას მისი მეფური საქციელი გაამართლებს.

მაკიაველი მას არ გაამართლებდა.

***

ღუდუშაურების რისხვას გაქცეული მთრეხელი ჯერ ეკლესიას მიაშურებს თავშესაფარებლად და, რაკი დაკეტილი დაუხვდება, თავისივე მოკლულის დის სახლს შეეხვეწება, როგორც ეკლესიას (იხ. ბალადა "შიოლა და მთრეხელი"). ამ თავისი საქციელით მკვლელმა კერა სასოებით ეკლესიას გაუთანაბრა, რაშიც მოკლულის დამ უყოყმანო სოლიდარობა გამოუცხადა, თუმცა კი შეეძლო თავისი ძმის მკვლელი კერიის უკანონო შვილად შეერაცხა.

ნამდვილად ეს იყო მეფური საქციელი, რამაც გადაფარა ოჯახურ-კლანური ინტერესები.

თასი და მახვილი

დამარცხებულმა, დევნილმა სისარამ (ქანაანელმა სარდალმა) თავი შეაფარა ისრაელიანის კარავს. "გამოეგება იაყელი სისარას და უთხრა: მობრძანდი, ბატონო, შემობრძანდი ჩემთან. შიში ნურაფრის გექნება. და შეიყვანა კარავში და ხალქვეშ დამალა. უთხრა სისარამ: ცოტა წყალი მომიტანე და დამალევინე, რადგან მწყურია. გაუხსნა ქალმა რძით სავსე ტიკი, შეასვა და ისევ წააფარა ხალი. უთხრა სისარამ: კარვის კართან დადექი და, თუ ვინმემ ჩამოიაროს და გკითხოს, ვინმე ხომ არის მანდო, მიუგე, არა-თქო. იაყელმა, ხებერის ცოლმა, აიღო კარვის პალო, ხელში ურო დაიკავა, ფეხაკრეფით მიეპარა სისარას და ისე ჩაურჭო პალო საფეთქელში, რომ მიწას დააჭედა. მას კი, დაღლილ-დაქანცულს ჩასძინებოდა, და მოკვდა. აჰა, მოდის ბარაკი სისარას კვალზე. გაეგება იაყელი და უთხრა: შემობრძანდი, გაჩვენო ის კაცი, შენ რომ ეძებ. შევიდა და, აჰა, მკვდარი აგდია სისარა, პალო აქვს გარჭობილი საფეთქელში" (მსაჯულთა წ. 4:18).

ქალმა ამ ქმედებისთვის განითქვა სახელი: ძველ სიმღერათაგან ერთ-ერთი, რომელიც ბიბლიის ტექსტმა შემოინახა, ხებერ კენიელის ცოლის განდიდებაა:

"იკურთხოს დიაცთა შორის იაყელი, ხებერ კენიელის ცოლი! იკურთხოს
კარავში მცხოვრებ დიაცთა შორის! წყალი მოსთხოვა და რძე მიართვა, დიდებულთა ჭურჭლით რძის ნაღები მიართვა. მარცხენა ხელით პალოს დასწვდა, მარჯვენით უროს. მოუქნია სისარას, თავში დაჰკრა, გაუპო, საფეთქელი შეულეწა..." (მსაჯ. 5:24-26).

ერთ ხელში თასი, მეორეში მახვილი.

გზაში ჩარჩენილი მატარებელი

რას ვამსგავსოთ ეს წუთისოფელი? ვამსგავსოთ მატარებელს, რომელიც რაღაც მიზეზების გამო (სავარაუდოდ - საწვავის გამოლევის, ნაკლებად - უგზოობის, უფრო - მემანქანის მცონარების მიზეზით) გაჩერდა ტრიალ მინდორზე და მგზავრები იძულებულნი გახდნენ, გადმოსულიყვნენ ვაგონებიდან და აღემართათ დროებითი კარვები. ყველა საკუთარი ყოფის მოწყობას შეეცადა. ერთხანს იყო მატარებლის დაძვრის მოლოდინი და განცდა იმისა, რომ აქ, ამ ადგილას, დროებით იმყოფებიან და ისევ და ისევ მგზავრები არიან. მაგრამ თანდათან

მგზავრობის განცდა მივიწყებას ეძლევა და ის ჰორიზონტიც აღარ ჩანს, საითაც მატარებელი მიემართებოდა. ის თითო-ოროლა მგზავრი, რომელთაც ფეხით განაგრძეს გზა ჰორიზონტისკენ, მათ თვალს მიეფარა და მალე მათი არსებობაც კი დავიწყებას მიეცა ან ლეგენდებში გადავიდა. მათ ისიც დაავიწყდათ, თუ ოდესღაც სადმე მიდიოდნენ.

და, თუკი ოდესმე მთავარნგელოზის საყვირი ამცნობს მატარებლის გასვლას, ყველაფერი, რაც ამ დროებით სადგურზე შეიქმნა, რასაც ადამიანურ ენაზე კულტურა და ყოფა ეწოდა, ეს ყველაფერი, როგორც უსაზრისო და უფუნქციო ფორმები, ხომ სამარადისოდ იქნება დაყრილი წუთისოფლის სანაგვეზე, როგორც ‘‘აღუშფოთველი შიშველი ნივთები’’ (ჰაიდეგერი).

ვის მოუნდება, რომ ეს ყველაფერი, რაც კულტურას და ყოფას მოიცავს, შორეულ მგზავრობაში თან წაიღოს?

სეპტუაგინტა და აშურული ტექსტი

ლეგენდა გადმოგვცემს: ძვ. წ. IV ს-ის დასაწყისში მეფე ფილადელფოს II პტოლემემ დიდ ქალაქ ალექსანდრიაში იერუსალიმიდან მოწვეული სამოცდათორმეტი სწავლული რომელიღაც კუნძულზე ცალკ-ცალკე ოთახებში მოათავსა, რათა თითოეულს მათგანს ბერძნულად ეთარგმნა მოსეს ხუთწიგნეული. რაოდენიმე ხნის შემდეგ, როცა ოთახები გააღეს და ხელნაწერები აკრიფეს, ყველა თარგმანი ერთმანეთის იდენტური აღმოჩნდა.

ასე წარმოიშვა სეპტუაგინტა (ლათ. სამოცდათი) - ელინისტური ხანის ნიშანსვეტი. ყოველ დიად ქმნილებას მითოსი ახლავს და, თუმცა მითოსი ქმნილების შემდეგ იქმნება, მის დასაბამში ექცევა ხოლმე. სეპტუაგინტას მითოსი იმასვე ლაპარაკობს, რაც ავრელიუს ავგუსტინემ თქვა ამ თარგმანის შესახებ: “იგივე სული, რომელიც წინასწარმეტყველებში იყო დავანებული, როცა ისინი წანასწარმეტყველებდნენ, იმ სამოცდაათორმეტ კაცშიც მოქმედებდა, რომლებიც თარგმნიდნენ მას”.

მითოსმა და ავგუსტინეს სიტყვებმა, სხვადასხვაგვარად და სხვადასხვა ფენებში, ისეთი ავტორიტეტი შეუქმნეს სეპტუაგინტას, რომელიც დღემდე არ გაქარწყლებულა.

1857 წელს ლონდონში სამ სწავლულს - ინგლისელ ჰენრი როულინსონს, ირლანდიელ ედვარდ ჰინქსს და გერმანელ-ფრანგ იულიუს ოპერტს ბრიტანეთის საზიო საზოგადოებამ წინადადება მისცა, თითოეულ მათგანს დამოუკიდებლად ეთარგმნა ახლადაღმოჩენილი აშურული ლურსმული წარწერა, ჩაედო დაბეჭდილ კონვერტში და საზოგადოებისთვის წარედგინა თარგმანის სისწორის შესამოწმებლად. როცა კონვერტები გახსნეს, თარგმანები ერთმანეთს დაემთხვა.

ეს კი მოხდა *მითოსს მოკლებულ დროში* და მან ჩაიარა, როგორც ჩვეულებრივმა ხდომილებამ.

ენის საკუთარი ლაპარაკი

მარტინ ჰაიდეგერის ესე “ენა” ასე იწყება: “ადამიანი ლაპარაკობს...” და მერე:
“ენა ლაპარაკობს...”

ერთსა და იმავეს ერთხმად ლაპარაკობენ ადამიანი და ენა? იქნებ ადამიანს ერთის თქმა სურს, ენა კი სხვას ლაპარაკობს? ასეთ შემთხვევაში გამოთქმის ფორმა აპოლოგეტივია. ადამიანი ამბობს: წამომცდა. არსებობს წამოცდენები, რომლიც ამხელს ადამიანის დაფარულს. ენას შეუძლია ამხილოს ადამიანი, ათქმევინოს, რის თქმასაც ის არ აპირებს. ხავსმოდებულია წამოცდენათა და ქვეტექსტების თემა, რასაც არათუ მხატვრული ტექსტი, ყოფითი მეტყველებაც ვერ ასცდება.

რილკე წერს: “რამდენჯერ ვცადე ერთი და იმავე თემის დამუშავება ფრანგულად და გერმანულად და, ჩემდა გასაოცრად, თითოეულ ენაზე თემა განსხვავებულად განვითარდა...”

ჩანს, თემა, რამდენადაც ის ავტორის ჩაურევლად "განვითარდა", განავითარა ენამ, რომელიც თავისას ლაპარაკობს, ერთს - გერმანულად, მეორეს - ფრანგულად.

ენა ზოგჯერ, როცა თავისუფლდება ავტორის ტყვეობისგან, ლაპარაკობს იმას, რაც მას სურს და არა ავტორს. რა ხდება მაშინ, როცა, როგორც ამბობენ, ჰომეროსი თვლემს?

ორტეგა-ი-გასეტი ლაპარაკობს ენის მოთმინებაზე და რომ ენა თარგმანში თითქოს ისვენებს თავისი თავისგან, მას თითქოს სიამოვნებას ანიჭებს სხვადყოფნა, რომელსაც თვითყოფნიდან აკვირდება. მაგრამ, დავძენ, რომ ეს გარემოება უნივერსალურია და თარგმნის მომენტი მისი კერძო შემთხვევაა.

ნანგრევი

დგას გზაზე კულტურასა და ბუნებას შორის. სანამ მიწის ზემოთ იხილვება მისი მატერია, ის შუაგზაზეა; ბუნება თანდათან იხუტებს მას გულში; ყველა ელემენტს, რომელიც ნაგებობამ აიღო მიწისგან, მიწასვე უბრუნებს. მაგრამ სად მიდის ის ენერგია, რომელიც ადამიანმა ჩადო მასში? დასტოვა ნანგრევები და არ განისვენებს მასთან ერთად? გაუუცხოვდა თავის ქმნილებას და უცხო ფრინველივით თავს დასტრიალებს? ელოდება ჟამს, როცა აუგებს წესს და საბოლოოდ მიაბარებს მიწას?

მაგრამ მანამდე ნანგრევი თავის წარმავალ გზაზე, სოფლის გარეთ გარიყული, როგორც ყოველი "არც აქეთ, არც იქით" მყოფი იწვევს შიშსა და მოწიწებას, როგორც დაუმარხავი მკვდარი, სიწმიდისა და ეშმაკეულის გაორებულ განცდას. ის იზიდავს, მაგრამ გაურბიან. რაღაც საგანძურის გამოცხადებას მოელიან მისგან. ის გაქვავებული ლეგენდაა, მითოსი თუ ამბავი, რომელიც მას, შესაძლოა, არც კი გადახდომია თავს. ეს ნანგრევი, ეს "არც აქეთ, არც იქით" უკვე თავისთავადობას იძენს, არც კი ახსოვს თავისი წარსული, თითქოს დასაბამიდან ნანგრევად აშენდა.

უკანასკნელად ჰაგია სოფიაში

კონსტანტინოპოლის დაცემის წინადღით მართლმადიდებელთა და კათოლიკეთა პროცესიამ მოიარა მთელი ქალაქი. გალობდნენ ჰიმნებს და გუნდ-გუნდად კირიელეისონს იმეორებდნენ. თავად იმპერატორიც გამოვიდა სასახლიდან და შეერთდა პროცესიას. მსვლელობის დასრულების შემდეგ იმპერატორმა სასახლეში მიიწვია წარჩინებულნი და მხედართმთავრები - ბერძნები და იტალიელები და მათ წინაშე წარმოთქვა უკანასკნელი სიტყვა. შეახსენა მათ, რომ მზად ყოფილიყვნენ სარწმუნოების, სამშობლოს, ოჯახისა და იმპერატორის დასაცავად... გაუხსენა, რომ ისინი ძველი ელადისა და რომის გმირთა შთამომავლები არიან. თავადაც გამოაცხადა, რომ მზად იყო მომკვდარიყო თავისი სარწმუნოების, ქალაქისა და ხალხისათვის. მერე სათითაოდ ჩამოუარა იქ შეკრებილთ და თითოეულს შენდობა გამოსთხოვა, თუკი ოდესმე მათთვის შეუცოდავს. ამასობაში მთელი ხალხი, გარდა ჯარისკაცებისა, რომლებიც ქალაქის კედლებს იცავდნენ, მიაწყდა ჰაგია სოფიას. ყველანი, განურჩევლად რწმენისა, ერთად იყვნენ და ქალაქის გადარჩენისთვის ლოცულობდნენ. მღვდლები, რომლებიც ცოტა ხნის წინ სასიკვდილო ცოდვად მიიჩნევდნენ უნიას რომთან, საკურთხევლის წინ ლოცვებს აღავლენდნენ თავიანთ მოძმე უნიონისტებთან ერთად. კარდინალი ეპისკოპოსის გვერდით იდგა. ქრისტიანი ერი მოვიდა ჰაგია სოფიაში, რათა ამ ტაძარში უკანასკნელად ჩაებარებინა აღსარება და მიეღო ზიარება, არ კითხულობდა, თუ ვის ეტყოდა თავის საიდუმლოს და ვისი ხელით მიიღებდა წმიდა ნაწილს, მართლმადიდებელი თუ კათოლიკე მღვდლისა.

კონსტანტინოპოლში ამ უკანასკნელ დღეს აღმოსავლური და დასავლური ეკლესიები ერთმანეთს დაუბრუნდნენ. დიდი სქიზმის უაზრობა აშკარად გამოჩნდა ამ უკანასკნელ დღეს.

ასე, ესქატოლოგიური ჟამი ყველა ცდომილებას ასწორებს.

იბსენის სამშობლო

იბსენს, ამ სკანდინავიელ ალუდას, სამშობლოდან დევნილ-გაქცეულს, რომელმაც თქვა: "მძიმეა, გქონდეს ისეთი სამშობლო, როგორიც ნორვეგიაა", ეგულებოდა საიმედო გერმანიკული ერთობა, რომლისთვისაც სკანდინავიური ერთობის გადალახვის შემდეგ შეეძლო შეეფარებინა თავი.

"იმხანად ["კეისრისა და გალილეველის" წერის დროს, ზ.კ.] ჩემი მსოფლმხედველობა ჯერ კიდევ ეროვნულ-სკანდინავიური იყო, ამიტომაც მე ვერ დავძლიე უცხო მასალა... ჩემი შეხედულებები მსოფლიო ისტორიაზე და საკაცობრიო ცხოვრებაზე ვიწრონაციონალური იყო. შემდეგ ისინი გაფართოვდა საერთოგერმანულ მსოფლმხედველობამდე და მე უკვე შემეძლო "კეისრისა და გალილეველის" დაწერა".

და მაინც მისი დრამების თემა, გარდა უნივერსალური "კეისრისა და გალილეველისა", რომელიც *გერმანიკულ ერთიანობასაც გასცდა, მხოლოდ და მხოლოდ საკუთრივ ნორვეგიული,* არა ზოგადსკანდინავიური, იყო.

იბსენმა მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრება ნორვეგიის გარეთ გაატარა, მაგრამ, სადაც არ უნდა მოვხედრილიყო, ნორვეგიას იგი თავის თავში ატარებდა.

სად არის სამოთხე?

ოჰელელ რაბის დაესიზმრა, თითქოს სამოთხეში მოხვდა და თანაების ოთახში მიიყვანეს. დაინახა ერთი თანაი, რომელიც თალმუდს ჩაღრმავებოდა.

- სულ ეს არის სამოთხე? - აღმოხდა რაბის.

პასუხად მოესმა ხმა: მოსე, მოსე, შენ გგონია თანაები არიან სამოთხეში? ცდები. თანაებშია სამოთხე (ხასიდური სწავლანი, გვ. 12).

"საუქმეოდ გასვლა"

ხევსურეთის თემებში წელიწადში ოთხი ორშაბათი - დიდმარხვისა და ათენგენობის პირველი და მეორე ორშაბათები საუქმო დღეებად არის დაწესებული. ამ დღეს ყველა საქმის კეთება იკრძალება, ყველა გაურბის შრომას. მაგრამ ვისაც გადაუდებელი საქმე აქვს გასაკეთებელი, გადის სოფლიდან და იქ, წყალს გაღმა, სხვა სოფლის მიწა-წყალზე საქმიანობს.

დედაკაცი, რომელიც ამ დღეს თავისი სოფლიდან გადის საქმის საკეთებლად, თითქოს ემალება უქმობის ჟამს. ჩანს, მისთვის უქმობის ამ დროჟამს მხოლოდ მისი სოფლის სივრცეში აქვს ძალა, მის გარეთ კი ვერ წვდება, უქმდება. რა ხდება? ნუთუ სოფლის გარეთ გასულ მქსოველ დიაცს მართლა ჰგონია, რომ დაემალება უქმე დროს? და ის უქმე ვერ მოძებნის მას პლანეტაზე, თუნდაც სოფლის დასალიერზე, არათუ მხოლოდ სოფლის გარეთ?

სხვა *სივრცეში* სხვა *დროჟამია*?

რაბი ჰილელი და რაბი შამაი

მივიდა რაბი ჰილელთან ყმაწვილი ვინმე, ცალ ფეხზე დადგა და უთხრა: სანამ ასე ვდგავარ, მასწავლე თორა (რჯული). რაბი ჰილელმა არშინი (რაბი თერძი იყო) შემოჰკრა: დამეკარგე აქედან! როგორ? შენ გინდა, რომ რჯული, რომელიც სამასხუთი ათას ექვსას ოთხმოცდაერთ ასონიშანს შეიცავს, ერთ წამში გასწავლო!?

ყმაწვილი მივიდა რაბი შამაისთან, ცალ ფეხზე დადგა და უთხრა: რაბი, სანამ ცალ ფეხზე ვდგავარ, მასწავლე თორა.

რაბი შამაიმ უთხრა: ნუ გაუკეთებ სხვა იმას, რაც არ გინდა, რომ შენ გაგიკეთონ. ეს არის თორის არსი. დანარჩენი ყველაფერი კომენტარებია. წადი და ისწავლე.

ასეა: პირველი ინტუიცია უჟამობაში ეცხადება კაცს, მაგრამ მისი სხვებისთვის განმარტება დროში იწელება. ყველაფერი, რაც დროში შეიქმნა მხოლოდ იმ პირველი ინტუიციის არგუმენტი და კომენტარია, მთავართან მისასვლელი ხარაჩოებია.

V

ლევ პეტრაჟიცკი (1867-1931)

სამართლის ფილოსოფოსი ლევ პეტრაჟიცკი ერთხელ ლექციაზე სტუდენტებს გამოუტყდა: ყოფილა შემთხვევა, რომ მათხოვრის წინ გავჩერებულვარ, ჯიბეში ხელი ჩამიყვია ფულის ამოსაღებად, მაგრამ ჯიბეში ფული არ აღმომჩენია. იმწამსვე გამჩენია გრძნობა, რომ ვალში ვარ მისი გამოწვდილი ხელის, მისი მომლოდინე თვალების წინაშე. როგორ მოიქცევით ამ დროს? მზად ხართ თუ არა, რომ ძვირად ღირებული საათი მოიხსნათ და ვალი გაისტუმროთ?

პეტრაჟიცკი ამ გრძნობაში ხედავდა "ინტუიტივურ სამართალს" («Интуитивное право»), რომელსაც კოდიფიცირებულ სამართალზე უფრო ხარისხიანად მიიჩნევდა.

ვარშავაში, სადაც ის 1921 წელს მოაზროვნე ელიტის რუსეთიდან მასობრივი გასახლების შემდეგ მოხვდა, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა, როცა თავის უბედურ სამშობლოში სამართლის გაცამტვერებას მოესწრო, იმ დარგისა, რომელსაც მთელი ცხოვრება შესწირა.

ეს სამყარო სამართალზე დგას, არათუ სახელმწიფო და ადამიანთა საზოგადოება.

სიცოცხლე თუ ცხოვრება?

ფიხტე წერდა: "მე მოწოდებული ვარ ჭეშმარიტების დასამოწმებლად; ჩემი ბედი, ჩემი სიცოცხლე არაფერია; ჩემი სიცოცხლის საქმე უსასრულოდ მნიშვნელოვანია. მე ვარ ჭეშმარიტების ქურუმი, მე მისი ქირისკაცი ვარ, მე ვალდებული ვარ, ყველაფერი გავაკეთო მისთვის, ყველაფერი გავბედო, ყველაფერი ავიტანო".

უხერხულობას ქმნის, რომ არ ვიცით, როგორ უნდა გადმოიცეს ქართულად ერთადერთი სიტყვა Leben - "სიცოცხლე" თუ "ცხოვრება"? თანამედროვე ქართული ენა განარჩევს ამ ორ, თუმცა ერთი ძირიდან (ცხ-) წარმოშობილ, სიტყვას. რომელი მათგანი გვიმხელს ადამიანის არსებობის საზრისს?

ქართულმა ენამ, მსგავსად ბერძნულისა, განარჩია ერთმანეთისგან სიცოცხლე და ცხოვრება; სიტყვით "სიცოცხლე" (ბერძნ. *ζωή*) ბიოლოგიური მოვლენა აღნიშნა, რომელიც ადამიანს მისი ნებისგან დამოუკიდებლად მიეცა, ხოლო სიტყვით "ცხოვრება" (ბერძნ. *βίος*) მისი ნებისყოფით შექმნილი ხანიერება გამოხატა.

სიცოცხლით ადამიანი ჩართულია ცოცხალ სამყაროში, სამყაროს მრავალფეროვან სიცოცხლეში, სიცოცხლის ერთიან უწყვეტობაში, როგორც ინდივიდუალური სიცოცხლით მიმადლებული ბიოლოგიური არსება. სიცოცხლე აქტივობს მასში, თავად კი ვერ აქტივობს სიცოცხლეზე.

სიცოცხლე, ეს ძვირფასი სუბსტანცია, რომელიც ადამიანს ეძლევა, როგორც უსასყიდლო ჯილდო, არ არის საკმარისი მის ადამიანად ყოფნისთვის. სიცოცხლე, ცხოველური სამყაროსგან განსხვავებით, არ არის ადამიანის თვითმიზანი. ადამიანი იმდენად არის ადამიანი, რამდენადაც ის იყენებს სიცოცხლეს საშუალებად უფრო მაღალი საფეხურისთვის, რაც ცხოვრებაში, როგორც არსებობის საზრისში, იგულისხმება. ადამიანს სიცოცხლე გამზადებული მიეცა, ცხოვრებას კი თავად განამზადებს.

“დიდება ღმერთს ყველაფრისთვის”

სნეულებისა და შორი გზისგან დაღლილ-გაწამებულმა მღვდელმთავარმა კომანაში ჰპოვა უკანასკნელი სადგური. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: “დიდება ღმერთს ყველაფრისთვის”.

ამ სიტყვებით პატრიარქმა დაამოწმა მაცხოვრის ანდერძი, როგორც ჭეშმარიტება, რომელიც მან საკუთარი სიცოცხლის წილ შეიცნო: “უკუეთუ სოფელი გძულობს თქუენ, უწყოდეთ, რამეთუ პირველად მე მომიძულა. უკუეთუმცა სოფლისაგანნი იყვენით, სოფელიმცა თვისთა ჰყვარობდა. რამეთუ არა სოფლისაგანნი ხართ თქუენ, არამედ გამოგარჩიეთ თქუენ სოფლისაგან, ამისთვის სძულთ თქუენ სოფელსა” (იოან. 15:18-19).

***

კოსნიცელი რაბი ასე შესთხოვდა ღმერთს:

“სამყაროს უფალო, გევედრები, შენ შეგიძლია ისრაელის ხსნა. ხოლო თუ არ გსურს იხსნა ისრაელი, მაშინ სხვა ხალხები იხსენი”.
(ხასიდური სწავლანი, გვ. 27)

ისტორიის დასასრული

ისტორია არის დროჟამული ხანი, პროცესი, სიცალიერესა და სისავსეს შორის, გზა სიმწირესა და სიმწიფეს შორის. კარლ იასპერსი ლაპარაკობს ისტორიის ზღვრულ პერიოდზე, რომელიც ისტორიის დასასრულს მოასწავებს. “ადამიანთა ერთობა ისტორიის ზღვარიაო, ამბობს ის, ეს იმას ნიშნავს, რომ მიღწეული ერთობა ისტორიას დაასრულებს”.

ისტორია გრძელდება, რადგან ყოველი მიღწეული არასრულყოფილია.

ისტორიის პროცესი სიზიფოსის შრომაა.

ისტორია დასრულდება, როცა სიზიფოსი შეძლებს ლოდის არა მხოლოდ ატანას მწვერვალზე, არამედ მწერვალზე მის შენარჩუნებას.

გარედან თუ შიგნიდან

აღზრდის ორი მიზანი და, შესაბამისად, ორი მეთოდი არსებობს. ერთს მიზნად აქვს აღზარდოს ბავშვი ისეთად, როგორიც მას, მის აღმზრდელს, სურს, გამოვიდეს.
მეორეს მიზნად აქვს, აღზარდოს ბავშვი არა ისეთად, როგორც აღმზრდელს სურს, არამედ თავად აღსაზრდელის “გვარისდა მიხედვით”, როგორც აღსაზრდელის ბუნება კარნახობს. ისევე გამოავლინოს მასში დაფარული, როგორც მოქანდაკე ლოდიდან მასში დაფარულ სახეს გამოავლენს. რომ შეეძლოს თქმა: “ეს მე ვარ”.

კვლავ ვიხსენებთ ლოდის წინ კამარაშეკრულ ჭაბუკს, რომელიც ამბობს: მე ვიცი, აქედან რას გავაკეთებ!

მაგრამ ისმის კითხვა: ამ ორიდან რომელ მეთოდს მიჰყვება მოქანდაკე?

***

ტრადიციულ კულტურქმნადობის ეპოქაში კულტურა იმეორებს ბუნების კონფიგურაციას, არ არღვევს, არ შლის, არ ანგრევს მას. სახლი ბუნებრივად არის ჩაწერილი ლანდშაფტში, ბილიკი იკლაკნება, გზა იკეცება მთაზე, არ ძალადობს მასზე; მდინარე თავისით მიედინება, თავისით ეძებს და პოულობს გზას. მასზე გადებული ხიდი მისი ბუნებრივი განსრულებაა... თასი ბაძავს პეშვს, ახალ საფეხურზე აჰყავს იგი. საცხოვრებელი სახლი მისადაგებულია რელიეფს, მისი შემადგენელი ნაწილია, ბუნება ნებაყოფლობით უთმობს მას

ადგილს თავის წიაღში; თავად კარნახობს ადგილს; ის არ არის აღმართული ამპარტავნულად მიდამოზე, არ მაღლობს არემარეზე. ჯვარი არ ბატონობს ბორცვზე, სადაც დაეშენა, ის ბორცვის გვირგვინია, მისი ბუნებრივი ფორმის დასრულებაა, ადამიანის ქმნილებამ მიანიჭა მას საზრისი, გამოაჩინა მისი დაფარული.

ოთხი აშრამა

ყოველი ჰინდუ, თუ ის ბრაჰმანის ვარნას (კასტას) ეკუთვნის, ცხოვრების მანძილზე ოთხ პერიოდს გაივლის. ის ჯერ სწავლობს, მასწავლებლის სახლში ცხოვრობს, ფერხთით უზის, უსმენს და ემსახურება.

ამ დროს ის არის ბრაჰმაჩარია - ბრამინის მოწაფე.

როცა ბრაჰმაჩარია იგრძნობს, რომ დასრულდა მისი განსწავლის წლები, ბრაჰმაჩარია ოჯახს მოეკიდება და მეურნე ხდება. ამ დროს ის არის გრიჰასთა.

როცა მის მიერ შექმნილ სახლში მისი შვილის შვილი გამოჩნდება, გრიჰასთა მიხვდება, რომ მისი ვალი ამ სახლში ამოწურულია, და ის მიდის ტყეში და იწყება მისი განდეგილობის ხანა. ამ დროს ის არის ვანაპრასთჰა.

და, საბოლოოდ, როცა შორეული ზარების რეკვა შემოესმება, ვანაპრასთჰა იღებს ხელში არგანს და ყარიბად გადის წუთისოფელში. ამ დროს ის არის სანიასინი.

ჰინდუმ ამ დროს ადამიანური არსებობის მწვერვალს მიაღწია. ის გათავისუფლდა ყოველგვარი პირობითობისგან და, თუნდაც ეფემერულისგან, რაც მრავალსაუკუნოვან კულტურას ადამიანისთვის დაუწესებია.

მას, განსწავლულს და ოდესღაც წარმატებულ მეურნეს, არ ერცხვინება რომ მათხოვრობს, პირიქით, ამით ის უსაზღვრო თავისუფლებას ადასტურებს.

ადამიანის უფლებები

ჰენრიკ იბსენი წერს: "ჩემთვის თავისუფლება ცხოვრების უზენაესი და უპირველესი პირობაა. ნორვეგიაში კი მაინცდამაინც არ დაგიდევენ თვისუფლებას, უფრო თავისუფლებებზე ზრუნავენ - დიდსა თუ მცირეზე, ისიც პარტიული კუთხით. ჩემთვის ასევე უსიამოვნოა არაკომპეტენტურობა და ვულგარულობა საჯარო დისკუსიების წარმართვაში. საზოგადოების გადემოკრატიულების არსებითად დადებითმა პროცესმა პლებეიზაციის გზაზე დააყენა საზოგადოება. მეჩვენება, რომ ნორვეგიაში გონებისა და გულის კეთილშობილება სრულიად ატროფირებულია".

ჩვენი დროის ადამიანთა გამრავლებული დიდი თუ მცირე უფლებები. და ამ წვრილმან უფლებათა სიმრავლეში იკარგება უფლებათა ფუნქციად ქცეული ადამიანი. მთლიანი ადამიანი დაქუცმაცდა, დაკნინდა თავის უფლებებში, რომელთაგან, როგორც გაირკვა, ომბუდსმენის გარეშე, ვერც ერთს ვერ განაგებს. ადამიანს სულმუდამ პლებეური განაწყენების პოზიციაში ვხედავთ.

მოღალატე წინასწარმეტყველი

როცა გარეთ თავსხმა და სეტყვაა, და ქარიშხალია, სტიქია ბობოქრობს, ადამიანი გამოქვაბულს აფარებს თავს და უცდის გადაკარებას, რადგან ნამდვილად იცის, რომ ეს ბობოქრობა მარადიულად არ გაგრძელდება და მას დასასრული ექნება. "სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს" - აცალე სტიქიას, გადაიაროს, დაემორჩილე მის რიტმს. ამას გეუბნება საღი აზრი და, შესაძლოა, ისტორიაც.

"დაემორჩილეთ ბაბილონის მეფეს და ცოცხლები დარჩებით. რისთვის უნდა აოხრდეს ეს ქალაქი" (იერ. 27:17). ქადაგებდა იერემია მოახლოებული კატასტროფის წინ.

წინასწარმეტყველი გრძნობდა ისტორიის რიტმს და ნათლად ხედავდა, რომ ბაბილონს ღვთისგან მიცემული ჰქონდა სამოცდაათი წელი საბატონოდ და ძალა არ იყო ცისქვეშეთში, რომელიც წინ აღუდგებოდა მას. შენც დამორჩილდი, ერთო ბეწვავ, მატლო იაკობ. გაივლის სამოცდაათი წელიწადი და ბაბილონის ძალა, როგორც ზღვის ტალღა, მიიქცევა. ამიტომაც ქვეყანა ქედმოდრეკილი უნდა აჰყვეს ტალღას, რომ არ დაილეწოს.

"დაემორჩილეთ... რისთვის უნდა აოხრდეს ეს ქალაქი?"

უფრო გვიან, სხვ ხალხში, სხვა კულტურაში შესანიშნავი ფორმულა გამოჭედა გენიალურმა სენეკამ: Nolentem trahunt fata, volentem ducunt "ურჩებს მიათრევს ბედი, მორჩილთ წინ უძღვება".

მორჩილების ქადაგებისთვის წინასწარმეტყველი მოღალატედ შერაცხეს და სასიკვდილოდ დევნიდნენ. ჩანს, ერი არ იყო თანახმა, რომ მორჩილების ფასად გადარჩენილიყო. ჩანს, ამ ფასად არსებობა არ უღირდა.

იერემიას კი, რომელსაც უფლის სიტყვა ჰქონდა მოსმენილი, არ ადარდებდა ხალხის აზრი მასზე და, როცა სიტყვა არავის ესმოდა, ქედზე უღელდადგმულმა, როგორც მორჩილების ცოცხალმა ნიშანმა, დაიწყო სიარული.

იერემია უფრო მეტს ხედავდა მომავლის ბინდში, ვიდრე მტრისადმი სიძულვილით შეპყრობილი პატრიოტები, რომელთაც მძულვარებისგან თვალები დაბრმავებოდათ. იერემია კი ლაპარაკობდა ღვთის სიტყვას, რაც უთუოდ უნდა ამხდარიყო.

ლევ გუმილიოვი:

«Не всякий этнос согласен на подчинении врагу, лишь бы жить».

"ყველა ეთნოსი როდია თანახმა, მტრისადმი მორჩილების ფასად გადაირჩინოს თავი".

Quo vadis, domine

პეტრე გარბის რომიდან, მდევნელებს გაურბის, უკვე გაცილებულია რომს, თითქოს სამშვიდობოს არის გასული, რომ ხედავს რომისკენ მომავალ ქრისტეს, მხარზე ჯვარგადადებულს. პეტრე იმავე კითხვით მიმართავს მას, როგორც ოდესღაც პირველი შეხვედრისას: "სად მიხვალ, უფალო?" (Quo vadis, domine). ქრისტე მიუგებს: "რომში, რათა ხელმეორედ ვეცვა ჯვარს".

პეტრე სიტყვის უთქმელად დაბრუნდა რომში და მდევნელებს ჩაბარდა.

ასე მიეცა საშუალება, რომ სრულად და საბოლოოდ გამოესყიდა უნებლიე ღალატი, რომელიც აქამდე ცხოვლად ახსოვდა და ვერა და ვერ ეპატიებინა თავისი თავისთვის. თუმცა ამ შეხვედრას მხოლოდ ეს საზრისი არ ჰქონია.

მაქსიმალისტური იყო ეს გამოწვევა, მაგრამ პეტრე იმსახურებდა მას და ეს იცოდა იესომ. დღეს კი, ჩვენ დღეებში? შესაძლოა, ამის მინიმუმსაც ვერ იმსახურებდეს ადამიანი.

რომში აპიის გზაზე, სადაც ეს შეხვედრა მოხდა, აგებულია ეკლესია, სახელად Quo vadis, domine, რომლის იატაკზე პეტრეს ფეხის ტერფების ანაბეჭდებია.

VI

წიგნი

ერთხანს ვფიქრობდი თავისუფალ ბუკინისტზე, რას ყიდულობს იმაზე უკეთესს, რასაც ყიდის-მეთქი? ეს ჰგავდა ხაიამის ერთი რობაის თემას. მაგრამ - სად ღვინო, სად წიგნი? ღვინის

გამყიდველს არავინ უშლის სვამდეს ღვინოს და ყიდდეს კიდეც. არც ბუკინისტს უშლის თითქოს თავისი პროფესია წიგნის კითხვას. მაგრამ განა მხოლოდ სმაა მთავარი, ან კითხვაა არსებითი? ცდება, ვინც ფიქრობს, რომ წიგნი მხოლოდ წასაკითხად ან თუნდაც ერთხელ წასაკითხად არსებობდეს. მისთვის, ვინც წიგნს მომხმარებლური ან, უკეთეს შემთხვევაში, პრაგმატული თვალით უყურებს, თუნდაც როგორც ცოდნის მიღების საშუალებას, დაფარულია მისი არსების ეპოქალური სიმბოლიზმი. ამასაც რომ მიხვდეს, დღეს ვინ არ იცის, რომ ჩვენ ჯერ კიდევ წიგნურ ცივილიზაციაში ვიმყოფებით და კომპუტერული ტექნიკა მხოლოდ დამხმარე როლს ასრულებს, ეს არ იქნება საკმარისი. მომხმარებლურ-პრაგმატული მიდგომა წიგნისადმი პირწმინდად გამორიცხავს მასთან ურთიერთობაში ეკსისტენციალურ მომენტს. ერთი სწავლულის აზრით, წიგნი ის მოვლენაა, სადაც მკვდარია მისი ავტორი. და თუ წინ წავალთ, დავასკვნით, რომ მკვდარი ავტორის შემთხვევაში წიგნი ცოცხალია, უფრო ცოცხალი, ვიდრე ზოგიერთი ცოცხალი ავტორი. და მას სხვაგვარად ვერ მივმართავთ, თუ არა ისე, როგორც მხოლოდ პიროვნებას - შენობით. ის დამოუკიდებელი არსებაა, ის თავისთავადი ქმნილებაა თავისი სულით, სამშვინველით, სხეულით. მრავალტირაჟიანი გამოცემის ერთი ეგზემპლარი, რომელმაც შენამდე მოაღწია, შენს ხელში იძენს უნიკალობის წარუშლელ ნიშანს და შენ შეგიძლია გამოარჩიო ის თავის ტყუპისცალთა მრავალათასში.

ძველი ებრაელები ამბობდნენ, რომ წიგნი ადამიანს ჰგავს: როცა ადამიანი კვდება მისი სული უფალს უბრუნდება, და ჩვენ ვმარხავთ სხეულს, რათა წაბილწვას ავარიდოთ. მსგავსადვე, როცა გრაგნილი ჟამთა ვითარებით იცვითება და გამოუყენებელი ხდება, ჩვენ გადავმალავთ მას, რომ არ შეურაცხყონ. შინაარსი ცაში მიდის, როგორც ადამიანის სული, სხეული კი მიწაზე რჩება. კიდევ გამიგია. ხმარებიდან გამოსულ გრაგნილებს ერთად მოუყრიან თავს, კიდობანში ჩააწყობენ, კიდობანს ზურგზე გაიდებს ორი კაცი და სასაფლაოსკენ გასწევენ. მათ უკან პოცესია მისდევს ფსალმუნების გალობით. კიდობანს მიწას მიაბარებენ და, უკანმობრუნებულნი, ქელეხის სუფრას მიუსხდებიან. გალობენ, როგორ უბრუნდება სული უფალს.

საერთო კუჭი

ერთ ტანგუტურ წიგნში წერებულა:

“ოჯახის ყველა ძმა და და ერთმანეთის ახლობელი ადამიანები არიან. მათ ერთი კუჭი აქვთ და ერთი სუნთქვა აქვთ. მათ ერთი და იგივე რამ ამწუხარებთ და ერთი და იგივე რამ ახარებთ. ისინი იმით განსხვავდებიან სხვა ადამიანებისაგან, რომ ბავშვობიდანვე ერთსა და იმავე საჭმელს ჭამენ და ერთნაირად იმოსებიან. მათ არ ძალუცთ ერთმანეთი არ უყვარდეთ”.

ძლიერად, ნატურალისტურად (ამით არის ძლიერი) ნათქვამი “მათ ერთი კუჭი აქვთ”. “საერთო კუჭიდან” გამომდინარე შედეგები, პასუხისმგებლობა, როგორც თანდაყოლილი, ისე გაცნობიერებული.

ასე და ამგვარად, სტუმარს და მასპინძელს ან თანამეინახეთ, რამდენადაც ისინი ერთსა და იმავე საზრდელს არიან ზიარებულნი, “ერთი კუჭი” აქვთ და სიახლოვე და სიყვარული, საერთო სუნთქვა, საერთო სიხარული და საერთო მწუხარება შენარჩუნებულია, სანამ მათ გულებში იმ ტრაპეზის ხსოვნა ინახება, რაც უნდა ხანმოკლე იყოს ეს ტრაპეზი, ერთი შეხედვით, ეფემერული.

ქართული თქმა “ერთად პური გვიჭამია” სიახლოვის ამ სტატუსს გამოხატავს, რომელიც სრულიად გარკვეულ პასუხისმგებლობას აკისრებს თითოეულს ერთმანეთის მიმართ.

შატილიონი იმედა და ქისტი უავარგა გაფიცულან, ერთურთის მომკლავი მოვკლათო (ანუ ერთმანეთის სისხლი ავიღოთო). იმედას მოსაკლავად გუროელები ემუქრებოდნენ. უავარგა საგანგებოდ ჩასულა გუროს, ვინიცობაა, ძმობილი მომიკლან, ადგილი მაინც მეცოდინოსო.

დაღამებამდე ზვერავდა გარემოს. გუროელებმა პურის საჭმელად რომ მიიპატიჟეს, სახლში არ შეყვა და შატილისკენ გასწია.

მერე როცა ჰკითხეს უავარგას, მშიერი რატომ წამოხვედი გუროდანო, უპასუხნია: "იმათ პურ რო მეჭამავ, მემრავ იქნება ძმობილს მიკლავდესავ, მემრ ხო მიაც უნდა მავკლნავ, პურ-მარილის ცოდო-მადლს რაღა უყვავ?" (ალექსი ჭინჭარაულის ნაამბობი).

კუჭი კუჭია, სხეულის ნივთიერი ნაწილი, მაგრამ პურ-მარილის მადლი მისი დახვეწის (სუბლიმაციის) შედეგია.

სიშიშვლე

«Лесов таинственная сень печальным шумом обнажалась»

ვინ იფიქრებდა, რომ ნოეზე, რომელზეც წარღვნის წინ ითქვა: მართალი და სრული კაცია, ღვთის ნებაზე დადის, ერთადერთია, ვისაც მადლი აქვს ნაპოვნი უფლის თვალშიო, გადატყდებოდა საკაცობრიო აღმოჩენა - ღვინით თრობის საიდუმლო, თავისი სირცხვილის ფასად აჩვენებდა ძალას, რომელიც ყურძნის ნაყოფში იყო დაფარული. ქამის მიერ მთვრალი მამის სიშიშვლის ხილვის გამო დაცინვა თავისთავად უღირსი საქციელი იყო, მაგრამ ის გახდა თაურსახე იმ თუმცა გასაგები, მაგრამ არცთუ სასიამოვნო გრძნობისა, რომელსაც ღვინისგან დამარცხებული ადამიანი იწვევს.

როგორც იმ ხის ნაყოფის გემებამ გამოიწვია ადამში სიშიშვლე, ასე ღვინის გემებამ გააშიშვლა ნოე. მოყოლებული საკუთარი სიშიშვლის უსიამოვნო განცდიდან, რომელიც ადამს დაეუფლა, სიშიშვლემ ყოფიერების ყველა დონეზე ნეგატიური ელფერი მიიღო. ის საიდუმლოს გამხელის სიმბოლო გახდა. ამიერიდან აკრძალვა დაედო საკუთარი სიშიშვლის გამოჩენას და სხვისი სიშიშვლის ხილვას, უფრო სწორედ იმის ხილვას, რასაც საფარველი აფარია. ადამიანის სიშიშვლე, ქვეყნის სიშიშვლე ("მსტოვრები ხართ, ამ ქვეყნის სიშიშვლის დასაზვერად მოხვედით", დაბ. 42:9), ხალხის სიშიშვლე ("აგიწევ კალთებს, რომ ხალხებს დავანახო შენი სიშიშვლე", ნაუმ, 3:5)...

და, ბოლოს, მაინც რა გაშიშვლდა? რას აეხადა საფარველი? რა გამოჩნდა?

გამოჩნდა ადამიანის ბიოლოგიურ-ცხოველური ნათესაობა იმ არსებებთან, რომლებიც მისი შექმნის დღეს, მეექვსე დღეს გაჩნდნენ. ეს კი ღვთის ხატად შექმნილ ადამიანში სირცხვილის გრძნობას და ცხოველსა და მას შორის ფილოგენეზური სიახლოვის მაცთუნებელ აზრს ბადებს.

სირცხვილის გრძნობა ადამიანში მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანი უფრო მეტია, ვიდრე ის არსება, რომელიც ახლა, ამჟამად ჩართულია ბიოლოგიურ-ხორციელ ურთიერთობაში. სირცხვილი იცავს ადამიანში უმაღლეს ადამიანურ ღირსებას, მოწმობს, რომ მისი არსების სიღრმეში შენახულია იგი. ადამის სიტყვებმა "შიშველი ვარ და დავიმალე" (დაბ. 3:10) საუკუნეებში განსაზღვრა უღმერთოდ დარჩენილი ადამიანის მორალური სახე.

სეკულარიზაციის ახალი ტალღა მას ამ გრძნობისგან ტოტალურ გაშიშვლებას ჰპირდება.

სამოსელი

დღეს სამოსელი ფარავს ადამიანის სხეულს, მის სიშიშვლეს, მაგრამ აშიშვლებს მის შინაგანს - გემოვნებას, განწყობილებას, პრეტენზიებს, ინტერესებს, ოცნებებს და ა. შ., თვით იმ მხარე-კუნჭულებსაც კი, რომელთა გამომზეურება ასე და ამგვარად შემოსილს, შესაძლოა, არც კი სურდეს.

დღეს სამოსელი თითქოს ავლენს ადამიანის ინდივიდუალობას, რადგან დღეს ადამიანი ირჩევს სამოსელს, მაგრამ მასვე შეუძლია ადამიანი მანეკენად აქციოს.

ადამიანი ირჩევს სამოსელს, რომელიც არჩეულია სხვის მიერ. ეს იმის ნიშანია, რომ ადამიანს მოსწონს ის სხვა, ან ოცნებობს არათუ ამ სხვის მსგავსად, არამედ ამ სხვად ყოფნაზე.

პიროვნება ირჩევს სამოსელს, რომელიც მანამდე არავის აურჩევია. ეს იმის ნიშანია, რომ ადამიანი აფასებს თავის უნიკალობას, ხშირად ზედმეტადაც, თუმცა თავად განცდა პიროვნული უნიკალობისა, რომელიც ღვთის ნიჭია და ყველაში არსებობს, გადაწონის ამ ზედმეტობას.

სამოსელი ერთ საერთო საფარველში აქცევდა ერთი ეროვნების, ტომის, რელიგიის, პროფესიის, წოდების ადამიანებს. ვიკითხოთ, რითი განსხვავდება დღევანდელი თბილისი XIX ს-ის, თუნდაც გასული საუკუნის დამდეგის თბილისისგან, რომელიც იოსებ გრიშაშვილმა "ძველი თბილისის ლიტერატურულ ბოჰემაში" რომანტიკულად აღწერა? ნაწერიც არ გვჭირდება, ერმაკოვმა და როინიშვილმა იზრუნეს, რომ თბილისის იმჟამინდელი სახე არა მხოლოდ აღწერილობით, ვიზუალურადაც შემორჩენილიყო.

გაისეირნეთ იმჟამინდელი ტფილისის ქუჩებში, ვის შეხვდებით? ვისაც შეხვდებით, შეუცდომლად გამოიცნობთ - ვინ ვინ არის. ეს კინტოა, ის ყარაჩოხელი; ეს ხელოსანია, ის ამქრის შეგირდი, ეს უსტაბაში; ეს გიმნაზისტია, ის გიმნაზიის მასწავლებელი; ეს თავადია, ის გლეხი; ეს სტუდენტია, ის თათრის მოედნის მკვიდრი; ეს სახელმწიფო მოხელეა, ეს აზიიდან, ის ევროპელი ჩამოსულია, ეს ვაჭარია, ეს მღვდელია, ის მოლა და ასე შემდეგ. ეს მრავალფეროვნება და ფერადოვნება, ეს ხალიჩა დღეს წაშლილია. სამოსელი ამ კუთვნილებებს აღარ გამოხატავს. დღეს ვერ გამოიცნობ - ვინ ვინ არის. სხვადასხვა წრის და პროფესიის ადამიანებს ერთნაირი სამოსელი მოსავს.

ღვთის კულტურა და ადამიანის კულტურა

თუ ღვთის ქმნილებას, როგორც მთლიანობას, ისე მის ცალკეულ გამოვლინებებს, ერთ მთლიან ღვთიურ არტეფაქტად მივიჩნევთ, უნდა ვაღიაროთ, რომ მთელი ნივთიერი სამყარო ერთი ღვთიური კულტურაა, რომელსაც ჩვენ ბუნების სახით გვეძლევა.

და თუ ამასთანავე ადამიანი, თავად ღვთის ქმნილება, რომელიც აუცილებლობით კულტუროგენული არსებაა, მას კულტურის შესაქმნელად სხვა მასალა არა აქვს, გარდა იმისა, რაც ღვთის ქმნილების სახით მას რეალობაში შემოსვლისას დახვდა.

ადამიანი ღვთის კულტურისგან ქმნის ახალ კულტურას ახალ საფეხურზე. ეს არის მისი "უპირატესობა" პირველშემოქმედის წინაშე. ღმერთი "დამკვეთია", ადამიანი შემსრულებელი; ღმერთი იძლევა მასალას, რომელიც მის ხატად შექმნილმა უნდა გარდაქმნას, გააადამიანუროს.

მიწით (აგრიკულტურა) დაწყებული წმიდა გონებით (აზროვნება) დამთავრებული (ციცერონი წერდა, გონების კულტურა ფილოსოფიაარ).

და რასაც კი ადამიანი ქმნის, ყველაფერი, ყოველი ნივთი, გარდა მისი პირველადი (უტილიტარული) დანიშნულებისა, შემქნელის ნებსით თუ მის უნებლიეთ, შექმნისთანავე სიმბოლურ საზრისს იძენს.

და როგორც ღვთის არსება მხოლოდ ღვთის ქმნილების სახით გვეძლევა და მხოლოდ სიმბოლურად თუ გამოხატავს მის შინაგანს, ასევე ადამიანის არსება ადამიანის კულტურაში სახიერდება, თავად არსება კი თავისი წმიდა სახით დაფარულია და, როგორც ღვთის ბუნებას, იდუმალების ბეჭედი აზის.

***

- სწავლა ყოველი საგნისგან შეიძლება. - ეუბნებოდა სადიგორელი რაბი თავის ხასიდებს, - ამ ქვეყნად ყველაფერი იმისთვის არსებობს, რომ რაღაც გვასწავლოს, არა მხოლოდ ის, რაც კურთხეული უფლის შექმნილია, არამედ ისიც, რაც ადამიანის ხელმა გააკეთა.

- აბა, რას გვასწავლის, - ჰკითხა დაეჭვებით ერთმა ხასიდმა, - რკინიგზა?

- გვასწავლის, რომ წამის დაგვიანებით ყველაფერს კარგავ.

- ტელეგრაფი?
- რომ ყოველი სიტყვა დაანგარიშებულია.
- ტელეფონი?
- რომ იქ ესმით, რასაც აქ ვლაპარაკობთ.

(ხასიდური სწავლანი, გვ. 5-6)

ოდისევსის ნიჩაბი

მას შემდეგ, რაც ტროას წმიდა ქალაქი დაამხო, უკანა გზაზე მრავალი ჭირი განიცადა ზღვებზე, მრავალი ხალხის ზნენი გაიცნო, კირკესა და კალიფსოს მაცთუნებელ სიყვარულს და სამოთხისდარ ყოფას დააღწია თავი - რადგან შეპირებულ უკვდავებას მოკვდავი პენელოპე და ითაკიდან ადენილი კვამლი ერჩია, - საკუთარ სახლში მეტოქეებს შეებრძოლა, რათა ხელახლა მოეპოვებინა პენელოპე, ოდისევსმა მხარზე გაიდვა ხომალდის ნიჩაბი და ახლა ხმელეთზე წუთისოფლის გზას დაადგა. იქამდე უნდა ეარა, სანამ ვინმე პირველი შემხვედრი არ შეეკითხებოდა, უცხოელო, ეგ რა ბარი გაგიდვია მხარზე, სად მიგაქვსო? ოდისევსი უნდა მიმხვდარიყო, რომ ისეთ ქვეყანაში მოხვდა, სადაც ნაოსნობა რა იყო, არ იცოდნენ. და სწორედ ამ ადგილზე, სადაც ამას ჰკითხავდნენ, ის დაარჭობდა ნიჩაბს და მისი მისიაც ამოწურული იქნებოდა.

გამოსყიდვა

ამ წუთისოფელში იუდას საქციელის, როგორც მოვლენის, შესაძლებლობა რომ არ ყოფილიყო, მისი არსებობის ალბათობა ნულის ტოლი რომ ყოფილიყო, ბრბოში ძახილის "ჯვარს აცუ ეგე" შესაძლებლობა რომ არ არსებულიყო, მაშინ ღვთის არც განკაცების და არც ჯვარცმის საჭიროება არ იქნებოდა.

მიუხედავად იმისა ან, უფრო: სწორედ იმიტომ, რომ სოფელი *ასეთია*, "შეიყვარა ღმერთმან სოფელი, ვითარმედ ძეცა მხოლოდშობილი მოსცა მას... არა მოავლინა ღმერთმან ძე თვისი სოფლად, რაჲთა დასაჯოს სოფელი, არამედ რაჲთა აცხოვნოს სოფელი მის მიერ" (იოან. 3:16-17).

ქრისტე მოვიდა სოფელში, რომელიც "ბოროტსა ზედა დგას", არა სამოთხეში.

რაბი შლომო ამბობდა: ეჰ, ნეტავ, ისე მიყვარდეს უდიდესი ცადიკი (მართალი), როგორც ღმერთს უდიდესი ბოროტმოქმედი უყვარს!

(ხასიდური სწავლანი, გვ. 13).

სასაფლაო* და *საფლავები

სოფელში ორ სამუდამო განსასვენებელს - ერთს, ძველს, მოსახლეობა *საფლავებს* უწოდებს; მეორეს, ახალს - *სასაფლაოს*.

რატომ *საფლავები*? რატომ და ალბათ იმიტომ, რომ მიმოფანტულებია, არც ერთ მათგანს ჭირისუფალი აღარ ჰყავს, თითქოს ისინი სხვა საუკუნის თუ სხვა წუთისოფლის მიცვალებულთა სამარხებია, გაუცხოებულნი არიან სოფლისგან. მათ წარწერას არავინ კითხულობს. ზოგან მათ ხშირი მაყვლოვანი ფარავს, როგორც ეკლესიის ნანგრევს, რომელიც ჯერ კიდევ ჩანს ხეთა შორის. ისეა გაკვრივებული ის ადგილი, რომ ვერავინ ბედავს მიახლოებას.

საფლავების ქვები მიწაში ჩაძირვის პროცესშია. ზოგი ქვა ჯერ კიდევ მიწის ზედაპირზეა, ჯერ კიდევ შეგიძლია მასზე ჩამოჯდომა. ზოგი, როგორც პატარა ხომალდი ცხვირით შესვლას იწყებს მიწის ზღვაში. როცა იქნება, ქვა საბოლოოდ ჩაეკვრება მიწის მკერდს და დარჩება ქვად

თავის წარწერითურთ. ვერაფერი წაშლის წარწერას, მზე და ქარი ვეღარ გაახუნებს მას. სამარადისოდ შეინახავს თავის სიწმიდეში. ვისთვის?

სასაფლაოზე საფლავები შემოკავებულია, ლოდი არ ძევს საფლავზე, აღმართულია. მისი ზედაპირიდან მიცვალებულის სახე შემოგვყურებს. თავის დროზე ღობე მოირღვევა, შვეული ლოდი აყირავდება და არავინ იქნება, რომ ფეხზე წამოაყენოს, ცუდი ბალახბულახი დაფარავს მიწას და, საბოლოოდ, სანაგვედ იქცევა შემოკავებული სივრცე. ამის ნიშნები უკვე ჩანს. ყველას გვინახავს მიტოვებული საფლავები, "გატიალების სიბილწის" (დანიელი 9:27) ხატს რომ გვიჩვენებს, რომ მოდის "გატიალების სიბილწე" და აწვე არს.

***

წინანდელი სახლის ჭიშკრის წინ მოედანზე ვიყავი. სადღაც უნდა წავსულიყავი, მაგრამ არ მინდოდა, რომ ეს ნივთები ხელში მჭეროდა. რა იყო ეს, ცელოფანში გამოხვეული? ჯიბეშიც ვერ ჩავიტენიდი. რა ვქნა? სახლში ვერ შევბრუნდები, დამინახავენ. ახლა არ გამოვიდაო, იტყვიან და რა პასუხს გავცემ? ეზოში შევედი. სახლის აფიცრულ კედელთან, რომლის სიგანეზე ჩვენი ბინაა, ოდესღაც რაღაც კარნიზი მეგულებოდა, იქ შემოვდებ-მეთქი. ვერ მოვახერხე. ახლა სხვაგან ვცდილობდი. მიდი-მოდიოდნენ, მე ყურადღებას არ მაქცევდნენ, მეც ვერ შევიცანი, ვინ არიან? ჩვენი მეზობლები არიან? ვერ მცნობენ? ასე ვიდექი ამ ნივთებით ხელში. ჩვენი კარი თითქოს ღია იყო, სინათლის ვიწრო ზოლი გამოდიოდა. რა ახლოს არის ეს კარი, რამდენი ხანია, ისევ ღიაა. ხომ შეიძლება, რომ შევიდე-მეთქი. რა ხანია, არ ვყოფილვარ. ამ დროს კარიდან ქალი გამოვიდა და მივხვდი, ვინ იყო. "დედა, მე *მე* ვარ-მეთქი". ჩემს ძახილში იგულისხმებოდა, რომ მე დავბრუნდი და ამდენიხნის არყოფნის ხარვეზი ამოივსო. სიხარულს მოველოდი, მან კი მწყრალად გამომხედა, როგორც უცხოს და აივანზე გაუხვია. მე კიბის ძირას დავრჩი.

VII

კაცი მახსოვარი

არასოდეს შეურიგდება მხოლოდ აწმყოთი, უწარსულოდ ცხოვრებას. მახსოვრობა ღვთის მიერ ჩადებული მარადისობის ინსტრუმენტია ადამიანში. წარსულის აქტუალიზაცია დროის შემობრუნების ანუ მისი ძლევის ხატია. თუ ვირწმუნებთ, რომ ადამიანი არის ღვთის ხატი, რომელიც მიისწრაფვის ღვთის მსგავსებისაკენ, ერთ-ერთი მომენტი ამ მსგავსების მოპოვების გზაზე დროის ძლევაა. ამისათვის მას აქვს შინაგანი მზაობა. ის ატარებს მარადისობის ნაპერწკალს. საიდან ჩანს? იქიდან ჩანს, რომ რაკი ის აღიქვამს ჟამთა დენას, წარმავლობას, მაშ, დროის გარეშე დგას, საიდანაც თვალს ადევნებს ჟამთასვლას. დროის აღქმა მას მხოლოდ მარადისობიდან შეუძლია, რომელსაც თავის თავში ატარებს. საიდან იცის მან საწუთროს უხანობა? ეკლესიასტეში ნათქვამია: "(ღმერთმა) მარადისობა ჩადო მათ გულებში..." (3:11). ასეთია ჩვენი წინათგრძნობაც. საღი, ნამდვილად საღი აზრი გვკარნახობს ამას. მაგრამ ჩვენ მოქცეული ვართ ჩვენს მიერვე დაქუცმაცებული დროის ტყვეობაში: დრო (მარადისობის ხატი) დაიმსხვრა წარსულად, აწმყოდ და მომავლად.

ადამიანში არის ღერძი, რომლის უძრაობის გარეშე ბორბალი ვერ იტრიალებდა. ეს უძრავი ღერძი ჰგავს მეტყველ ადამიანს, რომელიც ერთი განუწყვეტელი ფრაზის წარმოთქმის პროცესშია.

იგავი რკოზე და მუხაზე

რკოში ყველაფერი მოცემულია: მუხის ფესვები, ტანი, მერქანი, ქერქი, რტოები, ფოთლები, თავად რკოც, რომელსაც მუხა ისხამს "თავისი გვარისდა მიხედვით", და კიდევ: ის ყვავი, რომელიც მის რტოებში იკეთებს ბუდეს, და ის ტახი, რომელიც თხრის მის ფესვებს, თუმცა მისი რკოებით კი იკვებება, და რკოშია მწყემსიც, რომელიც თავისი მცირე ფარითურთ მზის მცხუნვარებას ეფარება მის ჩრდილში... რკო მუხისთვის ფატალური საშოა. მისგან არ შეიძლება არ წარმოიშვას მუხა. "არ არის დაფარული, რომელიც არ განცხადდეს..." რკოს მომავალი მუხაა ფესვებიდან კენწერომდე. მუხის წარსული რკოა, რომელიც დაწნეხილად ინახავს მომავალს, რათა კვლავ მუხაში გამოაშკარავდეს, მოიპოვოს აწმყო. რკო ელის თავისი შინაგანის მანიფესტაციას.

***

გერმანელმა პოეტმა ჰანს მაგნუს ენცესბერგერმა ინტერვიუს მეშვეობით უთხრა ქართველებს: "თქვენ მშვენიერი კულტურული ერი (Kulturnation) ხართ, რად გინდათ სახელმწიფო ერად (Staatsnation) ქცევა?"

შეცდა პოეტი: ქართველობას იმხანად მხოლოდ ეგონა, რომ Staatsnation-ს აშენებდა, სინამდვილეში კი კულტურნაციონალურ წარმოდგენებს და პრაქტიკას არ გასცილებია. დიდხანს ვურევდით (შესაძლოა, ახლაც ბევრნი ვურევთ) ამ ორ რაობას ერთმანეთში. ეროვნული მოძრაობა თითქოს Staatsnation-ისთვის იბრძოდა, მაგრამ სახელმწიფოს ერთადერთ ნიშნად პრიმიტიულად გაგებული დამოუკიდებლობა მიაჩნდა. ნაცვლად იმისა, რომ მოძრაობის დროშაზე წერებულიყო: "საქართველოს ხალხო, განურჩევლად ეროვნებისა, ვაშენოთ სახელმწიფო"! ეწერა: "ქართველებმა ვაშენოთ საქართველო ქართველებისთვის"!

სახელმწიფოს სიძლიერე

"ერთადერთი ის შეუძლია სახელმწიფოს, რომ ჩვენ მოგვერიოს. სხვა ყველაფერში უძლურია" (ტელევიზიით გაგონილი, 31.07.2001).

ამარგი

"მსხემი უცხო ქალაქში მონაა" (შუმერული ანდაზა).

ერთმა ძველმა, ალბათ ყველაზე ძველმა რეფორმატორმა სიამაყით აღბეჭდა თიხის დაფაზე: "დედასთან დაბრუნება დავამკვიდრე". ცხადია, ეს იდიომაა, იდიომების თარგმნა კი მიღებული არ არის, არც გამართლებულია, ხშირად შეცდომის წყარო ხდება. მაგრამ ეს ისეთი შემთხვევაა, როცა ქართულ სიტყვას "თავისუფლებას" არ ძალუცს იმ მნიშვნელობის გამოხატვა, რომელიც შუმერული სოციუმის და ენის გენიამ ჩადო ცნებაში "დედასთან დაბრუნება", რომელიც თითქოს "თავისუფლების" შესატყვისია.

თუ ქართული სიტყვა თავისუფლება ინდივიდის, რამდენადაც ის "თავის უფალია", სხვა ინდივიდისგან დამოუკიდებლობაზე მიუთითებს და სავსებით გამოხატავს ახალი დროის სულისკვეთებას, "დედასთან დაბრუნება" ადამიანის სხვა, არქაულ, უნდა ვთქვათ, უფრო სიღრმისეულ ასპექტს გულისხმობს.

შუმერელი კაცის "მე" ეკუთვნის ისეთ ერთობას, უფრო ისეთ მთლიანობას, რომელიც არ შექმნილა, არ დაარსებულა ცალკეული ინდივიდების მიერ, არამედ არსებობს დასაბამიდან, მათ უწინარეს, ინდივიდებამდე, რომლებიც მისდამი კუთვნილების ძალით არიან მასში დაბადებულნი. ასეთი ერთობაა დედა და ქალაქი ერთსა და იმავე დროს. ეს არ არის ცალ-ცალკე არსებული ასოებისგან შეკოწიწებული სხეული.

კაცი თავს დააღწევს ტყვეობას, იხეტიალებს, მოივლის დედამიწის ზურგს, მაგრამ ვერ მიაღწევს თავისუფლებას, სანამ თავის დედის კალთას, რომელიც ამ გამოთქმაში ქალაქის მეტაფორაა (ან პირუკუ), არ დაუბრუნდება.

დიდებული ადამიანი

გალაკტიონს თავის დღიურში ოდესღაც (14 ოქტ. 1939) ჩაუწერია:
“გუშინწინ შემხვდა პავლე ინგოროყვა და მითხრა: “ჩვენ უკანასკნელ დღეებში ხშირად ვხვდებით ერთმანეთს, ეს უდიდესი სიმპატიის ნიშანი უნდა იყოსო. დიდებული ადამიანია”.

ორი ათეული წლის შემდეგ, 60-იან წლებში, რომელიღაც წელს, რომელიღაც თვეში, რომელიღაც დღეს, ტროლეიბუსის წინა ბაქანზე, ჩასასვლელთან, პავლე ინგოროყვა მიმართავს გიორგი ლომთათიძეს: “ჩვენ უკანასკნელ დღეებში ხშირად ვხვდებით ერთმანეთს, ეს უდიდესი სიმპათიის ნიშანი უნდა იყოს”. ლომთათიძეს გაეღიმა, გაიფიქრებდა, რა დიდებული ადამიანიაო.

ნაცნობი უცნობი

ყაზბეგისა და ვაკე-საბურთალოს გზაჯვარედინზე კაცი მიღიმის, თითქოს ნაცნობია, მაგრამ ვერ ვიხსენებ, მაინც უნდა მივუახლოვდე, გავუღიმო. “რაღაც ვეღარ ვხვდებით ერთმანეთს. სად შევხვდით უკანასკნელად” - სხვა რა შემიძლია ვკითხო, როგორ გამოვძალო ვინაობა. არც საერთო ნაცნობს ასახელებს. ახსენოს ვინმეს სახელი. სამაგიეროდ თვალზე მელაპარაკება. აი, საიდან იწყებს: ამერიკაში პიესა წავიღე.... მერე თვალი... ვერაფერი გაიგეს. რა შეუძვრა თვალში? ექიმთან იყავით? არაო, თავი გააქნია (თითქოს ამერიკაში ვერაფერი გაიგეს და აქაურ ექიმთან როგორ მივიდოდიო). მეც მინდოდა ჩემ თვალზე მეთქვა ორიოდე სიტყვა (რაღაც თეთრი რომ გაჩნდა მარცხენა თვალის მარცხენა უპეში), მაგრამ გადავიფიქრე. მაინც ვინ არის? სად ვხვდებოდი? რა სახის ურთიერთობა გვქონდა? ამ დროს 21 ნომერი ავტობუსი ჩამოდგა, ჩემი უცნობ-ნაცნობი 4 ნომერ სამარშრუტოსკენ გავისტუმრე, მე კი მივუსწარი 21-ს, ჩავჯექი და ჩანიშნულ გვერდზე ალ. ხაბურზანიას “გადახვეწილი” გადავშალე. აქაც მიყურებს ახალგაზრდა კაცი, სათვალეებიანი. აშკარად მიცნობს, გზას მითმობს. უფრო სწორად, ისიც წინ მიდის, გასასვლელისკენ. ბოლოს, ბილეთს მიღებს. გავბედე: “მაპატიეთ, ვერ შეგიცანით”. - “მე კი გიცნობთ”. - “საიდან? შემახსენეთ”. - “თქვენი ლექციებიდან, თუმცა მე ჰუმანიტარულზე არ მისწავლია. ჩემი მეუღლე მ. ს.-ძე...” - “აჰა, როგორ არა, მახსოვს. გამაცნო თქვენი თავი. ისიც მახსოვს, სად: ქვემო შესასვლელთან, ზამთარი იყო, თქვენ ქურქი გეცვათ”. ინჟინერია, მაგრამ მსახურობს ფინანსთა სამინისტროში. ლაპარაკი ჩამოვარდა კულტურის დაფინანსებაზე. “სამწუხაროა, ამბობს, რომ ასეთი საკითხები მინისტრის პირადი გემოვნებით წყდება” (გავიფიქრე: აბა ვისი გემოვნებით უნდა გადაწყვიტოს მინისტრმა საკითხები?). რა ქვია ამ ყმაწვილს?

“ნუ გეშინია...”

გასული საუკუნის ოციან წლებში, ბოლშევიზმის მძვინვარების ხანაში, ნოქალაქევში, ძველ არქეოპოლისში, მღვდელი ილია შალამბერიძე ასე ანუგეშებდა სტუმრებულ დისწულს: ”ნუ გოშქურუ, ლუკა. გიჩქუდას, ქეგესკიდუნა ათენეფი ვერჩხის...” ანუ: ”ნუ გეშინია, ლუკა. იცოდე, გაირიყებიან ესენიო”. ამ დანუგეშების შემდეგ მრავალმა წყალმა ჩაიარა და რისხვამ გადაიარა ქვეყანაზე, ხალხზე, ერზე და ბერზე. მღვდელი გაკრიჭეს, მაგრამ მაინც შეეძლო ეთქვა ”ნუ გოშქურუ”. ყველაფერი მოხდა, რასაც შიშის გამოწვევა შეეძლო, მერე და მერე შიშიც აღარ იყო, რადგან ეს ყველაფერი, ასე მგონია, სტიქიურ მოვლენად შეირაცხა და უნდა აგეტანა,

როგორც ავდარს, ქარიშხალს იტან. თუმცა ის ნუგეში ამაო არ იყო, მღვდლის პირიდან პროვიდენციალურადაც ჟღერდა, მაგრამ მის ასრულებას ვერ მოესწრო ვერც პატიოსანი მღვდელი ილია და ვერც ლუკა, და ბევრი სხვანი, ჩვენი მამები, ბიძები და ძმები და დები, და დღეს აღარც ის სახლია, სადაც ეს სანუგეშო სიტყვები ითქვა. ტეხური კი კვლავინდებურად მიედინება.

ყველა ქართველურ ენაზე და დიალექტზე *ესენი-ათენეფი* გასაგები იყო იმხანად ჩვენს ფრიად ქვეყანაში. ''ესენი რომ შემოვიდნენ...'', ''როდის წავლენ ესენი...'', ''ამათ ხელში'', ''ამგენის ხელში'', ''ამგენმა'' და ა. შ. და ა. შ. ეს ნახევრად მეამიტურად კონსპირაციული და ერთგვარად ევფემისტური, უსახურობის, უკიდურესი სიუცხოვის გამომხატველი ნაცვალსახელი გაისმოდა ყველგან, ქალაქად და სოფლად... და ამჟამადაც ბოლშევიზმის ფსევდოწასვლის შემდეგ კვლავ გვიხდება ამ სიტყვების გახსენება - ''ამათ ხელში'', ''ამგენის ხელში'', ''ამგენმა''... და საბოლოოდ, ''როდის წავლენ ესენი?''

როცა ჟამი ამოიწურა და განვლო ბიბლიურმა სამოცდაათმა წელმა, თავისთავად (თუმცა ერთადერთ ამ ფრიად ქვეყანაში სისხლიანი კვალის დატოვებით) წავიდნენ *ათენეფი*. ეს წასვლა ზღვის მიქცევას ჰგავდა. წავიდნენ და უკან მობრუნდნენ, როგორც დამნაშავე ბრუნდება დანაშაულის ადგილზე. ''მობი დიკის'' ავტორის გაფრთხილების არ იყოს: ასეა, ასე! უგუნურო მოკვდავნო, ნოეს წარღვნა ჯერ არ დასრულებულა, დღემდე ფარავს იგი ჩვენი ბედკრული ტერიტორიის ორ მესამედსო. ჩვენც ფრთხილად ვიყოთ, *ათენეფი* ისევ აქ არიან.

სამი სარტყელი

პლატონი ფიქრობდა, რომ ადამიანის სხეულის სამ ნაწილს დედამიწაზე სამი სარტყელი და სამი მოდგმის ხალხი შეესაბამება.

ჩრდილოეთით ცხოვრობენ ხალხები, რომელთა აზროვნების და ქცევის ორგანო დიაფრაგმის ზემოთ, მკერდშია მოქცეული. ესენი, ძირითადად, ნების ხალხია, მამაცნი, ლომგულნი. ისინი გულით, როგორც მხნეობის ორგანოთი, აზროვნებენ. სკანდინავიელი ვიკინგები და ჯვაროსნები განასახიერებენ მათ ტიპს, მათი მუდმივი ეპითეტი ლომგულია, თუმცა ერთ მათგანს შერჩა სამუდამოდ. რა შეიძლება სცოდნოდა პლატონს მათ შესახებ?

სამხრეთით მოსახლე ხალხების აზროვნებისა და ქცევის წყარო დიაფრაგმის ქვემოთ მდებარეობს. ეს არის ღვიძლი, კუჭი, ნაწლავები. ესენი სემიტურ-ქამიტური მოდგმის ხალხები არიან. მათი ფიქრები ემოციურია, მოუწესრიგებელია, ქაოტურია. მრუმეა ის ბუდე, საიდანაც მათი მენტალიტეტი იმართება. მათი აზროვნება ირაციონალურია, მაგრამ სიღრმისეულია და დაკავშირებულია ადამიანის სასიცხლო ორგანოებთან. მათ შორის მისნები, გრძნეულები და წინასწარმეტყველები იბადებიან.

შუა სარტყელში ელინები ცხოვრობენ, რომელთა აზროვნება და ქცევა ადამიანის სხეულის, როგორც მდებარეობით, ისე ხარისხით, უმაღლესი ადგილიდან იმართება. ეს არის თავი, ადამიანის სხეულის აკროპოლისი, აგორა (თუმცა ეს უკანასკნელი სიტყვა ქართულ გორას არ ენათესავება). ელინები თავით - რაციონალურად აზროვნებენ. მათ ვნებებს, ემოციებს, სიმხნევეს გონება განაგებს. ეს არის მთელი სოკრატე და პლატონი, ევროპული რაციონალიზმის სათავე.

მაგრამ განა გონება ამ სამყაროს სიდუმლოს უფრო ჩაწვდა, ვიდრე ნაწლავები?

პლატონი აკროპოლისის სიმაღლიდან იხედება და, მისთვის, ცხადია, ნაკლები ღირებულებისაა მკერდისა და ღვიძლ-ნაწლავების ბნელი აზროვნება. ამ აზრით ხომ არ შეარქვეს ჰერაკლიტეს *სკოტეინოს* "ბნელი"?

პლატონის, როგორც ელინის, ხედვა სტატიკურია. ის ქვეყნიერებას და ადამიანურ კოსმოსს ერთხელ და სამუდამოდ *ასეთად* დ(გ)ამყარებულს ხედავს. მაგრამ არის სხვა თვალიც,

რომლითაც სემიტური გენია იხედება, იგი სამყაროს დროჟამულ განზომილებაში აღიქვამს. სამყარო, როგორც კოსმიური, ისე ადამიანური, ერთ ადგილზე არ არის გაყინული. ის მიედინება, იცვლება, დენადია. ის მცურავი კუნძულია მარადისობის ოკეანეში.

ყოველთვის აკროპოლისიდან გამოდიოდა ელინის აზრი და ქმედება? ამას ისტორია, კერძოდ, ჰომეროსი არ ადასტურებს. არქაულ ელინს ცალი ფეხი სამხრეთ სარტყელში ედგა.

გონება ვერ აღწევს აგამემნონის თუ აქილევსის ვნებათა ღელვებში. ოდისევსი კი ნამდვილად აკროპოლისია.

ტარიელი ელინურ სარტყელს ეკუთვნის, მაგრამ მის ქმედებათა წყარო დიაფრაგმის ქვემო ღრმულია. ავთანდილი კი ნამდვილად აგორაზე მეფობს.

ღვთის ნება და ადამიანის ნება

ვინ ამბობს: ერთადერთი, რაც ღვთის ნებას ზღუდავს, ეს ადამიანის ნებაა. როგორც საკუთარი თავის წინააღმდეგ ვერ წავა ღმერთი, ასე ადამიანის ნების წინააღმდეგ ვერ წავა. რადგან ღმერთმა ადამიანი თავის ხატად შექმნა. ადამიანის ნების ფაქტორი რომ არ არსებობდეს, ღმერთი მეყსეულად დააბრუნებდა ადამიანს სამოთხეში. ღმერთს არ შეუძლია მისი ნების გარეშე მოუტანოს ხსნა ადამიანს.

მაგრამ, ფიქრობს კაცი, იქნებ უკანასკნელ ჟამს არად ჩააგდოს მისი ნება და უფსკრულში გადაჩეხილი ანგელოზის ფრთებს აატაცებინოს.

უფსკრულის პირას

ოჯახი - სამი სული ხევსური მთელი კაცობრიობაა. მამა, დედა და შვილი. სამივენი სათიბში არიან. მამაკაცი სათიბის ერთ კიდეში თიბავს, დედაკაცი - მეორე კიდეში. მინდორი დამრეცია, უფსკრულისკენ მიექანება, ბავშვი კი შუაგულ სათიბში საგანგებოდ ამოთხრილ ორმოშია მოთავსებული, უსაფრთხოდ, მყუდროდ, უფლის უბეში. არაფერი ემუქრება. ხანგამოშვებით ერთი კიდიდან მეორე კიდემდე ნაღვლიანი სიმღერა გაისმის. ბავშვი ამოძრავდება, იმდენს იზამს, რომ ორმოდან ამოფოფხდება და წინგაპყრობილი ხელებით, თითქოს ჰაერს, როგორც კედელს ეყრდნობოდეს, ბაჯბაჯით დაუყვება დაღმართს, თავი ძლევს, ეცემა და გორიალ-გორიალით უფსკრულისკენ მიექანება.

მამა გამორბის, მიეწევა ზედ უფსკრულის კიდეზე მიგორებულ ბავშვს და პერანგზე აბიჯებს ფეხს. ხელსაც არ ახლებს, რომ არ შეიბღალოს ბავშვის აგორებული ნება.

ისტორიის დასასრული

ისტორიის პროცესი მხოლოდ ღვთის ნებაზე რომ იყოს დამოკიდებული, ისტორია დასრულდებოდა;

მაგრამ ისტორიის პროცესში ადამიანის ნებაა ჩარეული და ისტორია გრძელდება, ჭიანურდება კიდეც, იწელება;

ისტორიული პროცესი მხოლოდ ადამიანის ნებაზე რომ იყოს დამოკიდებული, ისტორია ან საერთოდ არ დასრულდებოდა და უსაფქვავო წისქვილივით იხრიალებდა, ან კაცობრიობა უფსკრულში გადაიჩეხებოდა.

თუმცა უფსკრულის პირას მისული ადამიანი, შესაძლოა, ღმერთმა მისი ნების წინააღმდეგაც კი იხსნას.

მონტეცუმას "ნაკრტენის გვირგვინი"

“ჩვენ დავკარგეთ მიწა, დავკარგეთ ფესვები, ვკარგავთ ენას. ჩვენ დავკარგეთ მონტეცუმა და ველით, რომ დაბრუნდება, მაგრამ ვერ დავახვედრებთ ნაკრტენის გვირგვინს (*კოპილიკეცალს*), რომელიც ამჟამად ვენის ეთნოლოგიურ მუზეუმში ინახება. მე ვარ ხოკონოშტლეტლ გომორა, აცტეკი. 1986 წლიდან ევროპაში გადმოვსახლდი ერთადერთი მისიით, დავუბრუნო მექსიკის ხალხებს (მაიას, ნაჰუას, აცტეკებს..) მონტეცუმას ნაკრტენის გვირგვინი, რომელიც 500 წელია მოშორებულია თავის ქვეყანას. მწამს, რომ წმიდა გვირგვინის დაბრუნება მცირე ნაპერწკალი იქნება, რომელიც დიდ ხანძარს გააჩენს. ჩვენ მოვძებნით ჩვენს ფესვებს და ჩვენს ვინაობას”.

აცტეკები სთავაზობენ ვენის ეთნოლოგიურ მუზეუმს გვირგვინის ასლს, მაგრამ მუზეუმს მინაში ჩასმული ორიგინალი ურჩევნია. მუზეუმი მართალია. ვის გაუცვლია ნამდვილი რიოშზე? მაგრამ რას ეუბნება ვენას და ვენის სტუმრებს მონტეცუმას ნამდვილი გვირგვინი, რომელიც 400 ნაკრტენისგან შედგება? მათ მზერას და მათ ყნოსვას? ან მათ გულსა და ღვიძლს, მათ ნაწლავებს?

და მაინც ამბობენ, რომ მისი ასლი სიუდად მეხიკოში უფრო მეტ ხალხს იზიდავს, ვიდრე დედანი ავსტრიაში.

1993 წლის ივლისში ვენაში გაეროს შენობის წინ ცეკვავდნენ შუბებით შეიარაღებული ნაციონალურ ტანსაცმელში მორთულ-მოკაზმული აცტეკები. ხანგამოშვებით გამოეყოფოდა მათ თითო სახე, თითქოს ნიღბიანი, დახურული.

თუ გახსნის მათ სახეებს მონტეცუმას გვირგვინი?

***

ზემო რაჭაში, ერთ მიყრუებულ ჭალულის ხევზე, სოფელ უკანჭალის მისადგომთან, საცალფეხო ბოგირზე ათი-თორმეტი წლის ორი გოგონა გადადიოდა. მჟავე წყალზე მიდიოდნენ.

- რა გვარები ხართ?
- “მე ჩიკვილაძე ვარ, ეს ჩიხრაძეა”.
- “აქაურები ხართ”?
- “ეს აქაურია. ჩვენ დასიძებული ვართ გომიდან”.

VIII

ქართული სამართალი

“კანონით გეკუთვნის, მაგრამ კაცობით არ გეკუთვნის”
(ცისფერი ეკრანიდან).

რუსეთის ბორბალი

პეტერბურგში ეკატერინეს არხის ნაპირას (თუმცა ის შეჭრილია არხში) აღმართულია ტაძარი «Храм Христа Спасителя на крови», რომლის კედელზე მიკრული უამრავი დაფა აუწყებს ქვეყანას, თუ რა ბრძოლები გადახდა რუსეთს იმპერიის შესაქმნელად, ერმაკის ლაშქრობებიდან მოყოლებული კავკასიის ომებამდე. ამ მონაპოვრის შენარჩუნება ეროვნულ მოვალეობად არის აღქმული არა მხოლოდ ხელისუფალთა, არამედ ხალხის მხრიდანაც. ასე შეიკრიბა რუსეთი და ვისა აქვს მისი განიავების უფლება? ეს რუსეთის პოლიტიკური რელიგიაა და, როგორც ყოველი რელიგია, ისიც რწმენაზეა დაფუძნებული. ამ რწმენას მხოლოდ უძლურება ან გარდაქმნა (არა პერესტროიკა) თუ შეარყევს.

დადაშ გელოვანი (1898-1924)

სვანეთიდან ფარულად ჩასულა უცხერში გათხოვილ მამიდასთან. მამიდას გლეხის დაკონკილი ჩოხა გადაუცმევია, გლეხი გაუყოლებია და წასულან ქუთაისში ფეხით.
ჯერ კიდევ აჯანყების სული არ იყო ჩამქრალი. კიდევ საგუშაგოები იდგა აქა-იქ.
ჩასულან მექვენამდე. ახლაც დგას ის სახლი, სადაც საგუშაგო ყოფილა, ვინც იცავდა გასაბჭოებულ საქართველოს. შტაბი იყო.

გაუჩერებიათ ეს გლეხები (გადაცმული დადაში და მისი გამყოლი). აუყვანიათ მეორე სართულზე, ვინ ხართო. ლეჩხუმელი გლეხები ვართ უცხერიდან, ქუთაისში მივდივართო.
გაუშვიათ, წადითო.

დადაში ახლომხედველი იყო, ოქროს პენსნეს ატარებდა სულმუდამ. მილიციელმა რომ უთხრა, ჩადიო, კიბის საფეხური ფეხით ვერ მოძებნა, უსათვალოდ. პენსნე რომ გაიკეთა, უკან დააბრუნეს. ვინ ხარო. უთქვამს, ესა და ეს ვარო.

იქვე, რიონზე ჩაიყვანეს და დახვრიტეს.

უარესი...

რიგებში (ქელეხში) ყვებოდა ქალიო, მიამბობს მარია, მაღლა ამიყვანესო, სიზმარშიო, იქ ბევრი ჯურის ხალხი იყოო, ერთი წმინდა გიორგი იყოო. მივედიო, ვიცანიო, შენ წმინდა გიორგი არა ხარო, ვუთხარიო. გაიცინაო, თავი დააქნიაო. თუ წმინდა გიორგი ხარაო, რატომ არ მშველიო, ხომ უყურებ ჩემ ბეჩაობასაო, რა დღეში ვარო. შემომხედა და მითხრაო, კიდევ უარესს მოელოდეთო.

უქუდობა

ატმოსფერული მოვლენებისგან (თავსხმა, ქარი, სუსხი, მცხუნვარება) თავის დასაცავად შექმნილი ნივთი ჟამთა ვითარებაში ან შექმნისთანავე (ეს, შესაძლოა, საკამათო იყოს) სიმბოლურ განზომილებებს იძენს. სხვაგვარად არც იქნება: ადამიანი სიმბოლური არსებაა და ყველაფერს, რასაც ის ქმნის, ადრე თუ გვიან, სიმბოლური მხარე უჩნდება.

დამიანის შესამოსელთაგან დავაკვირდეთ ქუდს, ადამიანთა შორის ურთიერთობის იარაღს, სოციუმში უფლებათა და მოვალეობათა აღმასრულებელ ინსტრუმენტს, მის დახურვას და მოხდას. ქუდი ახურავთ, რომ მოიხადონ, გაგზავნონ, მიწაზე დააფერთხონ. როდის იხდი ქუდს, ვის უხდი, ვის არ უხდი? რატომ აფერთხებ მიწაზე? ის მაცნეც არის. მოვუსმინოთ ალექსი ოჩიაურს: "მიცვალებულის ქუდს ამოიღებდნენ მისი ტალავრიდან და გაგზავნიდნენ ისეთ კაცთან, ვისზეც იცოდნენ, რომ ადვილად არ წამოვიდოდა. ამ ქუდით სთხოვდნენ წამოსულიყო". ეს *ქუდით თხოვნა* იმავე ძალის იყო, გინა თავად ქუდის პატრონი ხლებოდა. "კაცი ვარ და ქუდი მხურავს", ამბობს თავმოყვარე კაცი. რას გულისხმობს, თუ არა იმას, რომ თავს სრულუფლებიან მოქალაქეთ თვლის? თუ ქუდი არ გხურავს, უბრალოდ, მოკლებული ხარ ისეთი ბუნებრივი, იმავდროულად, სიმბოლური აქტის შესრულებას, როგორიც მისალმებაა.

ერთხელ, მელიქიშვილზე, სამედიცინო ინსტიტუტის ყოფილი შენობის წინ, იმჟამად იქ გამვლელნი, მოწმენი იყვნენ, შესაძლოა, დღესაც ახსოვთ ვისმე, თუ უქუდო ავლიმპი ზურაბაშვილი სათვალების მოხსნით როგორ მიესალმა შემხვედრს.

***ასეთი* სოფელი**

ამ წუთისოფელში, იმ თორმეტში, იუდას, როგორც მოვლენის, შესაძლებლობა რომ არ ყოფილიყო, მისი არსებობის ალბათობა ნულის ტოლი რომ ყოფილიყო, ბრბოში ძახილის "ჯვარს აცუ ეგე" შესაძლებლობა რომ არ არსებულიყო, მაშინ ღვთის არც განკაცება-ჯვარცმის საჭიროება არ იქნებოდა.

მიუხედავად ამისა, ან უფრო: სწორედ ამიტომ, რომ სოფელი ასეთია, "შეიყვარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თვისი მხოლოდშობილი მოსცა მას... არა მოავლინა ღმერთმან ძე თვისი სოფლად, რათა დასაჯოს სოფელი, არამედ რათა აცხოვნოს სოფელი მის მიერ" (იოან. 3:16-17).

რაბი შლომო ამბობდა, ეჰ, ნეტავ, ისე მიყვარდეს უდიდესი ცადიკი (მართალი), როგორც ღმერთს უდიდესი ბოროტმოქმედი უყვარსო!
(ხასიდური სწავლანი, გვ. 13)

***

ოციოდე წლის წინანდელი გაზეთის (დრონი, 08.11.1991) აშიაზე მიწერილია პროპაგანდისტ გ. პ.-ის მიერ ტელევიზიით მოსმენილი სიტყვები. სიტყვა-სიტყვით:
"*ინტელიგენცია ვართ ჩვენ და ეგენი არიან რუსული წითელი ინტელიგენცია. ჩვენა ვართ ნამდვილი ინტელიგენცია. გაგვიმარჯოს ჩვენ!*"

კვირადღის ხმა

ვიტგენშტაინის თქმით, კვირეულის სადაგი დღეები ენას ინსტრუმენტად იყენებს. კვირადღეს კი ენა თავად საუბრობს. ეს არის კვირადღის სიტყვა.

დაისმის კითხვა: ეს ეთნოსი ქმნის ამ ენას თუ ეს ენა ქმნის ამ ეთნოსს?
თუ კვირეულის სადაგი დღეებიდან ამოვალთ, ეთნოსი ქმნის ენას, როგორც ინსტრუმენტს თავისი საჭიროებისთვის.

თუ კვირადღიდან ამოვალთ, ენა ქმნის ეთნოსის, ძერწავს მის სახეს უანგაროდ, როგორც თავისთავად ღირებულს.

შემუელ აგნონი "ზღვის ჭიპში" დაახლოებით ამას ამბობს:

კარგია შაბათი: სადაგ დღეებში დამაშვრალ სხეულს შვებას აძლევს. დამაშვრალისთვის შაბათი შვების ინსტრუმენტია.

უკეთესია შაბათი გემზე, როცა ადამიანი ისედაც ისვენებს. ეს შაბათის საბათია... აქ შაბათი თავის წმიდა არსს უბრუნდება. შაბათი შაბათისთვის მხოლოდ გემზეა შესაძლებელი, როცა ადამიანი ისედაც უქმობს.

მხოლოდ ამ დროს შაბათობს შაბათი, უფლისთვის განკუთვნილი დღე.

ეჭვი

სადღაც არ ეწერა "არიმანი არის ორმუზდის ეჭვი საკუთარ თავშიო"? ამ კოსმოგონიურ მეტაფორაში ახვევდნენ ალბათ თავიანთ პირველად ინტუიციას გნოსტიკოსები. ფიქრობდნენ, მატერიალური სამყაროს არასრულყოფილება იმ ეჭვის შედეგი თუ არის, შესაქმის აქტის დროს რომ შეეპარა შემოქმედს.

ასეთი მეტაფორაც შეგვიძლია შევთავაზოთ: მიგვაქვს ძვირფასი ჭურჭელი და გვიჩნდება ეჭვი ჩვენს ძალაში, რომ ბოლომდე ვერ მივიტანთ ამ ტვირთს, დავეცემით. ამ დაეჭვების წამს ვეცემით, ჭურჭელი ხელიდან გვივარდება, ძირს ეცემა და ნამსხვრევებად იქცევა.
ამ ნამსხვრევებისგან თუ შეკოწიწდა მეორადი, მაგრამ ჩვენი დღევანდელი ეონი (საუკუნე).

ჰამლეტის ტრაგედია

ჰამლეტ-შვილის აწმყოში გამოჩნება ჰამლეტ-მამა, მისი აჩრდილი... რას ნიშნავს ჰამლეტ-შვილისათვის ჰამლეტ-მამის აჩრდილის გამოცხადება? ნუთუ მხოლოდ იმას, რომ გამოუცხადოს თავისი სიკვდილის საიდუმლო და შური აძიებინოს? მამა-წარსული (მამის წარსული) იჭრება

შვილ-აწმყოში (შვილის აწმყოში). მამის აჩრდილს - წარსულს - სურს დაამყაროს თავისი დიქტატი აწმყოში, შვილში, მაგრამ მისი ყავლი გასულია. ამ ყავლგასულობის გამოხატულებაა აჩრდილი თავისი ეფემერული არსებობით. თუ სადმე შეიძლება თქმულიყო, აქ უნდა თქმულიყო, რომ მომავალი უნდა გათავისუფლდეს წარსულისგან. ჰამლეტს ტვირთად აწევს წარსული. მას სურს გაათავისუფლოს თავისი მომავალი ამ წარსულისგან, მაგრამ ვერ ახერხებს. მთელი ტრაგედია ამაშია. ჰამლეტისთვის უცხოა შურისგება - ეს სულისკვეთება წარსულს ეკუთვნის, მაგრამ ისტორია მისგან დაჟინებით მოითხოვს, სხვისი წარსულით იცხოვროს თავის აწმყოშიც და მომავალშიც.

როგორ არ გაგვახსენდეს ენეასი, ზურგზე მოკიდებული მამით რომ გარბის ილიონის ნანგრევებიდან ახალი სამშობლოს ასაშენებლად.

ნგანასანის მოლოდინი

ტაიმირის ნახევარკუნძულზე ცხოვრობს ერთი ძალზე მცირერიცხოვანი ხალხი - ნგანასანი, რომლის ენაზე დღეს შვიდასიოდე ადამიანი იქნებ უკვე აღარ ლაპარაკობს.
დიდი ხნის წინათ იყო მიწა. მიწაზე ადამიანები ცხოვრობდნენ. ერთხელ მიწა წყალმა დაფარა, მაღალი მწვერვალებიც კი აღარ ჩანდა. მხოლოდ ერთი იხვი და ერთი გაგარა გადარჩა. წყალზე დადიან, არ იციან, სად დასხდნენ - მიწა არ არის.

იხვი ეტყვის გაგარას: "როდემდის ვიყოთ ასე? წადი, მიწა მონახე წყალქვეშ და ამოიტანე. იქნებ ოდესმე ადამიანი გაჩნდეს".

"კარგი, წავალ", იტყვის გაგარა და ჩაყვინთავს წყალში. სამ დღეს არ გამოჩნდება. მესამე დღეს მკვდარი ამოტივტივდება.

ახლა იხვი ჩაყვინთავს. შვიდ დღეს არ გამოჩნდება, მეშვიდე დღეს ამოყვინთავს, მცირე ბალახი და ხავსი შლამთან ერთად ამოაქვს. და ამბობს იხვი: "მე მიწა ამოვიტანე ზემოთ და ახლა წყალი ქვემოთ ჩავა. აქ ოდესმე ადამიანი გაჩნდება".

აი, აქ ჩანს მთელი ერთი ბეწო ნგანასანი, მარტოდმარტო, ადამიანის მოლოდინში.

რწმენის აბსურდი

ბუდა ამბობს: როგორც ოკეანის წყალს აქვს ერთი გემო - გემო მარილისა, ასე ჩემს რელიგიასაც ერთი გემო აქვს - გემო ხსნისა.

ქრისტიანობასაც აქვს ერთი გემო - ხსნის გემო.

მაგრამ სხვა�ა ხსნა ბუდიზმისა და სხვაა ხსნა ქრისტიანობისა, სოტერია.

მაგრამ ქრისტიანობას სხვა გემოც აქვს - გემო აბსურდისა, რასაც დაუღალავად ქადაგებს პავლე მოციქული.

ბუდა აქამდე ვერ მოყვება ქრისტეს, მისთვის აბსურდის გემო უნაყოფო აბსურდია, უგემურობაა.

მაგრამ ქრისტიანობა ამბობს, რომ მის ჭეშმარიტებას, გარდა აბსურდისა, ვერაფერი გამოხატავს.

ტერტულიანემ ეს ჭეშმარიტება უმარტივეს სილოგიზმებში გამოჭედა:
"ძე ღვთისა ჯვარს ეცვა - არ მრცხვენია, რადგან სასირცხოა;
ძე ღვთისა მოკვდა - სრულიად სარწმუნოა, რადგან უაზრობაა;
აღდგა დამარხული - ნამდვილია, რადგან შეუძლებელია".

დასკვნები ასეც შეიძლება ითარგმნოს:
...სწორედ იმიტომ, რომ სასირცხოა (ამ სოფლისთვის);

...სწორედ იმიტომ, რომ უაზრობაა (ამ სოფლისთვის);
...სწორედ იმიტომ, რომ შეუძლებელია (ამ სოფლისთვის).

პავლე მოციქული ამბობს:

“სიტყვა ჯვრის შესახებ სისულელეა დაღუპულთათვის, ხოლო ჩვენთვის, გადარჩენილთათვის, ღვთის ძალაა” (1კორ. 1:18).

და კიდევ:

“რადგან ღვთიურ სიბრძნეში ვერ იცნო ღმერთი სოფელმა თავისი სიბრძნით, ღმერთმა არჩია მორწმუნეთა ხსნა ქადაგების სისულელით” (1კორ. 1:21).

წყალობა თუ სასჯელი

იაკობ სარუგელი, სირიელი მამა, სარუგ-ქალაქის ეპისკოპოსი (451-521) წერდა ბაბილონის ენათა აღრევის გამო:

“ამბოხდნენ ბაბილონელები და უფალმა აღმართა კვერთხი მათ საგვემად, მაგრამ ამ დარტყმის ქვეშ მხოლოდ წყალობა წარმოიშვა და გაამდიდრა ისინი. ენათა მიხედვით განყო ისინი, ტომად და ტომად, მაგრამ, ნახე, როგორი წყალობა მიენიჭა მათ სასჯელის სახით... ბრძენმა მოძღვარმა თითოეულ ხალხს თავისი ენა მისცა. მისი მოძღვრება გარდამოვიდა მათზე წვიმასავით და სხვადასხვა ენათა ბგერები აღმოცენდა მათი ბაგეებიდან. დიდი სიმდიდრე გადმოუღვარა შეჭირვებულთ და უძვირფასესი ცოდნით გაამდიდრა ისინი. შეხედე, მათი სასჯელი მთელი სოფლის სამკაულად იქცა...”

ხოლო ამბროსი მედიოლანელი, მედიოლანის (აწინდელი მილანის) ეპისკოპოსი (339-397):

“ჩვენთვის დანაშაულს უფრო მეტი სარგებლობა მოაქვს, ვიდრე ზიანი. უფრო ნაყოფიერია, ვიდრე უბიწოება. უბიწოება ამპარტავნებას ბადებს ჩვენში, დანაშაული კი სიმდაბლეს... ბედნიერია ნანგრევი, რომელსაც უკეთესი აღმშენებლობა ელის”.

ჰოი, დანაშაულის ბედნიერებავ, რაოდენ საიდუმლოს იმარხავ და საცთურს იმის გამო, რომ ჩვენი დაცემის სიღრმით ჩვენივე სიმაღლე იზომება! მაშ, დავეცეთ, რათა გამოჩნდეს სიმაღლე?

პავლე მოციქული აცხადებს, რომ სადაც ცოდვამ იმრავლა, იქ გაუხვდა მადლი. და სვამს კითხვას: მაშ, დავრჩეთ ცოდვაში, რომ მადლმა იმრავლოს? და პასუხობს: არამც და არამც! (რომ. 5:20-6:1).

IX

აკრძალვა

წარწერა ‘‘შესვლა აკრძალულია’’ გიწვევს ოდისევსის სირინოზივით და არ არსებობს ძალა, რომელიც ადამიანს შესვლისაგან დააკავებდა. თავად განგებამ დააწყვილა ერთმანეთთან აკრძალვა და დარღვევა.

ეს წყვილია, ისტორიას რომ ამოძრავებს და ახალ-ახალ ჰორიზონტებს აჩენს თვალსაწიერზე.

როგორც უფლისწული, რომელიც კითხულობს წარწერას გზაჯვარედინზე ‘‘აქეთ წახვალ, ვერ დაბრუნდები’’ და მაინც მიდის და აუქმებს წარწერას.

ყველგან სხვაგან, სადაც შესვლა აკრძალული არ არის, ამაოება და სიცალიერეა.

***

ჰერაკლიტემ, ადამიანი მდინარის ერთსა და იმავე ნაკადში ორგზის ვერ შევაო. კეთილი. სხვა შორს წავიდა: არათუ ორგზის, ერთგზისაც კი შეუძლებელიაო შესვლა. ყოველი მეტაფორა აბსურდამდე მივა, თუ ყოფითი აზრით გავიგეთ. აბსურდია ღვარძლის დატოვება ყანაში მოსავლის აღებამდე იმის შიშით, ვაითუ, ყანის გამარგვლისას ღვარძლს ჯეჯილიც ამოყვეს. მაგრამ ქრისტეს იგავი ზედმიწევნით ზუსტია, მკაფიო და ცხადი. ხომ შეეძლო სიძის მომლოდინე იმ ათ ქალწულს, რომელთაც ვერ მოიმარაგეს საკმარისი ზეთი, ათი გონიერი ქალწულის სანათურის შუქზე დახვედროდნენ სიძეს, მაგრამ იგავი არა მოწყალებაზე, არამედ სხვისგან ნასესხები შუქის ამაოებაზე ლაპარაკობს.

მოსე, საული, მუხამედ დიბი და ქაშმირელი მწყემსი

ეგვიპტიდან ლტოლვილ მოსეს, რომელიც თავისი სიმამრის ფარას მწყესავდა სინის უდაბნოში, ცხვარი დაეკარგა და მის ძებნაში უდაბნოს "უკანა მხარეს" მოხვდა, სადაც ცეცხლმოკიდებულ მაყვლის ბუჩქს წააწყდა.

მოსემ დაკარგული ვერ იპოვა (წიგნი არც დაკარგვაზე და არც ძიებაზე არაფერს ამბობს, თუმცა თუ არა დაკარგულის კვალზე, ის ამ უცხო ადგილას როგორ მოხვდებოდა), მაგრამ ამ ერთი ბატკნის სანაცვლოდ მიიღო მისია, რომელმაც მისი ხალხის ბედი გადაწყვიტა.

ბენიამინელმა კიშმა ორი დაკარგული სახედრის საძებნად თავისი ძე საული გაგზავნა, რომელიც მხოლოდ იმით გამოირჩეოდა თავისი ძმებისგან, რომ ერთი თავით მაღალი იყო მათზე.

საული ამაოდ მოივლის ბენიამინის საზღვრებს, გადავა ეფრემში და აქ უფლისგან წინასწარ გაფრთხილებულ სამუელს შეხვდება, რომელიც მას საღვთო სუფრაზე მისთვის საგანგებოდ გადანახულ საუკეთესო ნაჭერს უწილადებს და ყველასგან ფარულად მეფედ ცხებს (თავზე მთელ რქა ზეთს დაასხამს).

სახედრები კი ამასობაში თავისით დაუბრუნდებიან პატრონს.

1945 წელს სამი არაბი მწყემსი ბიჭი იუდას უდაბნოში თავ-თავის არვეს (თხების ჯოგს) მწყესავდა. ერთ-ერთ მათგანს, მუხამედ დიბს, თხა დაეკარგა და მის ძებნაში ისე დაშორდა სამწყესურს, რომ მისთვის სრულად უცხო არემარეში - კუმრანის ქვაბულებში მოხვდა. აქ მიადგა ჭისებრ გამოქვაბულს, რომელსაც ჩასასვლელი ზემოდან ჰქონდა. იფიქრა, აქ ჩავარდებოდა ჩემი თხაო და შესამოწმებლად შიგ ქვების ჩაყრა დაიწყო. თხა იქ არ აღმოჩნდა, მაგრამ მუხამედ დიბი ისეთი აღმოჩენის ავტორი გახდა, რომელმაც ახალი ეტაპი შექმნა ბიბლიის შესწავლაში და ახალ მეცნიერებას - კუმრანოლოგიას დაუდო სათავე.

თიხის ჭურჭლებში დაცული II-I ს-ბის ბიბლიის ხელნაწერი გრაგნილები მუხამედ დიბმა თავის საჭიროებისამებრ გამოიყენა: პერგამენტი ქალამნების თასმებად დაჭრა და თავის მეგობრებსაც უწილადა. დანარჩენი ტყავები აბგით შინ წაიღო და კუთხეში ჩამოკიდა.

ასე ეკიდა ეს აბგა ამ კუთხეში ერთი წელიწადი, სანამ მისი ჟამი არ დადგა.

2002 წელს ქაშმირში მწყემსმა, რომელიც თავისი ცხვრების მოსაძებნად გაეშურა, შემთხვევით უძველეს ინდურ ტაძარს წააწყდა. მთებში დაკარგული ცხვრების ძებნისას მწყემსი ერთ პატარა გამოქვაბულში მოხვდა, სადაც 30-სანტიმეტრიანი შივას ქანდაკება იპოვა. მწყემსს ამ აღმოჩენისათვის ტურიზმის სამინისტრო ხუთის წლის განმავლობაში ტურისტებისგან შემოსული შემოსავლის 10 პროცენტს ჰპირდება.

აფუ-ანტილოპა

ლეგენდარული კოპტი აფუ, ვიდრე ოქსირინქის ეპისკოპოსი გახდებოდა, ველურ ცხოველებთან ერთად ცხოვრობდა უდაბნოში, რისთვისაც მას ანტილოპა, აფუ-ანტილოპა

შეარქვეს. ცხოველები მისი ერთგული მეგობრები იყვნენ. ზამთრობით ისინი თავიანთი სუნთქვით ათბობდნენ მას, საზრდელითაც კი ამარაგებდნენ. მხოლოდ წელიწადში ერთხელ, აღდგომა დღეს გამოჩნდებოდა ქალაქში ქადაგების მოსასმენად. როცა მისი ეპისკოპოსობა მოინდომეს, ვერსად ვერ იპოვეს იგი. ქალაქელებმა არ იცოდნენ მისი ადგილ-სამყოფელი. ბოლოს, მონაზონთა შორის გამოჩნდა კაცი, რომელიც მას ოდესღაც იცნობდა. მოძებნეს, მაგრამ მას არ სურდა თავისი მეგობრების დატოვება და ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდა. ბოლოს, აფუ-ანტილოპა მოინადირეს ისევე, როგორც ანტილოპებს ინადირებენ: დიდი სათხეველი მოისროლეს და გააბეს მასში. თუმცა მან გულსუწადინოდ მიიღო ეპისკოპოსობა, მაგრამ გულმოდგინე და მხურვალე მწყემსი გახდა. ადრე თუ თავის ანტილოპებს მწყესავდა, ახლა მისდამი მინდობილი ადამიანების მწყემსი, მათი აპა (აბბა) გახდა. თუმცა მას არც ძველი განდეგილობა დავიწყნია. შაბათობით ხალხს ტაძარში შეკრებდა, აღასრულებდა ლიტურგიას, გალობდა ფსალმუნებს და მთელი დღე მოძღვრავდა ხალხს. მწუხრზე კი დატოვებდა ქალაქს და მომავალ შაბათამდე, თავის აღმოსავლელ წინაპარ "გილგამეშიანის" ენქიდუს მსგავსად, რომელიც ასევე მონადირებული იყო, ველურ სამწყსოსთან ატარებდა დროს და მტაცებელ მხეცებს უგერიებდა მათ.

ასე, აპა აფუ-ანტილოპა ახორციელებს ადამის მოწოდებას, რომ იყოს მწყემსი მთელი ცხოველთა სამყაროსი, რომელიც შესაქმის მეექვსე დღეს მასთან ერთად გაჩნდა, გაურჩევლად ყველასი, არა მხოლოდ შინაურთა, არამედ გარეულთაც.

განა ადამმა არ დაარქვა მათ სახელები, რომ ერთმანეთი ცნობოდათ, და თავად არ ესაუბრებოდა მათ?

***

IV საუკუნის სირიელ ასკეტს აბბა არსენის ერთხელ გაუგონია ღვთის ხმა: "გაექეცი, არსენი, ადამიანებს და გადარჩები!" და ამიერიდან აღარ ესალმებოდა ადამიანებს და არც სალამზე პასუხობდა, არ ქველმოქმედებდა, არ ეშველებოდა გასაჭირში ჩავარდნილ მოყვასს, არ გაიღებდა მოწყალებას.

იყო ეს ღვთის ხმა, რომელიც მოესმა? ვინ იყვნენ ეს ადამიანები, რომელთაც გაურბოდა ქრისტიანი ასკეტი - ღვთის ხატნი არ იყვნენ?

შინაური ცხოველები

ადამიანმა კი არ მოიშინაურა ცხოველები, როგორც ჩვეულებრივ მიღებულია, არამედ თავად ცხოველები მისულან ადამიანთან, რომ მოშინაურებულიყვნენ. თავად მოშინაურდნენ, თავად მოიშინაურეს თავი. თავი დაუხარეს ადამიანს მის მორჩილებასა და მფარველობაში შესვლის ნიშნად. ამიერიდან ცხოველმა რაღაც დათმო თავისი ბუნებიდან - იგი ადამიანური გახდა (თუ შეურაცხმყოფელი არ იქნება - ის არტეფაქტია, ადამიანური კულტურის ნაყოფი) და ადამიანიც მისი გავლენით შეიცვალა.

ფილეტიზმი

კალისტო უეარს (Kalistos Ware) თბილისში ჰკითხეს, როგორ გახდი მართლმადიდებელიო? შემთხვევით შევედი ეკლესიაში, სიბნელე იყო, მომეჩვენა, რომ ეკლესია ცარიელი იყო. თვალი რომ შევაჩვიე, ვიგრძენი, რომ არც ისე ცარიელი ყოფილა... ირგვლივ ხატები, კედლებზე ფრესკები...

ექვსი წლის შემდეგ, 1958 წელს, შაბათს, ნაშუადღევს ისევ შევედი და ბერძენ მღვდელს ვუთხარი, ამ ეკლესიაში მინდა ვიარო-მეთქი. "ეს ბერძნების ეკლესიაა". "ხომ ჭეშმარიტი ეკლესია არის-მეთქი?" "კიო, მაგრამ ბერძნებისთვისო".

ბერძენი მღვდლის ფილეტიზმი (ქრისტიანობას რომ ნაციასთან აიგივებს) კალისტო უეარმა, როგორც ჩანს, განსასჯელად ღმერთს მიანდო, თავად კი მართლმადიდებელი გახდა. ახლა ის არქიმანდრიტი და მიტროპოლიტია ოქსფორდში.

არც ერთი ბიზანტიელი (*რომაიოს*) - არა თუ სამღვდელო პირი, მეწაღეც კი - ამას არ იტყოდა. ბიზანტიამ ბოლომდე გაუძლო ნაციონალურ ელინურ შემოტევას. ის დაეცა, მაგრამ დაეცა როგორც უნივერსალური ქრისტიანული სამეფო, რომელიც თავის მოსახლეობას ეროვნების მიხედვით არ განარჩევდა. მისი ეროვნება აღმსარებლობა იყო.

პროვიდენცია

ყველამ და ყველაფერმა იზრუნა იმისათვის, რომ იოსები ეგვიპტეში მოხვედრილიყო: ჯერ თავისი სიზმრებით, გულუბრყვილოდ რომ უმხელდა მამას და ძმებს; იაკობმა მისდამი გამორჩეული სიყვარულით, როცა უცხო სამოსელით შემოსა და ასევე რაღაც მეექვსე პროვიდენციული გრძნობით, როცა სასიკვდილოდ გადამტერებული ძმების მოსაკითხად და მათი ამბის მოსატანად სამი დღის სავალზე გაგზავნა მარტოდმარტო (რომ გზა აბნეოდა, - და აებნა კიდეც - რომ ძმებთან მისვლამდე იქნებ მოტაცებულიყო და ამ გზით ეგვიპტეში ჩაყვანილიყო); ძმებმა შურით და სიძულვილით; და კვლავ სიზმრებმა, რომელთაც დაღუპეს, ახლა კი დილეგიდან ამოიყვანეს, რათა საბოლოოდ ფარაონის მარჯვენით დამჯდარიყო.

და, როცა მამის სიკვდილის შემდეგ შეშინებული ძმები დაემხნენ მის წინაშე, შეუნდე ცოდვა მამაშენის ღმრთის მსახურებსო, მან მიუგო:

“ნუ გეშინიათ, ღმერთი ხომ არა ვარ? თქვენ ბოროტი განიზრახეთ ჩემთვის, ხოლო ღმერთმა სიკეთედ ჩათვალა, რათა ისე მომხდარიყო, როგორც მოხდა: მრავალი ხალხის სიცოცხლე ეხსნა” (დაბ. 50:19-20).

მაგრამ ასე უმტკივნეულოდ არ მთავრდება საქმე. ქრისტე ამბობს:

“ძე კაცისა კი მიდის, როგორც დაწერილია მასზე, მაგრამ ვაი იმ კაცს, ვის მიერაც გაიცემა ძე კაცისა. უჯობდა იმ კაცს, არ დაბადებულიყო” (მ. 26:24).

პროვიდენცია არ ამართლებს ადამიანის ბოროტ საქციელს, თუმცა მისი მეშვეობით ახორციელებს თავის ჩანაფიქრს.

იოსებმა შეუნდო ღმერთს, ღმერთმა კი შეუნდო?

მწვალებლობის საზრისი

ხასიდის კვალზე, რომელიც ამბობდა, რომ ყველა საგანი თუ მოვლენა, თუნდაც ადამიანის ხელით შექმნილი, რაღაცას ისწავლებაო, ვიკითხოთ, რას ისწავლებოდა მწვალებლობა ეკლესიის ისტორიაში?

კრულია მწვალებელი, ვინც ქრისტეს ჭეშმარიტ მოძღვრებას გადაუხვია და საკუთარის ქადაგებას შეუდგა. მაგრამ მივაგოთ მას პატივი იმის გამო, რომ მისმა გადახვევამ მოძღვრების დოგმატურ გამოხატულებაში ხარვეზი აღმოაჩინა, რამაც “შეკეთების” საჭიროება წარმოშვა. ამ შეკეთების მიზნით იკრიბებოდა მსოფლიო კრებები, თითოეული კრება (მართლმადიდებელი სამყარო შვიდს ითვლის) რომელიმე ახლადგამოჩენილი მწვალებლობის გაბათილებას ეძღვნებოდა, რისი შედეგი ალმასებრ განუკვეთელი დოგმატი იყო.

პროვიდენცია არ ამართლებს ჭეშმარიტებისგან გადახვევებს, თუმცა მათი მეშვეობით ახორციელებს თავის ჩანაფიქრს.

მწვალებლობის საზრისი

ხასიდის კვალზე, რომელიც ამბობდა, რომ ყველა საგანი თუ მოვლენა, თუნდაც ადამიანის ხელით შექმნილი, რაღაცას ისწავლებაო, ვიკითხოთ, რას ისწავლებოდა მწვალებლობა ეკლესიის ისტორიაში?

კრულია მწვალებელი, ვინც ქრისტეს ჭეშმარიტ მოძღვრებას გადაუხვია და საკუთარის ქადაგებას შეუდგა. მაგრამ მივაგოთ მას პატივი იმის გამო, რომ მისმა გადახვევამ მოძღვრების დოგმატურ გამოხატულებაში ხარვეზი აღმოაჩინა, რამაც "შეკეთების" საჭიროება წარმოშვა. ამ შეკეთების მიზნით იკრიბებოდა მსოფლიო კრებები, თითოეული კრება (მართლმადიდებელი სამყარო შვიდს ითვლის) რომელიმე ახლადგამოჩენილი მწვალებლობის გაბათილებას ეძღვნებოდა, რისი შედეგი ალმასებრ განუკვეთელი დოგმატი იყო.

პროვიდენცია არ ამართლებს ჭეშმარიტებისგან გადახვევებს, თუმცა მათი მეშვეობით ახორციელებს თავის ჩანაფიქრს.

***

თუ დავსვამთ კითხვას: სად არის კულტურა? ვპასუხობთ: ყველგან, სადაც ადამიანის ხელია, და არა მარტო იქ, არამედ იქაც, სადაც მხოლოდ ადამიანის თვალია. ადამიანს ბუნების აღქმა და ცნობა მხოლოდ ადამიანური კუთხით შეუძლია, *sub specie humanitatis*. როგორ გამოიყურება *დაუნახავი*, ადამიანისგან თვალშეუვლელი ბუნება? რასაც თვალი ხედავს, ეს ბუნების ადამიანური მხარეა, მისკენ მისთვის გასაგები კუთხით მოქცეული. ველური ბუნება, უკაცრიელი *უხილავია*, ვინაიდან, თუ ნახე, ის აღარ არის უკაცრიელი. თუ არ გინახავს, ვერაფერს იტყვი მის უბიწოებაზე.

მხოლოდ ადამიანის თვალის ერთი გადავლებაც კი ტვირთავს მას პრაგმატულ-გამოყენებითი, მხატვრულ-ესთეტური და სიმბოლური ღირებულებებით.

შეუძლია კი ადამიანს უტილიტარული ან სიმბოლური თვალით არ შეხედოს ბუნებას?

უცხო ლანდშაფტში ადამიანს მხოლოდ იმის დანახვა შეუძლია, რისთვისაც ის შემზადებულია. ამის თვალსაჩინო ილუსტრაციაა ანეკტოტი გენერალზე, რომელსაც მცხეთის ჯვრიდან გაშლილი პანორამის ხილვისას აღმოხდა: Какой наблюдательный путкт!

ამას ხომ არ გულისხმობდა ლევი-სტოსი, როცა "ნაღვლიან ტროპიკებში" წერდა: "ქალწულებრივი ბუნება ჩვენთვის უცნობია: ჩვენი პეიზაჟი მთლიანად არის ადამიანს დამორჩილებული".

X

"თქვა ბედუინმა"

როცა არაბი გრამატიკოსები ვერ შეთანხმდებოდნენ რომელიმე მორფოლოგიური თუ სინტაქსური ფორმის სისწორეში, ყურანს ან სხვა, დღეს კლასიკურად მიღებულ წიგნს კი არ იმოწმებდნენ, არამედ უდაბნოში გადიოდნენ და ბედუინისგან იღებდნენ პასუხს და, რა პასუხსაც მიიღებდნენ მისგან, კლასიკურ ნორმადაც იმას აღიარებდნენ. შუასაუკუნეების არაბულ გრამატიკულ ტრაქტატებში ხშირად შეხვდებით ფრაზას *კაალა ბადავიი*. არც სახელი, არც მამის სახელი, არც მამის მამის სახელი და ა. შ., მხოლოდ და მხოლოდ "თქვა ბედუინმა". რომელმა ბედუინმა, ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. რაკი ბედუინმა თქვა (და გრამატიკოსის დამოწმებაში არავინ ეჭვს არ შეიტანდა, ვის მოუვიდოდა აზრად, მცდარი ფორმა ბედუინის ავტორიტეტით გაემართლებინა), მაშ, ასე ყოფილა. სხვა არგუმენტის მოყვანა არ ევალებოდა გრამატიკოსს.

როგორც ანკარა წყალს მდინარის სათავეში, ასევე სწორ მეტყველებას უდაბნოში ბედუინებთან ეძებდნენ. უდაბნოს კარვებში ისმოდა სუფთა არაბული ენა: *ალ-ლუღათ ალ-*

ყარაბიათ ალ-ფუსხა. ეს უკანასკნელი სიტყვა *ფუსხა*, როგორც არაბული ენის ტრადიციული ეპითეტი, ნიშნავს "ნათელს", "მკაფიოს", "სუფთას".

დასავლურმა ცივილიზაციამ იმდენად გააუცხოვა კულტურული არაბები მათ თანამემამულე ბედუინებისგან, რომ გაჭირვეულებულ ბავშვებს მათი სახელის ხსენებით აშინებდნენ: *ჯაა'ა ბადავი*! "მოვიდა ბედუინი!"

თუმცა ამ დროსაც მათ ბაგეებში კვლავ ნათელი, მკაფიო, სუფთა არაბული გაისმოდა.

ეთნოსი და ერი

კულტუროლოგიური კუთხით თუ შევხედავთ, ეთნოსი ბუნებრივი მოცემულობაა, ის ხალხის სპონტანური მდგომარეობაა, რომელიც მოითხოვს გარდაქმნას, ახალ რეალობად შექმნას, მის ახალ, თვისობრივად სხვა საფეხურზე აყვანას. ეთნოსი მასალაა ერისათვის. ამ მასალაში სისხლისმიერი წარმოშობა გადაილახება და ერთობა სხვა საფუძველზე ყალიბდება. ეს საფუძველი არ არის ფიზიკური ხასიათისა, როგორიც არის სისხლი. ის ვირტუალური ხასიათისაა, მას იდეალური სახე აქვს. *ერთი სისხლი* ერთიანობის მხოლოდ სიმბოლო შეიძლება იყოს.

რაკი ეთნიური შეგნება თავის ერთიანობას ნივთიერი სისხლისა და თესლის ერთობაზე ამყარებს, ის წარსულისკენ არის ორიენტირებული (მამის აქტი წარსულშია განხორციელებული), მაგრამ თუ ამგვარად გაგებულ ეთნოსს სურს გახდეს ერი, რომლის ძირითადი განსაზღვრულობა დღეს სახელმწიფოა, უნდა უარყოს სისხლის ნათესაობა, როგორც საფუძველი, და ასევე შეცვალოს ორიენტაცია.

"ნუ ფიქრობთ, მამად აბრაამი გვყავსო. რადგან, გეუბნებით თქვენ, ღმერთს შეუძლია ამ ქვებიდან აღუდგინოს აბრაამს შვილები" (მ. 3:9).

ნუ იკვეხით ქართლოსიანობით. იზრუნეთ, რომ ქართლოსიანობა ყველასათვის მისაბაძი გახადოთ.

არა გამუდმებული ფიქრი იმაზე, თუ როგორი იყო ჩვენი წარსული, რანი ვიყავით გუშინ, არამედ იმაზე, თუ რა გვინდა ვიყოთ, როგორი უნდა იყოს მომავალი. სახელმწიფო შენდება არა წარსულისთვის, არა ჰამლეტის მამისთვის, აჩრდილისთვის, არა გარდასული, ხშირად წარმოსახვითი დიდების აღსადგენად, არამედ მომავლისთვის, სხვა დიდებისთვის.

ყურგახვრეტილი მონა

მოსეს რჯული ავალდებულებს მონის პატრონს, ებრაელს, ექვსი წლის თავზე უსასყიდლოდ გაათავისუფლოს ებრაელი მონა. თუ ცოლიანია, ცოლთან ერთად გაუშვას. თუ პატრონმა დააცოლშვილა, ცოლსაც და შვილებსაც პატრონი დაიტოვებს, პატრონის მონებად დარჩებიან. მონა ისევე მარტო წავა პატრონისგან, როგორც მოვიდა.

მაგრამ "თუ მონა იტყვის: მიყვარს ჩემი პატრონი და ჩემი ცოლ-შვილი, არ მინდა თავისუფლება, მიიყვანოს მისმა პატრონმა იგი ღვთის სამსჯავროზე, მიაყენოს კართანYან წირთხლთან და სადგისით გაუხვრიტოს ყური, და მისი მონა იქნება სამუდამოდ" (გამ. 21:5).

თავისუფლების ზღურბლთან მდგარი მონა დილემის წინაშე აღმოჩნდა: თავისუფლება თუ სიყვარული?

თუ ეს სიტყვა - სიყვარული მის ბაგეში მხოლოდ ევფემიზმია მარტოდ დარჩენის შიშის გამოსახატავად?

ან არ შესწევს მას ძალა, იყოს საკუთარი თავის უფალი.

ან, რაც იგივეა, არ შესწევას ძალა, იყოს პასუხისმგებელი თავისი თავისა და ცოლშვილის წინაშე.

და ისევ ყურგახვრეტილი მონის ხვედრს არჩევს.

ოქროსფერი ხბო

გერმანელ მისტიკოსს იაკობ ბოემეს ასეთი გამოცდილება-განსაცდელი ჰქონია სიჭაბუკეში: სამწყესურში, როცა ის სხვა ამხანაგებთან ერთად ძროხებს მწყესავდა, დაკარგული ხბოს საძებრად წასული მოულოდნელად აღმოჩნდა გამოქვაბულის წინ, რომელშიც ოქროთი სავსე უზარმაზარი ქვაბი იდგა. ამ სახილველმა ისე შეძრა ყმაწვილი, რომ თავზარდაცემული გაექცა იქაურობას. მას შემდეგ იმ ადგილებში გამოქვაბული აღარასოდეს უნახავს. გამოქვაბულს მასში დაუნჯებული განძითურთ, როგორც ხევსურები იტყვიან, საფარველი დაედო. მხოლოდ ერთხელ, როცა ჟამი დადგა, გაისხნა, შეასრულა თავისი მისია და დაიხურა. იქნებ კიდევ სხვა თვალის მოლოდინში?

ბოემეს ბიოგრაფები ამ ფაქტს რატომღაც მის მომავალ მისტიკურ გამოცხადებასთან არ აკავშირებენ.

დროის ეფემერა

მამა იტყოდა, ეს ყველიერი რომ წავიდაო და მოვიდა დიდი მარხვაო, აღების ღამეაო და ამ აღების ღამესაო, კვირა ღამესო, დაჯდა სამი კაცი კერაზედ და კვერცხები ნაცარში დააწყვესო, სამი ცალიო და ლაპარაკობენ, საუბრობენო. ამ კაცებს, წესი იყო, ამ კვერცხით უნდა დაემარხულათო. გინდ ხორცი ჰქონიყო, გინდ ერბო ჰქონიყო, იმით არ დაიმარხულებდნენო, საბოლოოდ კვერცხით დაიმარხულებდნენო. ჰოდა, უნდა შეჭამონ ეს კვერცხი და დაიძინონო. შვიდმა კვირამ ისე განვლო, რო დილა რო გათენდაო, "ქრისტე აღდგაო", დაიძახესო. და ამ სამმა კაცმაო, ისეთი ნაწილიანი ხალხი იყო, რო ისე გაატარეს ეს ღამეო, რო შვიდმა კვირამ განვლო და ვერ გაიგეს, როგორ გავიდა ეს დროო. ეს კვერცხები ისევ ცეცხლშიაო და "ქრისტე აღდგაო" უთხრესო. და მიიხედ-მოიხედეს, ეს რა მოხდაო.

"კვერცხები ისევ ცეცხლშია" - არც შემწვარან, არც დამწვარან. შეუწველი კვერცხები წამის მეტაფორაა. დრო არ გასულა, მაგრამ მაინც დიდმარხვის ორმოცი და ვნების კვირის შვიდი დღე გასულია, რაც იმას ნიშნავს, რომ მთელი ეს განვლილი დრო ერთ უპროცესო წერტილოვან წამს მოუცავს. დრო გავიდა, რაკი აღდგომის დღე მოვიდა, მაგრამ ის წამი მარადისობამ ჩაიხუტა.

მონის მონა

ბაბილონში არსებობდნენ მონები, რომელთაც ჰქონდათ საკუთარი მეურნეობა, უძრავი ქონება, სახნავ-სათესი, ჰყავდათ ჯოგები და საკუთარი მონები, რომელთაც ყიდულობდნენ, ყიდდნენ, აქირავებდნენ...

აი, ერთი ნასყიდობის დოკუმენტი:

"ნაბუ-ეტირმა, თაბნი-ეას ძემ, შანაშიშუს შთამომავალმა, თავისი მონა ნაბუ-ლუსალიმი, რომლის მაჯაზე წინა პატრონის შამაშ-იბნის სახელია დაწერილი, 5/6 სიკილა ვერცხლად, შეთანხმებულ ფასად, მიჰყიდა ნაბუ-რემუ-შუქუნს, სელიმ-ბელის მონას."

მონის პატრონი, თავის მხრივ, ხშირად ვიღაცის მონა იყო.

ხშირად მონა თავისუფალ კაცს იმსახურებდა შიკრიკად, წინ და უკან დარბენინებდა. მაგრამ ეს შიკრიკი თავისუფალი კაცი იყო.

ხშირი იყო შემთხვევა, რომ უზომოდ გამდიდრებულ მონას შეეძლო გამოესყიდა თავისი გაღარიბებული პატრონი სავალო პატიმრობიდან. თუმცა ის პატიმრობაშიც თავისუფალი იყო. პატიმარი აზნაური - აზნაურად, კაპიტალისტი მონა მონადვე რჩებოდა. მის მაჯაზე ან მკლავზე წარწერილ პატრონების სახელებს ვერავითარი კაპიტალი ვერ ამოშლიდა. ამას ის თავადაც ვერ

მოინდომებდა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მხოლოდ თავისუფალს შეუძლია თავისი ბედის უფალი იყოს.

სხვანაირად: თავისუფლება რომ ისურვო, თავისუფალი უნდა იყო.

თივა და ბალახი

გრიგორი ტურელი (538-593) "ფრანკების ისტორიაში" წერს:

"როცა ლაშქარი ტურის ოლქს მიადგა, ხლოდვიგმა წმიდა მარტინისადმი მოწიწების ნიშნად ბრძანება გასცა, რომ ამ ოლქში ხელი არაფრისთვის ეხლოთ, გარდა ბალახისა და წყლისა. მაგრამ ერთმა ჯარისკაცმა, ღატაკ გლეხს თივა რომ უნახა, თქვა: "განა მეფემ არ ბრძანა, მხოლოდ ბალახი და წყალი აიღეთ, სხვა არაფერიო? და ეს ხომ ბალახია, მეტი არაფერი. მისი აღებით მეფის ბრძანება არ დაირღვევა". როცა მეომარმა თვითნებურად გამოართვა გლეხს თივა, მეფეს ეცნობა ეს ამბავი. მეფემ დაუყონებლივ ხმლით აჩეხა დამნაშავე და თქვა: "როგორ უნდა ველოდოთ გამარჯვებას, თუკი ნეტარ მარტინს შეურაცხვყოფთ?" (II.37).

ხლოდვიგმა ამ ბრძანებით ნება დართო, ესარგებლათ ამ მხარის ბუნებრივი რესურსებით, როგორიც არის ბალახი და წყალი, მაგრამ აკრძალა ისეთი საგნის აღება, რომელზეც ადამიანის შრომაა დახარჯული. ასეთია თივა, ადამიანის ხელით მოთიბული და დაბინავებული.

ბალახსა და თივას შორის მხოლოდ ის განსხვავება არ არის, რომ ერთი ნედლია, მეორე ხმელი. თივა მხოლოდ იყო ბალახი.

ფრანკების პირველი ქრისტიანი მეფე თავისი ბრძანებაში ნამდვილად თვითმყოფად შემეცნება-გამოცდილებას ემყარებოდა.

XI

ან, ან

ფიოდორ დოსტოევსკი წერს ძმას მიხეილს, 1846 წლის 1 აპრილს:

«Я или очень рано приеду к вам, или очень поздно, или даже совсем не приеду».

26 აპრილს: «...или сам явлюсь к Вам собственной особою, или не явлюсь совсем в целое лето».

ამავე წერილში: «Может быть, я приеду с ними, а может быть и нет».

16 მაისს: «Вероятно, да и всего вероятнее, что мы просто не увидимся, брат, и что я не приеду».

25 მაისს ძმები მაინც შეხვდნენ ერთმანეთს.

"ან, ან..."

"ან ძალიან ადრე", "ან ძალიან გვიან", "ან სულაც არ"..…

ეს უბრალო ყოყმანია თუ მომავლისადმი უიმედობის განცდა? თუ ალტერნატივებია, რომელთა წინაშე მუდმივად დგას ადამიანი, არჩევანის ან გაუთვალისწინებელი ხდომილების მოლოდინში?

ასეა თუ ისე, აქ არის მთელი დოსტოევსკის ეკსისტენცია - მოულოდნელი, არაპროგნოზირებადი, თავისუფალი ნებისა და დასაზღვრულობის ნაზავი, რომელიც აწვება მას გადამწყვეტ წუთებში...

ასეთია დოსტოევსკის პერსონაჟების ქცევის ფორმულა, რომელთაგან პირველი კოლეგიის ასესორი გოლიადკინია ("ორეული"). სწორედ 1846 წლიდან გახდა რუსულ ლიტერატურაში ცნობილი ეს ტიპი, რომელმაც დასაბამი დაუდო უსახელო ინტელექტუალ იატაკქვეშელთან ("ჩანაწერები იატაკქვეშიდან") ერთად უცნაური ქცევის პერსონაჟებს.

როგორ იქცევა გოლიადკინი თავისი ცხოვრების გადამწყვეტ მომენტში? როცა გადაწყვეტს, რომ არ გააკეთოს ის, რაც იცის რომ დაღუპავს, სწორედ მაშინ აკეთებს («Не пойти ли

домой? Черти бы взяли все это! Иду да и только! და შინ წასვლის ნაცვლად უცხო სახლში შედის, სადაც იცის, რომ თავი მოეჭრება).

რა წამს ადამიანი იღებს გადაწყვეტილებას, იგივე წამია, როცა იმის საწინააღმდეგოდ იქცევა, რაც გადაწყვიტა. თუმცა, შესაძლოა, ზედაპირზე, გარეშე დამკვირვებლის თვალში ჩანდეს ასე, მაგრამ გადაწყვეტილება სიღრმეში, ძალიან შორიდან მზადდებოდეს.
იქნებ ასეთია მისი ქვეყანა და მისი საიდუმლოც ეს არის?

კაენის ცივილიზაცია

პარადოქსული ვითარება შეიქნა: მწყემსი აბელი, რომლის მსხვერპლს და ცხოვრების წესს ღვთისგან დასტური ჰქონდა, მკვდარია; ხოლო მიწათმოქმედი კაენი, რომლის პიროვნება ღმერთმა არ შეიწყნარა, ცოცხალია. მეტიც, კაცობრიობა მის კვალზე აშენდა.

ვიცით, როგორია კაენის ცივილიზაცია. შიშისა და ძრწოლისაგან მოძებნა ადგილი, სახელად *ნოდ* (“ძრწოლა”), თავისი ბედის შესაფერი, გალავანი შემოავლო და დამკვიდრდა, თუმცა შიშსა და ძრწოლას არ მიუტოვებია. მის დასაძლევად მიწას მიეჯაჭვა, შემოღობა. მიწათმოქმედმა არ იკმარა ხვნა-თესვა, კიდევ უფრო ღრმად გახსნა მიწის მკერდი და რკინისა და რვალის საჭურველთა მჭედელი გახდა. მკვლელობები გახშირდა, ღვთის სახელი კი მის მოდგმაში არ ისმოდა. ცოდვა გამრავლდა, რჯული კი არ ჩანდა, არც მადლი. ეს იყო ურბანისტულ-ინდუსტრიული, პირწმინდად მატერიალურ დოვლათზე დამყარებული უღვთო ცივილიზაცია, რომელიც დღემდე გრძელდება.

პრომეთე

ისტორიამ არ იცის, ვინ იყო პრომეთე, სანამ მისგან ესქილე უდანაშაულოდ დასჯილ ტრაგიკულ ფიგურას შექმნიდა.

ვინ იყო ის, რომლის სახელი “წინასწარმჭვრეტელს” ნიშნავს, მაგრამ ვერ განჭვრიტა ბოროტება, რაც ცეცხლმა მცირე სიკეთესთან ერთად (ცხოვრობდნენ ხალხები - დღესაც აქა-იქ - უცეცხლოდ) მოუტანა კაცობრიობას, არ დაელოდა განვითარების ალტერნატიულ გზას, რომელსაც ზევსის კურთხევა ექნებოდა? ის, ვინც კაცობრიობა ფუჭი იმედებით აავსო, რასაც თავად ესქილეც არ უარყოფს? იმ არსების ნათესავი ხომ არა, რომელმაც გველის მეშვეობით შეაღწია სამოთხეში და კაცობრიობის წინაპრებს აკრძალული ხის ნაყოფი მოაწყვეტინა?

ისტორიამ მიივიწყა (დავიწყების მალამოც მისი ნახელავია) შორსმჭვრეტელი ტიტანის ორლესული ღვაწლის მეორე მხარე; ისე შეეთვისა კაცობრიობას, რომ მისი დასჯის მოტივი არა ცეცხლის საიდუმლოს გაცემა, არამედ ათინას სიყვარული თუ მისი მოტაცების მცდელობა გახდა.

ახალი დროის დასაწყისში ჯონ მილტონმა, შემდეგ ბაირონმა და მათ კვალზე ლიბერალურმა მიმდინარეობებმა დაცემული მთავარანგელოზის, კაენისა და სხვათა, ბოროტების პარადიგმულ სახეთა რეაბილიტაციით ნებსით თუ უნებლიეთ აღადგინეს სხვადასხვა დასის გნოსტიკოსთა - ოფიტთა, კაენიტთა, ნაასენთა და სხვათა თვალსაზრისები ბოროტი დემიურგისა და მის მოჯანყე, კაცთა მოდგმის მოსარჩლე და კეთილისმყოფელ არსებათა შესახებ.

მანდილი

გაიგონებთ უცნაურ პრეტენზიას: რა არის ეს დედაკაცების თავსაფრიანობა ეკლესიაში? შეურაცხმყოფელია ეს მოთხოვნა, ეს ხომ თავისუფლების შეზღუდვაა და ა. შ. უცნაურია ეს პრეტენზია მამაკაცების უქუდობის ფონზე. ფემინისტების გასაგონად უნდა ითქვას: შეურიგდით ამ ფორმალურ განსხვავებას დედაკაცსა და მამაკაცს შორის - ერთის თავსაფრიანობას, მეორის

უქუდობას (ეს ერთი ნიშანი მაინც დარჩეს, თუნდაც ეკლესიაში). თუმცა მეორის მიმართ პრეტენზია არ ჩანს. ვერავინ მოუწონებს მამაკაცს არათუ ეკლესიაში, ღვთის სახლში, არამედ საცხოვრებელ სახლში, თუნდაც საკუთარში ქუდდახურულად შესვლას. კაცი მოწიწებით ქუდს იხდის, ქალი კი ამავე მოწიწებით საკუთარი თავისა და საზოგადოების მიმართ მანდილით იმოსება. მამაკაცს ეკრძალება ქუდის დახურვა, დედაკაცს - მანდილის მოხდა. ერთი აჩენს შიშველ თავს, მეორე ფარავს. რატომ ხდება ასე? ვინ დააწესა? ან რას ეფუძნება ეს წესი, სქესთა შორის განსხვავების რა მეტაფიზიკას? რატომ? რატომ და იმიტომ - უკეთესი პასუხი ამ კითხვას ვერ გაეცემა. ტრადიციაში წესის ძალა სწორედ იმაშია, რომ არავინ იცის და არც არავინ ეძებს მის საზრისს.

“ქალი თავის სოფელში ყოველთვის უმანდილოდ დადიოდა, ქმრეულებს კი უმანდილოდ ვერ ეჩვენებოდა. მათ მოსვლაზე მაშინვე სახლში შევიდოდა, მანდილს დაიხურავდა და ასე მივიდოდა მათთან”.

“ხევსურის ქალს რომ ითხოვდა ვინმე, ის მაშინვე მანდელის ხვევას დაიწყებდა და საქმროს ნათესავებს უმანდელოდ არ ეჩვენებოდა”.

“ქალი მაშინ დაიწყებდა უმანდილოდ სიარულს, როცა ქმარს სწუნობდა”.

ეს ეთნოგრაფიული ცნობები თვალნათლივ გვაჩვენებს, რომ მანდილი ქალის მდუმარე მეტყველებაა. მანდილი ნიშანია, როგორც ბეჭედი, რომლითაც ის თავის სოციალურ ვინაობას აცხადებს.

ისევ *ესენი*?

კირილე ვეკუა, ქიმიკოსი, ემიგრანტი, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი. ჩამოსული იყო თბილისში. ტელევიზორში ერთ გადაცემას რომ უყურა, კიდევ ისეთები არიან ესენიო? (არ შეცვლილანო?). და ამის შემდეგ ტელევიზორთან ზურგშექცევით ჯდებოდა, აღარ შეუხედავს ეკრანისთვის. ზრდილი კაცი იყო, არ მოუთხოვია, ხმას დაუწიეთო. მერე დაბრუნდა უკან და მეტჯერ აღარ ჩამოსულა.

***

ბარონი დავიდ გინცბურგი (1857-1910) - ბანკირი, აღმოსავლეთმცოდნე (იუდაისტი, არაბისტი), პეტერბურგის ებრაელთა თემის წინაძღოლი, ხელნაწერთა და წიგნთა უნიკალური კოლექციის დამაარსებელი პეტერბურგში, მეცენატი და სხვა და სხვა, როგორღაც ნიკოლოზ მეორესთან ერთად კარეტით მიემგზავრებოდა. ამის შემხედვარე ერთ გამვლელს გაკვირვებით აღმოხდა: ამას რას ვხედავ, ხელმწიფე იმპერატორი ურიის გვერდით ზის კარეტაშიო?! სტაცეს ამ კაცს ხელი და ბარონის შეურაცხყოფისთვის საპყრობილეში დაუპირეს გაგზავნა. ხოლო მადლიერმა ბარონმა იმისთვის, რომ მას მისი ებრაელობა შეახსენა, ოქროს მანეთი აჩუქა და გაათავისუფლებინა.

ყოველი ებრაელი მადლობს ანტისემიტს, რომ მას ახსოვს და სხვასაც არ ავიწყებს, რომ ამქვეყანაზე ებრაელები არსებობენ.

კუნკულიშვილი

ავტობუსში ვაკიდან დელისამდე. კაცი ზის უკანა რიგში, მეცნობა. ვინ უნდა იყოს? მის გვერდით მჯდომი ვიღაც ჩადის, მე წინ მივიწევ. მობრძანდით, მეუბნება. ვჯდები. ვიწყებ კითხვას. გადმომხედა, თქვენ ესა და ეს არ ხართო? დიახ. მე ჯაფარიძე ვარო. დავითი ახსენა, დედაჩემს დავითი ბიძაშვილი ჰყავდა-მეთქი (ეს რა ამ სიტყვის პასუხი იყო?), დინამოსთან ცხოვრობდა. დედამისი ჯაფარიძე იყო, ონჭევიდან-მეთქი. კაცი ამ ჯაფარიძეების ნათესავი

გამოდგა. თავადიშვილები იყვნენ-მეთქი ონჭეველი ჯაფარიძეები. ასეაო. რა არის თქვენი მეორე გვარი? - კუნკულიშვილი. ვახუტა, ჩემი სკოლის მეგობარი, კუნკულიშვილი იყო. უჩა ჯაფარიძეც კუნკულიშვილი იყო, ოღონდ ღარიდან (თუმცა რა აშორებს ერთმანეთისგან ღარსა და ონჭევს? ერთი მთა, რიონსა და ჯეჯორს შორის). ამ კაცს იოსები ჰქვია, მოგრძო სახე აქვს, კეთილშობილი. იქვე მისი ცოლიც მდგარა (ნეტავ, რატომ არ იჯდა?), ჩავიდეთო, დელისთან ჩადიან. იოსებ, კუნკულიშვილებში შიდაქორწინება თუ მოდის? (საკითხავი იყო?). აჰ, არ შეიძლება. სხვა ჯაფარიძეებთან ქორწინდებით? არა, მაინც ერთნი ვართ. აჭარელი ჯაფარიძეებიც, სვანებიც? არა, ეგენი არა. სხვები არიან. მიგამგვანეთ და, ვიფიქრე, ვკითხავ-მეთქი. ჩვენ ეზოში ონში ნამყოფი ყოფილა, იღიმებოდა, როცა ჩვენი ეზო ვახსენე. ჯაფარიძემ უანდერძა-მეთქი წულუკიძეს, ბაბუაჩემს. ვიციო, ის ქვაც ვიციო, ის წარწერაც, ის ფიჭვებიც, რიონის პირიც, რიონის შხივილიც - ეს სიტყვა წერია იმ ქვაზე. ეღიმებოდა, როცა იმ ქვაზე ვლაპარაკობდი. იოსებ ჯაფარიძე-კუნკულიშვილი.

XII

შარაგზა და ბილიკები

კეთილი, თანახმა ვარ, ამბობს ფეოდორ დოსტოევსკის *იატაკქვეშელი კაცი* (подпольный человек), რომ ადამიანს მისჯილი აქვს მიზნისკენ სწრაფვა. შარაგზა გაჰყავს მომავლისკენ, რაღაც მიზნისკენ და მიდის ამ გზაზე. და სწორედ იმიტომ, რომ ის განწირულია მომავლისთვის, მას სურს ხანდახან გადაუხვიოს ამ გზას, იაროს თავისი ბილიკებით, მზად არის გზა-კვალიც კი აერიოს, ოღონდ თავისი საკუთარი გზით იაროს, განმარტოვდეს თავის თავთან, ერთხელ მაინც თავის სიცოცხლეში... საბოლოოდ ხომ მაინც მოძებნის და გაუდგება საყოველთაო შარაგზას... საბოლოოდ ღმერთი ყურით მიიყვანს ისტორიის მიზნამდე.

მისი პერსონაჟები სულმუდამ პეტერბურგის პერიფერიაზე მოძრაობენ, რაღაც მანქანებით თუ მოხვდებიან ნევის პროსპექტის მაგისტრალზე, იბნევიან, თავს უხერხულად გრძნობენ, ფეხებიც კი ეჩორთებათ, და ისევ გადაუხვევენ, უბრუნდებიან განაპირა ქუჩებს, რომლებიც იქვე, მაგისტრალთან შორიახლო თავისთვის მიედინებიან.

რა არის ეს აჩემებული ისტორიის მაგისტრალი? შარაგზა, რომელსაც კაცობრიობა მიუყვება, სადაც, ამ ბრბოში ადამიანი იკარგება, გაცამტვერებულია. არავის არ სჭირდება. ის პროტესტის ნიშნად იატაკქვეშ ჩადის, იქ მკვიდრდება, იქ ფიქრობს, იქ აზროვნებს. ეს არ არის ისტორია? ადამიანის ისტორია? ამ იატაკქვეშეთში არ სცემს მარკ ბლოკს "ადამიანის სუნი"? უეჭველად. და ის, როგორც კაციჭამია, მიდის ამ სუნზე მაგისტრალიდან იატაკქვეშ.

ან ორი ადამიანი წერილებით ურთიერთობენ, თითქოს მათ მეტი ამ ქვეყნად არავინ არსებობდეს. ეს არ არის ისტორია? არც ამ კვალს ჩაუვლის გულგრილად კაციჭამია ისტორიკოსი.

***

ძეგლის გადმოგდება კვარცხლბეკიდან, როგორც ყოველი ზედაპირული ნგრევა, ადვილია. ცოტა რთულია მისი ფუნდამენტის ამოძირკვა, თუ იგი ამავე დროს იდეოლოგიის სიმბოლოც არის და ხანგრძლივი დროის მანძილზე ძალადობით თუ ბუნებრივად კვებავდა ცნობიერებას. ძეგლი შეიძლება ხალისით გადააგდო, მაგრამ კვარცხლბეკის ამოძირკვა და მისი ორმოს ამოვსება დაგეზაროს და გადადო სხვა დროისთვის, რომელიც, შესაძლოა, საერთოდ არც კი დადგეს.

როცა ორჯონიკიძის ჟანგიან და საღებავებით შეთხვრილ სხეულს ლაფეტით მიათრევდნენ (ის დაინახეს ქუჩაში მოსიარულეთ და ტრანსპორტშიც მსხდომარეთ), მის ადგილზე დარჩა კვარცხლბეკი, რომელიც ახალი მომუმენტის მოლოდინში, შესაძლოა, კარგა

ხანს მდგარიყო შეურყევლად. იქნებ დღესაც უხილავად იდგეს იქვე ან სადმე, მატერიალურ ადგილს უკვე მნიშვნელობა აღარა აქვს, მაგრამ ადამიანის ცნობიერების ღრმა ფენებში ჰქონდეს გადგმული ფესვი.

ნგრევას, თუნდაც როგორც სიმბოლურ აქტს, რომელიც ერთგვარ სუბლიმირებულ რიტუალად უნდა იყოს გარდაქმნილი, თან ახლავს მძვინვარება. იმავე მძვინვარებამ, რომელიც თავისუფლების ნიშნით ანგრევდა ეკლესიებს, დაანგრია ჩვენს დროშიც კომუნისტური იდეოლოგიის ძეგლები. მაგრამ ნგრევას არც მაშინ, არც დღეს თავისუფლების შენება არ მოჰყოლია. კვარცხლბეკის ფუნდამენტი კი ისევ და ისევ ამოუვსებელია.

თვითმარქვია დეკანოზი

(გუდამაყარი, 1981)

ხატში დეკანოზი აღარ იყო, ჯვარსაც რატომღაც არავინ მოუთხოვია, არავინ დაუმიზეზებია იმის ნიშნად, რომ თავის მსახურად დაიგულა, არც ვინმე ყოფილა გაურჩებული ოქრომჭედელ თაველიქასავით, რომელიც ჯვარმა თვალისჩინის წართმევით დასაჯა და, როცა დღეობა მოახლოვდა, არავინ იყო, რომ დღესასწაულს გაძღოლოდა, - პირველ რიგში, საყმოს შეწირული საკლავი დაეკლა, როგორც წესი მოითხოვდა. ამ გაუგებრობაში და რაღაც გაურკვეველ უიმედო მოლოდინში რომ იყვნენ, გამოჩნდა კაცი, რომელმაც იკისრა დეკანოზის მოვალეობა. პირველივე საკლავის დაკვლას რომ შეუდგა, რამდენჯერაც ყელზე დააღირა სამსხვერპლო პირუტყვს სატევარი, იმდენჯერ ბარძაყში დაიცა. სირცხვილეულმა ხელიდან გააგდო მახვილი და გაეცალა იქაურობას.

კაცი დაკოჭლდა, ცალ ფეხს აყოლებდა. დეკანოზობა რომ არ გამოუვიდა, მაინც სასარგებლო, თუმცა ხეიბრისთვის არცთუ შესაფერის სამსახურს - ფოსტალიონობას მიჰყო ხელი.

ღამით რომ ეს ამბავი მოვისმინეთ, დილით სოფლად გასულები ვხედავთ კაცს, ახლად მოსულ თოვლში მოკელანობს, ჩვენკენ გზას მოიკვლევს, მხარზე ფოსტალიონის ჩანთა ჰკიდია. პირველი, რაც გავიფიქრეთ, ეს იყო: დეკანოზი ხომ კაცსა და ჯვარს შორის შუამავლობს, ასევე შუამავლობს ფოსტის მსახური კაცთა შორის.

საკრალური შუამავლობა თუ ეკრძალებოდა, სეკულარული ხომ მისთვის ნებადართული იყო.

***

ძაღლი და მგელი სოფლისა და ტყის გასაყარზე შეხვდნენ ერთმანეთს და, როცა ერთმანეთის ყოფა-ცხოვრების ამბავი გაიგეს, ერთმანეთის შეშურდათ და ერთმა მეორის ადგილი ინატრა. ძაღლს ძაღლური ცხოვრება, მგელს მგლური ცხოვრება შეძაგდა. შეთანხმდნენ, ადგილები გაეცვალათ. აღარ დააყოვნეს: ძაღლმა უკანმოუხედავად ტყისკენ მოკურცხლა: მშვიდობით, ჩემო ძაღლურო ცხოვრებავ! მგელმა: მშვიდობით, მგლურო ცხოვრებაო, და სოფლისკენ დაეშვა.

ვის, გარდა ამ ორისა, ჰქონდა იმის მოლოდინი, რომ თითოეული მათგანი ამ შეცვლილი მდგომარეობით დაასრულებდა სიცოცხლეს?

ერთი დღეც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ თავის ანაბარა დარჩენილ ძაღლს ყოველდღიური სავსე ჯამი, ყელსაბამი, პატრონი და მისი ჯოხიც კი მონატრებოდა. ტყიდან გამოძუნძულდა და კუდის ქიცინით და ყეფა-ყეფით სოფლისკენ დაეშვა. "უმადურმა" მგელმა კი სალაფავით სავსე ჯამში ფეხი ჩაკრა და გადააყირავა, ერთი შეყმუვლა ცას და აიწყვიტა.

როცა ღმერთი ცხოველებს აჩენდა, თითოეული თავისი გვარისდა მიხედვით გააჩინა. ველურად და შინაურად გააჩინა ისინი. შინაურად გაჩენილი ადამიანთან მივიდა და ქედი მოუხარა, ადამიანმაც სავსე ჯამი დაუდგა იმის ნიშნად, რომ ამიერიდან სმა-ჭამა მისი საზრუნავი არ იქნებოდა. ადამიანმა ძაღლს თავისი ენაც ასწავლა. და ამიერიდან ძაღლი დგას ადამიანის წინაშე. თვალებში შესცქერის და ყლაპავს მის თითოეულის სიტყვას.

მგელი შორიახლო გადგა და უთვალთვალებდა ადამიანს. არ შეეძლო მისთვის თვალებში ეცქირა, რომც ეცქირა, მშობლიურს მათში ვერაფერს აღმოაჩენდა. ვერც ადამიანმა ამოიკითხა მათში რაიმე სანუგეშო. მგელმა გააბრუნა კისერი და განშორდა ადამიანს.

და თუ ადამიანი ძაღლს იმსახურებს, მგელს ებრძვის, ინადირებს მას, არ ჭამს, ტყავს კი აძრობს.

***

ჩემმავე ხმამ გამომაღვიძა, როცა ერთ კაცს უყვიროდა ხმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, რათა სიკვდილისგან ეხსნა. ვეშვებოდი დაბრეცილი ფერდობიდან, რაღაც უშნო მინდორი, რაღაც ბალახ-ბულახით დამშვენებული უნდა გადამეარა. ამ დროს გამოჩნდა შავი ავტომობილი და ხმამ ჩემს უკან, ჩემს გვერდით, თუ ჩემს წინ, რა დაბნეულად მოდისო და, მართლაც, მანქანა რაღაც უცნაურად მოძრაობდა - სივრცე საკმაო იყო, მაგრამ ის ზიგზაგებით მაინცდამაინც ჩემკენ მოჰქროდა, მე უკანვე ავბრუნდი ფერდოზე, გზა დავუთმე. ის კი პირდაპირ ცხვირით ჩაეფლო ხევში. ხმა კვლავ ალაპარაკდა, ახლა ეს კაცი ამოიღებს რევოლვერს და თავს მოიკლავსო და თითქოს ამ ხმის საილუსტრაციოდ კაცი გადმოვიდა ავტომობილიდან, მცირე მანძილი გაიარა და ჩაიმუხლა, და პირჯვარს იწერს. ვარჩევ სახესაც, უცნობია, არასოდეს მინახავს ან იქნებ მისი მსგავსი სახე ("ყველანი ერთმანეთს ვგავართ") სადღაც მინახავს და აღარ მახსოვს. იღებს რევოლვერს... ამ დროს ვეხმიანები, კაცო, რას შვრები, რას აკეთებ, მე აქ ვარ, ნუ გააკეთებ ამას, ხმა ყვირის, რაც შეუძლია, ადის იმ სიმაღლემდე, რომ მეც აღარ მესმის. კაცი თითქოს მამჩნევს, მაგრამ ყურადღებას არ მაქცევს, რატომღაც აჭიანურებს აღსრულებას, თითქოს ამოწმებს თავის იარაღს. ყოყმანობს? მე ჩავდივარ ფერდობიდან, ვეუბნები, ნუ გააკეთებ ამას, გადაგარჩენ, სამუდამოდ მეგობრად გაგიხდები. და კიდევ ვუახლოვდები და ახლა მკერდს ვუშვერ, მე მომკალი-მეთქი. დარწმუნებული ვიყავი, არ მესროდა (რატომ უნდა მოვეკალი?). დარწმუნებული ვიყავი, გაჭრიდა ჩემი თავგანწირვა, მეტი რა შემეძლო ამ კაცის გადასარჩენად - ვთავაზობდი სამუდამო მეგობრობას და სიცოცხლესაც. მახსოვს, როგორ გადავიღეღე პალტოს გული. ალბათ გაჭრა ჩემმა თავგანწირულობამ. ჩემს სიზმარში მაინც არ მოუკლავს ამ კაცს თავი.

ალუდას ნახტომი

ნახტომს ვუწოდებ ალუდას საქციელს, ზნეობრივ აქტს, რომელმაც შეძრა საზოგადოება, - ნახტომს, რადგან არსაიდან ჩანს, რომ გუშინდლიდან ან გუშინწინდლიდან მასში მზადდებოდა ეს გარდატეხა. ერთადერთი, რითაც ის ბევრისგან გამოირჩეოდა, დავლათიანობა იყო, რომელიც მას თუმცა არ უშლიდა ხელს ჩვეულებისამებრ ეჭრა და ეჭრა მტრის მარჯვენა. საფიხვნოს თავსაც ბევრჯერ მჯდარა, გზიანი სიტყვაც ბევრჯერ უთქვამს, ორთაბრძოლაშიც ბევრჯერ მოხვედრილა, "არ მოგხვდაუაც" ბევრჯერ შეუძახნია, შესაძლოა, მუცალისთანა ვაჟკაცებსაც ბევრჯერ გადაყრია, მაგრამ იმ კაცთან იმ წამს და იმ ადგილას შეხვედრამ გადაწყვიტა მისი და მთელი საზოგადოების ბედი, რომელიც თუმცა არა მასავით ერთიანი აქტით, არამედ თანდათანობით, უკვე მის გარეშე, დაიწყებდა გარდაქმნას.

ნახევარი კვერცხი

როსტომ წერეთელს ერთი ყმისგან (დასანანია, რომ მისი გვარი აკაკიმ არ გაგვიმხილა) ნახევარი კვერცხი ემართა. როგორ მოხდა ეს, რა ანდრეზი ედვა საფუძვლად ამ უცნაურ ბეგარას? ეს არ იცოდა აკაკიმ, ხოლო თუ როსტომმა და მისმა გლეხმა ოდესმე იცოდნენ რაიმე, დავიწყებული უნდა ჰქონოდათ. ამბავი დავიწყებას მიეცა და დარჩა აბსურდული რიტუალი: ყველიერის დაურწყებას, გვიამბობს "ჩვენი თავგადასავალი", ეს გლეხი მივიდოდა სასახლეში, შეწვავდა კერცხს, გაფცქვნიდა, ძუით შუაზე გაჭრიდა, ერთ ნახევარს ბატონს მიართმევდა, მეორეს თავად დაიტოვებდა. როსტომი კმაყოფილი იყო, გლეხი კი - გაწვალებული მისთვის ამ უსიამოვნო ბეგარის აღსრულებისას. თუმცა უნდა ვიფიქროთ, რომ ის დარბაისლურად, როგორც შეეფერება, ასრულებდა ამ რიტუალს. ყოველი ყველიერის მოახლოებისას პატიოსანი გლეხი გულსუწადინოდ გაემართებოდა ბატონის კარზე, უნდა მოეთმინა გლეხების ირონიული მზერა და სიტყვები ("ე, მიაქვს ნახევარი კვერცხი ბატონთან..."), ბევრჯერ შევედრებია ბატონს, ოღონდ ეს ბეგარა მომიხსენი და მის სანაცვლოდ ძროხას მოგართმევო. თუ გლეხს მახვილი ბეგარის მატერიალურ მხარეზე გადაჰქონდა, სხვაგვარად ფიქრობდა თავადი. მოვუსმინოთ აკაკის, რა პასუხს იძლეოდა როსტომი და რით დამთავრდა ეს ამბავი:

"საშვილიშვილო ვალდებულება, რომ მე მოვსპო ძროხის გულისათვის, ეს ღორმუცელობა იქნება, და თუ სხვები გამოიჩენ როგორმე თავს ერთგულობით, მაშინ კი შეიძლებაო. მართლაც ჩვენს სამოსახლოში სახადი გაჩნდა, ავადმყოფები გადახიზნეს. საორმოცომ ისე შეაშინა ყველა, რომ ავადმყოფებს არავინ ეკარებოდა: მაშინ გლეხკაცმა იშოვა დრო, დაადგა თავზე ამ გადაწოლილებს და უპატრონა. ამ ერთგული სამსახურისათვის ამოუკვეთეს ნახევარი კვერცხის გადახდა".

პასუხი ნამდვილად თავადურია, ფეოდალური, ამდენადვე კონცეპტუალური, ის პატრონყმობის არსებითი პოზიციიდან არის გაცემული. ბეგარა ნამდვილად ერთგულების ნიშანია და სხვა რა საგანს შეეძლო უკეთესად, უფრო ლაკონურად, როგორც სიმბოლოს შეშვენის, გამოეხატა პატრონსა და ყმას შორის ურთიერთობა, ვიდრე ამ სახის ბეგარას, რომელიც სრულიად დაცლილია ნივთობრიობისგან, შეიძლება ითქვას, წმიდა ფორმაა, როგორც აღების ღამის ის გუდამაყრული კვერცხი "დროის ეფემერადან", რომელიც იმის გამო, რომ დრომ გადაუსწრო და მარადისობას მიანება, დანიშნულებისამებრ ვერ გამოიყენეს. როსტომის თვალში (ამაოდ არ იტაცებდა მას ჭადრაკი) ეს ბეგარა პატრონყმული ურთიერთობის სიმბოლო იყო და როგორ შეეძლო მას თვითნებურად მოეშალა იგი, ან გადაეცვალა რაღაც სხვაში, თუნდაც ეს სხვა ასწილად მატერიალურად ღირებული ნივთი ყოფილიყო, როგორც ის საგანგებოდ გამოკვებილი ძროხა, რომელსაც გლეხი აღუთქვამდა.

საბედნიეროდ, გლეხს, რომელიც ადრე ძროხას სთავაზობდა ბატონს ამ სიმბოლური, მის თვალში აბსურდული ფორმის საზღაურად, მიეცა შანსი, რომ "სხვებს" დაემტკიცებინათ ერთგულება. ახლა ის მზად იყო ჯანმრთელობა (და, შესაძლოა, სიცოცხლეც) დაეყენებინა საფრთხის ქვეშ მის სანაცვლოდ. რა უნდა იყოს იმაზე მეტი ერთგულება, როცა ყმა ბატონის ყმებისთვის სწირავს სიცოცხლეს?

XIII

***

უსამა იბნ-მურშიდ იბნ-ალი იბნ-მუქალლად იბნ-ნასრ იბნ-მუნკიზ, არაბი ემირი, ძე ემირისა, რაინდი, პოეტი, თეოლოგი, მწერალი-დოკუმენტალისტი (1095-1183), "შეგონების წიგნში" გვიამბობს:

იერუსალიმის მეფის ფულკოს ლაშქარში იყო ერთი ღირსეული ფრანკი რაინდი, რომელიც პალესტინაში პილიგრიმად იყო ჩამოსული. ძალიან შევუყვარდი, დამიმეგობრდა, ხშირად მოვინახულებდით ხოლმე ერთმანეთს, "ძმაო" ასე მომმართავდა და, როცა მისი

სამშობლოში დაბრუნების ჟამმა მოაწია, მთხოვა, გამეყოლებია მისთვის ჩემი თოთხმეტი წლის ვაჟი. ჩვენი ქვეყნის რაინდების ზნეს გაეცნობა და განსწავლული და გონიერი დაგიბრუნდებაო. მე განმაცვიფრა ამ წინადადებამ, ჭკვიან კაცს ეს როგორ მოუვიდა აზრად-მეთქი: გინდა ტყვედ ჩავარდნილიყო ჩემი შვილი, გინდა ფრანკთა ქვეყანაში გამეგზავნა. მაგრამ როგორ უნდა მომეხერხებინა უარის თქმა, რომ არ წყენოდა ჩემს მეგობარს? ვუთხარი: "ვფიცავ ალაჰს, ჩემი წადილიც ეს იყო, მაგრამ დედაჩემმა ეს ბავშვი, რომელიც ძალიან უყვარს, მე ჩამაბარა და ფიცით დამაფიცა, რომ უკან მივგვრიდი". - "მაშ, დედა ცოცხალი გყოლიაო?" - "ცოცხალია-მეთქი". - "აბა, დედის წინააღმდეგ როგორ წახვალო" და ასე დავშორდით ერთმანეთს.

ასე დაშორდნენ ერთმანეთს ძმადნაფიცები. მუსლიმი და ქრისტიანი რაინდები. ეს იმ ხანაში იყო, როცა მუსლიმთა და ქრისტიანთა შორის პერიოდულად სისხლისმღვრელი შეტაკებები ხდებოდა. მაგრამ იყო ზავიც და არცთუ იშვიათად უმეგობრდებოდნენ ერთმანეთს. თუმცა უსამა თავის წიგნში ისე არ ახსენებს ფრანკებს, თუ ეს სიტყვები არ დაურთო: "დასწყევლოს ალაჰმა", თავის თანამემამულეზე კი "ალაჰიმც შეიწყალებს".

ამ ამბავში სამი რამ იქცევს ჩვენს ყურადღებას. პირველი. ფრანკს იმდენად ეძნელებოდა თავის მეგობართან განშორება, რომ იფიქრა, მის შვილს წავიყვან, მისი მაგიერი იქნება. ჩვენებურად გავზრდი, მისდამი მეგობრობას ამით მაინც დავამტკიცებო. მეორე. უსამა იბნ-მუნკიზმა, თუმცა ეუცხოვა მისი წინადადება, იმდენი ტაქტი გამოიჩინა, რომ არ აწყენინა ძმობილს. იგივე სურვილი, თუმცა ფიქრშიც არ გაუვლია, დაუდასტურა, უარის სათქმელად კი ბავშვისადმი დედის სიყვარული მოიმიზეზა (და არც უცრუვია), თუმცა თავად ნაკლებად როდი უყვარდა თავისი ვაჟი მურხაფი, რომელიც თხუთმეტი წლის ასაკიდან ბრძოლებში ახლდა. მესამე. ფრანკმა რაინდმა დაუფასა დედისადმი პატივისცემა და სიყვარული. მან ყველაფერი თქვა ამ სიტყვებით "მაშ, დედა ცოცხალი გყოლიაო".

***

იმავე ეპოქაში ინგლისელი რაინდი, სახელად რიჩარდი, ერთ მუსლიმ ქალს შეუყვარდა და მოხდა ისე, რომ რაინდი თავის სამშობლოში დაბრუნდა, ქალი კი თავის ქვეყანაში დარჩა. ქალი სიყვარულისგან ისეთმა სევდამ მოიცვა, რომ გაჰყვა მის კვალს, გადაწყვიტა მოეძებნა რაინდი მის ქვეყანაში და მოძებნა კიდეც.

ქალმა რაც იცოდა, ეს იყო გზის მიმართულება და ერთადერთი სიტყვა - *რიჩარდ*. ამ ერთადერთი ძვირფასი სიტყვის ცოდნით და მისი განუწყვეტელი ძახილით "რიჩარდ, რიჩარდ" ევროპა მოიარა, და ამ სახელის ფონეტიკამ (რიჩარდ) ინგლისამდე მიიყვანა. ინგლისში ქალი ყოველ ციხე-დარბაზს შესძახოდა "რიჩარ, რიჩარ" და, ბოლოს, იმ რიჩარდმა, ვისაც უხმობდა, პასუხი გასცა. რაინდმა კოშკის სარკმლიდან გადმოიხედა და იცნო ქალი.

***

კომუნიკაციის ტექნიკური შესაძლებლობებით ჩვენს საუკუნეს ვერც-ერთი ხანა ვერ შეედრება, მაგრამ, თუ გული გულობდა და იყო სიყვარულიც, დასახლებულ სამყაროში (*ოიკუმენაში*) ადამიანი, ადრე თუ გვიან, მოძებნიდა ადამიანს. ინფორმაციაც რაღაც ჩვენთვის უცნობი გზებით ვრცელდებოდა, სიუჟეტები ფეხს იდგამდნენ და ხეტიალობდნენ ხალხიდან ხალხში ბაბილონის გოდოლთან წარმოქმნილი გაუცხოების დასაძლევად. ენათა აღრევის ჯიბრზე მათთვის ენობრივი ბარიერი არ არსებობდა. ასე, შეიქმნა, სხვათა შორის, ზღაპრებისა და იგავ-არაკების საერთაშორისო ამოურწყავი მარაგი.

დავუბრუნდეთ ადამიანის მიერ ადამიანის ძებნას, ერთის მიერ მეორისთვის ხმის მიწვდენას. კურიოზულია, მაგრამ ნამდვილად მოხდა ასეთი ამბავი, თუკი ეს ამბად ჩაითვლება. ანეკდოტს უფრო ჰგავს.

XIX საუკუნის ბოლოს ქუთაისელი მამა თავის შვილს, სტუდენტს, პეტერბურგში წერილს უგზავნის, მაგრამ რაკი ზუსტი მისამართი არ იცის, ან, შესაძლოა, იცის, მაგრამ ნიძლავისთვის კონვერტზე აწერს: болшои город болшои школа мои син валико. ფოსტამ მიიღო კონვერტი და გაგზავნა.

რომელია რუსეთის იმპერიაში დიდი ქალაქი, თუ არა პეტერბურგი? რომელია დიდი სკოლა, თუ არა უნივერსიტეტი? ვინ არის უნივერსიტეტში ვალიკო? ვალიკო ერთადერთია და წერილი შეუცდომლად ბარდება ადრესატს ხელში.

დღეს ჩვენს ფორმალიზებულ ეპოქაში რომელი ფოსტა მიიღებს ასეთ მისამართიან კონვერტს?
ვალიკოს შთამომავალთა ოჯახში დიდხანს ინახებოდა ქუთაის-სანკტპეტერბურგის ფოსტების ბეჭედდასმული ეს კურიოზული კონვერტი.

მეორე კურიოზი. დიდი ხნის წინათ, გასული საუკუნის 60-იან წლებში რომელიღაც გაზეთში ეწერა, ჩანდა, მოგონილი ხუმრობა არ უნდა ყოფილიყო: კაცმა ნიძლავი დადო, კვერცხზე დაგიწერ თამასუქს და ნებისმიერი ბანკი გაგინაღდებსო. კაცმა ნიძლავი მოიგო. მართლაც, ბანკმა გაანაღდა კვერცხზე დაწერილი მრავალათასდოლარიანი თამასუქი.

ღვინო და სუფრა

მას შემდეგ, რაც ღვინის ძალა მართალმა ნოემ თავის სხეულზე გამოსცადა, ღვინის სმამ წესრიგი მოითხოვა. სადაო არ არის, რომ სუფრას, სადაც ღვინით უმასპინძლდებიან სტუმრებს, გამრიგე ყოველთვის ჰყოლია. არც მისი თავდაპირველი რიტუალური დანიშნულებაა სადაო. წესრიგიც სეკულარულ სუფრაზე სწორედ აქედან მოდის. სასუფრო ტერმინოლოგიაც ამაზე მეტყველებს: "დაილოცეთ", "დავილოცოთ" - ეს შესავალი სიტყვებია ღვინის სმის წინ. ეს სუფრის დალოცვაა, რომ ყველაფერი რიგიანად წარიმართოს. უწესრიგო სმას ღვინის სული არ აპატიებს მსმელებს - ის უარეს უწესრიგობას, ქაოსს, როგორც სასჯელს, დაადებს თანამეინახეთ.

სუფრა ერთმანეთისგან განასხვავებდა ჭამისა და სმის პერიოდებს, რამდენადაც ეს ორი პროცესი არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან: ჭამის დასრულების შემდეგ იწყებოდა სმა. ჭამის დროს ადამიანი დუმს, სმისას მეტყველებს. ქართული სუფრა განთქმულია წესრიგით, თითქოს სამაგალითოა, მაგრამ ჭამის წესი არ არის დაცული: ჭამა, სმა და ლაპარაკი ჩვენს დღევანდელ სუფრაზე პარალელური, ერთდროული ქმედებებია. შეგვიძლია ჩამოვთვალოთ კულტურები, სადაც სუფრის, ტრაპეზის დროს სრული მდუმარეობაა. ასეა არა მხოლოდ ყუმრანის ან ესენელთა რელიგიურ თემებში, არამედ ბედუინის კარავშიც. არაბები უსიტყვონი არიან არა მხოლოდ ჭამის, არამედ სმის დროსაც კი. როგორ შეიძლება სმა-ჭამის გარიოშება ფუჭი ლაპარაკითო? საერთოდ, სუფრის თავდაპირველი საკრალურ-რიტუალური წარმოშობის ირიბ საბუთად მოვიყვან ცნობას მაკარი ანტიოქიელის (XVII ს.) საქართველოში მოგზაურობიდან. ის წერს, რომ სუფრაზე დიდებულებიც და მდაბიორებიც საეკლესიო სიმღერებს მღერიან...

ღვინის სმას სიტყვების წარმოთქმა აუცილებლობით ახლავს. ნუ გვეგონება, რომ მხოლოდ ქართული წესია ასეთი. ფრანგი პოეტი ჟერარ დე ნერვალი აღწერს ლიბანში ემირის კარზე გამართულ ქეიფს, რომლის დროსაც სადღეგრძელოები წარმოითქმოდა ფეხზე ადგომით და საერთო თასით, როგორც ჩვენში ყანწების ჩამოტარება იციან.

თუ ისტორიის სიღრმეში წავალთ, სხვა კულტურაში გადავინაცვლებთ, მსგავს სურათს წავაწყდებით: ბერძნებში ორი ტიპის სუფრას განარჩევდნენ. ერთი იყო ამაღლებული, მეორე

პროფანული, ე. წ. პანდემოსური. პირველ სუფრაზე სადღეგრძელოები (*ლოგოი* სიტყვები) წარმოითქმოდა რაიმე მოცემულ თემაზე. ასეთი სუფრა აღწერილია პლატონის "ნადიმში". თუ გახსოვთ, ცნობილი ლოთი-შფოთი ალკიბიადე სოკრატეს სუფრას პანდემოსურ სუფრაზე ნაქეიფარი შემოესწრო. ამაღლებული რანგის სუფრაზე, რომელსაც მაინც პირობითად, პანდემოსურის საპირისპიროდ შეიძლება საკრალური ვუწოდოთ, სადღეგრძელოს - სიტყვას, ლოგოსს წესრიგი შეაქვს, ინტელექტს აძლიერებს თანამეინახეთა თრობისგან დასაცავად. ამას ადვილად იგრძნობს ის, ვინც ერთხელ მაინც სულით და გულით, მთლიან პიროვნული არსებით, ურეფლექსიოდ, ჩართულა ქართული სუფრის აურაში. სუფრა და, კერძოდ, ქართული სუფრა ზნეობრივი კატეგორიის მოვლენაა. კლიმენტი ალექსანდრიელმა ქვემორე სიტყვებში სემისა და იაფეთის ზნეობრივი აქტი იგულისხმა (მამის სიშიშვლე რომ დაფარეს), მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ისინი სუფრის წესრიგს მივუსადაგოთ:

"ზნეობამ დაფარა ის, რაც თრობისგან გაშიშვლებული იყო".

პავლე და მორდეხაი

რუსთაველზე, პირველი გიმნაზიის წინ, ბათუმელი მამია ვარშანიძე, უცნაური ფორმის ყავისფერი შლიაპით. შევჩერდით. ამ დროს ჩაიარა დიდიხნის უნახავმა მოტკემ და გვერდზე გადგა. მოტკემ გამოძებნა წამიერი შუალედი მამიას დამშვიდობებასა და განშორებას შორის, და ჩვენკენ გამოემართა. ვაცნობ ერთმანეთს: "ბათუმელი პოეტი მამია ვარშანიძე". მოტკე მამიას: "მორდეხ მამისთვალიშვილი". - "მორდეხაი", განვმარტავ. "ალბათ თქვენ სასაუბრო გაქვთ რამე", ამბობს მამია და გვშორდება. მოტკე, ისევ ის დაჩაგრული მოტკე ძველი, განუქარვებელი დარდებით და მხარდაუჭერელი პრობლემებით... ახლა გაპონოვის ებრაულ თარგმანში ეძებს გაძლების არგუმენტებს. "დიდხანს უჭვრეტს გაშტერებით, თუცა გული უმაგარდა" - ვის "უმაგარდა"? მოტკე ფიქრობს: ტარიელს (მოტკესაც ალბათ, არც მას აკლებდა გულის სიმაგრე). ე. ი. მონა აკვირდება, თუ მაგარია უცხო მოყმის გულიო. სწორად გაიგო გაპონოვმაო: *არრუქოთ Áabbit -თემაჰ, იმ-ქი-ბო ლიბბო გაბარ.* ჩვენ გვერდით მოხუცი კაცი პარაპეტზე ჩამოჯდა. მომეჩვენა, რომ სხეულმა დასვენება მოსთხოვა. "მეცნობა", ამბობს მოტკე. "პავლე ინგოროყვაა", ჩავჩურჩულე. მოტკე უახლოვდება: - "პავლე ინგოროყვა ბრძანდებით?" - "თქვენ? - "მე ერთი უცნობი, გამოუჩენელი კაცი ვარ". - "მაინც? მაინც გავიცნოთ ერთმანეთი". მოტკეს პანეგირიკებს უსმენს პავლე. და ბოლოს: - "არასოდეს არ დამიწერია ის, რასაც არ ვფიქრობდი". - "კარგი ნათქვამია", ამბობს მოტკე. - "ხელის შეშლა კი ბევრჯერ", განაგრძობს პავლე. ჩივის, რომ მის ტომებს აბრკოლებენ აფხაზების გამო. - "ეს აფხაზები გადაჩერქეზებული ქართველებია..." პავლე წამოდგა, მიეჩქარება, მწერალთა კავშირში კაცი ელოდება. მოტკემ თვალი გააყოლა: "ეჰ, მოხუცდა ჩვენი პავლე..."

XIV

აშოკა

რელიგიური შემწყნარებლობა, რომელიც ახალი დროის უდიდეს მონაპოვრად მიიჩნევა, უცხო ხილი არ იყო ძველ საუკუნეებში. წერილობით პირველად ეს თეზისი, როგორც მეფისა და სახელმწიფოს ნება, გაერთიანებული ინდოეთის მეფემ აშოკა დიდმა (ძვ. წ. 273-232) კლდეზე მეფე პიადასის სახელით წარწერილ ედიქტში გააცხადა.

"ღმერთების ნებიერი მეფე პიადასი პატივს მიაგებს ყველა რელიგიის ასკეტებსა და მეურვეებს, პატივს მიაგებს მათ ძღვენით და სხვადასხვაგვარი პატივით. მაგრამ ღმერთების ნებიერი იმდენად არ აფასებს ძღვენსა და პატივს, რამდენადაც იმას, რომ გამდიდრდეს ყველა რელიგიის ძირითადი პრინციპები. მაგრამ ეს უნდა მოხდეს არა საკუთარი რელიგიის ზედმეტად განდიდებით ან სხვათა რელიგიები უსაფუძვლო გინებით. და თუ არსებობს კრიტიკის მიზეზი,

ეს რბილად და მორიდებით უნდა ხდებოდეს. მაგრამ უკეთესია, თუ პატივს ვცემთ სხვათა რელიგიებს. როგორც შენს რელიგიას ექცევი, ისე მოექეცი სხვების რელიგიასაც; სხვაგვარად შენს რელიაგიასაც აზიანებ და სხვისასაც. ვინც აქებს თავის რელიგიას მეტისმეტი ერთგულების გამო და კრულავს სხვებს საკუთარის განდიდების მიზნით, მხოლოდ აზიანებს თავის რელიგიას. ურთიერთობა რელიგიებს შორის სასიკეთოა. უნდა უსმინო და პატივი სცე სხვების მიერ გაზიარებულ მოძღვრებას. ღმერთების ნებიერს სურს, რომ ყველა განსწავლული იყოს სხვა რელიგიების კეთილი მოძღვრებებით...”

ამ ედიქტში საგულისხმო ის არის, რომ შემწყნარებლობა აღიარებულია არა იმდენად სამართლებრივი პოზიციიდან, როგორც დღეს არის, არამედ თავად რელიგიების ინტერესებიდან გამომდინარე, რაც დღეს სავსებით უგულებელყოფილია. უთუოდ ნოვატორული და უპრეცედენტოა აშოკას თეზისის იმის შესახებ, რომ რელიგიებმა უნდა გაამდიდრონ ერთმანეთი. საეჭვოა, რომ ეს პოზიცია - რელიგიების ურთიერთგამდიდრება - თანამედროვე ეკუმენიზმს ჰქონდეს გააზრებული. მეფე აშოკა, იგივე პიადასი, არა მხოლოდ პირველ რჯულშემწყნარებლად, არამედ პირველ ეკუმენისტადაც შეიძლება ჩაითვალოს.

მეფე აშოკა სხვა მხრივაც არის უნიკალური მეფეთა ისტორიაში. ეს ჩანს მისი ედიქტის სხვა ნაწილიდან, სადაც მონანული აშოკა ამცნობს სრულიად ინდოეთს და, ალბათ, კაცობრიობასაც:

“ღმერთების რჩეულმა მეფე პიადასიმ თავისი გამეფებიდან რვა წლის შემდეგ დაიპყრო კალინგა. ასორმოცდაათი ათასი კაცი გადაასახლა, ასი ათასი დახოცა და ბევრი სხვადასხვა მიზეზთა გამო დაიხოცა. მას შემდეგ, რაც კალინგა დაპყრობილი იქნა, ღმერთების ნებიერმა დჰარმისკენ [ბუდას რელიგიისკენ] ძლიერი ლტოლვა იგრძნო. ახლა ღმერთების ნებიერი სინდისის ქენჯნას განიცდის კალინგას დაპყრობის გამო. ჭეშმარიტად, ღმერთების ნებიერი ღრმად განიცდის მკვლელობებს, ხოცვა-ჟლეტას და გადასახლებებს, რაც მოხდა დაუპყრობელი ქვეყნის დაპყრობისას. მაგრამ ღმერთების ნებიერი უფრო მეტად განიცდის, რომ სხვადასხვა რელიგიების ბრაჰმანები, ასკეტები და მეურვეები, რომლებიც იმ ქვეყნებში ცხოვრობდნენ და რომლებიც პატივს სცემდნენ ხელისუფალთ, დედას და მამას, უფროს ძმებს, და ვინც კეთილად იქცეოდა და ერთგულებას იჩენდა მეგობართა, ნაცნობთა, ნათესავთა, მსახურთა და დაქირავებულთა მიმართ, რომ ესენი დათრგუნულნი და დაიხოცილნი არიან და მოწყდნენ თავიანთ საყვარელ ადამიანებს. და ისინიც კი, რომელთაც ეს ყველაფერი არ შეეხოთ, იტანჯებიან, როცა უყურებენ თავიანთ ტანჯულ მეგობრებს, ნაცნობებსა და ნათესავებს. ყველა ეს უბედურება დაატყდა თავს ყველას ომის შედეგად და ეს აწუხებს ღმერთების ნებიერს... ახლა ღმერთების ნებიერი ფიქრობს, რომ მათაც კი, ვინც ეს ჩაიდინა, უნდა შეენდოთ, სადაც კი შენდობა შესაძლებელია”.

ისტორიას არ ახსოვს დამპყრობლის სინანული დაუპყრობელი ანუ დამოუკიდებელი ქვეყნის დაპყრობის გამო. არც ერთი ქვეყნის მეფისთვის ომებში ჩადენილი სისასტიკენი სინანულის მიზეზი არ გამხდარა. სხვაგვარად კი ყოფილა. აშურელ მეფეთა ანალების ფორმულა “დავიპყარ, დავწვი, დავანგრიე, ტყვედ ჩავიგდე, გადავასახლე” - როგორც რეფრენი, გასდევს ტექსტებს. სისასტიკე ომის კანონია. ეს არავის უკვირს, არავის შეძრავს. ხოლო აშოკა-პიადასი შეძრა მის მიერვე, როგორც ახლა იტყვიან, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილმა დანაშაულმა - მშვიდობიანი მოსახლეობის მასიურმა ხოცვა-ჟლეტამ და ხალხების აყრამ თავ-თავიანთი სამკვიდროებიდან... შეიძლება გვითხრან, რომ ეს ფარისევლური აღიარებაა ფაქტის შემდეგ, მაგრამ სინანულმა, ამ უაღრესად პიროვნულმა აქტმა, ხომ ჰპოვა სამართლებრივი ობიექტივაცია კონსტიტუციაში, რომელიც წარიწერა კლდეებზე ქვეყნის სხვადასხვა ადგილას. “ეს დჰარმული ედიქტი ქვაზე დაიწერა, რათა დიდხანს გაძლოს და ჩემმა შთამომავლებმა მისდიონ მას” - ეს წინადადება გასდევს ედიქტის ტექსტს.

ეს იყო აშოკა დიდი.

იშოკო

იშოკომ შეყარა თავისთან ყველა ხალხი. როცა ყველანი მოგროვდნენ, მან მიწაზე ბევრი-ბევრი ფურთხი გადმოაფურთხა და ადამიანებს შესთავაზა, გადაეყლაპათ. პირველად იშოკომ ხაძაპებს მიმართა:

“გადაყლაპეთ ჩემი ფურთხი!” მაგრამ ხაძაპმა არ ინდომა.

ახლა იშოკომ ისაძუს მიმართა: “გადაყლაპეთ ჩემი ფურთხი!”

ისაძუმ გადაყლაპა იშოკოს ფურთხი. მაშინ იშოკომ აჩუქა მათ კამეჩები, ცხვრები და თხები. მერე მისცა მათ ფეტვის თესლები და თოხი მიწის დასამუშავებლად. იშოკომ უთხრა მათ: “თქვენ ყანაში იმუშავებთ!”

ახლა მანგატის ჯერი დადგა. “გადაყლაპეთ ჩემი ფურთხი!” მანგატიმ გადაყლაპა იშოკოს ფურთხი და მიიღო კამეჩები, თხები, აგრეთვე ცხვრები და ვირები. ცოტა ფეტვიც მისცა, მაგრამ თოხი არ მიუცია. და იშოკომ უთხრა მანგატის: “თქვენ მეჯოგეები იქნებით!”

ბოლოს, ირამბას ჯერი დადგა. და იშოკომ უბრძანა მათ: “გადაყლაპეთ ჩემი ფურთხი!” ირამბამ გადაყლაპა. მათ მიიღეს კამეჩები, თხები, ცხვრები, ვირები და აგრეთვე თოხი. და იშოკომ უთხრა ირამბას: “თქვენ მიწისმუშაკები იქნებით!”

ხაძაპის კი უთხრა: “რაკი ჩემი ფურთხის არ გადაყლაპვა არ ინდომეთ, თქვენ სულმუდამ სავანაში იცხოვრებთ და გამოიკვებებით მხოლოდ იმით, რასაც სავანაში მოიპოვებთ”.

ხაძაპები აფრიკულ სავანაში დასახლდნენ და თავს ნადირობით და მიწაში მოპოვებული ძირხვენებით ირჩენდნენ. კმაყოფილი იყვნენ, ამაყობდნენ კიდეც თავიანთი წინაპრის არჩევანით, არ უნანიათ, არ გაუსაჩივრებიათ, არც კი ცდილან შეეცვალათ ცხოვრების წესი, ვიდრე ცვლილება გარედან არ მოვიდა. ამჯერად იშოკო მათ გადაწყვეტილებაში არ ჩარეულა.
თუ ჩვენი ეთიკური კატეგორიებით განვსჯით, ერთადერთი ხაძაპი აღმოჩნდა ბუშმენთა შორის, რომელთაც *არ იკადრეს* იშოკოს ფურთხის გადაყლაპვა. თუნდაც ღვთიური ფურთხის სანაცვლოდ არ უღირდათ ის სიკეთეები, რომლებიც მიწათმოქმედებას უნდა მოეტანა მათთვის.

იეჰუდა ჰალევი

XII ს-ის იმ წლებში, როცა ჩვენი ნაცნობი უსამა იბნ-მუნკიზი დამასკოს, იერუსალიმსა და ეგვიპტეს შორის მოძრაობდა, ჯვაროსან რაინდებს ებრძოდა და კიდეც უმეგობრდებოდა, შორეულ ესპანეთში ცხოვრობდა პალესტინიდან დევნილთა შთამომავალი იეჰუდა ჰალევი, პოეტი და ფილოსოფოსი. უსამა მასზე ოცი წლით უმცროსი იყო. ბიბლიური ტრადიციით, ებრაელი პოეტი სხვანაირად არ იხსენიებდა არაბებს, ისმაელიანებს, თუ არა როგორც კანჯარს (დაბ. 16:12), რომელმაც შორეულ ესპანეთშიც კი მიაგნო დევნილ ებრაელთა კვალს, ან როგორც ყორანს (სიტყვის თამაში: *ყორებ* “ყორანი”, *ყარაბ* “არაბი”), რომელიც მტრედის სამყოფელში დასახლდა. თუმცა იეჰუდა ჰალევი არაბულადაც წერდა ლექსებს.

ეს სიტყვები მისი პოეზიის გასაღებია: “ჩემი გული აღმოსავლეთშია, მე თავად კი დასავლეთის კიდეზე ვარ”.

აჰა, დადგა ჟამი, როცა მისი ოცნება - სიონის ხილვა - უნდა ამხდარიყო, გამოეთხოვა ესპანეთს, ესპანეთის ქალაქებს, სადაც კი ებრაელები ცხოვრობდნენ. ესპანეთში დაბადებულისთვის ეს ქვეყანა მისი სამშობლო უნდა ყოფილიყო, მაგრამ ის ამბობდა: “არაფრად მიღირს ესპანეთის ყველა სიკეთე, ისე ძვირფასია ჩემთვის გატიალებული წმიდათა წმიდის მტვერის ხილვა!”

როცა ალექსანდრიაში, დიდ ქალაქში, ჩავიდა პალესტინაში გასამგზავრებლად, მთელმა დიასპორამ ტრიუმფალური შეხვედა მოუწყო; ქალაქის მამებმა და უბრალო ხალხმა, დაფნის გვირგვინით შეამკეს, სიყვარული, აღფრთოვანება, თაყვანისცემა გამოხატეს მისი ხილვისას. უგალობეს მის მიერვე შეთხზული საგალობლები. ზედმეტად გაუგრძელდა ეგვიპტეში ყოფნა,

ეგვიპტე ებრაელობისთვის გადარჩენის ქვეყანაც იყო და ბევრ საფრთხეებსაც შეიცავდა. ის ელოდებოდა ზურგქარს, რომელსაც პალესტინისკენ უნდა წაეყვანა. ან ზურგქარმა აღარ დაბერა ან იგი ჩაეფლო ეგვიპტის ამაოებაში... ისტორიას ალექსანდრიაში ეკარგება მისი კვალი.
ლეგენდამ სხვაგვარად გადაწყვიტა პოეტის ბედი. ლეგენდამ დაინდო იგი, საბოლოოდ გამოარიდა ეგვიპტის ჭაობს და იერუსალიმის კარიბჭესთან არაბის ცხენს გაათელინა. მისი უკანასკნელი სიტყვები ყოფილა:

"მიმაქცევ ეგვიპტედ, მეწამულ ზღვად, ხორების მთისაკენ. მე მაინც გავბრუნდები სილოამში და დანგრეული ტაძრის ბორცვს მივაშურებ; გავუყვები აღთქმის კიდობნის გზა-კვალს, ვიდრე არ ავლოკავ მტვერს მის სამარხზე, ვიდრე არ ვიხილავ თაფლზე უტკბესს, სანატრელ სამყოფელს, საიდანაც მტრედის ძენი განიდევნენ და ყორნის ძენი დასახლდნენ".

ზაურ

უსინათლო ზაურ გ. მიწისქვეშა გასასვლელებში ხან სად გამოჩნდება, ხან სად, უმეტესწილად, ვერა-ვაკის მიდამოებში შეგხვდებათ. ამ ხაზზე მისი პირველი სადგომი ფილარმონიის, ბოლო კი ყოფილი სემინარიის მიმდებარე გასასვლელია. ამას იქით მისთვის აუთვისებელი უდაბნოა, ან ბნელი გარესკნელი. შორიდანვე შეაჩნევ კედლის ჩრდილივით, უძრავად და უხმოდ, დამნაშავესავით თავჩაქინდრულს, დგას როგორც სვეტი, როგორც წმინდა ფორმა... ის თუ ჩრდილია, შენ უფრო ხარ ჩრდილი მის თვალში, ან რაღაც ნაცრისფერი ნათება. სახეზე ვერ გცნობს, მაგრამ მაინც შეუჩერებლად ჩავლა გაგიჭირდება, როცა მზად არ ხარ. რაღაც უნდა იღონო, ან მართლაც აჩრდილივით ჩაუარო, ან უკან აბრუნდე, რომ სხვა უფრო ხელსაყრელ დროს გაუსწორდე. თუმცა ვერ გამოიცნობ, ხვალ, ზეგ, მაზეგ სად იქნება. დღეს თუ ფილარმონიასთან დგას, ხვალ, შესაძლებელია, სემინარიასთან მოჰკრა თვალი, ან პუშკინის გასასვლელთან. შეიძლება ისე გავიდეს ერთი თვე, ორი თვე და მეტიც, რომ შენი მიწისქვეშა ჩასვლების რიტმი მისი ჩასვლების რიტმს არ დაემთხვეს. და იფიქრებ, რომ სამუდამოდ დაგეკარგა. მაგრამ ხდება, რომ მთელი კვირის მანძილზე თქვენი ჩასვლები შეხვდება ერთმანეთს.

კითხვა უხერხული იყო, მაგრამ როცა კითხვა დაისვა, გაირკვა, რომ თორმეტი
საათიდან ხუთ საათამდე სადგურებზე გადანაცვლებით ხუთიოდე ლარი გროვდება მის მუჭაში. როგორ მოიქცევა, თავიდანვე ეს ხუთი ლარი, ერთბაშად, მოწყალებად რომ მიიღოს? ამის შემოწმება, თუ მოისურვე, არცთუ ძნელია. ზაური სხვა სადგურს მიაშურებს და იქ ამოწურავს თავის საათებს, დროჟამს, რომელიც მას ეკუთვნის. იმას კი, რაც მოულოდნელად მიიღო - ღვთის წყალობად, დანარჩენს კი თავისი შრომის საზღაურად ჩათვლის.

ახსნა და გაგება

სინამდვილის შეცნობის პრობლემა გულისხმობს ახსნისა და გაგების გამიჯვნას. ჩვეულებრივ, მიჩნეულია, რომ ახსნილი შეიძლება მხოლოდ ბუნების მოვლენები ანუ საგნობრივი სამყარო იქნას, გაგებას კი მხოლოდ კულტურის ობიექტები და მოვლენები ექვემდებარებიან, რაკი ისინი ადამიანური წარმოშობისაა. მეცნიერს შეუძლია ახსნას ნებისმიერი მწერის ორგანოების ფუნქციონირება, მაგრამ იგი უძლურია გაიგოს მწერის, როგორც კიდევ უფრო გაუგებარი მთლიანობის ნაწილის საზრისი, რადგან მისი საზრისი განგებისა და გაგების უფალშია, რომელსაც ადამიანი ვერ წვდება.

დამალვის დამალვა

რაბი რაფაელ ბერშადელი შესჩიოდა თავის მოძღვარს:

“გასაჭირის ჟამს ძნელია კაცმა შეინარჩუნოს რწმენა პირადი განგებისა. მას ეჩვენება, რომ შემოქმედი ნამდვილად უმალავს მას თავის სახეს. რა უნდა ვქნა, რომ რწმენა განვიმტკიცო?
- თუკი იცი, მიუგო მოძღვარმა, - რომ გემალება, ეს უკვე აღარ არის დამალვა”.

მარტინ ბუბერი განმარტავს:

“ღმერთი ორნაირად მალავს თავის სახეს. ერთია, როცა ღმერთი იმალება ისე, რომ ძნელია მისი აღმოჩენა და მაინც ის, ვინც იცის, რომ ღმერთი იმალება, შეუძლია მიუახლოვდეს მას და იპოვოს იგი. სხვაა, როცა ღმერთი უმალავს ადამიანს თავად დამალვის ფაქტს და ამიტომაც მძებნელს არ შეუძლია იპოვოს იგი”.

ეს მეორე - აბსოლუტური დამალვა, როცა მძებნელი აღარ არის, რადგან დაკარგულია იმის განცდა, რომ ვიღაც ან რაღაც იმალება და რომ არსებობს გა[ნ]გების უფალი, ჩვენი სეკულარული დროის მონაპოვარია.

იქნებ ასეა: რაღაც დაფარული გვეგონა, მაგრამ, როცა საფარველი აეხსნა და სიცალიერე გამოჩნდა, დავრწმუნდით, რომ არაფერი ყოფილა დაფარული. ეს არის სწორედ არაფერი.

XV

პავლე – რომის მოქალაქე

პავლე, გამალიელის ფერხთით განსწავლული იუდაელი, ამაყობდა რომაული მოქალაქეობით. როცა თვისტომები სასიკვდილოდ დასდევდნენ, ის რომში კეისართან ეძებდა სამართალს. მოციქულის ეს ორი იდენტობა - იუდეველობა და რომაელობა სხვადასხვა განზომილების მოვლენები იყო, ერთმანეთს ისინი არ კვეთდნენ. პირველი თუ ეთნოსისა და ეთოსის, რელიგიის სფერო იყო, მეორე კანონს ეკუთვნოდა. პავლე, როგორც იუდეველი, რწმენით პირველის ერთგული იყო, ხოლო როგორც რომის ქვეშევრდომი - რომაული კანონების მორჩილი. და მიუხედავად იმისა, რომ ებრაელობის ცნობიერებაში რომი “ბოროტების სამეფოდ” *მალქუთ ჰა-რაშაყ* (მსგავსად ჩვენი დროის “ბოროტების იმპერიისა”) იწოდებოდა, ეს ხელს არ უშლიდა ამ ადამიანს, როცა იგი ჯერ კიდევ სავლე იყო, რომის ძალა გამოეყენებინა ქრისტიანობის წინააღმდეგ, ხოლო პავლედ ქცევის შემდეგაც მისივე მხარდაჭერა ეძებნა.

“ათასისთავმა ბრძანა, ბანაკში შეეყვანათ იგი და უთხრა, შოლტის ქვეშ დაეკითხათ, რათა გაეგოთ, რა მიზეზით ყვიროდნენ ასე მის წინააღმდეგ. როცა ღვედებით განართხეს, უთხრა პავლემ იქვე მდგომ ასისთავს: რა უფლება გაქვთ, რომ გაუსამართლებლად შოლტავთ რომაელ კაცს? ეს რომ ასისთავმა გაიგო, მივიდა ათასისთავთან და მოახსენა: “რას აპირებ? რომაელი ყოფილა ეს კაცი”. მივიდა ათასისთავი და უთხრა: “მითხარი, რომაელი ხარ?” მიუგო: “დიახ”. - “მე დიდი ფულით მოვიპოვე ეს მოქალაქეობა”. ხოლო პავლემ უთხრა: “მე კი დაბადებით”. და მყისვე მოეშვნენ, ვინც მას დაკითხვას უპირებდნენ. ხოლო ათასისთავს შეეშინდა, როცა გაიგო მისი რომაელობა, მან კი შეაბორკინა იგი” (საქმე, 22:24-29).

ალუდას ჰუბრისი

ალუდას ნახტომი შინაგანი ფაქტია, ის ცნობიერებაში მოხდა. ალუდა ერთადერთი იყო თავის თანამეთემეთა შორის, რომელიც მიხვდა რაღაც სხვას. მაგრამ მასში დაბადებული ახალი ცნობიერება თემიდან მისი მოკვეთისთვის არ იქნებოდა საკმარისი საფუძველი, რომ თავად თავისივე ქმედებით არ მოეყვანა ეს წამი. ასეთ ალუდას, უცნაურს და ახირებულს, რომელსაც

ყურს არავინ უგდებს, გველისმჭამელ მინდიას მსგავსად, ჯერ კიდევ შეეძლო არსებობა მათ შორის ამ უპერსპექტივო სივიწროვეში, რომელიც მისთვის მწვავედ გაცნობიერდა. მხოლოდ არსებობა. მაგრამ მან უფრო მეტი მოინდომა: ის შეეცადა, სულიერი გარდატეხისთვის ინსტიტუციური ფორმა მიეცა, რათა მისი აღმოჩენა საყოველთაოდ გაზიარებულიყო, მთელ თემზე გავრცელებულიყო. ფართე მასშტაბის საზოგადოებებში ამას რელიგიური რეფორმა ეწოდება.

განსხვავებით იმ გუდამაყრელი თვითმარქვიისგან, ხუცესის არარსებობამ რომ გააბედინა არალეგიტიმური საქციელი, რისთვისაც კოჭლობით დაისაჯა, ალუდა მოქმედი ხუცესის საკრალურ პრეროგატივას თვითნებურად იკუთვნებს - თავისი ხელით სწირავს მსხვერპლს ხატის კარზე, რისი უფლებამოსილება მას არ ჰქონია და, როგორც სიწმიდის ხელმყოფელი, თემიდან მოიკვეთება.

ეს იყო ალუდას ჰუბრისი, გაბუდაყება. იქნებ მისთვის სექტანტი გვვეწოდებინა, თუ რომ მისი რელიგიური ხედვა (რჯულიან-ურჯულოთ მომცველი) თემის თვალსაწიერზე ფართო არ ყოფილიყო.

მეფის ჰუბრისი

იყო იუდას მეფე ქველი ყუზია. თექვსმეტი წლისა გაამეფეს და ორმოცდათორმეტი წლის მანძილზე ყველაფერში, რასაც აკეთებდა, ღმერთი შეეწეოდა, რადგან ესავდა უფალს. შორს გაითქვა სახელი, რადგან საკვირველად შეწევნილი იყო უფლისგან. ქვეყნის საზღვრები შორს გასწია და ქვეყანაშიც კეთილდღეობა და სიმშვიდე დაამკვიდრა. ნამდვილად იტყოდნენ, რომ ყუზია "კაცია დავლათიანი". და როცა მეტისმეტად გაძლიერდა ყუზია, მაშინ გადიდგულდა და იმაზე მეტი მოინდომა, რისი ხელმწიფება, როგორც თუნდაც მეფეს, არ ჰქონია.

"როცა გაძლიერდა ყუზიაჰუ, გადიდგულდა და თავისდა დასაღუპავად შესცოდა უფალს, თავის ღმერთს, რადგან შევიდა უფლის ტაძარში საკმევლის საკმევად სამსხვერპლოზე. და დაედევნა მას მღვდელი ყაზარიაჰუ უფლის მღვდლების, ოთხმოცი ვაჟკაცის თანხლებით. და წინ გადაუდგა მეფე ყუზიაჰუს და უთხრა: შენ არ გეკუთვნის, ყუზიაჰუ, უფლისთვის კმევა, არამედ მღვდლებს, აარონიანებს, რომელნიც მკმევლებად არიან ნაკურთხნი. გამოდი საწმიდარიდან! რადგან შესცოდე და პატივად არ ჩაგეთვლება უფლისგან, შენი ღმერთისგან. განრისხდა ყუზიაჰუ, ხელში კი საცეცხლური ეჭირა საკმევად და, როცა განურისხდა მღვდლებს, კეთრი გამოაჩნდა შუბლზე მღვდლების წინაშე უფლის სახლში, სამსხვერპლოსთან. და მიიხედეს მისკენ ყაზარიაჰუ მღვდელმა და ყველა მღვდელმა და, აჰა, კეთრი აქვს შუბლზე. და სასწრაფოდ გამოიყვანეს იქიდან, თავადაც ჩქარობდა გამორიდებას, რადგან უფალმა დაჰკრა მას. სიკვდილამდე კეთროვანი იყო მეფე ყუზიაჰუ, ცხოვრობდა განცალკევებულ სახლში, როგორც კეთროვანი, რადგან მოკვეთილი იყო უფლის სახლიდან..." (2 ნეშტ. 27:16-21).

"შენ არ გეკუთვნის, ყუზიაჰუ, უფლისთვის კმევა" - ეს სიტყვები, თუნდაც მეფისადმი მიმართული, არ იქნებოდა ვედრების კილოთი წარმოთქმული. ეს მიახალა მღვდელმთავარმა პირში ჰუბრისით შეპყრობილ მეფეს.

სხვანაირად არც შატილის ხუცესი იქცევა. ალუდას საქციელი ისევე უპრეცედენტოა, როგორც ყუზიაჰუსი. მაგრამ მისი დანაშაული ორმაგია: სიწმიდის უზურპაცია და რჯულის საკრალური საზღვრების გარღვევა. ალუდა იმსახურებს რისხვას და, თუ იუდას მეფე ღვთისგან მოვლენილი კეთრით ისჯება, ალუდას ხევის სამართალი სჯის.

ბერდია ჯაგარაშლილი,
ხალხისკე იზამს პირსაო.
- გაგონილაა, - იძახდა, -
ასრე აგდება რჯულისა:
საკლავს თვითონ ჰკლავს ალუდა,

მამხსენე ქისტის სულისა.....
სამართალი ვქნათ, ვუმტვრიოთ
ალუდას სახლის დირენი...

უსამას საგონებელი

ჩვენი ნაცნობი უსამა იბნ-მუნკიზი საგონებელში იყო ფრანკების შემყურე: რა ხალხია, დასწყევლოს ალაჰმა, ეს ფრანკები? სხვა ღირსება სიმამაცის გარდა, მათ არ გააჩნიათ. თითქოს მათ შორის არავინაა რაინდების გარდაო. უკვირდა უსამას ფრანკების სიმამაცე. რატომ? ამ გაკვირვებაში რაღაც უპირატესობის გრძნობა იმალება. გასაგებია ჩვენი, მორწმუნეთა, სიმხნევე, ამ ურჯულოებს კი ვინ ჩაუნერგა? რისთვის იბრძვიან, რისთვის სწირავენ თავს? გაუგებარია. ჩვენ ალაჰისთვის ვწირავთ თავს. ესენი? მათი ერთადერთი ღირსება სიმამაცეაო, თითქოს კიცხვის კილოთი რომ ამბობს, სხვა რომელი ღირსება აქვს მხედველობაში, რომელიც აკლიათ ფრანკებს? უსამას მამას, მთელი სიცოცხლე ბრძოლებში რომ გაატარა, ორმოცდასამჯერ ჰქონდა ყურანი გადაწერილი. სიკვდილის წინ უთხრა შვილს: აი, იმ სკივრში აწყვია. რომ მოვკვდები, საფლავში თავქვეშ ამომიდევითო.

ახლა შეიძლება მივხვდეთ, თუ რატომ არ მიიღო უსამამ თავისი ფრანკი მეგობრის შემოთავაზება. მის შვილს, რომელსაც სიმამაცე თანდაყოლილი ჰქონდა, ფრანკების ქვეყანაში, ურჯულოების გარდა, რა უნდა შეეძინა?

კლიუჩევსკის აღიარება

როცა იმპერატორმა ალექსანდრ III-მ ჰკითხა კლიუჩევსკის, რომელიც უფლისწულ გიორგის რუსეთის ისტორიას ასწავლიდა, გულზე დაიდევით ხელი და მითხარით, თუ არის ჩვენში რუსული სისხლის წვეთი მაინცო, არაო, უპასუხა ისტორიკოსმა. ვითომ აწუხებდა რუსეთის მიწის პატრონს (Хозяин земли русской) თავისი ეთნიკური წარმომავლობის შეუსატყვისობა რუსეთის იმპერატორობასთან? ეკატერინეს შემდეგ რომანოვების რა რუსულ სისხლზე შეიძლებოდა ლაპარაკი? იმპერატორი არც ფიქრობდა, რომ თავისი იმპერატორობის ლეგიტიმაცია ეთნიკური კუთვნილებით განემტკიცებინა. ქვეყნის მეფეს შეიძლება კიდევ (თუმცა ესეც საეჭვოა) მოეკითხოს გვარტომობა, მაგრამ იმპერატორი, რომელიც ზენაციონალურ სახელმწიფოს განაგებს ამ პირობისგან თავისუფალია. ცხებული მეფის იდენტობაში სისხლისმიერი ეროვნულობა არავითარ როლს არ ასრულებს. ის ცის სამსახურშია და, სადაც არ უნდა დანიშნონ, იმ ქვეყნის ერთგული უნდა იყოს, განურჩევლად ეროვნული კუთვნილებისა.
მართლაც, ვინ იყვნენ უკანასკნელი რომანოვები? - გერმანელები, ინგლისელები...? ყოველ შემთხვევაში რუსები არ ყოფილან. ნიკოლოზ მეორე გეორგ V-ის დეიდაშვილი იყო, საქს-კობურგის სახლიდან, რომელმაც ბელგიის, პორტუგალიის, ბულგარეთის სამეფოთა სახლები შექმნა. ვინ იყვნენ ავსტრო-უნგრეთის ან რომის საღვთო იმპერიის იმპერატორები, ან, უფრო შორს რომ წავიდეთ ბიზანტიის (ჰრომის) ბასილევსები, რომელთა ეთნიურ წარმომავლობას არასოდეს ქვეყნის პოლიტიკაზე გავლენა არ ჰქონია? ეს უქმი საკითხი მხოლოდ დღევანდელი ნაციონალისტური პოზიციიდან თუ წამოიჭრება. რატომ ეწოდებოდათ ბაგრატიონებს ქართველი ბაგრატიონები - იმიტომ, რომ ისინი ეთნიური ქართველები იყვნენ თუ იმის გამო, რომ ქართველთა მეფეები იყვნენ? თუ ბაგრატიონთა დავით ისრაელის მეფისგან წარმოშობა რეალური ფაქტია, როგორ მოხვდებოდა მათ სხეულში "ქართული" სისხლი, როცა მათ გენეალოგიაში არც ერთი დედოფალი ეთნიკურად ქართველი არ ყოფილა (ბაგრატიონთა

სახლის ნაციონალიზაცია მხოლოდ ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ იწყება, როცა დედოფლები ადგილობრივი თავადაზნაურული წრიდან ირჩეოდნენ). თუ ებრაული წარმოშობა მხოლოდ მითოსია, ეს მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ სამეფო თვითშეგნება დინასტიის უცხო წარმომავლობას უჭერს მხარს.

XVI

***

პლატონი წერდა, რომ მნიშვნელოვანი აზრები არ უნდა იწერებოდეს, არამედ დიალოგის ნაყოფი უნდა იყოს და მხოლოდ ზეპირმეტყველებაში რჩებოდეს. სხვაგვარად, სიბრძნე დაცული უნდა იყოს იქ, სადაც ის იბადება - ადამიანის გონებასა და სულში და მხოლოდ ზეპირი გზით გადაეცემოდეს მისთვის მწყურვალს. ის კიდევ ამბობს, რომ არის საგნები, რომელთა შესახებ მას არაფერი დაუწერია და არც არასოდეს დაწერს (წერილი VII). რადგან ეს არ შეიძლება სიტყვით გამოითქვას, როგორც სხვა საგნები გამოითქმის და, მითუმეტეს, მიენდოს ისეთ არასრულყოფილ ნიშნებს, როგორიც დამწერლობაა. მაგრამ პლატონს არასოდეს უთქვამს, რა იყო ეს საგანი, რომელიც დამწერლობის მეშვეობით დღის სინათლე არ უნდა ეხილა. ეს ალბათ მისი მოძღვრების საკრალური გულისგული იყო, რომლის გამხელა ისევე ეკრძალებოდა, როგორც განდობილთ ელევსინის საიდუმლოს გაცემა.

“გამოქვეყნებული ხელნაწერი ქუჩის ქალიაო”, ჯონატან სვიფტს დაუწერია სადღაც. ეს გაიმეორა ვლადიმირ ნაბოკოვმა, მისგან მე ვიმეორებ, უფრო სწორად, პლატონს ვათქმევინებ, თუმცა პლატონი გამოუქვეყნებელ ხელნაწერსაც ქუჩის ქალად მოიხსენიებდა.

ელინური მითები

როგორი რეზონანსი და სახელი ჰქონდა მთელს ელადაში ელევსინის მისტერიებს, მაგრამ დამწერლობას არ აღუბეჭდავს მისი საიდუმლო ტექსტები. ჰიეროფანტებმა დამწერლობას არ ანდეს მისტერიების სიბრძნე. ერთადერთი, რაც ასონიშნებით აღიბეჭდა ახლადარჩეული ჰიეროფანტის სახელი იყო, მაგრამ ისიც იმ ქვასთან ერთად, რომელზეც წაიწერა, ზღვას მიეცა, რათა სამუდამო საიდუმლოდ დარჩენილიყო.

თუმცა საიდუმლომ მაინც გამოჟონა დღის სინათლეზე ელინური მითების სახით. მაგრამ ისინი, რაც უნდა წარმატაცნი იყვნენ, იმ ჰიეროფანტული საიდუმლოსა და სიბრძნის მხოლოდ სეკულარიზებული აჩრდილებია, დემოსის სახრავად გადაყრილი დღის სინათლეზე. ისინი იმ კენჭებს გვანან, რომლებიც ზღვის ფსკერზე ათასფერად ელვარებენ, ნაპირზე ამოყრილნი კი ხუნდებიან. რატომ? იმ წვენს, რომელიც აცოცხლებდა მათ, მზე აშრობს და ახუნებს. ძველი საზრისები დაკარგული აქვთ და ხშირად გაუგებარია მათი ნარატივი. ან ის საიდუმლო სიბრძნე დემოსის ყოფით ენაზეა გადმოთარგმნილი.

ახალი დროის ფილოლოგია ცდილობს ამოიკითხოს მათში თავდაპირველი საკრალური საზრისები, მაგრამ ამაოდ. ფილოლოგია ამას ვერ შეძლებს. რის ამოკითხვაც შეუძლია მას, ეს საკუთარი “ფილოსოფია” ან წარმოსახვითი რწმენა-წარმოდგენებია, რომელთაც ნაკლები კავშირი აქვთ ოკეანის ფსკერზე დაფარულ სიბრძნესთან.

ამის მკაფიო მაგალითად ყბადაღებული “ოიდიპალური” კომპლექსი გამოდგება.
ან, თუნდაც სიზიფოსის მითოსი. მისი ნარატივი სასტიკი სასჯელის გამოხატულებაა, მაგრამ თუ ჰქონდა მას სხვა საზრისი? რა არის ქვის მთაზე აგორება, რათა კვლავ უკან დაგორდეს?
ისტორია - სიზიფოსის შრომა. ის მაშინ დასრულდება, როცა სიზიფე ბოლომდე აიტანს ლოდს და მწვერვალზე დაამაგრებს.

რას ასიმბოლიურებს ეს ლოდი? მასშია შენივთებული საუკუნეთა სიმძიმე?

ურარტუს მეფე რუსა I

სხვა ნადავლს შორის, რომელიც სარგონ მეორემ დარბეული ურარტუდან აშურის ქვეყანაში წაიღო, იყო ურარტუს მეფის რუსა პირველის (ძვ. წ. VIII ს.) ქანდაკი წარწერით:
"ჩემი ორი ცხენითა და ერთი მეეტლით ურარტუს მეფობა დაიპყრო ჩემმა მარჯვენამ".

უცნაურია ეს სიტყვები, თითქოს რუსა ურარტუს ტახტზე კანონიერი მემკვიდრეობის გზით არ ასულიყო. ეს თითქოს უზურპატორის სიტყვებია, რომელმაც საბრძოლო ეტლში და მარჯვენაში განივთებული ქარიზმით მოიპოვა მეფობა, რაც მეფობის ისტორიაში არცთუ იშვიათია. მაგრამ რუსა ხომ მეფის ძე იყო, ძე სარდურისა? თითქოს არ არსებულა მამა, რომელმაც ტახტი დაუტოვა, არ არსებულა ღმერთი ხალდი, რომელსაც ურარტუს მეფეები მეფობისა და გამარჯვების წყაროდ მიიჩნევდნენ, და თავადაც რომ წერს ერთ წარწერაში: "მე, რუსა, ხალდის მსახური, ხალხის ჭერშმარიტი მწყემსი, რომელიც ხალდისა და ჩემი ლაშქრის ძალის იმედით არ შეშინებულა ბრძოლაში. ხალდიმ მომცა მე ძალა, ძალაუფლება, სიხარული მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე". ქანდაკის წარწერაში კი რუსას დავიწყებული ჰყავს ხალდი, თუმცა ქანდაკი ამ ბედითი წარწერით მაინც ხალდის ტაძარში იდგა, საიდანაც აშურის მეფემ გამოიტანა და, როგორც გამარჯვების ნიშანი, აშურ-ქალაქში აშურ-ღმერთის ტაძარს შესწირა.

როგორც სარგონის ანალები მოგვითხრობს, დამარცხებული რუსა მეფე "მიწაზე დავარდა, სამოსელი შემოიხია, სამეფო თავსაბურველი მოიგლიჯა, თმები გაიშალა, ხელები გულზე მოიჭირა და პირქვე განერთხა. გული უჩერდებოდა, ღვიძლი ეწვოდა, საწყალობლობლად კვნესოდა..."

საბოლოოდ, მემატიანე ასე ამთავრებს ურარტუზე ლაშქრობის ისტორიას:

"რუსა ურარტელმა აშურის, ჩემი უფლის, შიშით შეპყრობილმა რკინის სატევარი საკუთარი ხელით როგორც ღორის გულში გაიტარა და სიცოცხლე მოისპო".
იმავე საკუთარი ხელით, რომელმაც მეფობა მოაპოვებინა.
შესაძლოა, რუსას ამგვარად არც კი დაესრულებინოს სიცოცხლე. ისტორიკოსები სარწმუნოდ არ მიიჩნევენ სარგონ მეორის ანალების ამ ეპიზოდს. შესაძლოა, აშურელი მემატიანე ზომაზე მეტად ტენდენციურია დამარცხებული მტრის მიმართ, მაგრამ მისი ლოგიკა გასაგებია: ასეთ აღსასრულს იმსახურებდა გაბუდაყებული მეფე, რომელმაც თავისი მარჯვენა ხალდის მარჯვენაზე მაღლა აღმართა.

XVII

პური, ღვინო და ზეთი

ევრიპიდეს დრამაში "ბახუსის ქალები" მისანი ტირეზია ეუბნება დიონისეს უარმყოფელ პენთეუსს:

"ორი ღმერთია, კაცთა მოდგმას რომ ასაზრდოებს:
ერთი - დემეტრე, დედამიწა, მშრალით მკვებავი,
მერმე მოვიდა დიონისე, ვინც ყურძნის მტევანს
წვენი ადინა, განაჩინა ჩვენდა სასმელად,
რომ დაგვიამოს წუთისოფლის მწარე ვნებანი".

დემეტრეს მშრალი საკვები პურია, დიონისეს სასმელი - ღვინო. ბიბლია მესამეს უმატებს - ზეთს.

“ნაყოფისაგან იფქლისა და ღვინისა და ზეთისა მათისა განმრავლდეს” (ფსალმ. 4:8).

“რომელმან გამოიღოს პური ქუეყანით. ღვინომან ახაროს გული კაცისა, საცხებელმან მხიარულყვის გული კაცისა” (ფსალმ. 103:14-15).

ბიბლია ამასაც ამბობს:

“ცოლი შენი ვითარცა ვენახი მსხმოჲ კიდეთა სახლისა შენისათა; შვილნი შენნი ვითარცა ახალნერგნი ზეთისხილისანი გარემოჲს ტაბლისა შენისა” (ფსალმ. 127:3).

უგარიტულ მითოსში ნაყოფიერების ღმერთს, რომელიც შვოდწლიანი გვალვის შემდეგ ქვეყანაში ბრუნდება, სამი ქალწული პურით, ღვინით და ზეთით ეგებება.

მართლაც, რისგან შედგება ადმიანის საზრდო? პურისგან, ღვინისგან და ზეთისგან. მიწის რომელი ნაყოფებია, რელიგიური სიმბოლიზმით რომ დაიტვირთა ძველთაგანვე? პური, ღვინო და ზეთი.

ადამიანის საზრდო ამ სამ სუბსტანციამდე დაიყვანება. ამ სამი მარტივი ელემენტისგან, სურვილის შემთხვევაში, თუკი მჭამელ არსებას მოსწყინდება ერთფეროვნება, შესაძლებელია აურაცხელი კერძის შექმნა. მაგრამ ადამიანი მისი შესაქმის ჩანაფიქრში არ იყო მჭამელი არსება (ხორცის ჭამაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი). მაგრამ მან მჭამელად გადააქცია თავისი თავი. თანამედროვე ადამიანმა თავისი დაუშრეტელი გასტრონომიული ფანტაზიიის წყალობით სმა-ჭამა ხელოვნებამდე აიყვანა, ფიზიოლოგიური აქტი ესთეტიკად აქცია.

ქუდები, რაც კი დასაბამიდან გვხურებია

რომ ამბობენ, რომელ ქვეყანაშიც ხარ, იმ ქვეყნის ქუდი დაიხურეო, ნივთიერი ქუდის დახურვას არ გულისხმობენ - ქუდს აქ სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. ქუდი ამ თქმაში ჩვეულებას აღნიშნავს. და ისედაც, ქუდი წესჩვეულების მატარებელი ნივთია. ბევრი ადამიანი იცვლის ქუდს, მაგრამ რომ ვკითხოთ, რისთვის, რა მიზნით, რა მოტივით გამოიცვალა ქუდი, შეიძლება, ვერ გიპასუხოთ. რატომ გადააგდო, დაივიწყა ერთი და აირჩია მეორე? რა შეიცვალა მის შიგნით და მის გარეთ?

დასაბამიდან იყო ჩაჩი (“ჩეფჩიკი”) - ნამდვილად ეს თავსაბურველი მას არ შეურჩევია, მას ახურავდნენ თავზე ჩვილ ასაკში, თავს უფუთავდნენ ძილის ეწინ. ეს ღამის თავსაბურველი იყო, სიზმრებში მიჰქონდა. რაც შეიძლება ახსოვდეს, ეს სითეთრეა მის თავზე და ნეტარებისგან მოგვრილი საკუთარი ღიმილი. თუმცა ის, როგორც სახელი მოწმობს, უცხოური წარმოშობისაა.

“ისპანკა” (გრიპის სახეობაც არის) და “მატროსკა” - ესენი ერთდროულად არსებობდნენ. არც ერთი ამ ორიდან საბჭოთა ბავშვს არ აურჩევია, თავზე მოახვიეს ჯერ მის მშობლებს, მერე მას. ერთი გარედან, რევოლუციური ესპანეთიდან შემოვიდა, რათა საბჭოთა პიონერების ნიშანი გამხდარიყო, მეორე თითქოს შინაგანია. ერთი ინტერნაციონალური მოვალეობის პროდუქტია, მეორე, კაცი იფიქრებს, ნიშანი და გახსენება “ავრორასი”, რომელსაც, როგორც ამბობენ, არ გაუსროლია. თუმცა, რა შუაშია “ავრორა” და აჯანყებული მატროსები? ამ თავსაბურველს, რომელიც შესამოსელის მხოლოდ ნაწილია, უკანასკნელი ცესარევიჩი ალექსი ატარებდა (იხ. მისი ფოტოები და ხატი). რა მემკვიდრეობით მიიღო საბჭოთა ყოფამ ეს მეზღვაურული ანტურაჟი და რა აზრით დატვირთა იგი, გაუგებარია. ორივე სამხედრო თავსაბურველია. მიჰყავდათ ბავშვები ფოტოგრაფთან და სურათს უღებდნენ. ეს ფოტოსურათები დღეს ეპოქალური დოკუმენტებია.

როდის დგება ის დრო, როცა მოზარდი თავად ირჩევს, როგორი საბურველით შეიბუროს თავი? ეს დრო მოდის, მაგრამ მანამდე კიდევ არის თავზე მოსახვევი.

შენ თავს ახსოვს ყურებიანი ქუდი ე. წ. "უშანკა" ყბებზე შესაკრავი თასმებითურთ. ვიზუალურად და მეექვსე გრძნობით ბავშვობის ზამთრის მოგონებებს იწვევს.
მორიგი კოკარდიანი თავსაბურველი არა მხოლოდ სკოლის უნიფორმის, არამედ ცარისტული იმპერიისადმი სტალინური ნოსტალგიის ნაწილია. ეს ფაქტი ომისშემდგომი საბჭოური ყოფა-ცხოვრების და, ალბათ, პოლიტიკის ბევრ ნაწილში ჩანს. ეს აუცილებელი და, ამდენადვე იძულებითი უნიფორმა და განსაკუთრებით კარტუზი და ქამარი, რომლის ბალთაზე, თუ არ ვცდები, სკოლის ნომერი იყო გამოსახული, მით შემოსილ მოსწავლეში, ერთი მხრივ, თუ შებოჭილობის განცდას ბადებდა, მეორე მხრივ, აძლევდა შანსს მისი ფორმის რღვევით თავისუფლების ქროლვა განეცადა. ბევრს უნახავს სკოლის სივრცეს თავდაღწეული უქუდო, საყელოგახსნილი და სარტყელშემოხსნილი გაოფლიანებული, ლოყებ-შეფაკლული მოსწავლე... ამ ნეგატიური თავისუფლების გვერდით, თუმცა ეს თავსაბურველს არ შეეხება, გახსნილი იყო თავისუფლების მიზნობრივი სივრცე, რომელსაც იმ წლებში შემოღებული ე. წ., სხვა სახელი მას არ ერქვა, "კასავაროტკა" გამოხატავდა. ეს იყო სასკოლო უნიფორმის ალტერნატივული სამოსელი, რომელიც ეპიდემიასავით იყო მოდებული თბილისის ქუჩებს. პირველი მსოფლიო ომამდელი შავი სატინის ამ ხალათით და მისი თანმხლები თუშური ქუდით თითქოს საბჭოეთის ჯიბრზე თუ სოლიდარობის ნიშნად იმოსებოდა "ერთი მუჭა ქართველობა". ეს მოდაზე მეტი ჩანდა, რაღაც პროტესტის სპონტანური გამოხატულება იყო. აი, ჩვენ ეს ვართ. ეს ჩვენ ვართ. ყოველგვარ *განსხვავებულზე* დადარაჯებული ფხიზელი თვალი, ამის შემხედვარე, რატომღაც მოხუჭული იყო.

იყო შლიაპა, რა მასალის, რა ფერის (შავი, მუქი ლურჯი, ნაცრისფერი...), რა მოყვანილობის, რომელი სეზონისაც არ უნდა ყოფილიყო, ევროპეიზმის ნიშნად ჩანდა ისევე, როგორ უნივერსიტეტი, ერთადერთი ხილული ფანჯარა ევროპაში, თუმცა დაგმანული, მაინც ჭუჭრუტანებიანი. შლიაპა თითქოს ათანაბრებდა სტუდენტს პროფესორთან, ისინი კვლავ (რა ხნის შემდეგ!) ერთი საზოგადოების - universitas magistrorum et scholarium - განუყრელი წევრები ხდებოდნენ. მისი მეშვეობით მოწიწებით ესალმებოდი ყველას, ვინც არ უნდა ყოფილიყო ჩავლილი ან შემხვედრი, მოუხდიდი მას მის ჩაკეცილ წვერზე იმავე სამი თითი ჩავლებით, რომლითაც პირჯვარს იწერენ. მაგრამ მისი მოდა (სტუდენტთა ერთ ნაწილში შლიაპის გამავრცელებელი ელგუჯა ბერძენიშვილი იყო, რომელიც თავის ფროიდისტულ ეპოქაში განუყრელი მუქი შლიაპით ხშირად სტუმრობდა უნივერსიტეტს) ისევე ეფემერული გამოდგა, როგორც მაშინდელი უნივერსიტეტიდან მობერილი ევროპეიზმი. ამ თავსაბურველის უცხოობის მომენტი, შესაძლოა, სკოლის უნიფორმიანთა ერთმა უცნაურმა, მგონი, აუხსნელმა თამაშმა ასახა: ვინმე შლიაპიანის დანახვაზე სკოლის უნიფორმიანის ძახილი "ცილინდრი!" (მათი ჟარგონი შლიაპას ცილინდრისგან არა განასხვავებდა) გაფრთხილებდა ხელით დაგეფარა თავი, რათა ამხანაგისგან თავში ჩაცხების მსხვერპლი არ გამხდარიყავი. თუმცა ამ ჩაცხების ვირტუალური ობიექტი ის შლიაპიანი იყო, შენგან რეკოშეტით მას ხვდებოდა, თავად კი ამაზე წარმოდგენაც არ ჰქონდა.

იყო სვანური ქუდის ეპოქაც, ეროვნული არჩევანის pars pro toto იმ აზრით, თითქოს ეს ერთი კუთხე გამოხატავდა სრულიად სამშობლოს) ჟამი და დღემდე ასეა ბევრისათვის. მას იდეალური ფორმა აქვს, საიმედოდ გახურავს თავზე, იმეორებს მის კონფიგურაციას, არ გთხოვს მოხდას სახლში შესვლისას, თითქოს სხეულის ნაწილი იყოს. პრაქტიკული გამოყენებაც აქვს: მთებში ხეტიალისგან მოწყურებული წყლის მსვლეპელად რომ არ გიხილონ, თასად იყენებ მას.

იყო ბერეტიც, რომელიც არავითარ ვალდებულებას არ გაკისრებდა: მისალმებისას არ იხდიდი, მხოლოდ მხედრული წესით მარჯვენა ხელით "ჩესტს უღებდი" (არ ითარგმნება). უცნაურია, მაგრამ თავისი წარმოშობით ეს სამხედრო თავსაბურველი ჩვენში ქალებმა მიისაკუთრეს, რის გამოც მისი გამოყენება მამაკაცთა მხრიდან ერთ დროს სარისკოც კი იყო.

ბერეტი მოსახერხებელია იმითაც, რომ შეგიძლია ჯიბეში ჩაიტენო, დაჭმუჭვნილს ისევ თავი გაასწორებს, თუმცა რატომ უნდა გაასწოროს, ჭმუჭვნილობა ხომ მისი თანშობილი ნიშანია.

აი, კეპი, "კეპკა" - შენი ინდივიდუალური არჩევანია, ამით შენ თითქოს უფროსებს გაუთანაბრდი. გახსოვს, ნაფტალინს რომ გამოსტაცე მამის დანახურევი და დაიხურე. იწყება მოწიფულობიდან და მთელს ცხოვრებას გასდევს, ბევრი სხვა ფორმა ენაცვლება მას ხანგამოშვებით, მაგრამ ის გამძლეა, შეუმუსრველია. შეგიძლია ბოლომდე უერთგულო. ძვირფასი ადამიანები გვინახავს კეპით მოსილნი ფოტოებზე და ცხოვრებაში. ის უნივერსალურ-მამაკაცურია (თუმცა მისი ფემინიზაცია ადრევეა დაწყებული), მას თავისი ფერით, ფაქტურით, ფორმატითა თუ თარგით, თავად კეპის, მისი ცენტრალური და არსებითი ნაწილის, კონფიგურაციით, თავსაბურველის დანარჩენ სხეულთან მისი ზომის შეფარდებით შეუძლია გამოხატოს ადამიანის სოციალურ-ინტელექტუალური მდგომარეობა, მისი მატარებლის გემოვნება, მისი ამქრული კუთვნილება და ა. შ. და ა. შ. ვფიქრობ, შენი არჩეული კეპით დაასრულებ სიცოცხლეს. მისი მოხდით საბოლოო გამოთხოვება ძვირფასი ნივთებით დასახლებულ ამ წუთისოფელთან გარანტირებული გაქვს.

იმპერატორი - შემწირველი და შეწირული

ქვეყნის უპირობო და უსაზღვრო პასუხისმგებლობის საუკეთესო მაგალითია შანის ეპოქის იმპერატორის ტანგის (ძვ. წ. XVIII ან XVI ს) საქციელი. როცა ქსიას დინასტიის დამხობის შემდეგ ქვეყანაში ხანგრძლივი გვალვები დადგა, იმპერატორი თავად ავიდა კოცონზე. განიწმიდა, თმა და ფრჩხილები მოიჭრა და კოცონის შუაზე დაწვა. მაგრამ როგორც კი ცეცხლი დაინთო, წვიმა წამოვიდა და ხანძარი ჩააქრო. იმპერატორმა ასე ილოცა:

"... თუ მე, ერთმა კაცმა, ჩავიდინე დანაშაული, ეს არ მოეკითხოს ხალხს. და თუ ხალხმა ჩაიდინა დანაშაული, მათი დანაშაული ჩემს კისერზე იყოს, ერთ კაცზე. ერთი კაცის უღირსობის მიზეზით ნუ მოსპობენ უზენაესი უფალი და სულები ბევრი ხალხის სიცოცხლეს".

რამდენადაც მსხვერპლშეწირვა ქურუმის ფუნქციაა, ხოლო იმპერატორი ამავე დროს ქურუმიც არის, ტანგის მოქმედება შეიძლება შეფასდეს როგორც თვითშეწირვა, როგორც განსაკუთრებული მაგალითი, როცა მეფე ერთსა და იმავე დროს შემწირველიც არის და შეწირულიც.

აქ შეგვიძლია გავიხსენოთ იოანე ოქროპირის სიტყვები: "მე ჯვარცმულ ქრისტეში მეფეს ვხედავ, რადგან მეფე თავს უნდა სწირავდეს თავისი ხალხისთვის".

***

მძიმე იყო პასუხისმგებლობა ცის წინაშე, ასეთი უნდა ყოფილიყო ცის ჰაეროვანი სიმძიმის ქვეშ მყოფი იმპერატორი.

დიდებულები მიმართავდნენ მას: "ო, იმპერატორო! წინდახედული იყავი, როცა ტახტზე ზიხარ. საზღვარი მიუჩინე შენს სურვილებს. მხარი დაუჭირე სიქველეებს და ცისქვეშეთი გაეხმაურება შენს მოწოდებებს. გაასუფთავე შენი ზრახვები, რათა განწმენდილი დაელოდო შენი უფლის ნებას, და ცა არაერთგზის გაგხდის თავისი სიკეთეთა ღირსად".

მისი ძახილი გვისწრებს საუკუნეებში: "სად მიგიყვანათ თქვენმა ნაქებმა დემოკრატიამ, პროგრესის უკანასკნელ სიტყვად რომ მიგაჩნდათ?"

ის პასუხობდა დიდებულებს: "ო, დიდებულნო, დიდებულნო! თქვენ ჩემი ხელი და ფეხი ხართ, ჩემი თვალები და ყურები ხართ. მე მსურს შევეწიო ჩემს ხალხს, მხარში ამომიდექით. თუ მე უსამართლოდ მოვიქცევი, მამხილეთ. პირფერობას, ზურგსუკან კიცხვას ნუ დამიწყებთ" და ა. შ. და ა. შ.

XVIII

ზედი საიდუმლოსი

სეკულარულ სამყაროში საიდუმლოს ადგილი დაიკარგა, მას მხოლოდ მეტაფორული მნიშვნელობა შერჩა. თანამედროვე ცნობიერება ისეა მოწყობილი, რომ მას არ შეუძლია რაიმე საიდუმლოს ატანა, იგი სრულიად უსაფუძვლოდ ამაყობს არა მხოლოდ იმით, რომ მან თავისი რაციონალური მეცნიერებით და ფილოსოფიით გააუქმა ყოველნაირი საიდუმლო და ყველაფერი ყველასთვის მისაწვდომი გახადა, არამედ ეს შიში საიდუმლოს წინაშე სინამდვილის ყველა სფეროზე გაავრცელა და ყოველდღიური ცხოვრება (ყოფა) მოაცვევინა. მსოფლიო, სადაც ყველა "პუბლიკუმი" ანუ სანახაობის (*შოუს*) მაყურებელი გახდა, იძენს ნამდვილად ტოტალურ მასშტაბს. როგორც არსებობს სიმაღლის შიში, ჩაკეტილი სივრცის ან ტრიალი მინდვრის შიში (რამაც ბაბილონის გოდლის მშენებლები მოიცვა), ასევე თანდათან კაცობრიობაში მკვიდრდება საიდუმლოსადმი შიში.

ამიტომაც ადამიანები ცდილობენ მთლიანად დაიყვანონ თავიანთი ყოფა "საჯარო" ცხოვრებამდე, იცხოვრონ გამჭვირვალე სკებში (რ. გენონი). გასაგებია ეს მეტაფორა: იცხოვრეთ სხვებივით და გამჭვირვალედ. რენე გენონი ამბობს, რომ საიდუმლოს უგულებელყოფა სხვა არაფერია თუ არა ერთ-ერთი ფორმა სიძულვილისა იმის მიმართ, რაც სცილდება *პუბლიკუმის* საშუალო დონეს, ყველაფერის მიმართ, რაც უპირისპირდება და უარყოფს ერთფეროვნებას... *პუბლიკუმს* ჩანერგილი აქვს სხვისი ცხოვრებით დაინტერესების მოთხოვნილება, რომელიც აღარ კმაყოფილდება ფიქციური სერიალებით, არამედ უკვე სხვის დოკუმენტურ ცხოვრებაში ცდილობს შეჭრას და იჭრება კიდეც. უფრო მეტიც: ამ სხვასაც უჩნდება მოთხოვნილება, რომ მისი საიდუმლო *პუბლიკუმისთვისაც* ცნობილი გახდეს. გაუმჟღავნებელი საიდუმლო უკვე სისუსტისა და არასრულყოფილების განცდას ჰბადებს, თუმცა პირუკუ კი უნდა ყოფილიყო.

კაენის აპოლოგია

არქეტიპულმა კაენმა რომ გამოხატა ახალი ისტორიის სულისკვეთება, იქიდანაც ჩანს, რომ მისი პიროვნება ატაცებული იქნა სწორედ იმ ძალების მიერ, რომლებიც თავისებური მეტანოიას შედეგად ნერგავდნენ ახალ ისტორიაში სეკულარულ ტენდენციებს ყოფიერების ყველა სფეროში. ხდება კაენის არა მხოლოდ რეაბილიტაცია, არამედ განდიდება იმ "გაბედული" პასუხისთვის, რომელიც მიახალა ღმერთს: "განა მე ჩემი ძმის დარაჯი ვარ?" სეკულარიზაციის მესვეურთ სურდათ სრულიად განთავისუფლებულიყვნენ რელიგიისგან, მაგრამ მაინც დარჩნენ რელიგიაში, თუმცა ეს უკვე ლუციფერის (ამბოხებული და დასჯილი ანგელოზის) "რელიგია" იყო, რელიგია ღმერთის გარეშე ანუ ათეიზმი. ჯონ მილტონის "დაკარგული სამოთხე" სეკულარიზმის იდეოლოგიური დოკუმენტია, რომელმაც გარკვეულწილად განსაზღვრა კაცობრიობის "შეგნებული" ნაწილის - ინტელიგენციის მენტალობა. და დღემდე ასეა.

უკვე სეკულარიზმმა, როგორც იდეოლოგიამ, რომელმაც გამოაჩინა სეკულარიზაციის ფარული ბრჭყალები, იტვირთა ათეიზმის რელიგიად გარდაქმნის ამოცანა, როგორც ახალი დროის გამოწვევა. ეს ხდება მეცნიერების ტრიუმფის საუკუნეში. XIX ს-ში ჩამოყალიბდა საბოლოოდ მისი იდეოლოგია.

***

ვებერისეული გაგება ხარიზმისა, თუ რენე გენონის მეტაფორას გამოვიყენებთ, გადმოყირავებულია: რელიგიურ-მეტაფიზიკური სინამდვილე მოქცეულია ფენომენალურში. ზენა შეცვლილია ქვენათი. და ეს ეპოქის ნიშანია.

რასაც დღეს ქარიზმაში გულისხმობენ, სხვა არაფერია, თუ არა ხალხის ნება-სურვილების პროექცია პოლიტიკურ ლიდერში, რომელიც ამ დროს ხალხის მძევალია, არა ჭეშმარიტების ტყვე და მორჩილი, როგორიც რელიგიური ხანის წინამძღოლი იყო. თუ ის ჭეშმარიტებას აცხადებდა, თუნდაც ძნელი ყოფილიყო მისი მოსმენა და ატანა, რაც ნამდვილად არ უწყობდა ხელს მის პოპულარობას (ვინ იყო იერემიაზე არაპოპულარული იერუსალიმის იმ უკანასკნელ ბობოქარ დღეებში?). დღევანდელი "ქარიზმატული ლიდერი", როგორც დემაგოგი, პოპულარობის მოსახვეჭად ილუზიებით კვებავს ხალხს, აცხადებს იმას, რაც აამებს მათ სულს. თუ ის - ნამდვილი კერპებს ანგრევდა, ეს - ცრუ მზად არის, აშენოს კერპები. სხვანაირად ვერც მოიქცევა, რადგან მისი "ქარიზმა" მისივე ნაკვები ილუზიებისგან არის შეთხზული... თუ ვინმე მოხიბლულა გაუთავებლად მბრუნავი რეკლამით, ის ამგვარად შეთხზული "ქარიზმითაც" მოიხიბლება. ვგულისხმობ უჩინარი იმიჯმეიკერების კოსმეტიკურ "შემოქმედებას", რაც სავსებით შეესატყვისება დროის სულს. ეს სეკულარული ეპოქის ნიშანია, როცა სეკულარიზებულია თავად მოწოდება, როცა ქარიზმა, როგორც ცნება და ტერმინი იცვლის თავის შინაარსს. საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრება ღვთის დუმილით ადამიანის ნებაზეა მიშვებული. ღმერთი დუმს, როცა ადამიანი არ უსმენს მის ხმას. თუ ვისმე მოუხმია ან დაუმოწმებია ღვთიური ავტორიტეტი ("ჩვენთან არს ღმერთი" და სხვა), ეს მხოლოდ ფუყე მეტაფორა ყოფილა.

პატრა-აპატრა

პატრა თასს ნიშნავს ინდურად. რელიგიურ ტექსტებში *პატრა* მართალი კაცის მეტაფორაა. პატრა ის კაცია, ვინც წყალობას იმსახურებს. იგულისხმება, რომ ადამიანი ისეთივე სუფთა და შეუყვნელი უნდა იყოს, როგორც თასია, რიტუალური ჭურჭელი, როცა ის თავისი სიწმიდის მწვერვალზე იმყოფება. თუმცა არის ბინძური ჭურჭელი, რომელიც თავისი ფორმით ჩამოჰგავს თასს - *პატრას,* მაგრამ ის არ არის პატრა, არამედ *ა-პატრა* - არათასი. ცოდვილი ადამიანი არათასობის მდგომარეობაში იმყოფება... როდესაც ამ ადამიანს საზოგადოებიდან აძევებენ, ანუ ხდება მისი განკვეთა, სრულდება აპატრას, არათასობის მდგომარეობაში მისი გადაყვანის რიტუალი. მას აძლევენ გაფუჭებულ და დაბინძურებულ ჭურჭელს, რომელშიც უწმიდური წყალი დგას, და ეუბნებიან: "როგორც ეს თასი აღარ არის თასი, არამედ არათასია, და როგორც ეს წყალი არ არის წყალი, არამედ არაწყალია, მე ვღვრი მიწაზე არაწყალს, რათა შენ აღარ გქონდეს წყალობის იმედი..." მერე გადმოაყირავებენ ამ ჭურჭელს და ასე გადმოყირავებულს დატოვებენ, როგორც შერყვნილ რასმე საგანს, რომელსაც არავინ ეკარება. ასევე ეს კაცი მიუკარებელი ხდება. ამიერიდან მას სახელითაც არ მოიხსენებენ - ის *აპატრაა.*

მაგრამ კაცი სამუდამოდ არ რჩება აპატრას მდგომარეობაში. როცა ცოდვა გამოსყიდულია (ამის შანსი ეძლევა მას), მას მიაწოდენ თასს, წმიდა წყლით სავსეს, და გადაცემის ეს აქტი *პატრას* მდგომარეობაში აბრუნებს მას.

სამასი მსვლეპელი

მოწყურებული ლაშქარი - ათიათასი იარაღასხმული კაცი ბრძოლის წინ გედეონმა მდინარეზე ჩაიყვანა დასარწყულებლად. უმრავლესობამ იარაღი გვერდზე გადადო, ჩაიმუხლა და პეშვით აუჩქარებლად დალია წყალი. იყვნენ ისეთნიც, რომელთაც იარაღის ჩაბღუჯვით, სულმოუთქმელად ძაღლებივით შესვლიპეს წყალი. გედეონმა ის უმრავლესობა, წყლის

ადამიანურად შემსმელნი, შინ გაისტუმრა და სამასი მსვლეპელით ძლია მიდიანის, ყამალეკის და კედემიანთა კალიასავით უთვალავ ურდოებს. (მსაჯულთა წიგნიდან 7:1-7).

ბევრნი არიან ზრდილნი, დარბაისელნი, მცირედნი - მეომარნი.

***

ფრანგ ისტორიკოს მარკ ბლოკისთვის, რომელიც ნაცისტებმა დახვრიტეს 1944 წელს, როგორც წინააღმდეგობის მებრძოლი, ერთ ახალგაზრდა ოფიცერს უთქვამს: "ბევრი პროფესიონალი სამხედრო მინახავს, რომლებიც ვერა და ვერ გახდნენ მებრძოლებიო. მაგრამ მინახავს სამოქალაქო პირები, რომლებიც ბუნებით მებრძოლნი არიან. ასეთი ხართ თქვენ".

***

რაოდენობას *თვალი* აღიქვამს, *თვალი* გარეგანია შინაგანი *ხმის* საპირისპიროდ. თვალი *თვლის* რიცხვს, სიმრავლეს, ყური განიცდის თვისებას, თვისების ინტენსიობას, რომელსაც განფენილობა არა აქვს და ამდენად არის შინაგანი გამოცდილება. თვალის გარეშეობა იქიდანაც ჩანს, რომ "თვლა" თხრობის, ნარაციის აღმნიშვნელია მთის დიალექტებში ("ლომისის ამბავი დაგითვალო?"), თხრობა კი გარე ქმედებაა, გარეთ გამოტანა შინაგანისა, რომელიც უფრო ღირებულია, რამდენადაც მასში ჭეშმარიტება შეუბღალავად არის შენახული. თხრობა კი სრულყოფილად ვერ გადმოსცემს შინაგანის არსს. აშკარა ხდება ანდაზის - "ასჯერ მოსმენილს, ერთხელ ნანახი სჯობს" - სეკულარული დისკურსი. სანახაობა (შოუ) იკავებს ადგილს სეკულარულ სოფელში, "ჩაგრავს" ჭვრეტას, რომლის ორგანო შინაგანი თვალია.

***

სარფში, უპერსპექტივო საბჭოთა ხანაში (1967), ერთი ქართველი ისტორიკოსის პირით ნათქვამ მწარე ეპოქალურ სიმართლეს - "ესენი ისეთივე მაჰმადიანები არიან, როგორც ჩვენ ქრისტიანებიო" - მისი სამოქალაქო შედეგი ანელებს. იქ, სადაც ხალხი რელიგიას უნდა გაეთიშა, ყოფითმა სტიქიურმა ათეიზმმა გაამთლიანა.

საწუთრო - სამუდამო სამყოფელი

ესქატოლოგიური მოლოდინის მოხსნის კვალობაზე ხდება კოსმოსის (ყოფიერების) თავისთავადობის, თვითმყოფობის რეაბილიტაცია. ეს სოფელი (saeculum), რომელიც იყო ხიდი ღვთის სასუფეველში გადასასვლელად, ამიერიდან ხდება მყარი სადგური, სადაც ადამიანი მკვიდრდება იმ ილუზორული რწმენით, რომ საბოლოოდ დამკვიდრებულია ამ მიწაზე. მიუხედავად წარმავლობის ყოველდღიური მწარე გამოცდილებისა, იგი აღარ განიცდის თავს მგზავრად, წუთისოფლის სტუმრად (ეს გამოთქმა სიტყვის მასალადღა შერჩა ენას); წაშლილია პრინციპი "კიდეც და არც". ეს სოფელი აღარ არის განსაცდელი, ეს სოფელი ერთადერთია; იცვლება მიმართება სიკვდილის ფაქტთან: მარადიულ ცხოვრებაში გადამყვანი ხიდი (ეს სოფელი, წუთისოფელი, საწუთრო) ახლა თავად არის სამუდამო სამყოფელი. მარადიული ცხოვრება ხიდზე. საშუალებათა მიზნად ქცევა, როცა აღარ ჩანს საბოლოო მიზანი. სხვა თვალსაზრისი ადამიანის აღსასრულზე, თუ არა როგორც მის ხორციელ-სულიერ განადგურებაზე, სეკულარულ ადამიანს არა აქვს. და დღემდე აწვალებს ადამიანს, რომელიც ქრისტიანად თვლის თავს: არის *იქ* რამე?

გვალვა

ვიკითხოთ, არსებობს დღეს ქარიზმის გადმოსვლის ფაქტები? თუ ის დიდიხნის შემწყდარია? ასეა, დღეს გვალვაა. "უფლის სიტყვა იშვიათი იყო იმ დღეებში", ეს მაშინ ითქვა, მაგრამ *ეს დღეები* დღეს დიდიხნის დამდგარია და გრძელდება. ჭეშმარიტი ქარიზმატულობა ღრმა წარსულშია ჩარჩენილი. რასაც დღეს, ადამიანის მიშვებულობის ხანაში, ვხედავთ, ის მხოლოდ ქარიზმატულობის პაროდიული სახეცვლილებაა და ამან შესაბამისი შედეგები მოიტანა და მოაქვს. ღვთის ნება მიუწვდომელია და, ამდენად, მისი ხმა, რომლის ყურისგდებას გადაეჩვია ადამიანი, გამქრალია ისტორიის ასპარეზიდან. ვხედავთ ბნელ, პოლიტიკურ ალღოდ სახელდებული ინსტინქტების ანაბარად დარჩენილ ბრბოს და მის ნებას დამორჩილებულ ლიდერებს, რომლებსაც სურთ ქვემოდან საეჭვო მასალისგან დამზადებული *იმიჯი*, რომლის უკან სიცარიელეა, ზეციურ მადლად, ხოლო ბრბოს უგუნურება და სულწასულობა, რაც მათშივეა არეკლილი, ხალხის ნებად გაასაღონ.

***

როგორც ვიცით, პლატონმა სამ სარტყელად დაყო დასახლებული სამყარო. მათ შორის მკვეთრი გადაულახავი ზღვარი გაავლო: ის ხალხი, ვინც დიაფრაგმისქვეშა ორგანოებით (ღვიძლით, კუჭით, ნაწლავებით) "აზროვნებს", ვერასოდეს გახდება აკროპოლისით მოაზროვნე. მაგრამ თუ ჰომეროსის ეპოსის გმირებს გადავხედავთ, ერთნი თუ დაუოკებელი ვნებებით არიან შეპყრობილნი, სხვანი გონების ხმას მიყვებიან, აკროპოლისის მწვერვალიდან მართავენ ვნებებს. ერთი აქილევსია (ან აგამემნონი), მეორე - განუმეორებელი ოდისევსი, რომელიც მომავლიდან აფენს ჩრდილს ჰომეროსის ვნებათა ღელვით სავსე და ფიზიკური ძალით აღბეჭდილ სამყაროს. ერთადერთია გმირთა შორის, რომელიც კუნთებზე არ არის დანდობილი, ესენი მას არ სჭირდება - ის "ტროას ცხენის" არქიტექტორია. მრავალნაცადი - *პოლუტროპოს*, აი, მისი მუდმივი ეპითეტი, რომელიც თანსდევს მას დასაბამიდან, როგორც ნიშანი იმისა, რომ ერთადერთი, რასაც ის აგროვებს, გამოცდილებაა, არა ფიზიკური ძალა, თუკი ოდესმე ვისმე მისი აკუმულირება მოუხერხებია. თუმცა მან გამოცდილება ტროადან დაბრუნების ათ წელიწადში უნდა შეეძინა, ეს ეპითეტი მანამდე ამკობდა მას, რაც ამბობს, რომ იგი *ასეთად* არის გაჩენილი და სხვანაირი არ შეიძლება იყოს. თუ "ოდისეა" ერთსა და იმავე დროს მისი თავგადასავალიც არის და შემოქმედებაც, აქილევსის, დიაფრაგმის ქვემო წელზე მცხოვრების, ერთადერთი ნიშანი ფეხმარდობაა და რისხვა - *მენის*: "რისხვაზე მიმღერე, ქალღმერთო..." ეს რისხვა კი ეპიზოდია და უკვალოდ იკარგება ჰეგზამეტრებში. რა არის მისი *რისხვა* "ილიადას" დამასრულებელ სტრიქონებისა (22:788-804) და აისიდან დაისამდე მათში მოქცეული აპოკალიფსური სურათის წინაშე?

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ თუ არა ვნებათა ქაოტური სტიქია და კუნთების ჭიდილი, ვერ შეიქმნებოდა "ილიადა" და მისი მსგავსი ეპოსები. მაგრამ ყველა ეპოქაში ოდისევსს ეკისრება ამ ქაოსის მოწესრიგება, რისხვის შედეგების აღმოფხვრა. რისხვა გრანდიოზულია და მის წინაშე ძრწის ადამიანი და ეს ძრწოლა ესთეტიკას ბადებს, გამოცდილება კი, შესაძლოა, რუტინად მოეჩვენოს ადამიანს, მაგრამ ეს რუტინაა სწორედ, კატასტროფამდე მისულ ქვეყანას რომ იხსნის.

ოდისევსი და აქილევსი ორი სხვადასხვა ქვეყნის, უფრო კი ¬- სხვადასხვა დროის შვილები არიან, როგორც ავთანდილი და ტარიელი, რადგან სხვაა სტაბილური, ჰარმონიული მამა-შვილის ერთიანობის სამეფო, სხვაა ინდოეთი - ქაოსისა და რისხვის ქვეყანა, რომელსაც მართავს "ვეფხვი პირგამეხებული", სადაც ხუთი წლის ბავშვი, ნაცვლად იმისა, რომ ლომის ბოკვერებს ეთამაშებოდეს, ლომების ხოცვით ერთობა. მუხანათობის, ორპირობის,

ქვებუდანობის, პირისმტეხელობის ქვეყანა. მაგრამ ასეთი სამყარო, სადაც რაღაც უკუღმართობა ხდება, იზიდავს ხელოვნებას, ეპოსს. რა არის არაბეთი, თუ არა უმომავლო არქეტიპი, გაყინული სამყარო, სადაც ყველაფერი ერთხელ და სამუდამო მოცემულია, ყველაფერი დასრულებულია, სადაც გარდა საბოლოო ქორწინებისა, არაფერს ველით. თვითკმაყოფილების ზეიმი.

სარიდანის საიდუმლო

რამდენად სანდოა ფარსადან-სარიდანის ურთიერთობის ის ვერსია, რომელიც მკითხველმა მხოლოდ ტარიელის მონათხრობიდან იცის?

რამ აიძულა სარიდანი ფარსადანისთვის ჩაებარებინა სამეფო, რომელსაც მან ყველა მტერი მოუგერია და, როგორც თავად ამბობს, მორჭმით დაჯდა, - მორჭმულობა ხომ ყოველი მეფის იდეალია; მიაღწია იმას, რომ "საწუთრო გაუმწარავი" შეიქნა, რაც იმას ნიშნავს, რომ მას არ შეხებია პოემის ავტორის მიერ ნაძაგები საწუთროს ხელი, ანუ მან სძლია საწუთროს, რაც, პოემის თანახმად, ცხოვრების მიზანია. იქნებ ობიექტური მოტივი ის იყო, რომ ფარსადანის მპყრობელობაში მყოფი სამეფოების რიცხვი *ექვსი* საკრალურ *შვიდ* რიცხვად განსრულებულიყო? ან იქნებ სარიდანმა ფარსადანში ბრძენი აშოკას შთამომავალი დაინახა, რომ მას შეეკედლა ("წავალ და მეფესა ფარსადანს შევეწყნარები"), როგორც უმწეო ვინმე, ავტორისვე სიტყვებით რომ ვთქვათ, "ყოვლგნით ხელაღუპყობელი", დაჩაგრული და მტრისგან დამფრთხალი მეფუკა? მაგრამ სად განქარდა ფარსადანის სიბრძნე, თუ კი ოდესმე ახლდა მას, იმ ჟამს, როცა ეს ყველაზე საჭირო იყო ქვეყნისთვის? ხომ გვაჩვენა თავისი "სიბრძნე", რომელიც საერთო ქვეყნის დაქცევასთან ერთად პოემის შექმნის მიზეზი გახდა (დიდება მას ამისთვის მაინც!).

ერთადერთი მოტივი, რომელსაც თავად სარიდანი ასახელებს, რომ "ხალვა მოსძულდა, შეექმნა გულს კაეშანთა ჯარები", სრულიად გაუგებარია. როგორ? მეფეს, თვითმყრობელობის მწვერვალზე მყოფს, მსოფლიო სევდა შეეყარა, თუ ეკსისტენციალურმა შიშმა შეიპყრო?
სარიდანის ეს აქტი მოტივაციის გარეშეა დარჩენილი. მას ახსნა არა აქვს.

"ხალვა მოსძულდა" - ნუთუ ეს საკმარისი მოტივია ამირბარობაზე მეფობის გასაცვლელად?

ან ირონიაა ან დაცინვა ფარსადანის სიტყვები "ჩემებრი ამირბარი, ნაძლევი ვარ, ვისმცა ჰყავსა".

ეჭვი არ არის, მოიგებდა ნიძლავს.

XX

პლატონის ოქრო

ისტორიას არ ახსოვს პოლიტიკაში პლატონზე ხელმოცარული სხვა ბრძენი ადამიანი. მსოფლიო ისტორიაში პირველი პლატონი იყო, რომელმაც გააცნობიერა ეს საკითხი, არა, რა თქმა უნდა, თავისი ხელმოცარულობა. ამას ის არასოდეს შეურიგდებოდა. ერთხელ ხომ გაყიდეს მონად (თითქოს იმის სამაგიეროდ, რომ თავისუფლება თავისი სახელმწიფოდან განდევნილი ჰყავდა); მეორედაც გული მიუწევდა სიცილიისკენ, ვინძლო დაერწმუნებინა მისი ტირანი, რომ თუ ხელისუფლის არსებაში ოქრო არ ურევია, ყოველი გარჯა ამ ასპარეზზე ამაო იქნებოდა. ეს კიდევ არაფერი. შესაძლოა, ტირანი დარწმუნებულიც იყო, რომ ოქრო მონაწილეობდა მის სხეულის მოზელვისას. პლატონი ამ ოქროს სანაცვლოდ სხვა რამეს ავალდებულებდა ტირანს.

იმ სამ "კასტაში", რომელთაგან უნდა შედგებოდეს ყოველი პოლისის საზოგადოება, ხელისუფალნი, რომლებიც უშუალოდ ჭვრეტენ ჭეშმარიტებას, ოქროს მოწოდებით

ვალდებულნი არიან, სახელმწიფო სამსახურს ეწეოდნენ, ბოლომდე მისდიონ მოწოდებას და არ მოინდომონ ხელოსნობა (თუნდაც პოეტობა - მიბაძვის მიბაძვა), არც აღებ-მიცემობა (ჩვენებურად ბიზნესმენობა) და კაპიტალის დაგროვება, როგორც ხელისუფლის უანგარო მოწოდებასთან შეუთავსებელი საქმიანობები. თუ მათკენ გადაიხარა, ჩანს, ოქრო არასაკმარისად ყოფილა მის ბუნებაში და მან დაუყონებლივ უნდა დასტოვოს ხელისუფლება, და მისდიოს ახალ მოწოდებას - იყოს პოეტი, ხელოვანი, ბიზნესმენი, "მილიონებში ხელის მრეველი" და ა. შ. პლატონის ხელისუფალი თმობს პიროვნულს, კერძო ინტერესებს ხელისუფლის მოწოდების წილ.

მოწოდება უნდა მართავდეს ადამიანს და არა ადამიანი - მოწოდებას.

ვერავინ ისურვებს პლატონის სახელმწიფოში ცხოვრებას. მაგრამ ამგვარი ხელისუფალი ხომ დღემდე აუხდენელი ოცნების საგანია.

მიზანი და საშუალება

მიზნური სამყაროს უზურპაცია საშუალებათა სამყაროს მიერ, ანუ ფიგურალურად თუ ვიტყვით, ხარაჩოების აღზევება, რაც დღევანდელი *სოფლის* სახეს განსაზღვრავს, არ ახალია - იგი სეკულარული პროცესის თანამდევია ყველგან, სადაც კი საამისო პირობები იქმნება. ეკლესიის ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ რომის იმპერიაში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებამ გამოავლინა ქრისტიანის მანამდე არარსებული ტიპი. ეკლესიის ჩახუტება სახელმწიფოს მიერ, რომელიც გუშინ და გუშინწინ დევნიდა მას, საკმარისი პირობა აღმოჩნდა იმისათვის, რომ მისი წიაღი ანგარებიანი ხალხით შევსებულიყო. ქრისტიანობა გარანტიას აძლევდა ყველას სახელმწიფო სამსახურში დასაწინაურებლად. იმპერიის ბიუროკრატია კი ნამდვილად არ იყო მარტივი მოვლენა. სწორედ ეკლესიის სეკულარიზაციის რეალურმა საფრთხემ გამოიწვია განდეგილობის ახალი ტალღა მთელი იმპერიის მასშტაბით. ეკლესია, რომელიც სოფლის გარდასაქმნელად იყო მოწოდებული, იფლობოდა სოფელში, რომელიც თავადაც ბოროტში იყო ჩაფლული (1 იოან. 15:19). ნუ ჩავუღრმავდებით ტერმინებს რაიმე შორსმიმავალი აზრი გამოსატანად, მაგრამ დაპირისპირებაში *თეთრ* და *შავ* სამღვდელოებას შორის აშკარად არის რაღაც ნიუანსი, ეკლესიის წიაღშივე სეკულარულ-საკრალურის დაპირისპირებისა.

სამი ფეხი საფლავში

ლევ კარსავინი, რელიგიური მოაზროვნე, მეტაფიზიკოსი (1882-1952). 1922 წელს რამდენიმე ათეულ რუს მოაზროვნესთან ერთად რუსეთიდან გაასახლეს. 1928 წელს დამკვიდრდა თავისუფალ ლიტვაში, საიდანაც ის 1948 წელს პოლარულ წრესთან ახლოს, ე. წ. კომის ავტონომიურ ოლქში მოხვდა. აქ, ერთფეროვან და უსახურ ტუნდრაში, უღიმღამო მიწაზე მარხია იგი.

მოხდა ისე, რომ მისის სიკვდილის დღეს, ბანაკის საავადმყოფოში ვიღაცას ფეხი მოკვეთეს. ჩვეულებრივ, ამპუტირებულ სხეულის ნაწილებს იმავე სასაფლაოზე მარხავდნენ და ამ ფეხისთვის ცალკე საფლავი რომ არ გაეთხარათ, კარსავინის კუბოში ჩადეს და ასე დამარხეს ერთად ფილოსოფოსი და ვიღაცის ფეხი.

ერთმა თქვა ამ უჩვეულო მოვლენაზე: მისთვის ხომ სულერთია, მაგრამ თავის დროზე, ეს მესამე ფეხი მისი ნეშტის უტყუარი გამოსაცნობი ნიშანი იქნებაო.

მეორეს შეეძლო ეთქვა: რამდენიმე საუკუნის შემდეგ არქეოლოგები აღმოაჩენენ, რომ მეოცე საუკუნეში სამფეხა ადამიანებს უცხოვრიათო.

მესამეს: გაუმართლა კაცს, რომელსაც ფეხი მოჭრეს: ერთი ფეხით მაინც წევს ფილოსოფოსის საფლავშიო.

***

განვაგრძობთ საუბარს მიზანსა და საშუალებაზე. ყოველი ადამიანი, თუ ის მართლაც გონებრივი სისუსტის მდგომარეობაში არ იმყოფება, განარჩევს მიზანს საშუალებისგან და გრძნობს, რომ საშუალება მიზნის მხოლოდ მომსახურე სფეროა. საღი აზრიც ეუბნება, რომ მიზანი ნამდვილად არ ამართლებს ყოველგვარ საშუალებას, უფრო მეტიც, უღირსი საშუალება აუფასურებს, ანადგურებს მიზნის ღირებულებებს. კერძოდ, თუ მიზანი ეროვნული იდეაა, ეროვნული აღმავლობაა, მის მისაღწევად ლოზუნგი და მოწოდება, რომელიც გაისმოდა გამძაფრებული ეროვნული მოძრაობის დღეებში "საქართველო ქართველთათვის" (ასეთი იყო "მრგვალი მაგიდის" მოწოდება ეროვნულ უმცირესობათა საწინააღმდეგო მიტინგებზე) და სხვა მისთანანი, ნამდვილად იყო მოძრაობის დისკრედიტაცია, რომლის სავალალო შედეგებს "ლიხს აქეთ და იქით" დღეს იმკის ჩვენი საზოგადოება. თუ საზოგადოებას არა აქვს და არ წარმოუდგენია იმაზე მაღალი ფასეულობა, რასაც ერში და ეროვნულობაში ხედავს, ჩათვალეთ, რომ ამ უკანასკნელთ საფუძველი გამოცლილი აქვთ და არიან როგორც "მოჟღარუნე რვალი და ჩხარუნა წინწილა" (1 კორ. 13:1). როცა ერთ ხალხმრავალ ეროვნულ თავყრილობაზე ითქვა, რომ არის ისეთი ფასეულობა, რომელიც ერზე მაღლა დგას, კერძოდ, ჭეშმარიტება, ნათქვამი უკუღმართად იქნა გაგებული. მისი აზრი კი ის იყო, რომ თუ საზოგადოებაში ჭეშმარიტება არ არის, თუ ერის ცხოვრება ჭეშმარიტებაზე არ არის დაფუძნებული, ასეთი ერი არც არის არსებობის ღირსი. გრიგოლ რობაქიძის სიტყვები არჩილ ჯორჯაძისადმი: "თავის მოტყუებას ძვირად დაგვიჯენს ისტორიული ჭეშმარიტება, - აი, რით უნდა ვხელმძღვანელობდეთ. და თუ ჭეშმარიტება აუტანელია თავის სიმკაცრით, დაე, მოვკვდეთ, რადგან არ ვყოფილვართ ღირსი ჭეშმარიტებისა და, მაშასადამე, არც არსებობისა... რა საჭიროა არსებობა, თუკი რაიმე აზრს არ ვახორციელებთ. მამულიშვილობის გადაწყვეტა "ფიზიოლოგიური ემოციით" ყოვლად შეუძლებელია" - ასი წლის შემდეგაც კვლავ და კვლავ აქტუალურია.

XII ს-ის მკითხველები

რას კითხულობდა მეთორმეტე საუკუნის (ავიღოთ XII საუკუნე) საერო მკითხველი? დანამდვილებით ვიცით? კითხულობდა ამირანდარეჯანიანს, ვისრამიანს, ვეფხისტყაოსანს (თუმცა დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რომ ის ამ უკანასკნელის მკითხველიც იყო).
ასეც შეგვიძლია დავსვათ კითხვა: ამ სამ ნაწარმოებს ერთი და იგივე მკითხველი ჰყავდა?

"ამირანდარეჯანიანის" ასპარეზი ერთი განუწყვეტელი სარაინდო ტურნირია. ერთმანეთს ეჭაბუკებიან - რისთვის? მხოლოდ თავის გამოსაცდელად. მიჯნურობისთვის ამ ეპოსის ასპარეზი სრული უდაბნოა. ჭაბუკი გამოიხსნის მტრისგან შეჭირვებულ დედოფალს სრულიად უანგაროდ, უსიყვარულოდ, გამოიხსნის მის სამეფოს და ჩააბარებს თავის პატრონს, თავად კი უკან შეიქცევა, კვლავ და კვლავ საჭაბუკოდ. არაფერი მიაქვს: "სხვა არა დავაკლე რა და არცა რა წავიღე. პური ავიღე და წავედ". თვითმიზანია ჭაბუკობა? დაე, თვითმიზანი იყოს. ეს ჰგავს დევიზს _"ხელოვნება ხელოვნებისთვის" და ძალიან კარგია. ბარაქალა მათ!

"ვისრამიანში" ჭაბუკობა მხოლოდ პერსონაჟის დასახასიათებლად იხსენიება. კარგია, მაგრამ მიჯნურობის დანამატია. მუხანათობა, ცბიერება, სივერაგე მიჯნურობის საკეთილდღეოდ იმარჯვებს, მიჯნურობას ამარჯვებინებს. ყველაფერი მიჯნურობას ეწირება. გონება, რა თქმა უნდა, უკან იხევს გრძნობის წინაშე. მარცხება დევიზი, რომელსაც ვისის პირიდან ვისმენთ: "ჩემსა სულსა ზედა მცველად გონება დამიყენებია". ამ წიგნში გონება მხოლოდ მას მოუხმია, ვის გულსაც სიყვარული არ გაკარებია. მიჯნურობა იმარჯვებს მოყვასისა

და ძმის სიყვარულზე რამინის სიტყვებით და მოქმედებით: "მე ერთი თმა ვისისი ათასსა მისებრსა ძმასა მირჩევიაო".

"ვეფხისტყაოსანში" დომინირებს დევიზი "ბოროტსა სძლია კეთილმან", რაც მეგობრობაში გადაზრდილი თანაგრძნობის მეოხებით ხორციელდება. პოემა ჭაბუკობისა და მიჯნურობის სინთეზია. არც ერთი მათგანი თვითმიზანი არ არის. ეს ორივე რაღაც სხვას, მათზე უპირატესს, ემსახურება.

XXI

ბიზანტია და საბჭოეთი

საბჭოთა სახელმწიფო მიიჩნეოდა სეკულარულ ქვეყანად და ათეიზმის ბასტიონად, სადაც ტოტალურად დაუპირისპირდა გონება სარწმუნოებას, პარტია - ეკლესიას და მეცნიერება და ცოდნა - რწმენას. თითქოს რწმენა უნდა ამოძირკვულიყო ადამიანისა და საზოგადოების ცნობიერებიდან. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. საბჭოთა წყობილების მესვეურები ცდილობდნენ რწმენაზე დაეფუძნებინათ რეჟიმი, ხოლო სადაც რწმენა არ გადიოდა – შიშზე, ტერორზე, რელიგიური შიშის ერთგვარ სახეობაზე.

საეკლესიო მოძღვრების გაუცნობიერებელი წაბაძვით, კომუნისტურ იდეოლოგიას, სტალინის კლასიკური განსაზღვრებით, თავისი ურყევი საფუძველი ჰქონდა - "სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი", სხვა დანარჩენი კი "წარმართობა" იყო, სადაც თუმცა იპოვება ჭეშმარიტების მარცვლები, მაგრამ ძირითადად ჩენჩოა. ანუ არსებობს "საღვთო" და "გარეშე" მოძღვრება. საღვთო მოძღვრებას აქვს თავისი "წმინდა წიგნები", ჰყავს "წმინდა" ავტორები, რომელთა ყოველი სიტყვა შეუვალი ჭეშმარიტებაა, რადგან ისინი შეუცდომელნი არიან, მათ არ შეუძლიათ ჭეშმარიტება არ იღაღადონ. ისინი არ შეიძლება შეცდენ, მათ არ შეუძლიათ შეცდომის დაშვება. რიგით მოკვდავს, ვინც ცდილობს თავისი საკუთარი სიტყვებით ალაპარაკებას კომუნისტურ მოძღვრებაზე, საბედისწერო დანაშაულს სჩადის. მისი შეცდომა გარდაუვალია, რისთვისაც ის პასუხს აგებს. სეკულარულ-იურიდიული ცნება "დანაშაული" შეენაცვლა საკრალური შინაარსის "ცოდვას", რომელსაც ადგილი აღარ დარჩა ადამიანის გამოცდილებაში.

საბჭოთა სახელმწიფო თითქოს უფრო მეტი იყო, ვიდრე სახელმწიფო, როგორც სეკულარული მოვლენა. ის თითქოს არც იყო საერო ინსტიტუცია. ის "ეკლესია" იყო თავისი პაროდიული მეთაურით - ბელადითურთ, კომუნიზმის მშენებელთა საკრებულო. "მშენებლობაც" ამ შესიტყვებაში ქრისტიანული მოძღვრების ლექსიკიდან არის ნასესხები. კომუნისტურ ლექსიკონში გადასვლით "აღმშენებლობის" ცნებამ (ახალი აღთქმის *ოიკოდომია* - ხსნის აღმშენებლობა) დაკარგა სულიერი შინაარსი, დაიბრუნა ამოსავალი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა. საბჭოთა ხალხი ფიზიკურ შენობებს აშენებს და ეს მშენებლობა, რადგან მისი მიზანი მაინც ესქატოლოგიურია (კომუნიზმის, კაციობრიობის განვითარების საბოლოო ფაზის დამყარება) და, შეიძლება ითქვას, სოტერიოლოგიურიც (კაცობრიობის ხსნა კომუნიზმში), საკრალურ მშენებლობად შეირაცხება. საბჭოთა ორთოდოქსულ დოქტრინაში ჩაწერილი იყო, რომ ეს მშენებლობა გარდაქმნიდა ადამიანს, მოამზადებდა მას კომუნიზმის სასუფეველში შესასვლელად. ესეც პარადიგმა იყო ცნობილი დებულებისა, რომელიც "ახალი" ადამიანის კონსტიტუციაში ჩაიწერა: "შრომამ შექმნა ადამიანი", და საბოლოოდ შრომა (გარდაქმნის პროცესი გრძელდება!) შექმნის ადამიანისგან "ანგელოზს" კომუნიზმში შესასვლელად. მაგრამ ეს შრომა რჩება ფიზიკურ შრომად, რომელიც მხოლოდ ბაბილონის დაუსრულებელ გოდოლს აშენებს.

სოფლის შენება

საბას არაკში გაწბილებული მელა დასცინის ძაღლსა და მამალს, რომელთაც ყეფით და ყივილით სოფლის აშენება განუზრახავთ: "მე ხომ ჩემი ჭკუისა დამემართა და თქვენ მაგ საქმით სოფელი ააშენოთ, თქვენც შეიტყობთო".
ყოველი ჩვენგანი მელიასავით ამას იტყვის.

აბა, სხვა მხრიდან, ფილოსოფიურად შევხედოთ ამ არაკს. მართალია, ყეფით და ყივილით სოფლის შენება არ იწყება, მაგრამ თავად სოფლის ცნებაში ხომ ყეფს ძაღლი და ყივის მამალი, მათ გარეშე სოფელი - როგორც ცნება და როგორც რეალობა - არც მელიას და არც ჩვენ არ წარმოგვიდგენია.

***

ადამიანს, თუ იგი სერიოზულად ეკიდება თავის და სხვათა შინაგან ცხოვრებას და აფასებს საიდუმლოს, მისი გამჟღავნება ერთწამს სულის მოთქმად ეჩვენება, მეორე წამს სიცარიელისა და გაცრუების გრძნობა ეუფლება, რაც იმითაც არის გამოწვეული, რომ ამ დროს საიდუმლო, რომელიც ყოველთვის ინდივიდუალურია თავის არა იმდენად შინაარსით, რამდენადაც თავად ადამიანის დამოკიდებულებით ამ შინაარსისადმი, უფასურდება მისავე თვალში. ხშირად სხვისი რეალური თუ ვირტუალური ცხოვრება ავსებს ამ სიცალიერეს (ეს არის ალბათ სერიალების მოწოდება).

ადამიანი, რომელსაც მთელი დღის მანძილზე არ აღმოაჩნდება საკუთარი საათი, ამბობს ხასიდური სიბრძნე, არ არის ადამიანი.

მონომახის ქუდი

შეეძლო თუ არა რუსეთს, გამხდარიყო მესამე რომი, რომლის პრეტენზიები მას ჰქონდა და ცნობილ ფორმულაშიც (რომ მოსკოვი მესამე რომი უნდა გახდეს, მეოთხე კი აღარ იქნება) გამოიხატა? შეეძლო თუკი უნივერსალური იდეისთვის მსხვერპლად მიიტანდა თავის ეროვნულობას (ველიკორუსობას), ეროვნულ იდეას. მეორე: მას არ ჰქონდა ის საფუძველი, რამაც ბიზანტიის ქრისტიანული სახელმწიფოს ფუნდამენტი შექმნა, მას არ ჰქონდა "ელინური წარსული" - მისი ხალხი ნორჩი იყო და ის ჯერ ეროვნულად უნდა მომწიფებულიყო ისეთ ჭურჭლად, რომ უნივერსალურის ტვირთვა შეძლებოდა. ის ჯერ უნდა დამდგარიყო, როგორც ნაცია და ამოეწურა თავისი თავი, როგორც ნაციას, ჩამოეფერთხა ყოველივე, რაც ეროვნულ ამბიციებს კვებავს. იმხანად ის ამ ქმნადობის გზაზე იყო. მაგრამ არათუ მაშინ, იმ ფორმულის გამოცხადების ეპოქაში, არამედ დღესაც ის არ არის "დაყენებული", ის დუღს ჯერ კიდევ. და უკეთუ დუღს, მომავალიც აქვს, შესაძლოა, უფრო მეტად, ვიდრე რომელიმე სხვა ხალხს.

იმპერია საერთოდ (არათუ ქრისტიანული) ვერ იარსებებს ეროვნულ ბეჭებზე. ეროვნული საწყისი, ეთნიური სუბსტანცია გაიჭყლიტება მისთვის აუტანელი ტვირთის ქვეშ. Тяжела шапка Мономаха. ეს გაფრთხილებაა არა მხოლოდ ცალკეული უზურპატორის მიმართ.

XXII

ტარიელი და ავთანდილი

პლატონი ამბობს, რომ შუა სარტყელში ელინები ცხოვრობენ, მათი ქცევა ადამიანის სხეულის უმაღლესი ადგილიდან - თავიდან იმართება, როგორც პოლისი - აკროპოლისიდან. ყოველთვის ასე იყო?

ალბათ დაფიქრებულა ელინი ფილოსოფოსი, თუ რა მართავს ხალხების ურთიერთობებს და, ზოგადად, კაცობრიობას, მის ისტორიას გადამწყვეტ მომენტებში იმ შემთხვევაშიც, როცა ელინები მოქმედებენ?

"რისხვაზე მიმღერე, ქალღმერთო..." ასე იწყება "ილიადა" და ეს რისხვა, რომლითაც აღინიშნა ტროას ომის გადამწყვეტი წელი და მრავალი ადამიანი შეიწირა, ადამიანის აკროპოლისიდან არ მოდის. ეს იმ სიღრმეების ნაშიერია, სადაც გონების ნათელი ვერ აღწევს. აქილევსი დაუოკებელი რისხვით სჩადის გმირობას, რომელიც პლატონის აზრით შორს არის აკროპოლისიდან. ვიცით, რომ პლატონი არ სცნობს გმირობას, რომელიც გონების კარნახით არ არის ჩადენილი. ისტორია კი აქილევსს ელინური გმირობის ტიპიურ მაგალითად წარმოგვდგენს.

"იმ კაცზე მიამბე, მუზა, მრავალნაცადზე, რომელმაც..." ასე იწყება "ოდისეა" და მთელი ეპოსის მანძილზე ბატონობს გონება, რომელიც ყოველ განსაცდელს გამოცდილებად აქცევს.

"ვეფხისტყაოსანის" რეალური შინაარსი, მსაგავსად "ილიადასი" რისხვით იწყება: "ქვე წვა, ვით კლდისა ნაპრალსა ვეფხი პირგამეხებული", და, აქედან მოკიდებული, აკროპოლისი დახურულია, არც ერთ ქმედებაში და არც ერთ სიტყვაში, რასაც ჩვენი გმირები აკეთებენ და ამბობენ, გონება არ ურევია. ამ უგნურებამ შექმნა პოემა. ასე, რაღაც ამგვარი რამ, როგორც მიზეზი, დევს ისტორიის დასაწყისში.

ტარიელის ქმედებათა წყარო დიაფრაგმის ქვემო ღრმულია, როგორც ვულკანი ამოფრქვევის მოლოდინში.

ავთანდილი კი ნამდვილად აკროპოლისში სუფევს.

ზღაპარი და ანტიზღაპარი

მოდერნული ესთეტიკა არ ურიგდება თხზულების *ჰეპიენდს*, რომელიც მის თვალში პრიმიტიული ზღაპარია, მხატვრულ-იდეური უგემოვნობაა. დაე, კვებონ ზღაპრებმა ამ წუთისოფლის უბრალონი, მარტივნი, ჩვენ კი თხზულებამ უნდა შეგვძრას.

"იყო და არა იყო რა, იყო ერთი საწყალი ბავშვი. არც დედა ჰყავდა, არც მამა, ყველა დახოცოდა, დედამიწაზე არავინ დარჩენოდა. და რაკი მიწაზე აღარავინ ეგულებოდა, ცაში მოუნდა ასვლა, თან მთვარეც ხომ სიყვარულით დაჰნათოდა. და როცა მთვარეზე ავიდა, მის ნაცვლად დამპალი ჯირკვი დახვდა. მერე მზესთან წავიდა, მზე კი დამჭკნარი მზესუმზირა აღმოჩნდა. მერე ვარსკვლავებთან რომ მივიდა, მათ ნაცვლად ხელთ პატარა ოქროს ხოჭოები შერჩა, ცაზე ქინძისთავებით მიკრული. როცა ისევ დედამიწა მოენატრა და უკან დაბრუნდა, მის ადგილას გადმოყირავებული ქოთანი დახვდა. და დარჩა სულ მარტო, მარტოდმარტო. დაჯდა და ატირდა. და ახლაც ზის და ტირის და სულ მარტოა".

ეს ანტიზღაპარი კარლ ბიუხნერის ("ვოიცეკი") ტრაგიკულმა ცნობიერებამ შექმნა, მაგრამ ის ნამდვილად შავი მარგალიტია. მაგრამ რომელი ესთეტი შეურიგდებოდა ამ ტრაგიკული დასასრულის პერსპექტივას, რომ ეს მის, ცოცხალი ადამიანის, ცხოვრებაში ხდებოდეს. ესთეტს მაინც თავისი სიმართლე აქვს: უმომავლო წუთისოფლის პერსპექტივიდან ხომ ყველაფერი ცუდად თავდება. ადამიანები სამუდამოდ ეთხოვებიან ერთმანეთს, უკანმოუქცევლად მიდიან არარაობაში, მარტონი რჩებიან აღსასრულის წინაშე. ხელოვნება ცხოვრებისეულ სიმართლეს გამოხატავს. ისევ ძალაშია არისტოტელეს მიმეზისის კანონი. არისტოტელეს ხელოვნების თეორია მეტაფიზიკას არ ცნობს.

მაგრამ არსებობს დასასრულის სხვა პერსპექტივა. ზღაპრის აბსოლუტურ დასასრულში, რომელსაც ქორწილის სახე აქვს, აღარ მოელიან თაობათა დაბადებებს, რომ ისევ და ისევ წუთისოფლის ორომტრიალში მოექცნენ. *პრიმიტიული* ხალხური ზღაპარი ქრისტიანული

იმედიანი ცნობიერების ნაყოფია, მისი იმედიანი ესქატოლოგიის თავისებური ვერსიაა. ზღაპრის გმირები გადადიან სამყაროში, "რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ". ისინი *დღესაც* ბედნიერად ცხოვრობენ...

XXIII

09.11.2010

თამაზ, თამაზ ოდესმე, იმ გარდაუვალ ჟამს, როცა დადგება ყოვლის ბოლო და შეჯამდება ყოველი ნამოქმედარი და "გან-რაჲ-ეღოს წიგნი დღესა შინა სასჯელისასა", თუკი რაიმე გაგვამართლებს *მის* წინაშე, მწამს, რომ ამ ქვეყნის დაუვიწყარ გზებზე ჩვენი ხეტიალი და ჩვენს შეუდარებელ დაბა-სოფლებში ღამისთევანიც იქნება. მარჯი შენს გზას!

ნაცრის ქექვა

დაე, დასცინოდნენ მას იმ საგნების გამო, რომელიც მან მოითხოვა, როცა სახლიდან აგდებდნენ. რა არის ჭყინტი ყველი, რა არის სადგისი, რა არის ერთი გუდა ნაცარი? ნივთები, რომლებიც მხოლოდ სახლში შეიძლება გამოადგეს კაცს. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს კაცი, რომელსაც აიძულებენ კერის დატოვებას, ამ საგნებს მათი ყოფითი დანიშნულებისამებრ არ გამოიყენებს. ის არ შეჭამს ყველს, სადგისით არ გახვრეტს ტყავს, ნაცრით არ გახეხავს ქვაბს. ის აღმოაჩენს მათში იმაზე მეტს, რასაც ისინი ასრულებენ ყოველდღიურ ყოფაში, ან რაც მათთვის დაუკისრებია ადამიანის ჭკუას. დასცინიან მას? მაგრამ ის თავად დასცინებს მათ, ვინც ვერ იხედება საგანთა უკან, საგანთა სიღრმეში, საგანთა ზემოთ, რომელთა ჭკუა ერთგანზომილებიანია, ამიტომაც ყოველდღიურობას მიჯაჭვული...

ის აერთებს თავის თავში ორი ტიპის ადამიანს, რომელთაგან ერთი ჭვრეტს - მჭვრეტელია, მეორე მოქმედებს - მოქმედია... ერთი შინ არის, მეორე - გარეთ. სოფელი მათ გარეშე წარმოუდგენელია, ისინი ერთმანეთს ავსებენ. ერთიც აუცილებელია და მეორეც. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ერთის წილი - მჭვრეტელისა, რომელიც ზის, გამორჩეულია. მჭვრეტელი, იდუმალის მსმენელის წილი ქრისტემ გამოარჩია, როცა უთხრა ბეთანიელი ლაზარეს დას: "მართა! მართა! შენ ბევრ რამეზე ზრუნავ და წუხხარ, საჭირო კი მხოლოდ ერთია..." (ლუკა, 10:41-42).

ასე ზის კაცი კერიაში - სახლისა და სამყაროს შუაგულში და იჩხრიკება, და მას ნაცარქექიას ეძახიან. მისი ქცევა გარეშე თვალისთვის ისევე დაცლილია აზრისაგან, როგორც ნაცარი - ცეცხლისაგან. მაგრამ ნაცარქექიამ ცნობიერად თუ ქვეცნობიერად იცის, რომ ნაცრის ჩხრეკა ცეცხლის არსის, მისი საფუძვლის ჭვრეტის სიმბოლოა. ის ხილულში უხილავს ეძებს. მან იცის, რისი დანატოვარია ნაცარი და ნაცრიდან რას შეიძლება მისწვდეს მისი მჩხრეკელი.

ჭიანჭველა – კეთილი სამარიტელი

მორის მეტერლინკს ფუტკრებისა და ჭიანჭველების ცხოვრება უფრო ადამიანური საზოგადოების კუთხით აინტერესებდა, არა მხოლოდ თავისთავად.

"ჭიანჭველა ღრმად მისტიკური არსებაა", წერს იგი, ოდნავ ქვემოთ კი: დაკვირვებანი "გვიმტკიცებენ, რომ საჭიანჭველეს ბილიკებზე უფრო მეტი სამარიტელი მოგზაურობს, ვიდრე იერუსალიმიდან იერიქონის გზაზე, რომელიც ჩვენს ადამიანურ გზებს შორის არცთუ ყველაზე უკაცრიელია".

ვინ არის სამარიტელი?

სამარიტელი გამონაკლისია იმ მგზავრებს შორის, რომელთაც გულგრილად ჩაუარეს ავაზაკთაგან ნაცემ-ნაგვემ, ცოცხალ-მკვდარ ადამიანს. სამარიტელმა ერთხანს დაივიწყა თავისი გზა, ჩაიმუხლა მის წინ, უმკურნალა, ზეთი ცხო ჭრილობებზე და ა. შ. და ა. შ.

თავისთავად ეს ამბავი, იმის გამო, რომ ღირსი გახდა სახარებაში მოხსენიებისა, მის გამონაკლისობაზე მეტყველებს, და არა საყოველთაო წესზე. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს გამონაკლისი ამტკიცებს მორალურ წესს, რომ ადამიანი ვალდებულია გულმოწყალება გამოიჩინოს უბედურებაში ჩავარდნილი ადამიანისადმი.

აი, მიდის, მიედინება ჭიანჭველების დაუსრულებელი კოლონა, უკან მოუხედავად ჩაუვლის მომაკვდავ თვისტომს, მაგრამ ერთი მათგანი გამოეყოფა ნაკადს, შეჩერდება დავარდნილ თვისტომთან, გაპოხავს და დაუამებს ჭრილობებს თავის სხეულში შემონახული ბალზამით, მერე ზურგზე აიკიდებს და გაუდგება გზას.

ჭიანჭველეთის გზებზეც გამონაკლისი ყოფილა სამარიტელი. თუ ეს ასეა, ამ გამონაკლისი ჭიანჭველის ქცევას მორალური საფუძველი ჰქონია.

ბეხვის წყალი

როცა ეს მწყემსი ბარად, თავის სოფელში ჩამოდიოდა, მზის გულს მიფიცხებული სულ ერთავად სახლის კედელთან იწვა. არავის ენახა იგი სამწყესურში, თავის სტიქიაში, არც სოფელში მოარული ენახა ვისმე. სულ იწვა და თბებოდა. ამისათვის თუ შეარქვეს მას ბეხვი, რაც მუნებურ კილო-კავზე "გახვრეტულ ჭურჭელს" ნიშნავს, გამოუსადეგარს, წყალს რომ ვერ აკავებს, მაგრამ რაღაცის გამო შენახულს, მიგდებულს სხვა უსარგებლო, ხმარებიდან გამოსულ ნივთებს შორის.

ამ ადამიანმა ორ ტოპონიმს მისცა სახელი სოფელში: ერთს თავისი უმოქმედობით - იმ კუთხეს, სადაც თბებოდა ("ბეხვის კარი"), და მეორეს ერთადერთი მოქმედებით - წყაროს, რომელიც აღმოაჩინა ("ბეხვის წყალი").

მუხა და ლერწამი

არსებობს ორი პოზიცია ისტორიაში: პოზიცია მუხისა, რომელიც აღმართული ეგებება გრიგალს, და პოზიცია ლერწმისა, რომელიც "ირხევა ქართაგან ძლიერთა". მუხა შეიძლება ამოიძირკვოს გრიგალისგან, მაგრამ ვერავის მოუბრუნდება ენა, რომ გაკიცხოს იგი თავისი მოუქნელობის გამო. ლერწამი გადაურჩება გრიგალებს, ყველაზე ძლიერსა და არნახულს. მაგრამ განა ლერწამი შეიძლება გაიკიცხოს იმისთვის, რომ გადარჩა? მუხა სიმედგრის, სიმყარის სიმბოლოა; ლერწამიც ითქვა ყველაზე ძვირფასის სიმბოლოდ, რაც კი შექმნილა ამ მიწაზე. "მოაზროვნე ლერწამი" ისეთი ქმნილებაა, რომელიც ვერ ითავსებს მუხის პოზიციას, რადგან სხვაა ძალა მუხისა - ფიზიკური, სხვაა ძალა ლერწმისა - სულიერი. მათ სხვადასხვა კანონები მართავენ.

***

საიდუმლო ყოველთვის იყო ნიშანი ამ რეალობაში იმის მიმანიშნებლად, რომ არსებობს უფრო მნიშვნელოვანი რეალობა, რომლითაც ფასობს და საზრისს იღებს იგი. მაგრამ მას საფარველი ადევს. რელიგია მოწიწებას მოითხოვს ამ რეალობის მიმართ, იგი *საშიშია* იმ აზრით, რომ საიდუმლო კიდევ იმალავს თავის შიგნით საიდუმლოს, ეს საიდუმლო - სხვას და ა. შ. დაუსრულებლივ, ამოუწურავად. ცნობიერებამ უნდა მიატოვოს ჰუბრისის მოტანილი იმედი, რომ ოდესმე მოახერხებს, თავის ფარგლებში მოიცვას მთელი რეალობა, რომლის ამოუწურავ

სიღრმეებს ის ან განიცდის, ან არა. თუ არ მოხდა ამ საიდუმლოს რეკონსტრუქცია ადამიანური ლოგიკისა და მიხვედრების საფუძველზე, იგი ვერ შევა ადამიანის ცნობიერებაში. ის შევა ამნაირი სახით, მაგრამ ეს არ იქნება *ის* საიდუმლო, რომლის განცდა არ შორდება ადამიანს. შეცნობილი *დაო* არ არის *დაო* - ეს არის "დაო დე ძინის" უკანასკნელი საზრისი: "დაფარული დაფარულისა ბჭეა ყოველივე საიდუმლოსი".

ილიონის მოლაშქრენი და ჯვაროსნები

ტროას ომი გვაგონებს რაინდთა ტურნირებს, რომლებიც ამ ეპოქიდან მრავალი საუკუნის შემდეგ იმართებოდა ევროპაში. მასშტაბები განსხვავებულია, მაგრამ მოდელი ერთია. იგივე პირისპირ დგომა, მორკინალთა ვინაობის რიტორიკული ურთიერთგამოცხადებანი, მესამე პირის ჩაურევლობა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში... როცა ბრძოლის ერთადერთი მოტივი საკუთარი თუ სხვისი ღირსების დაცვაა. მესამე პირები ციხე-სიმაგრის ქონგურებიდან და გემბანებიდან თუ ციდან თვალყურს ადევნებდნენ თავ-თავიანთ ფავორიტებს.

ტროას ომი, მისი დამაგვირგვინებელი მეათე წელი მაინც, როგორც ის ჰომეროსმა მოიტანა ჩვენამდე, ამ რაინდულ ორთაბრძოლებზეა აგებული.

თუ დავწურავთ ჯვაროსანთა და სარკინოზთა საუკუნოვან ბრძოლებს იერუსალიმისთვის, რომელიც ამ უკანასკნელთა სიწმიდეც იყო, და ჩამოვაშორებთ მას წარმავალ ფაქტორებს და ყოველდღიურ ინტერესებს, მის კრისტალში შეგვიძლია იგივე რაინდული ორთაბრძოლები დავინახოთ. ჩვენი ნაცნობის უსამა ბენ მუნკიზის დოკუმენტურ პროზაშიც კი სჭვივის ამ იდეის ჩანასახი, რომელიც საბოლოოდ ხიმენეს პერეს დე იტას რომანტიკულ თხზულებაში (XVI ს-ს მეორე ნახევარი) გრანადის მავრთა და ქრისტიანული კასტილიის კათოლიკურ მეფეთა - ფერნანდოსა და ისაბელის - რაინდების ორთაბრძოლების სახით დაკრისტალდა.

ერის მოღალატე

იერემიას არ აპატიეს ჭეშმარიტების ლაპარაკი და ერის მოღალატედ შერაცხეს იმის გამო, რომ იმას ამბობდა, რასაც უფალი ალაპარაკებდა. უფალი კი მისი პირით აფრთხილებდა ხალხს, არ შეეკრათ კავშირი ეგვიპტესთან ბაბილონის წინააღმდეგ. უფლის გამოცხადებით, იერემია უფრო მეტს ხედავდა მომავლის ბინდში, ვიდრე მტრისადმი სიძულვილით შეპყრობილი პატრიოტები, რომელთაც მძულვარებისგან თვალები დაბრმავებოდათ. იერემია კი ლაპარაკობდა ღვთის სიტყვას, რასაც გარდაუვალი ძალა ჰქონდა და უთუოდ უნდა ამხდარიყო. "ამიერიდან მთელი ეს ქვეყნები ნაბუქადონოსორს, ბაბილონის მეფეს, ჩემს მორჩილს, უნდა ჩავაბარო ხელში. ველის მხეცებიც მისთვის ჩამიბარებია, რათა ემორჩილებოდნენ მას... თქვენ კი ნუ დაუჯერებთ ნურც თქვენს წინასწარმეტყველებს, ნურც თქვენს მისნებს, ნურც თქვენს სიზმრებს, ნურც თქვენს მკითხავებს და ნურც თქვენს ჯადოქრებს, რომლებიც გეუბნებიან: ნუ დაემორჩილებით ბაბილონის მეფესო. რადგან მხოლოდ სიცრუეს გიწინასწარმეტყველებენ ისინი, რათა მოშორდეთ თქვენს მიწას, რომ განგდევნოთ და დაიღუპოთ. ხოლო იმ ხალხს, რომელიც მოიხრის ქედს ბაბილონის მეფის უღლის ქვეშ და დაემორჩილება, დავტოვებ თავის მიწაზე, ამბობს უფალი, დაამუშავებენ მას და იცხოვრებენ იქ. ციდკიას, იუდას მეფეს, ვუთხარი იგივე სიტყვები, რომ მოიხარეთ-მეთქი ქედი ბაბილონის მეფის უღლის ქვეშ, დაემორჩილეთ მას და მის ხალხს, და ცოცხალი გადარჩებით-მეთქი. რისთვის უნდა დაიხოცოთ შენ და შენი ერი მახვილით, შიმშილით და შავი ჭირით" (27:6-13).

ბოლოს, როცა უფლის სიტყვა სმენითაც აღარავის ესმოდა, მაშინ დაიდო ქედზე იერემიამ უღელი და გავიდა ქალაქის ქუჩებში.

გამარჯვება

,,გამარჯვების გრძნობა მათრობელია, დამარცხების გრძნობა დამამცირებელი. მაგრამ დამარცხებაში რომ თავის თავი იგრძნო შინაგან დაუმარცხებლად - ეს კათარზისია ნამდვილი'', წერს ერთგან გრიგოლ რობაქიძე.

ყოველ შემთხვევაში, აქ არ არის ნათქვამი, თითქოს დაუმარცხებლობის გრძნობა გამარჯვების გრძნობის ტოლფასი იყოს, რასაც კვლავ და კვლავ დამღუპველი თრობა დაემუქრებოდა. აქ უბრალოდ ნათქვამია, რომ დამარცხების სირცხვილის დაძლევა მის საპირისპირო - დაუმარცხებლობის განცდას ბადებს, რომელიც შესაძლოა გამარჯვებაზე მეტი იყოს, როგორც სულიერი, ამდენად შინაგანი ფაქტი. ღრმა განცდაში მარცხი დაუმარცხებლობად გარდაიქმნება. ამას გულისხმობს კათარზისი.

ერთ საეჭვო გამარჯვებას სჯობს ათი მარცხი, რომელსაც საბოლოოდ გამარჯვება მოაქვს.

XXIV

ისტორიული ცოდვები

ასი წლის წინათ ვლ. სოლოვიოვი წერდა, რომ რუსეთის მესვეურებმა უნდა ილაპარაკონ არა ძლიერებაზე რუსეთისა და მის პოლიტიკურ ინტერესებზე, არამედ ცოდვებზე და მოვალეობებზეო, რომ რუსეთი უნდა განიწმინდოს მისი ისტორიული ცოდვებისგან და რომ დროშას, რომლის აღმართვისა არ შერცხვება ღვთისა და კაცობრიობის წინაშე, წრფელის სინდისით წააწეროს ეს სიტყვები: ''ეროვნული, სამოქალაქო და რელიგიური დამოუკიდებლობა და ქრისტიანული აღმოსავლეთის ყველა ხალხის თავისუფალი განვითარება". მისი სიტყვები, რომ ვერავითარი საქმენი საგმირონი, ხალხების სასარგებლოდ ჩადენილნი, ვერ გადაფარავს ჩვენს საკუთარ ცოდვებს, მხილებად გახმიანდა სწორედ დღეს, როდესაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა გადაიგდეს ''განმათავისუფლებლის'' უღელი; ეს სიტყვები ჟღერს იმათ სამხილებლადაც, ვინც დღეს ''დიდ რუს ხალხს'' სხვა მცირერიცხოვან ხალხთა გამაბედნიერებლად მიიჩნევს იმპერიაში მათი გაერთიანებით; ვინც დღესაც ამტკიცებს, რომ რუსეთის მიერ ნაკისრები მძიმე ტვირთი მრავალეროვანი ''დერჟავის'' შექმნისა ხალხებისათვის სასიკეთო მისია იყო. მძიმეა მონომახის ქუდი? მძიმეა მართლაც, რადგან ის უზურპატორს ახურავს თავზე. წელში გაწყდა ამ სიმძიმისგან რუსეთი, მისი არსებობაც კი საეჭვო შეიქნა.

ვლ. სოლოვიოვი ალბათ ერთადერთი იყო რუს მოაზროვნეთა, მით უფრო პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის, რომელიც სრული გაბედულებით, თვითმხილებით წერდა, რომ რუსი ხალხი ვერ იცხოვრებს მშვიდად, რომ ის ვერასოდეს მიაღწევს წარმატებას, ვიდრე არ დაიცავს ზნეობრივ მოთხოვნებს; ვიდრე რუსეთში ყალბი პოლიტიკური მოსაზრებებით განაპირა მხარეების იძულებითი გარუსება გაგრძელდება, ვიდრე რუსეთის იმპერიის მილიონობით ქვეშევრდომნი იძულებით იქნებიან მოწყვეტილნი დანარჩენ კაცობრიობას, მანამდე რუსეთი ყველა თავის საქმეში ზნეობრივად შებორკილი დარჩება, სულიერად პარალიზებული იქნება და ვერაფერს, გარდა მარცხისა, ვერ იხილავს - რომელ ვითარებას უფრო ეხმაურება ეს სიტყვები - XIX საუკუნისას თუ ამჟამინდელს?

მეორე იმპერია იშლებოდა ჩვენს დღეებში, მისთვის განკუთვნილი დროჟამი იწურებოდა ჩვენი ზედმეტი ძალისხმევის გარეშეც, როგორც მაშინ, იმ პირველი დაშლის ხანაში, როცა ბუნებრივად, ყვავილივით გაიშალა 26 მაისი. ამიტომაც აღარ ღირდა გულისხეთქება იმაზე, თუ რა უსამართლო სამართალი წყდებოდა საკავშირო ყრილობებზე თუ სესიებზე - სსრკ-დან ''ვერგასვლის კანონის'' მსგავსნი და სხვანი. მალე დადგებოდა დრო - ეს კანონები ჰაერში გამოკიდებული დარჩებოდა.

მანამდე კი ის ელექტროეკრანი, სადაც დეპუტატთა ხმები აღირიცხებოდა სსრკ უზენაესი საბჭოს ყრილობებზე, გვაგონებდა იმ საბედისწერო კედელს, რომელზეც უჩინარმა ხელმა ბაბილონის უკანასკნელი მეფის თვალწინ სამი სიტყვა გამოსახა: "დათვლილია, აწონილია, გაყოფილია" (დან. 5:25). იმას, რაც განწირული იყო, ვერავითარი ძალმოსილება ეფემერული პრეზიდენტისა ვერ იხსნიდა, ათასი ბეჭდითაც რომ ყოფილიყო დამტკიცებული.

***

ორი წინასწარმეტყველი შეეჯახა ერთმანეთს ქვეყნისთვის საბედისწერო ჟამს. ხანანია და იერემია. ხანანია, ჯიქური პატრიოტი, ღალატს სწამებდა იერემიას, რომელიც ფიქრობდა, რომ ხალხს ქედი უნდა მოეხარა უღელქვეშ, რადგან ის ხედავდა ამ ჟამს უღლის გარდაუვალობას და მეორე ჟამს მის წარმავლობას. იერემია სწუხდა იმის გამო, რაც შეიძლება მომხდარიყო. "რისთვის უნდა გაუკაცრილდეს ეს ქალაქი?" რასაც ხანანია სამშობლოს უწოდებდა, ამბიციებით ნაკვები პოლიტიკური ცნება იყო მხოლოდ. იერემიას სამშობლო კი ცოცხალი მოკვდავი ადამიანებით იყო დასახლებული (მარტინ ბუბერი). მის ღმერთს არ სურდა, რომ ეს ქალაქი დაღუპულიყო. მას სურდა შეენახა იგი ამ ადამიანთა უღელში შებმის საფასურით. იერემია მისმა ღმერთმა გაახედა აწმყოს ჰორიზონტს იქით, სადაც ყოველი უღელი დალეწილი ეყარა.

ასეც შეგვიძლია ვილაპარაკოთ: იერემიას მხარეზე ხალხის გადარჩენის სიმართლეა, ხანანიას კი ეკსისტენციალური მომენტი ამართლებს: მას არ უღირს რჩეული ხალხის გადარჩენა ღირსების შელახვის ფასად. მაგრამ წიგნი იერემიას უჭერს მხარს. ხალხი, თუნდაც რჩეული, სიმრავლეა, ღირსება კი ერთეულების ხვედრია. იერემია თმობს ღირსებას მრავალთა გადასარჩენად.

***

თუ რაიმე ისტორიული გამართლება ჰქონდა საბჭოთა ტოტალიტარიზმს, თუ ის ოდესმე პასუხს აგებს ისტორიის სამსჯავროზე, მას შეუძლია იმართლოს თავი ადამიანთა სულმოკლეობით; რომ ადამიანმა ვერ გაუძლო განსაცდელს, სადაც მისი ზნეობრივი სიმტკიცე უნდა გამოცდილიყო. კომუნისტური რეპრესიების პერიოდს რაღაც არ ახსოვს ცოტნე დადიანის გმირობის მსგავსი აქტი. უფალი ეუბნებოდა ისრაელიანებს, რომ ჩაყრიდა მათ ქურაში, რათა მათგან წმიდა ვერცხლი გამოედნო. აჰა, ჩვენ ჩაგვყარა ქურაში, მაგრამ არ ჩანს წმიდა ვერცხლი. იმ ქურიდან რომ წმიდად გამოვსულიყავით ("მცირედნი გადარჩებიან", ამბობს უფალი), დღეს ასეთი მდგომარეობა არ იქნებოდა ქვეყანაში. ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნებული მცირედი ნატამალი, რომელზეც იყო წინასწარმეტყველება, რომ გადარჩებოდა, ისტორიული მისიის შეგნებით აღვსილი შეუდგა იერუსალიმის კედლის აღდგენას და ახალი ტაძრის აშენებას, თუმცა ბაბილონშიც შეეძლოთ დარჩენილიყვნენ და გულმშვიდად ეცხოვრათ. ჩვენ ისევ ბაბილონში დავრჩით და იქაური წესებით ვცხოვრობთ. შეიძლება ითქვას, რომ გადავრჩით? გადავარჩინეთ რაიმე ღირებულება? ვამბობთ, რომ ყოველივე ახალს ვაშენებთ. ვაგრძელებთ კი ბაბილონს.
კვლავ ცოცხლობს საბჭოური ცნობიერება, რაც ჰპოვებს თავის შესატყვის ქმედებებს ყოველ სფეროში. პიროვნულ შემოქმედებით აქტებს ხელისუფლებაში, სამოქალაქო სამსახურში ამაოდ ველით. ამათზე კი მომავალია დამოკიდებული, რომელიც თავისთავად არ მოვა. ამ მდორე მემკვიდრეობითობას რა გარდატეხს, თუ არა ნახტომი, რომელიც ასპარეზზე გამოიყვანს ახალ თაობას, თავისუფალს არსებული მანკიერებებისგან. ეს ნახტომი ისევ და ისევ პიროვნულ უანგარო აქტების შედეგი უნდა იყოს. ისინი კი არ ჩანს.

მაგრამ მაინც, რაც უნდა სკეპტიკურად ვიყოთ განწყობილი დღევანდელი ჩვენი ყოფის მიმართ, ფაქტია, თუმცა საკვირველი, რომ საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა. ასე რომ არ ყოფილიყო, წარმოუდგენელი იქნებოდა გაეროში, ევროსაბჭოში ყოფნა და ფიქრი ნატოში

გაერთიანებაზე. მაგრამ თანახმა თუ ვართ ყოველგვარ საქართველოზე დამოუკიდებლობის ფასად? ვართ დამოუკიდებელი ქვეყანა, მაგრამ თუ ვართ თავისუფალი საზოგადოება (არაფერს ვამბობ ბუნდოვნად გაგებულ დემოკრატიაზე), შემდგარი თავისუფალი მოქალაქეებისგან? ზოგიერთ სახელმწიფო მოღვაწეს, პარტიის ლიდერს კი ურჩევნია, ბრბოსთან ჰქონდეს საქმე. ოპოზიციური ძალები ბევრს ლაპარაკობენ, რომ დღევანდელი ხელისუფლება არ არის ეროვნული, რომ ჩავარდნები საშინაო სფეროში, ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვის ჩათვლით, ეროვნული ცნობიერების თუ იდეოლოგიის უქონლობის ბრალია. მაგრამ ვერავინ განსაზღვრა, როგორი უნდა იყოს სპეციფიურად ქართულ-ეროვნული იდეოლოგია და პოლიტიკა. ეროვნულმა მოძრაობამ მოიტანა ტოტალიტარისტული და, იმავდროულად, პარადოქსია, ცალმხრივი წარმოდგენა ყოველივე ეროვნულზე. ამ მოძრაობის ჩავარდნა ის იყო, რომ იგი იღვწოდა ვიწრონაციონალური თვალთახედვით და ვერ ამაღლდა სახელმწიფოებრიობის პრინციპამდე. ამან გამოიწვია მისი კარდინალური მარცხი.

მხოლოდ ეს წამი, არა შემდგომი

მთამსვლელისთვის ადგილი, რომელსაც ერთი წამის წინ მისი თავი უსწორდებოდა, მეორე წამს მის ფეხქვეშაა მოქცეული - და ასე მწვერვალამდე. ეს აღმასვლაა. მთამსვლელის აღმასვლა შეიძლება სულის სრულყოფის მეტაფორად იქნას გამოყენებული: "იცოდე, სიკვდილის დღიდან მე გადავდივარ სამყაროდან სამყაროში. და სამყარო, რომელიც გუშინ ცად ვიხილე ჩემს ზემოთ, დღეს არის მიწა ჩემს ფეხქვეშ, ხოლო დღევანდელი ცა ხვალ მიწა იქნება" (ხასიდური სწავლანი, გვ. 7). წარმატების გზაზე მდგარმა იცის (უნდა იცოდეს), რომ მიღწეული საფეხური მის მხოლოდ ამჟამინდელ მდგომარეობას ასახავს, არა ერთხელ და სამუდამოდ მიღწეულს. ხასიდი მოძღვარი აფრთხილებდა მოწაფეს: "წმიდა კაცებმაც რომ გითხრან, მართალი კაცი ხარო, არ დაიჯერო. ელიაც რომ მოვიდეს და ცის ანგელოსიც და გითხრან მართალი კაცი ხარო, არ დაიჯერო. თავად უზენაესმაც რომ გითხრას, მართალი კაცი ხარო, იცოდე, რომ ეს ეხება მხოლოდ ამ წამს და არა შემდგომს". ნამდვილად არა შემდგომს, რადგან შემდგომი მისაღწევია. მწვერვალისკენ მიმავალი არასოდეს ჩერდება წინამავალ საფეხურზე. თითქოს ყველაფერი თავიდან იწყება. ეს *თითქოს* ნიშნავს, რომ ადამიანი ყოველთვის მზად უნდა იყოს გზის თავიდან დასაწყებად.

ის ბედკრული ბეთლემელი განდეგილიც მზად უნდა ყოფილიყო ღვაწლის თავიდან დასაწყებად.

XXV

ლენინის მითოსი

ბევრს უნახავს და ალბათ ახსოვთ, დიდი საბჭოური ტილო: ლენინს ორ მუშასთან ერთად მორი გაუდევს ზურგზე და სადღაც მიაქვს. დაწინაურებულია. თუმცა სამუშაოდ არ არის გამოწყობილი: ჯიბეებიანი ხალათი აცვია, თავისი განუყრელი კეპი ახურავს, სწორედ ის, ფინეთის ვაგზალზე ჯავშნოსნიდან რომ ააფრიალა. ჩანს, შეეხიდა ამ ორ მშრომელს კომუნიზმის მშენებლობაში. სიღრმეში სამი შენობა ჩანს: ერთი აგურის კოშკი, მეორე - რუსული კლასიციზმის

შენობა და მესამე - ამავე სტილის ეკლესია. რას ამბობს ამ შენობებით მხატვარი (თუ მას იდეოლოგიური შეცდომა არა აქვს დაშვებული ეკლესიის შემოტანოთ ამ რევოლუციურ სივრცეში)? ალბათ: ჩვენ შევცვლით ქვეყანას, უკეთესს ავაშენებთ. არ ვიცით, როდის მოხდა მატერიალური მშენებლობის გაიგივება კომუნიზმის მშენებლობასთან, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ამ სურათმა მითოსის ფუნქცია შეიძინა სხვა საბჭოურ მითებთან ერთად. ლენინის დროს ამას სოციალიზმის მშენებლობა ეწოდებოდა. კომუნიზმი კი სტალინის იდეა იყო.

ასე იყო თუ ისე, საბჭოთა წყობილების 30-იანი წლებიდან მის დეკადანსამდე უქმე დღეებში ეწყობოდა შაბათობები, ლენინურის სახელწოდებით, როცა მშრომელები სამშობლოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ შრომობდნენ. იყო შაბათობები ლოკალური და იყო შაბათობები საყოველთაო (როგორც დიდი და მცირე ოლიმპიური თამაშობები ელადაში). ორივეს დასაბამი ზურგზე მორგადებული ლენინის ხატება იყო.

ამ მცირე და დიდმა შაბათობებმა, მითოსური კულტურული გმირის პირველ ქმედებას რომ იმეორებდნენ, გაამწვანა თბილისის შემოგარენი, ხრიოკები ნაძვნარად აქცია.

“ედემივით აქცევს მის უდაბნოს და მის ტრამალს - უფლის წალკოტივით” (ესაია, 51:3).

შარვლის ცხენი

ავთო ვარაზმა მეგობრის (რუსლან ღონღაძის) შარვლიდან ცხენის პირისახე შექმნა. დაინახა მეგობრის ტანზე ახალთახალი შარვალი და თქვა: მე ვიცი, რას შევქმნი ამ შარვლისგანო. რეჟისორი ნებისმიერი მასალისგან, იქნება ეს უნიჭო მსახიობი თუ უძრავი სკამი, ქმნის სპექტაკლს. ერთ ცნობილ გახმაურებულ სპექტაკლში მსახიობზე, რომლის როლი მხოლოდ სცენზე ფორთხვა იყო, ითქვა: აი, მაქსიმუმი, რაც რეჟისორმა შექმნა ამ მსახიობისგანო. ქმნილება - სცენა გენიალური იყო თავის ადგილზე, თავის კონტექსტში. სწორედ ეს არის სპექტაკლი. არის თუ არა უფლებამოსილი მსახიობი, თუნდაც გენიალური, რეჟისორის დიქტატურის წრიდან გამოვიდეს და თვითმოქმედება წამოიწყოს? სად იბადება და სად მწიფდება სპექტაკლის ერთიანი იდეა - მსახიობის თუ რეჟისორის ცნობიერებაში?

***

ადამიანი უფრო მეტია, ვიდრე ემპირიულად ავლენს თავს. ადამიანი იმაზე მეტიც არის, რასაც ის თავის თავზე ფიქრობს. ადამიანს შეიძლება დაუდგეს დრო, როცა ის მიხვდება, რომ იმაზე მეტი შეძლებია, რაც აქამდე თავის ზღვარად მიაჩნდა. თუ ადამიანმა თავის თავს დიდი მიზნები დაუსახა, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ ადამიანმა თავის თავში თავისზე მაღალი საფეხური დაინახა. ის თავის თავზე ამაღლდა და, კიდეც რომ ვერ შეძლოს დასახული მიზნის მიღწევა, ეს არაფერს ცვლის. სიმაღლე, თუნდაც წარმოსახული, სიმაღლედვე რჩება.

სიზიფოსის ლოდი

ლოდის აგორება მწვერვალზე არ წყდება. მაგრამ გზა ყოველ ჯერზე ერთი და იგივეა? თუ სიზიფოსი სხვადასხვა გზებით მიაგორებს თავის ტვირთს?

ასეთ შემთხვევაში ერთადერთი ნუგეში შეიძლება ის იყოს, რომ მის ლოდს ხავსი არასოდეს მოედება. არც მის ქმედებას მოელის დახავსება.

***

ვეფხისტყაოსნის გაგრძელებები, რომელთა პესონაჟებმა ანუ ვეფხისტყაოსნის გმირების შთამომავლებმა აგერ თითქმის ჩვენამდე, XVIII საუკუნემდე მოაღწიეს, ცხადი დადასტურებაა იმისა, რომ პოემამ ვერ ჰპოვა თავისი ჭეშმარიტი მკითხველი. ვისთვის დაიწერა? რომელი მკითხველისთვის? ყოველ შემთხვევაში, პოემის მკითხველს ესქატოლოგიური ქორწილი იმ ქორწილად არ უნდა გაეაზრებინა, როგორსაც ლოცავენ - გამრავლდით, იმრავლეთ! პოემის ქორწილი სიკეთეთა სიმრავლის საბოლოო სინთეზზე მიანიშნებს. ეს იგივე დასასრულია, რომელსაც ღაღადებენ სიტყვები "ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია".

პოემა სიკეთის გამარჯვებაში აბსოლუტურ დასასრულს გულისხმობს, წუთისოფლის გადასვლას იმ სოფელში, სადაც ყოველი ბოროტება ანუ თავი ბოროტებისა ("მთავარი ამის ქვეყნისა") საბოლოოდ დაძლეულია.

«Конец мира происходит всякий раз, как человек совершает добро и этим побеждает зло. Зло конечно, добро бесконечно» (ბერდიაევი).

***

"ადამიანი ყოველდღე უნდა ამოდიოდეს ეგვიპტიდან" (ხასიდ. გვ. 27) რას ნიშნავს ეს? იშვიათია კულტურა (შესაძლოა, მეორე ვერც დავასახელოთ), სადაც ისტორიულ წარსულზე ასეთი რამის თქმა ყოფილიყო შესაძლებელი. ხასიდი არ ამბობს "ყოველი ისრაელიანი", ის ამბობს "ყოველი ადამიანი". ამ ოთხი თუ ხუთი სიტყვით ნათქვამია ჭეშმარიტება, რომ ადამიანი ეკუთვნის ისტორიას, რომელსაც ვერ გაექცევა და ვერც დაივიწყებს. მეტიც: ისტორიული ხდომილება, რომელმაც განსაზღვრა მისი სახე, მან თავისი ყოველდღიურობის ფაქტად უნდა აქციოს. მოწოდება "ყოველდღე უნდა ამოდიოდე" იმასაც უწესებს ადამიანს, რომ ის ყოველი დილიდან უნდა აცნობიერებდეს თავის იდენტობას, სანამ თავის საქმიანობას შეუდგებოდეს.

დიოგენეს ლამპარი

პლატონისგან იმ ცნობილი პასუხის ("ტაბლისა და თასის დასანახად თვალები გაქვს, ტაბლობისა და თასობის დასანახად კი გონება არ გაგაჩნია") მიღების შემდეგ სირცხვილეული დიოგენე ხელში იჭერს ანთებულ ლამპარს და ადამიანს უწყებს ძებნას. ლამპარი გონების სიმბოლოა, მის შუქზე ძიებაც სიმბოლურია. დიოგენი სრულყოფილ ადამიანს ანუ ადამიანობას უნდა ეძებდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ კვლავ პლატონის მოძღვრების თანახმად (რომელიც მან უარყო), მას ოდესღაც ნანახი უნდა ჰქონოდა ადამიანობის იდეალური ხატი, სხვანაირად - საძებარიც არაფერი იქნებდა.

არც ადამიანი, არც ცხოვრება, არც საუკუნე, არც რაგინდარა ნივთი - თუნდაც ხელოვნების ეჭვმიუტანელი შედევრი - სრულყოფილი რომ არ არის, ამას გრძნობს ადამიანი. და თუ გრძნობს, მაშ, ჯერ კიდევ არ გაუწყვეტია კავშირი იდეალურ სამყაროსთან. მასში ჯერ კიდევ ბჟუტავს ღვთის ხატი - სრულყოფილი ადამი.

XXVI

სასოწარკვეთა და ჰუბრისი

ბლეზ პასკალი (1623-1662) წერდა, რომ ადამიანს ორნაირი განსაცდელი ემუქრება: ის შეიძლება ჩავარდეს სასოწარკვეთილებაში თავისი უძლურების გამო და შეიძლება გაამპარტავნდეს საკუთარ თავზე გადამეტებული წარმოდგენის გამო. ამირანი მოიცვა სასოწარკვეთილებამ უძლეველ ამბრი არაბთან შეხვედრისას და - ჰუბრისმა, როცა წარმოიდგინა,

რომ მისი მომრევი ამქვეყნად და არც ქვეყნის გარეთ არავინ იყო. ამბრი არაბის წინაშე თავის უძლურებაში დარწმუნებული, ორმოცი დღე და ორმოცი ღამე გლოვობდა. მისმა ნათლიამ, მაცხოვარმა იესო ქრისტემ, შეიბრალა იგი და უზომო ძალა მიანიჭა. მაგრამ როცა ამირანს ქვეყანაზე არავინ დარჩა მოურევნელი, მას დაეუფლა ჰუბრისი და გაბუდაყების კულმინაციაში აბსოლუტურ ძალას შეებრძოლა - თავად მაცხოვარი გამოიწვია ორთაბრძოლაში. გაამპარტავნებულმა იმის დამარცხება მოინდომა, ვინც ძალა მიანიჭა. ეს იყო უდიდესი ჰუბრისის გამოვლინება, რისთვისაც ამირანი კლდეზე მიჯაჭვით დასაჯა ღმერთმა.

კინტო და ყარაჩოხელი

თუ იარსებებდა ყარაჩოხელი უკინტოოდ და კინტო - უყარაჩოხელოდ?
კინტო და ყარაჩოხელი ერთმანეთის გვერდით ერთი ცის ქვეშ რომ არ იმყოფებოდნენ, ყარაჩოხელი მაღალ კვარცხლბეკზე შემდგარ გაქვავებულ ძეგლს დაემსგავსებოდა, კინტოს ლაზღანდარობას და ცინიზმს კი საზღვარი არ ექნებოდა.

ისინი, როგორც დონ კიხოტი და სანჩო პანჩა, თუმცა სხვაგვარად, შეზრდილნი არიან ერთმანეთთან. უერთმანეთოდ ვერ ძლებენ.

სად ძევს საგანი?

საგანს ვხედავთ და ვამბობთ, რომ ის მდებარეობს. მაგრამ ადგილს, სადაც ის მდებარეობს, ვერ ვხედავთ. ის არ ჩანს იმის გამო, რომ მას ჩვენგან ხილული ნივთი აფარია? ან თუ არსებობს ეს ადგილი? თუ არსებობს, ეს ხომ სიცალიერეა, არარაობა. და წინააღმდეგობაში ვექცევით, როცა არარაობის არსებობაზე ვლაპარაკობთ.

როდემდის?

80-იანის დასაწყისში მივქროდით მრავალტანჯული ლიტვის გზებზე. ლიტვა, "მწვანე ძმები"... როდემდის? ვკითხულობდი (ჩვენებურად: როდის წავლენ *ესენი*?). ლეტა პალმაიტი პროფეტის კილოთი პასუხობდა: როცა ეს ჭირი მთელს მსოფლიოს მოედება და მოიცავს ყველა კუნჭულს დედამიწის ზურგზე, აი, მაშინ დაიწყება ამათი წასვლა - ამონთხევა იმ შხამისა, რომელიც მთლიანად იქნება ჩაღვრილი მთელი კაცობრიობის სულსა და სხეულში, ამონთხევა როგორც ვეებერთელა ძირმაგარიდან, როგორც ვულკანის კრატერიდან. სხვა საშველი არ არის. პრობლემა ტოტალურია, ამასთანავე აპოკალიპსური და მას აპოკალიპსის პერსპექტივიდან უნდა შევხედოთ.

მაშინ გავიხსენეთ კალიგულა (თუ კარაკალა), რომელიც ოცნებობდა: ნეტავ ამ ხალხს ერთი კისერი ჰქონდეს, რომ ამ მახვილის ერთი მოქნევით...

ნება და ბედისწერა

ადამიანი თავად ქმნის საკუთარ ბედს. ეს ქრესტომათიული ჭეშმარიტებაა. სარტრი ამბობს, რომ ის, რასაც ჩვენ ბედისწერას ვუწოდებთ, სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის თავისუფალი არჩევანის შედეგი. ადამიანი თავისი არჩევანით სჭედს თავის ბედს. პირუკუ რომ იყოს, ადამიანს რომ რაღაც მის გარეშე არსებული "ბედისწერა" მართავდეს, ეს არსება ადამიანი არ იქნებოდა, ის შეიძლება ანგელოზი ყოფილიყო. ღვთის პროვიდენციაში ბედისწერისთვის ადგილი არ რჩება. განგება ითვალისწინებს ადამიანის თავისუფალ აქტებს მისი შედეგებითურთ. ანუ: ღმერთში თუმცა ადამიანის დაბადებამდე უკვე მომხდარია ადამიანური

აქტი, მაგრამ ეს "მომხდარი" არ არის ფატალური, არც თავსმოხვეული, რადგან ის მისი თავისუფალი აქტია.

Pontifex

როცა პონტიფექსმა ფეხი დადგა საქართველოს მიწაზე, მისი ნაბიჯების ხმას მთელი კათოლიკური სამყარო უსმენდა. სამყარომ იცოდა, რომ რომის პაპი ერთ-ერთ უძველეს მართლმადიდებელ ქვეყანაში იმყოფებოდა. როცა ერთმა გაბედულმა რეპორტიორმა გზად მიმავალ პაპს ჰკითხა მისი საქართველოში ჩამოსვლის მიზანი, პაპმა თავაუღებლად, სვლაშეუჩერებლად თქვა, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა: "მე მომაქვს სიყვარული".
თუ ეყოფოდათ გაბედულება ჩვენს მართლმადიდებელ "ჯვაროსნებს" იმისათვის, რომ შეეჩერებინათ პაპის სვლა და უარეყოთ ეს სიტყვები?

XXVII

შეუპოვრობის საზღაური

70-ან წლებში, როცა ებრაელთა ლტოლვას ისტორიული სამშობლოსაკენ ვერავითარი ძალა ვერ აკავებდა, საბჭოთა უშიშროებამ ასეთ ხერხს მიმართა: მოსკოვში დაიბარეს თექვსმეტი რესპუბლიკის ებრაული ჯამაათის თავკაცები - რაბინები, წინ დაუდეს ქარალდი, სადაც ეწერა, რომ ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, ვადასტურებთ, რომ ისრაელი არ არის საბჭოთა ებრაელების სამშობლო, რომ მათი ერთადერთი სამშობლო საბჭოეთია, და რომ მისგან გასვლა ქვეყნის ღალატია. ითათბირეს რაბინებმა და დაასკვნეს, მოეწერათ ხელი დოკუმენტზე. ერთადერთ ქართველი ებრაელი რაბი ყიმანუელი (დავითაშვილი) იყო, რომელმაც უარი განაცხადა ხელმოწერაზე. "მე არ შემიძლია უარვყო ის, რასაც ყოველდღიურად ვუქადაგებ ჩემს ხალხს". - "ახლა, ჩვენთან ასე ამბობ, ანდროპოვის წინაშე რომ აღმოჩნდები, ამას ვეღარ გაიმეორებო". კეთილი. ანდროპოვის წინაშე, როცა ის შემოვიდა, რუსეთის ფედერაციის მთავარმა რაბინმა ლევინმა ხელი მოაწერა დოკუმენტს და რაბი ყიმანუელს დაუდო წინ. ყიმანუელმა უკავე დაუდო. ასე რამდენჯერმე ერთი და იგივე. როცა ყველამ მოაწერა ხელი, ანდროპოვმა რაბინები დაითხოვა და ყიმანუელს უთხრა: თქვენი სახელი რომ არა, დახვრეტა არ აგცდებოდათ. ახლა წადით, ინაურმა გადაწყვიტოს თქვენი საქმეო. ინაურმა კი, როცა რაბი ყიმანუელს შეხვდა: თუმცა მე არ გეთანხმებით, მაგრამ ვისურვებდი, კომუნისტებს გამოეჩინათ ის სიმტკიცე, თქვენ რომ გამოიჩინეთო.

ამ საუბრის შემდეგ ყიმანუელის ოჯახი ოცდაოთხ საათში გაამგზავრეს თავის ისტორიულ სამშობლოში. ეს იყო მისი დამსახურებული "ჯილდო".

სალოცავის მცველები

როცა (ოციანი წლების დასაწყისში) ონის სინაგოგის დასანგრევად ხელი აღიმართა, დედებმა გამოიყვანეს ძუძუთა ბავშვები და მათთან ერთად შენობაში ჩაიკეტნენ. მათ ქართველი დედებიც შეუერთდნენ. მნგრეველებმა უკან დაიხიეს და ასე გადარჩა სინაგოგა, რომელიც ვარშავის სინაგოგის მოდელზე იყო აგებული (დღეს ეს უკანასკნელი აღარ არსებობს, ებრაელთა გეტოსთან ერთად გაცამტვერდა).

მაგრამ სად იყვნენ ქართველი დედები ან მათი ქმრები, როცა იმავე ონში ეკლესიებს ანგრევდნენ? ქრისტიანებმა ვერც ერთი ეკლესია ვერ შეინარჩუნეს. ვერ შეინარჩუნეს? -

ქართველებმა თავისი ხელით დაანგრიეს: წმიდა გიორგი საჯანის კარზე და მთავარანგელოზი სოფ. მოედანზე. დღეს ჩვენი ურწმუნობის განტევების ვაცი ის ყბადადებული სამოცდაათი წელია, თითქოს ამ წლებმა უდაბნოში წაიღეს ჩვენი რწმენა. ეს დასაჯერებელია? რწმენა არის ან არ არის. თუ იყო, დარჩებოდა - და დარჩა კიდეც რწმენად მცირეთა სულიერ კატაკომბებში. თუ არ იყო, სამოცდაათი წელი ვერაფერს წაიღებდა.

დღეს ონში ოთხიოდე ებრაული სახლიღაა დარჩენილი, გადარჩენილი სინაგოგა კი დგას - რის მოწამედ?

ალექსანდრე ჯანელიძე

შეუდარებელ მაგალითად დარჩება აკადემიკოსი ალექსანდრე ჯანელიძე, რომელიც თავისი საქციელით სწორედ იმ რეჟიმის ხანაში დაუპირისპირდა ხელისუფალთა ბრძანებას და, საზოგადოებისათვის მოულოდნელად, უარი თქვა უნივერსიტეტის რექტორის პოსტზე, რათა იძულებული არ ყოფილიყო ჩაედინა უკანონობა, რასაც მისგან მოითხოვდნენ. ეს საქციელი საზოგადოების თვალში სიბრიყვედ ჩანდა. ვშიშობ, რომ ასე გამოჩნდება დღესაც. გასაბჭოებულ უნივერსიტეტს ერთადერთი შემთხვევა ახსოვს, როცა მისმა რექტორმა გამოიჩინა ნების სიმტკიცე და თავისთავადობა და საკუთარი ხელით დასმული ბეჭდის წაშლას გადადგომა არჩია. იმ დროისათვის ამ უნიკალური აქტის ჩამდენმა პროფესორმა ალექსანდრე ჯანელიძემ დაადასტურა, რომ იგი იყო უღალატო რაინდი იმ კორპორაციისა, რომელიც ჭეშმარიტების სამსახურად არის მოწოდებული. ასეთი არჩევანისთვის გამოჩენილი გეოლოგი მზად იყო თავისი წარმოშობით, აღზრდა-განათლებით, მოწოდებით, მთელი თავისი ცხოვრებით - აწმყოთი და მომავლითაც.

ახლადგახსნილ უნივერსიტეტში ახალგაზრდა ლექტორმა თავისი პირველი ლექცია უნივერსიტეტის ამ ფრაზით დაასრულა: "მეცნიერება გადაცემით არ ისწავლება, მეცნიერების სწავლება მხოლოდ მაგალითით შეიძლება". მეცნიერების ცნებაში სწავლული მის უმაღლეს, არატრივიალურ აზრს დებდა. ჩვენ დავძენთ: მით უფრო ზნეობრივი აქტები არ ისწავლება გადაცემით. ზნეობრივი აქტების სწავლება მხოლოდ მაგალითით შეიძლება. ალექსანდრე ჯანელიძის უმაგალითო საქციელი ზნეობის მაგალითი იყო იმხანად. იმჟამინდელი პირქუში ცის ქვეშ მას უთუოდ ჰქონდა გამოძახილი თუნდაც მცირედზე უმცირესთა გულებში.

XXVIII

სწორფრობა

მირჩა ელიადე ერთგან წერს: "საკვირველია, რომ იმ კულტურებშიც კი, სადაც ქალწულობა დიდ პატივშია, ახალგაზრდა ქალ-ვაჟის შეხვედრას არათუ ითმენდნენ, არამედ მშობლები ხელს უწყობდნენ კიდეც. ეს იყო არა ზნეობის რღვევა, არამედ ქალის საკრალობის გახსნის დიდი საიდუმლო, სიცოცხლისა და ნაყოფიერების წყაროებთან შეხება. ქალიშვილების ქორწინებამდელი თავისუფლება სრულიადაც არ იყო ეროტიული ხასიათისა, მისი ბუნება რიტუალური იყო და შეადგენდა დავიწყებული მისტერიის ნაწილს და ნაკლები კავშირი ჰქონდა მიწიერ სიამეებთან".

რომელ კონკრეტულ კულტურასაც არ უნდა გულისხმობდეს ამ ნაკვეთში განთქმული რელიგიათმცოდნე და მითოლოგოსი, ეს სიტყვები თითქოს საკუთრივ ხევსურული სინამდვილის მიმართ არის ნათქვამი, ელიადეს კი, საეჭვოა, ოდესმე გაეგონოს მათი სახელი. ყოველ შემთხვევაში არსად თავის მრავალრიცხოვან ნაწერებში იგი არ ახსენებს ხევსურებს და

არც მათთვის ნიშანდობლივ სწორფრობის ჩვეულებას, რომელსაც, გავბედავ და, მტკიცედ და მკაცრად ჩამოყალიბებულ ინსტიტუციად ვუწოდებ. მართალია, მითოსი წარსულისკენ არის ორიენტირებული, მაგრამ არ არის აუცილებელი, რომ მითოლოგოსიც მხოლოდ წარსულისკენ იხედებოდეს, არად აგდებდეს აწმყოს და ძირითად აქცენტს საგნის, მოვლენის გენეზისზე აკეთებდეს. რატომ უნდა იყოს ძირითადი ამოცანა ჩხრეკა "დავიწყებული მისტერიისა", რომლის სუბიექტთა შინაგანი სამყარო ჩვენთვის უიმედოდ დახურულია, და არა გამოძიება საზრისისა, რომელსაც დღემდე (ჩვენს ცივილიზაციამდე) ცოცხლად შემორჩენილი რიტუალი ან წეს-ჩვეულება შეიცავს?

რა არის საზრისი ან მიზანი სწორფრობისა, რომლის *კუდები* უკანასკნელ დრომდე შემონახული იყო ხევსურეთის თემებში (საზოგადოებებში). რატომ იყო, რომ სოფლის ხალხმრავლობის დროს - ქორწილი იქნებოდა თუ სხვა რამ დღესასწაული, საზოგადოებას აუცილებლად მიაჩნდა, რომ ერთმანეთის თანხმობით დაწყვილებული ქალ-ვაჟი ერთად დაწოლილიყვნენ ანუ, ადგილობრივი ტერმინოლოგით თუ ვიტყვით, "წოლა-დგომის" წეს-ჩვეულება შეესრულებინათ. ღამით, მრავალსტუმრიანი სახლის აურზაური რომ მიწყდებოდა, ქალი მიდიოდა ვაჟთან და წვება მის გვერდით. დილამდე საუბრობდნენ ისინი ხელგადახვეულნი, ის კი, რისი მოლოდინი შეიძლება ჰქონდეს დღევანდელ ადამიანს, არ ხდებოდა. თითქოს ყველაფერი მზადდება იმისათვის, რომ *ის* მოხდეს, მაგრამ არ ხდება. წყვილს შორის სწორფრობის დაუწერელი კოდექსის სატევარი დევს. როგორც კი ვაჟი ზღურბლის გადალახვას შეეცდება, ქალი დგება და მიდის უხმაურად, უსკანდალოდ სტოვებს ვაჟს. ქალი უფრთხილდება ვაჟის ღირსებას. ვაჟი რომ მიდიოდეს ქალთან, როგორც ფშაურ წაწლობაშია, ვაჟის მიერ ზღურბლის გადალახვის მცდელობისას ქალი იძულებული იქნებოდა გაეძევებინა ვაჟი, რაც გახმაურების შემთხვევაში დიდ სირცხვილად ჩაეთვლებოდა მას. ამაშია კარდინალური განსხვავება ხევსურულ სწორფრობასა და ფშაურ წაწლობას შორის. სწორფრები არათუ მიილტვიან ხორციელი თანაყოფისკენ, არამედ მათ, როგორც "ძმობილ-დობილთ" (ასე იწოდებიან ერთმანეთის მიმართ სწორფრები), ქორწინებაც კი ეკრძალებათ. სწორფრობისა და ქორწინების დროჟამი დასაბამითვე განხვავებულ მდინარებებს ეკუთვნიან. ისინი არ კვეთენ ერთმანეთს, მაგრამ როცა კი გადაიკვეთებიან - და ეს მომხდარა - შეუღლებული სწორფერნი თემიდან მოიკვეთებიან და საბოლოოდ მათი სიცოცხლე ტრაგიკულად მთავრდება. მკაცრი აზრით, სწორფრობის ჩვეულება არა საერთო ხევსურული, არამედ საკუთრივ არხოტული წარმოშობისაა. ნათელა ბალიაური (1886-1988), რომელსაც ეკუთვნის ჩანაწერები არხოტისა და პირაქეთი ხევსურეთის სწორფრობის შესახებ (გამოქვეყნდა სათაურით "სწორფრობა ხევსურეთში", თსუ, 1991), განასხვავებს არხოტულ და არაგვულ (პირაქეთ ხევსურულ ან ბუდეხევსურულ) "წოლა-დგომას" ერთმანეთისგან, ხედავს რა ამ უკანასკნელში რღვევის ნიშნებს, რამაც კულმინაციას და საბოლოო გადაგვარებას ფშაურ წაწლობაში მიაღწია. მკითხველს ვგზავნი სწორედ ამ წიგნთან, რომლის ავტორი შიგნიდან, როგორც ერთი მონაწილე, აღწერს სწორფრობას და არა როგორც გარედან მისული ეთნოგრაფი აღწერდა. აქ კი ერთ პარალელს მოვუხმობ მისი საზრისის უკეთ წვდომისათვის.

ორ ასპარეზზე გამოიცდება ყმა: ერთგან საბრძოლო ცდაში, "ველზე", სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე, მეორეგან სწორფრულ ცდაში - ნებადართულისა და აკრძალულის ზღურბლზე. ერთგან - დღის კაშკაშა სინათლეზე, მეორეგან - ბნელი ღამის იდუმალებაში. ველობა ნამდვილად ქმნის საზღურბლო სიტუაციას, სადაც სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე მოყმის ეკსისტენცია ვლინდება. მაგრამ არის ერთი ნაკლებ სახიფათო ასპარეზი, სადაც მოწმდება მისი ღირსება. კეჭნაობაში ნორმით დაშვებულზე მეტი სიღრმის ნაკაწრი სიმხდალეში ეთვლება მოწინააღმდეგეს, რომელსაც გადამეტებულმა ემოციამ თუ შიშმა ვერ გამოაზომინა ჩხვერვის ძალა. უწყინარ კეჭნაობაში გადამწყვეტია ნების სიმტკიცე, ისევე როგორც სწორფრულ წოლა-

დგომაში ნება უნდა ძლევდეს და ძლევს კიდეც - არის, როგორც ყოველ წესში, გამონაკლისებიც - ვნებას.

სწორფრობაში სქესისა და სქესთა შორის ურთიერთობის ხორციელი ზედაპირის სანაცვლოდ, რომელიც უკან იხევს, მისი მეტაფიზიკური სიღრმეები იჩენს თავს.

მიწიერი ტიხრები...

კიევის მიტროპოლიტ პლატონს (გოროდეცკის, 1803-1891) ეკუთვნის სიტყვები: "ჩვენი მიწიერი ტიხრები ცამდე არ სწვდება" («Наши земные перегородки не достигают до небес»).
მართალია, ღვთის გაერთიანებულს, ადამიანი თიშავს, მაგრამ ნუთუ იმ ზომამდე, რომ ცის გადატიხრვა შეძლოს?

რა წარმავალად და ამაოდ უნდა ჩანდეს ცის დიდსულოვნების გადმოსახედით კონფესიური ბრძოლები უსასრულო ცის დასაჩემებლად!

მანვე თქვა და დააგვირგვინა წინა ნათქვამი: "ჩვენ კი ვიცით, სად არის ქრისტეს ეკლესია, მაგრამ არ ვიცით, სად არ არის იგი, სად მთავრდება მისი საზღვრები..."
მისმა ყოვლადუსამღვდელოესობამ წარმოთქვა ეს სიტყვები იმ დარწმუნებით, რომ ვერავისგან გაიგონებდა პასუხს: "მე ვიცი, სად მთავრდება".

მაგრამ ქრისტე პასუხობს: "სადაც ორი ან სამია შეკრებილი ჩემი სახელით, მეც იქა ვარ მათ შორის" (მათ. 18:20). ორი თუ სამი ადამიანი ქრისტეს ეკლესიის მინიმუმია. ქრისტე მყოფობს მისი სახელით შეკრებილთა შორის და, ბუნებრივია, სადაც მისი სახელით არ იკრიბებიან, იქ მთავრდება ქრისტეს ეკლესიის საზღვრები.

ცის გადამტიხვრელები ყველას ეტყვიან: თქვენ *ჩვენი* ქრისტეს სახელით არ იკრიბებით!

განუყრელი მეგობრები

პომპეის ერთი სახლის კედელზე წარწერილ ამ სიტყვებზე: "აქ ვიყავით ორი სამარადისოდ განუყრელი მეგობარი. თუ სახელებს იკითხავთ - კაიუსი და ავლუსი ვართ" როგორ არ ჩაიღიმებს მავანი სკეპტიკოსი (პესიმისტი, ნიჰილისტი), თუნდაც საღი აზრის მატარებელი. ვეზუვის ფერფლიც რომ არ ყოფილიყო, ჟამთასვლამ ხომ მაინც გააცამტვერა მათი განუყრელობა. დარწმუნებული ვართ, რომ გააცამტვერა? ვის შეუძლია ეს დაადასტუროს? ან ვის შეუძლია უარყოს ამ განუყრელობის მარადიულობა, ვის შეუძლია თქვას, რომ მათი განუყრელობა სამუდამოდ არ არის ჩაწერილი "სიცოცხლის წიგნში"? წარმავალია? მაგრამ ეს წარმავალობა ხომ მარადისობის "შუაგულშია" ანუ მის უბეშია და მასთან არის ნაზიარები.

"...პონტოელისა პილატეს ზე"

ამ სიტყვების არსებობა მრწამსში თითქოს დიდი გაბედულების ნიშანია. ეს ფრაგმენტი შეიძლება გაუგებრობას იწვევდეს. როგორ დაუშვეს, რომ უკვდავყოფილიყო მრწამსის ფორმულის წყალობით ადამიანი, რომლის სიტყვამ გადაწყვიტა იესოს *ბედი*? თუმცა დავუკვირდეთ, მისი სახელი შეფასების გარეშეა ნახსენები, ობიექტურად, თითქოს მას არ დაუცია დასტური მისი ჯვარცმისთვის: "და ჯვარს ეცვა ჩვენთვის პონტოელისა პილატეს ზე და ივნო და დაეფლა". მხოლოდ ფაქტის მშრალი, პროტოკოლური კონსტანტაცია... ასეც უნდა ჩაწერილიყო დოკუმენტში. ჯვარცმა მოხდა არა სადღაც მითოსურ სამყაროში, არა რომელიღაც არქეტიპულ დროში, არამედ *hic et nunc*, აქ და ახლა, როცა ურიასტანის პროკურატორად პონტოელი პილატე იყო განწესებული. პილატე მხოლოდ ათარიღებს ისტორიულ მოვლენას, უფრო სწორად იმას, რაც უჟამობიდან ჟამიერში შემოიჭრა.

ტექსტი

მხატვრული ნაწარმოები დღეს მხოლოდ და მხოლოდ მოიხსენება როგორც ტექსტი. თუმცა ამ სიტყვა-ცნებას მნიშვნელობათა უფართოესი დიაპაზონი აქვს: ტექსტია არა მხოლოდ რაიმე დასრულებული თუ დაუსრულებელი სიტყვიერი მონაკვეთი; არა მხოლოდ შესიტყვება, შეპასუხება, საიდანღაც გაგონილი შემახილი... არამედ ჩვენი სინამდვილეც ტექსტია, სადაც ვიბადებით, ვიზრდებით, ვცხოვრობთ, ის ჩვენთან ერთად იქსოვება და ჩვენ ვიხლართებით მასში. ტექსტში ვცოცხლობთ და ვიხოცებით (“სიცოცხლის წიგნი”). ტექსტია ისტორია, რომელსაც ადამიანი ქნის; ყველაფერი ტექსტია, რასაც სტრუქტურა აქვს, სტრუქტურა კი ყველაფერშია, გარდა ქაოსისა, რომელიც რეალობაში არ არსებობს; რომც იარსებოს, ვერავინ წაიკითხავს. ტექსტია მთელი ბუნება - ფიზიკური სამყარო თავისი კანონებით, რომელიც ღმერთმა შექმნა. ყველაფერი ტექსტია, ყველაფრის წაკითხვა შეგვიძლია; ერთადერთი ღმერთი არ არის ტექსტი; ტექსტი რომ იყოს მისი წაკითხვაც შესაძლებელი იქნებოდა.

სხვათა შორის (თუმცა რატომ სხვათა შორის?) textus ქართულად ქსოვილს ნიშნავს, textor - მქსოველს, რომელიც თავისუფლად გამოდგება “სიტყვის მკერავის” (“ბალავარიანი”) სინონიმად, ხოლო პოეტი ალექსანდრე აბაშელი პირდაპირ ამბობს: “პოეტი ხომ სიტყვის ფეიქარიაო”. თუ არ ვცდები, ამავე სემანტიკის არის “თხზვა” - “თხზულება”. რატომ იკარგება ეს სიტყვა-ცნება?

დავუბრუნდეთ ზემოთქმულს. მწერალთა და ლიტერატორთა მეტყველებაში ტექსტი (“ჩემი ტექსტი”, “მავანის ტექსტი” და ა. შ.) მისი ერთ-ერთი - მხატვრული თხზულების მნიშვნელობით ერთგვარ ჟარგონად ჟღერს, როგორც “გაიჟღერა”, “გზავნილი” და სხვა მისთანანი, - რომელთა ხანი, საბედნიეროდ, არცთუ გრძელია, - რომ არ ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ტექსტის გაფართოებული მნიშვნელობა აუცილებელ პირობად წაკითხვადობას გულისხმობს. მაგრამ არა ყოველგვარი წაკითხვადი, ბუნება იქნება თუ ადამიანის ცხოვრება, შეიცავს იმ თვისობრიობას და ხარისხს, რასაც მკითხველი მხატვრული ნაწარმოებისგან ელის.

ეს იყოს ამ წლის მიწურულში ავტორის უკანასკნელი *ტექსტი*.

XXIX

****

ვეფხისტყაოსანი წიგნია, რომელიც უნდა იკითხებოდეს, მაგრამ ის სიმბოლოც არის, რომელსაც, როგორც სიმბოლოს, თავისი წაკითხვა აქვს. ის ქართულ კულტურაში იკითხება, როგორც მისი იდენტიფიკაციის ერთი მნიშვნელოვანი ნიშანი. არა აქვს მნიშვნელობა - კითხულობენ თუ არ კითხულობენ მას როგორც წიგნს. ის *არსებობს*, ის წაუკითხავადაც ასრულებს თავის კულტურულ ფუნქციას, შეიძლება ითქვას, უფრო მეტად და უფრო სრულყოფილად, ვიდრე მისი წაკითხვის შემთხვევაში იქნებოდა. ამ ნიშნით პოემა თავის თავს აჭარბებს, თავის თავზე მაღლდება.

ენის სიმხურვალე

რას ვამსგავსოთ სულხან-საბა ორბელიანი იგავების ენა? მისგან ისეთი სიმხურვალე მოდის, როგორიც ნაცარქექიას მეტოქე დევის ხელით გაწურული ქვიდან, რომელშიც სისველის ნასახიც არ არის დარჩენილი.

ამ ორმოცდაათი წლის წინ გავრცელებული შეხედულებით, ენა, რომლითაც ეს იგავებია დაწერილი, ქართული პროზის ეტალონად მიიჩნეოდა. თითქოს ქართული ენის ბუნება ყოფილიყო ასეთი. გულისხმობდნენ სინტაქსს, თითქოს ქართული ენისთვის მარტივი განუვრცობელი წინადადებებია ბუნებრივი და ენა ვერ იტანს რთულ დამოკიდებულ წინადადებებს. ამას ფიქრობდნენ გამოცდილი ლიტერატორები, მთარგმნელები. და შესაბამისად, რედაქტორები და სტილისტები ჩეხდნენ და მუსრავდნენ მრავალსართულიან წინადადებებს, რათა "ბუნებრივ" სიმარტივემდე დაეყვანათ ფრაზები.

ამ ენით, რომელიც, შესაძლოა, საბამ იგავებისთვის გამოიყენა, სრულიად წარმოუდგენელია ისეთი ტექსტების შექმნა, როგორსაც, მაგალითისთვის, თომას მანი და სხვანი ქმნიდნენ.

ღირსებისთვის...

თავგანწირვის აქტებზე ჩვეულებრივ ვამბობთ: მან თავი გასწირა სამშობლოსთვის, ხალხისთვის, მოყვასისთვის. ობიექტურად, შედეგიდან გამომდინარე, ეს ასეც არის. მაგრამ შეგვიძლია სხვა კუთხიდანაც შევხედოთ ამ მოვლენას: ყოველი თავგანწირვის აქტი ყოველთვის სპონტანურია და ის ამოდის პიროვნების ექსისტენციიდან და, თუკი აქვს ამ თავგანწირვას რაიმე იმპულსი, ეს ისევ და ისევ ღირსების გრძნობაა, რომელიც ადამიანს თავგანწირვის აქტს ჩაადენინებს.

რისთვის გადაეშვა ადიდებულ მდინარეში მიქაელ თამარაშვილი, რომელმაც ცურვა არ იცოდა? ნუთუ იმ უცნობი წყალწაღებული მუშის სიცოცხლე საკუთარ სიცოცხლეზე მეტად უღირდა? ან რომელი სამშობლოსთვის გასწირა თავი ფორე მოსულიშვილმა, რომელიც ოცნებობდა თავის მაჩხაანზე? ნუთუ იტალია ან თანამებრძოლების სიცოცხლე თავის თავზე მეტად უღირდა? და რა არის ის, რაც ადამიანს სიცოცხლეზე მეტად უღირს?

Moribundus

კარადის თავზე შემოდგმული რძის ჭურჭელი ვარდის ღეროთი გამატანინა ოთახიდან. მის ნაცვლად რაღაც წამლის ბოთლი შემოვდგი. ვარდისგან ალერგია სჭირს. ღიად დარჩენილ კარს ვერ იტანს. ეჩვენება, რომ ქარი უბერავს და ამის გამო გვერდი უცივდება. ადგილის შენაცვლებას მოითხოვს ხშირად. ვერ მაგებინებს, როგორ უფრო მოეხერხება წოლა. ამიხსნის როგორ... მერე კისერზე შემომხვევს ხელებს, მე მხრებში, ავწევ ან ზევით, ან განზე... "ასე, ბ-ნო გ.?" სანამ პასუხს გამცემს, ამოწმებს მდგომარეობას, ან სულის ამოთქმას უცდის. "არა, ასე არა", ან: "ასე, ჰო ასე", მაგრამ ხანმოკლეა ეს "ასე". "როგორ უფრო გირჩევნიათ?" "არ ვიცი". შემოუტანეს "მაცნის" მე-3 ნომერი, სადაც დაბეჭდილია ნეკროლოგი ახლადგარდაცვლილ აკადემიკოსზე. თქვა: "აი, ცხოვრება. ვინ იცის, მე-4 ნომერში რა ეწერება?" ეს ჟურნალი და კიდევ სხვა (პოლონური) ჩემს კაბინეტში წაიღეთო. სხვა წიგნს მოვკიდე ხელი, ესეც ხომ არა-მეთქი? "არა, ეს *ჩემი* წიგნია" ("რიტმი და მეტრი ვეფხისტყაოსანში").

დაუვიწყარი ტოპონიმები

რაღაც მეტაფიზიკური შიშით თუ რიდით, თუ სხვა რამ აუხსნელი მოტივით დაპყრობის შემდეგ ადგილის სახელები ხელუხლებელი რჩება. სახელი ადგილობრივი ხალხის ცხოვრებისა და ენის წარუშლელი ანაბეჭდია მიწაზე, როგორც ადამიანის კბილებზე ნასვამი წყლის დანალექი, რომელიც ასევე წარუხოცელია. პასიონარმა ანგლოსაქსებმა მუსრი გაავლეს

ინდიელებს ახალ კონტინენტზე, მიიტაცეს მათი მიწები, თავად ისინი რეზერვაციებში შერეკეს, მაგრამ აზრადაც არ მოსვლიათ სახელები შეეცვალათ ამ ადგილებისთვის. და შერჩა მიწის ხსოვნას სამუდამოდ ჩიგაკო, კენტუკი და სხვა მრავალი. ახლა სახელები არაფერს ეუბნება გამარჯვებულთ, მათში არ მარხია მათი წარსული. თუმცა რატომაც არა? ვიღაც ხომ მღერის: "ოჰ, ოკლაჰომა, ჩემი სიყვარული..."

ასე რჩება დაუვიწყარი ვარანცოვი... და ზემელი - ჩვენი სიყვარული.

***

სოკრატე მსხვერპლია, რომელმაც გამოიღო ნაყოფი. მან აირჩია სულის აზნაურება და უკან არ დაუხევია. ის სიკვდილის სასჯელს იღებს და კმაყოფილია. მისი არჩევანი ინტელექტუალურია, მაგრამ ამ ინტლექტუალობის უკან მოწოდება დგას და მისი სახელი დაიმონია, რომელიც მას უმზადებს გზას თავისუფლებისაკენ.

კითხვაზე, თუ სად იყო სოკრატე "უფრო" თავისუფალი - შინ და აგორაზე თუ საპყრობილეში, რა პასუხს გავცემთ?

***

მიტინგებზე, სადაც გაისმოდა თავისუფლების მოწოდებები, პიროვნებას, შესაძლოა, თავი ახალ, მანამდე უცნობი ბორკილებით შებოჭილად ეგრძნო. თუმცა აქ, ამ შებოჭილობაში, ისიც უნდა ეგრძნო, რომ მასში ნამდვილი თავისუფლება იბადება. და ის არჩევდა, რომ შინ წასულიყო - თავის თავს დაბრუნებოდა.

თავისუფლება თავის თავთან დაბრუნებაა, როგორც შუმერული იდიომი *ამარ-გი* "დედასთან დაბრუნება" გვეუბნება, როცა დედაში ჰპოვებს ადამიანი თავის თავს და განსრულებას.

სად არის საბოლოო მიზანი?

როცა კაცი რაიმეს აკეთებს, დაისმის კითხვა: რისთვის? პასუხიც გაცემულია: ამისთვის, ამა და ამ კონკრეტული საგნისთვის. მაგრამ კვლავ უნდა დაისვას კითხვა: ეს გაკეთებული საგანი - რიღასთვის? რისთვის არის სასურველი ამ საგნის მოპოვება? პასუხი კვლავ არსებობს: ამისთვის, ამა და ამ საქმისთვის. და კვლავ კითხვა: ეს საქმე რიღასთვის და კვლავ კითხვა და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. დაუსრულებლივ? რა არის ის საგანი, რომლის მიმართ აღარ დაისმის კითხვა - თუ რისთვის?

მიზანთა იერარქია, ზეაღმავალი მიზნები, ყოველი მომდევნო მიზანი წინამავალზე უპირატესია. ყველა მიზანი საშუალებაა მომდევნო მიზნისთვის. სად არის საბოლოო მიზანი?

ისტორიული ხედი

დიდი ხნის წინათ, უპერსპექტივო იდილიურ ხანაში, ვერასა და ზემელს შორის მონაკვეთზე სვლისას ცნობილმა ისტორიკოსმა, იმჟამად შერისხულმა და ათვალწუნებულმა, ისტორიულ ხედზე ჩამოაგდო საუბარი. იმ ხანად გორგასლის ძეგლს დგამდნენ მეტეხის პლატოზე, რისთვისაც ამ ადგილის მოსუფთავება მოუხდათ. გაღმიდან დანახული პერსპექტივა იცვლებოდა. ისტორიკოსი თბილისში მეფის ძეგლის აღმართვის წინააღმდეგი როდი იყო (მას გორგასალზე მონოგრაფია ჰქონდა დაწერილი, რომელიც უქმად იდო მის ბიბლიოთეკაში სხვა გამოუქვეყნებელ ნაწერებს შორის), მაგრამ აშფოთებდა, რომ ძეგლის აღმართვას ისტორიული ხედი უნდა შეწირვოდა, რომელსაც, მისი ხედვით, მეტეხის მიდამო ქმნიდა. უნდა შეცვლილიყო

ხედი, რომელსაც *ასეთად* მზერდა მრავალი თაობის თვალი და ერის იდენტობის შექმნაში მისი წვლილი არცთუ მცირე იყო.

უფრო გვიან, როცა ნარიყალას ნანგრევიდან ეკლესიის გუმბათმა ამოყო თავი, ფაქიზმა მზერამ ისტორიულ ხედის რღვევა კვლავ დაადასტურა. და ასე გრძელდება დღემდე.

ნანგრევი

ნანგრევი, რომელიც *იყო* ნაგებობა, თავისი წმინდა ფორმით აცხადებს თავს.

ბაგრატის ტაძარი, რომელიც უკვე რამდენი საუკუნეა, ქმნის ქუთაისის ისტორიულ ხედს და ჩაწერილია მის ლანდშაფტში, მოიცავს თუ არა საზრისების კონას, რომელთაგან ერთ-ერთი ის არის, რომ იგი ბედუკუღმართი ისტორიის კვალია? ის თვალნათლივ გვიჩვენებს დროის მეორე, გამანადგურებელ მხარეს იმის (დროში აღმშენებლობის) საპირისპიროდ, რასაც თითქოს მივეჩვიეთ. მაგრამ თუ დროში შენდება, დროშივე ინგრევა. უნდა ვიცნობდეთ, ვცნობდეთ ამ მარცხენა ხელს - ისიც ისტორიის მამოძრავებელია შემოქმედ მარჯვენასთან ერთად.

ნგრეული ტაძარში თუ ტაძრის ნანგრევში - მყოფობს ორი ხელი: ხელი, რომელმაც ააშენა, და ხელი, რომელმაც დაანგრია. ეს ორი ხელი თითქოს ერწყმის ერთმანეთს და, საბოლოოდ, ხელთუქმნელ, თითქოს ბუნების, ძეგლად აქცევს შენობის ნანგრევს. ის აღარ არის არტეფაქტი, ადამიანს აღარ ეკუთვნის. ის ხელთუქმნელი წმინდა ფორმაა.

.

***

გუდამაყრელ ალექსი ვაჟიკას ძე წიკლაურს რვა შვილი დაეხოცა, ცოლიც მოუკვდა და დარჩა ასე მარტო... შვილები რომ ეხოცებოდა - მოზრდილნი (19-20 წლისანი) და მერე მცირე ასაკის (14 წლამდე), სამოსახლოს ინაცვლებდა, მაგრამ რამდენიც არ მოინაცვლა, მაქართას მაინც ვერ გასცდა. გუდამაყარი არცთუ ვრცელია, მაგრამ მაინც მოძებნიდა ადგილს, სადაც ბედისწერის თვალს მიეფარებოდა და *ბოლოს* (მემკვიდრეს) მაინც გადაარჩენდა. გავიდე გამსის? დიდებათას? დუმაცხოს? ათნოხს?... არა, არსად გამსვლელი არ იყო. მაქართა იყო მისი ბედისწერა, თავის აკვნებიან-საფლავებიანად მას ეკუთვნოდა.

XXX

“დრო კი აღარ იქნება”

აბრაჰამ ჰეშელი, იუდაისტი (1907-1972), ამბობს, რომ დასაბამში ერთი დრო იყო - მარადიულობა. ამ განუყოფელ, მარადიულ დროს არავითარი კავშირი არ ჰქონდა სივრცესთან, ვრცეულ სამყაროსთან. მაგრამ როცა ერთიანი დროჟამული ნაკადი შვიდ დღედ დანაწილდა, ვრცეულობაში დროის ანაბეჭდები გაიჩინა. თითოეულ დღეს თავის საგანთა სამეფო მოყვა, ხოლო შაბათი ცალკე დარჩა როგორც აბსოლუტური თავისუფალი დღე, ვრცეულობის გარეშე. ეს ჰგავს იგავს მეფეზე, რომელსაც შვიდი ძე ესვა. ექვსს მან თავის დოვლათი გაუნაწილა, უმრწემსს კი, შაბათს, მეფობის დავლათი (ღირსება) მიანიჭა.

ამ იგავით დრო სივრცეზე უპირატესია. შაბათი, როგორც უსივრცო დღე, როგორც სივრცის ტყვეობისგან თავისუფალი ჟამი, უფლისწულია, დანარჩენი დღეები კი სივრცის ტყვეები და მსახურნი არიან.

ეს იგავი კარგად გამოხატავს დროჟამის ბიბლიურ კონცეპტს, რომლის თანახმად დრო დომინირებს სივრცეზე, და სრულ დაპირისპირებაშია ელინურ წარმოდგენებთან. ბერძნული კოსმოს ერთხელ და სამუდამოდ წარმოქმნილი წესრიგია, რომელზეც დროის ხელი აღარ მოქმედებს. არაფერი იცვლება. ეს არის სივრცე, განფენილობა და მხოლოდ ამგვარად თუ წარმოიდგენს სამყაროს ელინის გონება. მაგრამ ბიბლიური *ყოლამ* "სამყარო" დროჟამულ ნიშანს ატარებს, ის დენადია, ის მიედინება, მდინარეა, რომელშიც მეორეჯერ ვერ შეხვალ, არასოდეს არ არის იგივეობრივი თავის თავთან, ის ცოცხალი არსია, რომელიც დასასრულისკენ მიემართება, დასასრულში კი მიზანია (*ტელოს*). ამიტომ ვფიქრობ, რომ ისტორიულობის განცდა დაიბადა არა ელინებში ჰეროდოტესთან, არამედ ებრაელებში მოსესთან და წინასწარმეტყველებთან.

ჰეშელი იმასაც ამბობს, რომ თანამედროვე ადამიანი სივრცის, ვრცეულ საგანთა ტირანიის ქვეშ ცხოვრობს. მაგრამ თუ ტირანიაზეა ლაპარაკი, დროჟამის ტირანია არანაკლებ დამთრგუნველია, რაც *საწუთროს* კონცეპტმა შეუდარებლად გამოხატა.

ელინური კოსმოსი დგას და სამუდამოდ იდგება. ის, შესაძლოა, დაემხოს, მაგრამ ვერ დაიძრება. ებრაული *ყოლამ*-მდინარის დინება, ერთხელაც იქნება, შეწყდება, რადგან მას გეზი დასასრულისკენ აქვს აღებული. მაშინ რა ემართება დროჟამულ დინებას? ემართება ის, რასაც რენე გენონი "სივრცედ ქცეულ დროს" უწოდებს.

საბოლოოდ დრო სივრცის კერძი ხდება. როცა დროჟამის ბორბალი გაჩერდება, დრო გარდაიქმნება სივრცედ, სივრცე შთანთქავს დროჟამს და მის მდინარებას მარადიულობად აქცევს - დროში თანამიმდევრობას შეცვლის ერთდროულობა ერთიან, დაუნაწევრებელ განფენილობაში, რაზეც, როგორც თავდაპირველ მდგომარეობაზე, ლაპარაკობდა აბრაჰამ ჰეშელი. ამ დროს ("დრო კი აღარ იქნება", გამოცხ. 10:6) წარსულისა და აწმყოს პოზიციები გაუქმებულია. *ახლა* და *მაშინ* სივრცეშია განფენილი, ორივე *აქ* და *ახლა* არის. ისევ და ისევ დროჟამის ნიშანდაკარგული მარადიული სივრცე გამოდგა აწმყოს ხატად.
არსებობს მითოლოგემა: გველს თავისი კუდი პირში უჭირავს. წრე შეკრულია. ალფა და ომეგა ერთარსი შეიქნა.

მონანული ამირანი

ამირანის საკვრელები, რომლებითაც ის კლდეზეა მიჯაჭვული, კაცობრიობის ცოდვებია. ხალხის შეფასებით, თუ ამირანს გათავისუფლება უწერია, უნდა გათავისუფლდეს გარდაქმნილი ამირანი და არა ისეთი, როგორიც მიაჯაჭვეს. ხალხი, რომელმაც მისი თქმულება შეინახა, თანაგრძნობით ეკიდება მიჯაჭვულ გმირს: იგი მასში საკუთარ თავს – ცოდვათა საკვრელებით დაბმულს ხედავს და გათავისუფლებას ელის.

ერთი მოხევური თქმულების თანახმად, გველეშაპი გამოდის მყინვარის წვერიდან და დაბმულ ამირანს შთანთქმას უპირებს. მაგრამ წმ. გიორგი გზას გადაუკეტავს: "შეჩერდი! ამირანი ცოდვების მოსანანიებლად არის დაბმული და არა შენ შესაჭმელადო!" და სიტყვის ძალით გააქვავებს.

სასინანულოდ ამირანს მიცემული აქვს ვადა. სასინანულო დროჟამი მას არ წართმევია. ეს იგრძნობა მოხეურ თქმულებაში – მისი აზრი საერთო სულისკვეთების გამომხატველია. ხალხის სულმა მშობლიურ ლანდშაფტშიც კი – მთადქცეულ გველეშაპში – ამოიკითხა, რომ ცას საბოლოოდ არ გაუწირავს ადამიანი, რომ ცა მის მხარეზეა.

ამირანის ამბავი არ დასრულებულა, მისი დროჟამი არ ამო¬წუ¬რულა. სიუჟეტური დრო ემთხვევა რეალურ დროს, ორივენი ჯერ კიდევ მიედინებიან. ამირანი კაცობრიობის ისტორიის ყოველ აწმყოშია, ის ყოველი ეპოქის თანამედროვეა.

სხვაი ჩემი

გარკვეული ანალოგიით, რომელიც არაფერს ამტკიცებს, ისევე როგორც ღვთის ქმნილება არ გამოხატავს ღვთის ბუნებას და მხოლოდ სიმბოლურ წარმოდგენას გვიქმნის თავის შემოქმედზე, ასევე არტეფაქტებით ავსებული ადამიანური სამყარო მისი შემოქმედი ადამიანის მხოლოდ სიმბოლური ნიშანია. კულტურა არ გამოხატავს ადამიანის ბუნებას, როგორც ღვთის ქმნილება არ გამოხატავს ღვთის ბუნებას, მხოლოდ მიგვანიშნებს მის კვალზე. და, ასევე, კულტურის რეალობაშიც ჩანს ადამიანის კვალი. კულტურა მხოლოდ კვალია, მხოლოდ სიმბოლოა მისი შემოქმდებითი ძალისხმევისა. ადამიანის ბუნება, თვით ადამიანისთვისაც ბოლომდე შეუცნობელი, გაცილებით ღრმაა, ვიდრე მისი შემოქმდების, თუნდაც უმწვერვალესი ნიმუში. თუ შესაძლებელია კულტურის საზრისის ამოცნობა, ადამიანის ბუნების, როგორც ღვთის ქმნილების, საზრისი პრინციპულად ამოუცნობია. მისი ამოცნობა ღვთიური გამოცხადების სფეროს ეკუთვნის.

რაკი კულტურას სიმბოლური ხასიათი აქვს, იგი *სხვაა* ადამიანის მიმართ. ის ახალი, განსხვავებული რეალობაა არა მხოლოდ ბუნებაში და ბუნების მიმართ, არამედ ადამიანის მიმართაც. ადამიანის შინაგანი არსი მისგან განსხვავებული სახით, მისი *სხვა* სახით, ანუ კულტურის სახით არის გადმოფენილი. კულტურის სახით ის ხედავს თავის *სხვას*, მას შეუძლია უთხრას კულტურას: შენ ხარ "სხვაი ჩემი".

ნათესავი

დავუკვირდეთ *ნათესავ* ტერმინს, რომელიც არქაულ, ადამიანთა ერთობის თავდაპირველ ცნობიერებას ინახავს. კლასიკური ქართული ტექსტების ნათესავი გულისხმობს ერთი თესლიდან გამრავლებული ადამიანების ერთობას. ნა-*თეს*-ავ-ი მომდინარეობს ზმნიდან *თეს*-ავ-ს. გავიხსენოთ სიტყვის სემანტიკის საფუძველზე შექმნილი მითოსი სპარტის წარმოშობაზე: სპარტა-სპარტოს (*სპარტოს* "დათესილი"). ასევე ქართლოსი თესავს თესლს და მომავლის სამკალი მისი შთამომავლობაა. ქართულ ენას, რომელსაც ჰქონდა ორმხრივი გამოცდილება ცალკე ბერძნულ (ძველი და ახალი აღთქმების) და ირანულ ენობრივ სამყაროსთან ურთიერთობისა, ძველ ტექსტებში შერჩა ორი ერთი და იმავე სემანტიკის ტერმინი ეთნიური ერთობის გამოსახატავად: პირველია თესლი (ბერძნ. *სპერმა*), რომელიც სეპტუაგინტამ დაამკვიდრა ქართულში: "თესლსა შენსა მივსცე ქუეყანა ესე" (დაბ. 12:7); ახალ აღთქმაში ნათესავი და თესლი, როგორც მოდგმის, შთამომავლობის აღმნიშვნელი ტერმინები, ერთმანეთს ენაცვლება ბერძნული *სპერმა*-ს გადმოსაცემად, მაგალითად, "ჩუენ ნათესავნი (*სპერმა*) აბრაჰამისნი ვართ" (ი. 8:33); "თესლისაგან (სპერმა) დავითისა" (ი. 7:42). და მეორეა ტომი, რომელიც ირანულმა (*ტოჰმ*) სინამდვილემ დაგვიტოვა: "ესუა მას დედა ტომისაგან ელია მღდელისა", "და აგინებდა ვარსქენ თესლ-ტომსა მისსა" (ტავტოლოგიური კომპოზიტი). მოდგმის თვითიდენტიფიკაცია, საერთო წარმომავლობის თვითშეგნება დაფუძნებულია ერთი თესლიდან წარმომავლობაზე, რომელიც მთელი ისტორიის მანძილზე უცვლელად და შეურევნელად წარმოშობს ნაყოფს "თავისი გვარისდა მიხედვით" (დაბ. 1:11). ხალხი, როგორც ერთი ნათესავი, არის და-ნა-*თეს*(ლ)ი, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში იძლევა ერთსა და იმავე მოსავალს, სანამ თავდაპირველ თესლს არ შეერევა *უცხოთესლი*, რასაც ეთნიური თვითშეგნება მუდამ მტკივნეულად განიცდიდა, თითქოს ეს ბუნების საწინააღმდეგო აღრევა ყოფილიყოს. ნათესავი ჩაკეტილია თავის თავში, ის არ იღებს არც *უცხოს*, არც *სხვას*, არ იხსნება მათ მიმართ.

მაგრამ ერთი თესლიდან წარმოშობილი სიმრავლე (თუკი ის ოდესმე არსებულა თავისი წმიდა, შეურევნელი სახით) ჯერ ბუნების კუთვნილებაა, ის "ნედლეულია", რომლისგანაც მასზე აღმატებული რეალობა უნდა შექმნას. კლასიკური პარადიგმაა ისრაელიანთა მაგალითი:

ეგვიპტეში აბრაამის თესლიდან შექმნილი სიმრავლე სინაის მთასთან რჩეული ერად გარდაიქმნა, რომელმაც სრულიად ახალ საწყისზე დაიწყო თავისი ცხოვრება. ნათესავისგან შეიქმნა ერი, რომელიც მხოლოდ ისტორიის პროდუქტი კი არ არის, არამედ თავად ქმნის ისტორიას. გარკვეულწილად, ყველა ხალხის ისტორიაში დგება ეტაპი, როცა ბიოლოგიური ერთობა აღარ არის საკმარისი. ისტორია მეტს მოითხოვს მისგან, როგორც ბუნებით მოცემულისგან.

"ერთობა ისტორიისა"

70-იან წლებში, როცა ილია ჭავჭავაძე *ოსმალოს საქართველოს* პრობლემაზე ლაპარაკობს, აქცენტი შეცვლილია: ენას და სარწმუნოებას, რომელნიც 60-იანი წლებიდან მის ნაზრევში პრიორიტეტული იყო, მისთვის ჩვეული რადიკალურობით, ისტორიის ფაქტორი ენაცვლება. 1877 წელს იგი წერს: "ყოველი ერი თავისის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თავისის სულის ღონეს, თვისის სულის ბგერას, თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას. ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა" (ტ. IV ოსმალო საქართველო, გვ. 9).
დიდებული სიტყვებია. ისტორიული პროცესის ქმედითობა ღრმად არის განჭვრეტილი. შეუქცევადი ისტორია თუ ბედისწერაა, თუმცა ის ადამიანთა ქმედებათა შედეგია, მაგრამ მაინც მათზე მაღლა მდგომი ინსტანცია, თითქოს "ფატალური" რამ, სხვა რომელი ძალა შეედრება მას სხვადასხვა წარმოშობის და სარწმუნოების ტომთა შედუღაბებაში? ისტორია წარსულშია, თითქოს იქ დავტოვეთ, მაგრამ მისი შემადუღაბებელი ქმედების შედეგს ვხედავთ აწმყოში, და ის კვლავ ადუღაბებს ადამიანებს, ხალხებს მომავლისთვის, განურჩევლად ეთნიური და ა. შ. კუთვნილებისა. ილიას სიტყვები "ერთობაზე ისტორიისა" ჩვენი დღევანდლობის მიმართ არის ნათქვამი, როცა სახელმწიფოს ასაშენებლად უფრო მომავალს უნდა ვეყრდნობოდეთ, ვიდრე წარსულს. და უფრო მეტად უნდა ვზრუნავდეთ ამ შედუღაბებაზე, ვიდრე ყურადღებას ვაქცევდეთ განსხვავებულ წარმოშობას და ფესვებს. აქ თუ საერთო ენაზე ვილაპარაკებთ, არა იმდენად ვერბალური ენა უნდა გვქონდეს მხედველობაში, რამდენადაც კულტურის ენა, მენტალიტეტი, რომელიც ერთ სახელმწიფოში მცხოვრებ ადამიანებს ერთი ქვეყნის საზოგადოებად აქცევს, განურჩევლად იმისა, თუ რომელია მათი მშობლიური ენა ან ისტორიულად შეთვისებული სარწმუნოება.

ამრიგად, 70-იანი წლების ბოლოს იმ "საგანძიდან", რომელსაც 60-იან წლებში "საუნჯე" ("სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა...") ეწოდა, ასე კატეგორიულად გამოირიცხა ენა და სარწმუნოება. ანუ ისინი დასაბამიერნი აღარ არიან: საგანძე ისტორიულ დროში ივსება მათით, ანუ ისინი შედეგია შეკავშირებისა და არა მიზეზი.

***

გარესამყაროს მიმართ უცხოობასა და, საბოლოოდ, მტრობაზე აგებულ საზოგადოებაში, სადაც ადამიანებად მხოლოდ ჩვენ-ჯგუფის ადამიანები ითვლებიან, ვაჟა-ფშაველას პოემის გმირი ალუდა ქეთელაური აღმოაჩენს იმ ჭეშმარიტებას, რომ სიუცხოვე მხოლოდ მოჩვენებითია, რომ ერთია ადამიანური საწყისი და მას ებადება მისი მშობლიური თემისთვის უჩვეულო კითხვა: "ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ, მარტოთ [მხოლოდ] ჩვენ გვზდიან დედანი?" გადის საუკუნეები ამ შეგნებით (რომ მარტო ჩვენა ვართ კაცნი) და საკმარისია ეკსისტენციალური შეხვედრა იმ უცხოსთან და მტერთან, რაც მთლიანად გარდაქმნის ალუდას თემურ შეგნებას და ახალ ადამიანს შექმნის მისგან, რომელსაც ამ ხალხში, ამ ერთობაში აღარ ეცხოვრება. ისინი

გადალახავენ საზღვრებს და უსაზღვროებაში გადიან. ძველი შეგნების საზღვარი ხილული საზღვრის სახეს იღებს - ეს მათი სოფლისა თუ თემის საზღვარია, რომლის მიღმა ახალი შეგნების შესატყვისი სამყარო იწყება. მათი საბოლოო ბედი ჩვენ არ ვიცით. შეიძლება დავფიქრდეთ იმაზე, თუ სად მიდიან ისინი და როგორი იქნება ის საზოგადოება, რომელსაც დააარსებენ და სადაც თავადაც იცხოვრებენ. ის, რაც ძველის დაძლევის შედეგად წარმოიშვა ალუდას ცნობიერებაში სრულიად სპონტანურად, ქრისტიანობაა, თუმცა პოემაში თავის სახელით არ იხსენება. მაგრამ ეს უხსენებლობა არ არის არსებითი.

არსებითი ის არის, რომ ეკსისტენციალური ბიძგის შემდეგ მისი დარჩენა შეუძლებელი ხდება ძველ საზღვრებში, რადგან მან შეიცნო როგორც საკუთარი, ასევე თავისი *სხვა* (“სხვაი ჩემი”), რამაც დაანახა საზოგადოების სივიწროვე. ის უკვე სხვა საზოგადოებას მოითხოვს, როგორც *სხვა*, ჯერ არ-არსებული ერთობის წევრი, ანდა ის მარტო რჩება თავის თავთან, საიდანაც უნდა დაიწყოს სულიერი ობლობა. მას შეეძლო დოქტორ სტოკმანის კვალზე ეთქვა, რომ მისი ძალა მის ობლობაშია. მაგრამ ეს არ არის მისი თემა. ეს ბარათაშვილის სასიცოცხლო თემაა.

განუმეორებელი...

“განა აუტანელი არ არის იმის წარმოდგენა, რომ ჩვენთვის ძვირფასი ადამიანი მთელი თავისი თავისებურებებით, რაც მის არსს შეადგენს, თუნდაც ორ ეგზემპლარად არსებობდეს? და განა ასატანია იმ შემზარავი ფიქრის დაშვებაც კი, რომ სამყაროში შეიძლება იპოვებოდეს ჩვენი ორეული მთელი ჩვენი ინდივიდუალური თვისებებით?”

ასეთ კითხვას სვამს ვილჰელმ ვინდელბანდი თავის, შეიძლება თქვას, ფუძემდებლურ ესეში “ისტორია და ბუნებისმეტყველება”.

ჩვენ ასე განვაგრძოთ: ისტორია განუმეორებელი ინდივიდებით არის დასახლებული, ბუნება კი ასლებს გვთავაზობს. თუმცა ამ მეორე წინადადების აზრი ბუნების საგანთა შესახებ, შესაძლოა, ბოლომდე გასაზიარებელი არ იყოს, ჩვენ მაინც მიჩვეული ვართ ბუნების ქმნილებათა აბსოლუტურ იდენტობას და პრაქტიკაში მათ შორის სხვაობის დანახვა არ გვსურს - ხშირად ადამიანებსაც კი ასე ვექცევით: არ გვსურს ჩავწვდეთ პიროვნების ინდივიდუალობას და ერთს მეორეთი ადვილად ვანაცვლებთ. როცა ვამბობთ, შეუცვლელი ადამიანი არ არსებობსო, დარწმუნებული ვართ, რომ მართალს ვამბობთ? ადამიანის განუმეორებელ ღირსებას პიროვნებისთვის იმ ეფემერული ფუნქციით ხომ არ განვსაზღვრავთ, რომელსაც ის ასრულებდა? ამით ხომ ადამიანი ფუნქციონერამდე დაგვყავს და ვაკნინებთ, ინტუიცია კი გვკარნახობს, რომ ადამიანის პიროვნება განუმეორებელია და რომ წარსულ და მომავალ მილიარდებში მეორე მისი მსგავსი არ იპოვება.

XXXI

***

თუ ხელოვნების ყოველ სახეობას თავისი სუბსტანცია (მასალის გაგებით) აქვს, რომლის მეშვეობითაც ის რაღაცას ამბობს: სიტყვიერებას - ენა, მუსიკას ბგერა, ფერწერას - ფერი, გრაფიკას - ხაზი, სკულპტურას - ნივთიერი კვრივი მასა, ყველაზე მატერიალური, რაც კი მატერიალურ სამყაროში არსებობს, და თითოეული მათგანი ობიექტია, რომელიც ადამიანის გარეთ ძევს, მისგან განცალკევებულია, - რა მასალისგან იქმნება სახიობა, პლასტიკური ხელოვნების დარგი? -

მისი სუბსტანცია ადამიანის სხეულია. მსახიობს ხომ სხვა არავითარი საშუალება არა აქვს რაღაცის სათქმელად და გამოსახატავად, გარდა მისი საკუთარი ცოცხალი სხეულისა.

მოქანდაკე უსახო და მკვდარი ლოდისგან ქმნის სახეს, "ქვის ჰარმონიას", რომელიც რჩება, როგორც ნივთი, და ათასწლეულებს გასტანს. მაგრამ რა ემართება მსახიობის ცოცხალ ქმნილებას? იგი წყვეტს არსებობას, როგორც კი სხვადქცეული და გაუცხოებული სხეული თავის თავს, ანუ ბუნებრივ მდგომარეობას უბრუნდება. და მას შეუძლია კვლავ "არარაობიდან" გამოიხმოს შექმნილი სახე ანუ თავისი სხვა. როგორი არსებობა აქვს ამ სახეს, რომელიც მისმა სხეულმა გამოსახა და შეიძლება თუ არა ამგვარი ქმნილება თავის სუბსტანციასთან (სხეულის ნაწევრებთან) ერთად, როგორც ნივთი რამ, მის საკუთრებად მივიჩნიოთ?

მხატვარი, მოქანდაკე, მწერალი *ხედავს* თავის შემოქმედებას შედეგებში, როგორც მის გარეშე მდებარე ობიექტებს. ისინი მის თვალწინაა მაშინაც კი, როცა ეს ნივთები მის თვალს მოფარებულია, ისინი ძევს უცვლელად, თავიანთ დასრულებულობაში სადღაც, თუნდაც ცხრა მთას იქით გასხვისებული, მაგრამ მაინც *მისი*. საგნადქცეულნი სამარადისოდ ასე დარჩებიან. მსახიობის შემოქმედებას კი აცილებული აქვს ობიექტად ქცევის, ობიექტივაციის პერსპექტივა და, შესაძლოა, ეს მისი უპირატესობაც კი იყოს შემოქმედების სხვა დარგების მიმართ - და ერთგვარი საფრთხეც.

და რაკი მსახიობის პიროვნება ცოცხალი სახით, არა სიმბოლურად (როცა თავად არის ინსტრუმენტიც და ხელოვნების ქმნილებაც), როგორც სხვა დარგის ხელოვანთა შემთხვევაში ვხედავთ, მონაწილებს თავის ქმნილებაში, ეს გარემოება განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ტვირთავს მას საკუთარი თავისა და მაყურებლის წინაშე. მსახიობის განცდები გასხვისებული და შეფარულია მის ქმნილებაში (რასაც როლს ვუწოდებთ). საკუთარ სიშიშვლეს მსახიობი როლის - მუდამ *სხვისი* სამოსელით ფარავს. მისი ეგოსმიერი ემოციები ამ გარდასახვაში იკარგება და, რაც უფრო "დაკარგულია", მით უფრო ახლოს არის სრულყოფილებასთან შედეგი.

ტა პანტა რეი

_ "ყველაფერი მიედინება". ამ ორსიტყვანახევრით შეჯამდა ისტორიაში ეფესელი ჰერაკლიტე *ბნელის* შეხედულება კოსმოსზე, რითაც ის ძირეულად დაუპირისპირდა ერთხელ და სამუდამოდ აწყობილი კოსმოსის ელინურ ხატს. სამყარო მის წარმოდგენაში მდინარეა, რომელსაც მიწყივ ახალ-ახალი წყალი მოაქვს. ამიტომაც არის შეუძლებელი ორგზის შესვლა ნაკადში. ამ მცირეაზიელის სამყაროში არაფერი ერთ ადგილზე არ ჩერდება, ყველაფერი იცვლება წამითი-წამით, მცირე და მეგა-დროჟამული მონაკვეთებით. მთელი სამყარო თავის შემადგენელ ნაწილებთან, მოვლენებთან ერთად მიედინება ბიბლიური *ყოლამის* მსგავსად. ეს ხედვა მთლიანად ანგრევს ელინურ წარმოდგენას ზევსის თავიდან სრულყოფილად წარმოშობილ კოსმოსზე, რომელიც იგივეობრივია თავის თავთან, "არ სდევს ჟამთა ცვლას" და ა. შ. და ა. შ. კოსმოსი აბსოლუტური მშვენიერებაა, აბსოლუტური სიმწყობრეა, აბსოლუტური სიკეთეა, აბსოლუტური ჭეშმარიტების ხატია, ამიტომაც არ ექვემდებარება და არც საჭიროებს გაუმჯობესებას, არც რაიმე მიზანი უძევს წინ. ის განხორციელებული მიზანია (*ტელოს*). ებრაული *ყოლამი* კი, როგორც განუსრულებელი რეალობა, მიზნისკენ მიემართება.

ჰერაკლიტე ეფესელი თავისი *პანტა რეით* სამყაროს ბიბლიური ხატისკენ იხრება და ებრაელ წინასწარმეტყველს უწვდის ხელს. მას ასევე უნდა უარეყო ბერძნული ხელოვნება, როგორც უცვალებელი კოსმოსის გამოხატულება. მისთვის ისევე, როგორც ბიბლიურ წინასწარმეტყველთათვის, უპირატესი უნდა ყოფილიყო დროჟამულ განზომილებაზე აგებული ხელოვნება, რომლის არქეტიპული წარმომადგენელი ღვთის სათნო მწყემსი აბელი იყო ქალაქთა მშენებელი კაენის საპირისპიროდ, რომელიც ღმერთმა არა მხოლოდ როგორც აბელის, არამედ როგორც დროჟამის მკვლელი შეაჩვენა. იგი აღეშფოთებინა სივრცეში განფენილ,

სრულყოფილების პრეტენზიით მოქადულ ქანდაკებებს და ტაძრებს. მას უფრო იზიდავდა მშვილდისა და ქნარის სიმბოლო, რომელთა სიმები დროჟამის განშლის მოლოდინში იძაბებიან.

ნანგრევი

თავს იჩენს და ცნობიერდება ნანგრევის თემა. არსებობს უკაცრიელი ანუ კულტურამდელი ლანდშაფტი და არსებობს გაუკაცრიელებელი ანუ კულტურის შემდგომი ლანდშაფტი. ეს არის გზა ბუნებიდან ბუნებამდე, მათ შორის კი ნანგრევია. სხვაგვარად: ის კულტურასა და ბუნებას შორს მყოფობს, ის ორსავე რეალობას ეკუთვნის; ის კულტურის ნაშთია, რომელიც კვლავ უბრუნდება ბუნებას. ნანგრევი ამ შუაგზაზე, კვლავ ბუნებად გარდაქმნის პროცესში მყოფობის გამო, იძენს ისეთ თვისებებს, რომელიც მას არ ჰქონია თავისი კულტურული არსებობის ხანაში. მას ჯერ მთლიანად არ დაუტოვებია თავისი კულტურის ხანა, ჯერ კიდევ არ გადასულა, უნაშთოდ არ განზავებულა ბუნებაში, მაგრამ მასში უკვე ბუნებრივი პროცესები მიმდინარეობს, რათა ბუნებამ საბოლოოდ გულში ჩაიკრას იგი. სოფლის ბოლოს აღმართულ იმ ბორცვში, რომელიც ლოდების გროვას იმარხავს, ერთმანეთს ხვდება ადამიანის ხელი და ბუნების ხელი. ნანგრევი იძენს ახალ, დამოუკიდებელ საზრისს, რომელიც არ გააჩნდა ნაგებობას, სანამ ის ნანგრევად იქცეოდა. სოფელი სხვაგვარი თვალით უყურებს ამ შუალედურ წარმონაქმნს, რომელსაც დაკარგული აქვს თავისი პირველადი დანიშნულება და სხვა რეალობაშია გადასული. ნანგრევი კულტურისა და ბუნების სიმბიოზის შედეგია. რაღაც მესამეა მათ შორის, რაც არავის არაფერში სჭირდება. მაგრამ...

***

პიროვნების გამოუთქმელობა ღვთის საიდუმლოსთან არის წილნაყარი და გადასკვნილი. რა ვიცით იმ ფესვის შესახებ, რომლითაც პიროვნება არსებობაზეა მიბმული, საიდანაც საზრდოობს ის? - თითქმის არაფერი. ეს ნაწილაკი (სიტყვაც რომ არ არის) "თითქმის" ხომ არაფრის მთქმელია, მხოლოდ იმას ამბობს, რომ არაფერი ვიცით. ეს *თითქმის* ნიშნავს - გინდ გვცოდნია, გინდ არ გვცოდნია. რა ვიცით თავად ჩვენ ჩვენს შესახებ? რა ვიცით, გარდა ზერელე, ზედაპირული თავგადასავლისა, რომლის მეტაფიზიკურ სიღრმეები დაფარულია, ან ვერც და არც ვუღრმავდებით და უკეთესი დროისათვის გადავდებთ მათზე ზრუნვას. ეს დრო, მაინც ვიცოდეთ, როდის დადგება.

მარიამ და მართა

"და იყო ვითარცა წავიდეს ესენი და თავადი შევიდა დაბასა რომელსამე, და იყო ვინმე მუნ დედაკაცი, რომლისაჲ სახელი მართა, და შეიყვანა თავადი სახიდ თვისა. და იყო დაÁ მისი, რომელსა ერქუა მარიამ, რომელი დაჯდა ფერÃთა თანა იესოÃსთა და ისმენდა სიტყუათა მისთა. ხოლო მართა მიმოდაზრუნვიდა მრავლისა მსახურებისათვის, ზედა მიადგა და ჰრქუა: უფალო, არა იღუწი, რამეთუ დამან ჩემმან მარტოÁ დამიტევა მე მსახურებად? არქუ მას, რაÁთა შემეწეოდის მე. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: მართა, მართა! ჰზრუნავ და შფოთ ხარ მრავლისათვის, აქა ერთისა არს საÃმარ. ხოლო მარიამ კეთილი ნაწილი გამოირჩია, რომელი არასადა მიეღოს მისგან" (ლუკ. 10:38-42).

უფალი არ ამბობს, რომ მართას მსახურება უსარგებლოა. არა, ის ამბობს, რომ მარიამის წილია უკეთესი, რადგან ეს წილი მარადიულობასთან არის ნაზიარები; მართას ზრუნვა და შფოთი კი წარმავალია, როგორც ეს სოფელი, წუთისოფელი. მარიამი შინაგანი კაცის მაგალითია, მართა - გარეშესი: "....ხოლო მართას, ვითარცა ესმა, რამეთუ იესო მოვალს, მიეგებვოდა მას, ხოლო მარიამ სახლსა შინა ჯდა" (იოან. 11:20). ჯდომა მარიამისა, ჯდომა "ფერხთა თანა

იესოÁსთა” და სმენა “სიტყუათა მისთა” ცხადყოფს, რომ მარიამი მოძღვრის ჭეშმარიტი მოწაფეა. მარიამი შინ არის, უძრავად ზის და ისმენს. ხოლო მართა გარეთ არის, “ზრუნავს და შფოთ არს”, მოძრაობს, ეგებება სტუმრებს; ის ზრუნავს მათი საზრდოსათვის, ნივთიერისათვის, ანუ ემსახურება ხილულს და, ამდენად, წარმავალს. მართა ემსახურება ხილულად, მარიამი - უხილავად. და რაკი “ხილული ესე საწუთრო არს, ხოლო არა ხილული იგი - საუკუნო” (2კორ. 4:18), ეს ორნი დანი ხილულ-უხილავის, ჟამიერ-უჟამოს ერთიანობის გამომხატველნი არიან თავიანთი დობით; ისინი ერთმანეთს ავსებენ, რადგან ერთი ძირიდან არიან ამოზრდილნი, ერთი დედის საშოდან გამომავალნი. იესო, მათი მოძღვარი არ უარყოფს მართას და მის ღვაწლს არ უკუაგდებს. შესაძლოა, უფრო მეტადაც უყვარდეს, რადგან სახარებაში წერია: “უყუარდა იესოს მართა და დაÁ მისი და ლაზარე” (იოან. 11:5), ანუ პირველ რიგში, ჯერ მართა, მერეღა მარიამი და ლაზარე. ნამდვილად, სრულიად გარკვეული აზრით, უფლის სიყვარული წუთისოფლის ზრუნვაში ჩაფლულს უფრო ესაჭიროება. აკი იმავე სახარებაში ვკითხულობთ, რომ: “არა მოავლინა ღმერთმან ძე თვისი სოფლად, რაÁთა დასაჯოს სოფელი, არამედ რაÁთა აცხოვნოს სოფელი მის მიერ” (იოან. 3:17). უფრო მეტიც არის ნათქვამი: “რამეთუ ესრეთ შეიყუარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თვისი მხოლოდშობილი მოსცა მას” (იოან. 3:16).

ანალოგიური სიმბოლური მნიშვნელობები აქვს მინიჭებული რახელს და ლეას, მამამთავარ იაკობის ცოლებს, ქრისტიანულ მწერლობაში. რახელი მჭვრეტელობითი ცხოვრების გამომხატველია, ლეა - აქტიური, ქმედითი ცხოვრებისა. ამავე დროს ლეა ნაყოფიერია ფიზიკურად, ხოლო უნაყოფო რახელი სულიერი ნაყოფის მომტანია. დანტე “სალხინებელში” ამგვარად ალაპარაკებს ლეას: “იცოდეს ყველამ, ვინც ჩემს სახელს იკითხავს, რომ მე ლეა ვარ და, მიწყივ მოარული, ვამოქმედებ ჩემს მშვენიერ ხელებს გირლიანდების გასაკეთებლად, რომ შემკულმა ჩავიხედო სარკეში. ჩემი და რახელი კი არასოდეს შორდება თავის სარკეს და მთელი დღე ზის. მას სურს ჭვრეტდეს თავისი მშვენიერი თვალებით, მე კი მსურს ვიმკობოდე ხელებით. მას ჭვრეტა იტაცებს, მე კი საქმე” (სალხ. XXVII, 101-108).

მართას ლეას ნიშანი აქვს - ხელები, ხოლო მარიამი რახელის ნიშანს ატარებს - თვალებს. ერთი მოქმედია, მეორე მჭვრეტელი.

უპანიშადებიც ამას აცხადებს: “იაჯნიავალკიას ორი ცოლი ესვა - მატრეი და კატიაიანი. მათგან მხოლოდ პირველს, მატრეის ხელეწიფებოდა ბჭობა ბრაჰმანზედ, ხოლო კატიაინი ქალური ბუნებით იყო წილხვედრილი...” და შესაბამისად, მატრეიმ უკვდავება ამჯობინა წარმავალ სიმდიდრეს, როცა იაჯნიავალკიამ შესთავაზა მას არჩევანი. “მეუფეო, უკეთუ მთელი ეს მიწა, აღვსილი სიმდიდრით, ჩემი შეიქმნას, მე შევიქმნები ამითა უკვდავი?... მამცნე იგი, ნეტარო, რაიცა შენ უწყი უკვდავებისათვის” *(“ბრიჰადარანიაკა უპანიშადა”*).

ერთი მარიამია, მეორე - მართა.

XXXII

მართა და მარიამი

სეკულარულ საქმიანობაში ჩართული მოფუსფუსე მართა საყვედურობდა მარიამს, რომელიც ამ საქმეთაგან თავისუფალი, იესოს სამსახურში ჩამდგარი, მის ფერხთით იჯდა და უსმენდა მას. იესოს პასუხი “მართა, მართა! შენ ბევრ რამეზე ზრუნავ და წუხხარ, საჭირო კი ერთია. მარიამმა უკეთესი წილი აირჩია, რომელიც არ წაერთმევა მას” (ლუკასაგან, 10:41-42) მოგვაგონებს თავისი *იკონომიით* იმ პასუხს, რომელიც ამავე სახარებაში გაეცა დინარის ჩვენებისას: “მიეცით კეისრისა კეისარს და ღმრთისა - ღმერთს” (ლუკასაგან, 20:25).

მარიამმა თავისი მოქმედებით გამოხატა ქრისტეს ეკლესია, მისი შინაგანი მხარე, მისი საიდუმლოებები, მართამ - ეკლესიის გარეთ ცხოვრება, სეკულარული ფუსფუსი და ზრუნვა, რაც არ არის აუცილებელი, მაგრამ ადამიანის მშვინვიერ-ხორციელი ბუნებრივი მოთხოვნილებებით არის განპირობებულ-გამართლებული. ქრისტემ არ უარყო იგი, მაგრამ ქრისტეს ეკლესია დომინანტობს სოფელზე და ცდილობს თავის თავში მოიცვას სეკულარული სფერო და გარდაქმნილი სახით თავის წიაღში შემოიყვანოს, ჩართოს იგი სოტერიოლოგიურ (ხსნის) პროცესში. ეკლესიის მოწოდებაა, გამოიხსნას სოფელი მთავრის (ბოროტის) ხელიდან, აზიაროს თავის სიწმიდეს. მისი მიზანია, რომ ეკლესიის გარეშე არ დარჩეს ადამიანური საქმიანობის არც ერთი სფერო. ეკლესიის იდეალი სოფლის მთლიანი გაეკლესიურებაა, სოფლის მომზადება ცის სასუფევლისთვის, რაც გამოთქმულია იესოს ფუძემდებლურ ლოცვაში (“მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი ვითარც ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა”). არ რჩება არც ერთი კუთხე-კუნჭული ადამიანური ცხოვრებისა ეკლესიური კურთხევის გარეშე. სხვანაირად ქრისტიანობა კარგავს საზრისს. მთელი სოფელი ეკლესია უნდა გახდეს. უნდა განხორციელდეს პავლე მოციქულის სიტყვები: “რათა ღმერთი იყოს ყველაფერი ყველაფერში” (1 კორ. 15:28). ეს სოფლის დასასრულია, რომელიც დადგება მაშინ, როცა ქრისტე მეფობას გადასცემს უფალსა და მამას, მას შემდეგ, რაც გააუქმებს ყოველ მთავრობას, ყოველ უფლებასა და ძალას” (1 კორ. 15:24).

მაგრამ ამ საკრალიზებულ სოფელში რჩება მართას, როგორც მომსახურის წილი. ის ემსახურება საკრალურს და თავადაც ერთგვარად მასთან წილნაყარი ხდება. ემსახურება როგორც გარეშე ფილოსოფია ღვთისმეტყველებას. Philosophia ancilla theologiae. საერთოდ, აღარ არსებობს სეკულარული სფერო, რადგან მისი არსებობა ონტოლოგიური არ არის, არამედ თვალთახედვაა, რომელიც ქრისტიანიზებულ სოფელში, კარგავს რა თავისთავადობას, მთლიანად ემორჩილება საკრალურს.

მაგრამ *მართა* თავისი სამსახურის გააბსოლუტირებას - წარმავალის გამარადისებას, გარდამავალი სოფლის დამკვიდრებას მოინდომებს, ანუ საშუალებისგან მიზნის შექმნას. *მართას* სოფელი, რომელიც ჯერ მშვიდობიანად თანაარსებობდა *მარიამის* სოფელთან, მერე შეურიგებლად დაუპირისპირდა მას. მართამ მოიტანა თვალთახედვის ისეთი ასპექტები, როცა ჭეშმარიტების კრიტერიუმი ხდება წარმატება, ხოლო თავად ჭეშმარიტების ცნებას სარგებლიანობა ენაცვლება. *მართამ* მოიტანა თავის “ბევრ სამსახურთან” და “ბევრ რამეზე ზრუნვასთან” ერთად რაოდენობრიობის კუთხიდან ხედვა თვისობრიობის საპირისპიროდ. სოფელი კარგავს თვისობრიობას და რაოდენობრიობის ფაზაში შედის. სიმრავლე იპყრობს ადამიანის ზრახვებს და ინტერესებს, და აიძულებს მას ციფრებით აზროვნებას. სიღრმეში ჩაწვდომას ცვლის ზედაპირული დაგეგმვა და “გათვლა”.

დღეს დესაკრალიზებული *მართა* კატასტროფულად ამრავლებს ამაო ფუსფუსს, რადგან იზრდება სტუმრიანობა, მრავლება წუთისოფლის სტუმართა რიცხვი... ფუსფუსი მისი ბედისწერაა, სხვანაირად მას არ ძალუცს მოიქცეს. მართას ზედაპირი *მარიამის* სიღრმეზეა გაბატონებული.

***

იბადება აზრი, თუ რატომ იმთავითვე არ დაუპირისპირდა ქრისტიანობა მონობას, საზოგადოდ, მონობის ინსტიტუტს. შეიძლება განცვიფრებას იწვევდეს ის ფაქტი, რომ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი ქრისტიანობის ფუძემდებლურ ტექსტებში - ახალ აღთქმაში - მონობის წინააღმდეგ. ქრისტიანობა მონობის ეპოქაში დაიბადა, მაგრამ მან გვერდი აუარა მას, თუმცა მისთვის კარგად არის ცნობილი ეს ინსტიტუტი და მის ცნებასაც (მონობა დულეია), რომელიც ახალ აღთქმაში ხშირად (სამოცდაადჯერ მეტად) იხსენება, მარჯვედ იყენებს.

თუ არისტოტელეს შეეძლო ეთქვა, რომ მონობა ბოროტებაა (თუმცა მონობა თავისუფლების არსებობის გარანტად მიაჩნდა), რატომ არ ღაღადებს ამ ჭეშმარიტებას ქრისტიანობის ფუძემდებელი ტექსტები?

ქრისტიანობისთვის მონობის სოციალური ასპექტი, რასაც არისტოტელე გულისხმობს, უმნიშვნელოა (ამით მხოლოდ ქრისტიანული სოციალიზმი თუ დაინტერესდება), შეიძლება ითქვას, არად ჩასაგდებია. ქრისტიანობას მონობის ფუნდამენტურ გაგებასთან აქვს საქმე, არა საზოგადოებრივ, არამედ ღრმად პიროვნულ ეკსისტენციალურ გაგებასთან. მონობა, უპირველეს ყოვლისა, თავისუფალი ნების დაკარგვაა, როცა ყოველი ქმნილება და, შესაძლოა, ადამიანი ამ ვითარებაში გამონაკლისი არ იყოს, ადამიდან მოყოლებული ამაოებას არის დამორჩილებული. ამაოების მეორე სახელი ხრწნილებაა, რომელიც ცოდვისა და მერე სიკვდილის სინონიმია. ადამიანმა უნდა დააღწიოს თავი "ხრწნილების მონობას", რათა ღვთისშვილობის თავისუფლება მოიპოვოს (რომ. 8:20-21), რისთვისაც არის გაჩენილი.

ქრისტიანობის პრაქტიკა მოწმობს, რომ სოციალური მონა, გინდა ეფემერული ტყვე და ტუსაღი, თავისუფალია, თუკი ის ძლევს წუთისოფლის ამაოებას ანუ მთავარს ამ სოფლისა, რომელმაც დაამონა იგი. თავისუფლების მთელი დოქტრინა მდგომარეობს ქრისტეს, "სიკვდილისა დამთრგუნველის" მისიაში, რომ "გაათავისუფლოს ისინი, ვინც სიკვდილის შიშით მთელი სიცოცხლე მონობაში იყვნენ" (ებრ. 2:15). ცოდვის ტყვეობიდან განთავისუფლებული ადამიანი ამბობს ქრისტეს კვალზე: "მე მიძლევიეს სოფელსა" - "მე ვძლიე სოფელს" (იოან. 16:33). განაჩენს - "ახლა კი, როცა თავისუფლები ხართ ცოდვისაგან და ღვთის მონები გახდით, თქვენი ნაყოფი სიწმიდეა, ხოლო ბოლო საუკუნო სიცოცხლე" (რომ. 6:22), ისევე როგორც მოწოდებას - "ნუ გახდებით ადამიანთა მონები" (1კორ. 7:23) არა აქვს სოციალური კონტექსტი და იგი არ ეწინააღმდეგება სხვა მოწოდებას "დაემორჩილეთ, მონებო, თქვენს ხორციელ უფალთ შიშითა და ძრწოლით..." (ეფეს. 6:5); აქ მოციქული მიმართავს ქრისტიან მონებს, რომელთაც ქრისტეში აქვთ მოპოვებული თავისუფლება, ისინი უნდა მორჩილებდნენ თავიანთ ბატონებს, როგორც ქრისტეს, რომლის ნებითაც არიან ისინი სოციალური მონები, რადგან საღვთოს ისტორიის (ქრისტიანული ისტორიოსოფიის) თანახმად, ისტორიას და, კერძოდ, საზოგადოებრივ ფორმაციებს უფლის ხელი მართავს.

ვინ უფრო თავისუფალია - მონა, რომელიც უყოყმანოდ დებს თავს ქრისტეს ჭეშმარიტებისთვის თუ ბატონი, რომელიც გაურბის დამსახურებულ სასჯელს?

ფილიპინელი მამულიშვილი

აზიაში, ფილიპინებზე XIX ს-ის ბოლოს (1895) ესპანურ ენაზე დაიწერა პატრიოტული ლექსი, რომელიც რელიგიური ცნებებით არის მოოჭვილი. პოეტ-რევოლუციონერის, ეროვნული მოძრაობის ლიდერის ხოზე რიზალ-ი-ალონსოს სიკვდილისწინა ლექსში "უკანასკნელი გამომშვიდობება" (Ultimo adios), რომელიც საპყრობილეში შეითხზა, ფილიპინები მოხსენიებულია როგორც: "სათაყვანო სამშობლო" (Patria adorada), "მზის რჩეული მიწა" (del sol querida), "აღმოსავლეთის ზღვის მარგალიტი, ჩვენი დაკარგული ედემი" (შდრ. ილიას "ვის უნახავს ის ედემი შლილი"), "სათაყვანებელი კერპი" (idolatrada), "ჩემი სულის ნაჭერი", "ჩემი რწმენის არსი" (la esencia del mi fe).

პატრიოტულ-ნაციონალური "რელიგია" არ ხუნდება იმის გამო, რომ ეს ლექსი დამპყრობელთა ენაზეა დაწერილი და მისი სათაყვანებელი სამშობლოც დღემდე დამპყრობელი მეფის სახელს ატარებს (ლექსი შემდეგ ითარგმნა მამულის ენაზე - ტაგალურზე).

ხომ წარმოუდგენელია, რომ ილიას მამულის კონცეფცია რუსულ ენაზე განევითარებინა?

***

ჩია კაცია, ძონძებშია გამოხვეული ან გაქუცულ ტყაპუჭში, ალაგ-ალაგ ხორცი უჩანს, თმაგაწეწილია, თვალებაბრიალებული, შეიძლება კოჭლობდეს კიდეც, მჭახე ხმით ზარავს არემარეს, შიშსა და მოწიწებას თესავს ირგვლივ, ყველა ერიდება, გვერდს უვლის. რატომ შეცვლია ხმა, რომლითაც გუშინ და გუშინწინ ლაპარაკობდა? უფლის ანგელოზმა ფრთა გაკრა, უფლის სული ჩასახლდა მასში და უცხო ხმაზე აამეტყველა. ის არ ამბობს თავის სათქმელს, როგორც უბრალონი იქცევიან და, მით უფრო შესაზარია, რომ სხვისი ხმით ლაპარაკობს.

XXXIII

***

ტა პანტა რეი მუდმივი ქმნადობის ფორმულაა, რომელიც ისტორიის შესაძლებლობას ინახავს. პარმენიდეს მეტაფიზიკამ თავისი უძრაობით ისტორიული პროცესი გაუგებარი გახადა. ებრაელ წინასწარმეტყველთა მსოფლგანცდაში სამყარო (სოფელი) თავისი დენადობით ისტორიის პირობას ქმნის: სამყარო ისტორიულია, როგორც ადამიანია ისტორიული არსება.
ბიბლია აღწერს ადამიანს მის მოძრაობაში, მოქმედებაში, მიმოსვლაში. მას არ იზიდავს ბუნება, სივრცეში განფენილი რეალობა. ლანდშაფტის აღწერის სიძუნწე, თუკი სადმე ვხვდებით აღწერას, ბიბლიური თხრობის სტილისტიკის სფეროს არ ეკუთვნის. ეს ბიბლიის კონცეპტუალური ნიშანია, რომელსაც ონტოლოგიაში აქვს ფესვი. ბიბლიური სამყარო, სივრცე ამოძრავებულია, დროისმიერი დენადი ჩრდილი დაფენილია მაზე.

ბიბლიურ თხრობას იზიდავს ადამიანი, რომელიც მიმოდის ქვეყანაში, გაივლის მას, მაგრამ ქვეყანა თავისთავად არ იზიდავს მას. იგი არ აღწერს ეგვიპტეს, არამედ იმას, თუ რა ადგილი უჭირავს ეგვიპტეში ყოფნას, ანუ ეგვიპტურ დროს ხალხის ისტორიაში; არ აღწერს უდაბნოს, მის ლანდშაფტს, არამედ გზას უდაბნოში, დრტვინვას, მოსმენას, რითაც ივსება უდაბნოში გატარებული დრო, უდაბნოს დრო. ეგვიპტე და უდაბნო ის ჭურჭლებია, რომლებშიც მიედინება ხალხის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელი დრო, რომელიც მიმართულია დასასრულისკენ. ეგვიპტის ან უდაბნოს გახსენებისას, ითქმის არა სადაც, არამედ როდესაც (“როცა ყრმა იყო ისრაელი და მიყვარდა იგი”, ოსია 11:1). ბერძნული *კოსმოსისგან* განსხვავებით, ბიბლიური სამყარო დროში არსებობს. *კოსმოსი*, სადაც ბერძენი ცხოვრობს, დასრულებულია; ხოლო სოფელი, სადაც ძველი აღთქმის ადამიანი ცხოვრობს, მიედინება, მიმდინარეობს, ჯერ კიდევ არ დასრულებულა, ის განაგრძობს ქმნადობას, ანუ ის პროცესშია, ის გარდაქმნას და განსრულებას ელის.

ბიბლიის ღმერთს უყვარს დროში თავისუფლად მოძრავი აბელი, არ ითმენს სივრცის ტყვეობაში მოქცეულ, ქალაქთა მშენებელ კაენს.

ნანგრევი

ნანგრევი, როგორც ნანგრევი, როგორც ნგრეული ნაშთი, ყოვლად გამოუსადეგარია. მაგრამ მისი ცალკეული ნაწილები სასარგებლოა. არიან ვიეთნი, რომლებიც საკუთარ კარმიდამოს იშენებენ ნანგრევიდან გატანილი ლოდებით. ბაგრატის ტაძრის ნანგრევის მიმდებარე ტერიტორიაზე შეამჩნევდით ყორეებში ჩაშენებულ ჩუქურთმიან ქვებს. ნეტავ თუ დაუბრუნდნენ ეს ქვები მშენებარე ნანგრევს?

არსებობს გატანის სხვა მოტივიც, როგორ ლექსშია -

“ძველი ნანგრევი ვნახე გეგუთის
და, უხმო დროო, შენ მომაგონდი”,

ამ “უხმო დროის” მუდმივი მოგონების და სმენის წადილით, შესაძლოა, თითო-ოროლა ჩუქურთმიანი ქვა გატანილა ნანგრევის ეზოდან და მავანის საწერ მაგიდაზე ეპოვა ადგილი.

შეშლილი

როცა ისრაელის სამეფოში, უფლის განგებით, სამეფო დინასტია უნდა შეცვლილიყო, ერთი უსახელო წინასწარმეტყველი გალაათის რამოთს გაიგზავნა. მოსასხამის ხვეულში წმიდა ზეთის ჭურჭელი ჰქონდა შეფარული. რამოთის საფიხვნოზე, სადაც ქალაქის უხუცესები და ჯარის სარდლები იყვნენ შეკრებილნი, წინასწარმეტყველმა მკვახედ დაიძახა: “სიტყვა მაქვს შენთან, სარდალო!” - “რომელთან ჩვენ შორის?” - “შენთან”. - იყო პასუხი. და განზე გაიხმო დასახელებული, შეიყვანა მისი სახლის უკანა ოთახში და საიდუმლოდ ზეთი გადაასხა თავზე სარდალს, დასძახა: “მე გცხებ უფლის ერის, ისრაელის, მეფედ!” წინასწარმეტყველი უკანა კარიდან გავიდა და დაადგა თავის გზას, აღარ ჩვენებია საფიხვნოზე შეკრებილთ. სარდალ იეჰუს (ასე ერქვა ახლადცხებულს) კი ჰკითხეს: ვინ იყო ის შეშლილი და რა ამბავი მოგიტანაო? დაფარვას აზრი არ ჰქონდა: “თქვენ იცით მაგ კაციც და მისი ნალაპარაკევიც”. უხუცესებს და სარდლებს ამ “შეშლილში” (*მეშუგაყ*) უნდა ამოეცნოთ მისი ვინაობა და მისიაც, რისთვისაც მოვლინებული იყო (4მეფ. 9:1-11).

ვინ მოელის უფლის წინასწარმეტყველისგან ჭკუას, სიდარბაისლეს? მას ისეთ სფეროებში უხდება შეჭრა, რომელთაც “ჭკვიანნი ვერ მიხვდებიან”. ბიბლიური წინასწარმეტყველი ისეთივე შეშლილია, როგორც ელინთა *მანტის* (სიტყვიდან *მანია* “შეშლილობა”), რომელიც, პლატონის სიტყვით, განეკუთვნება შეშლილობის ერთ-ერთ სახეობას, პროფეტულს - რიტუალური, პოეტური და ეროტული შეშლილობის სახეობებთან ერთად (ამ უკანასკნელზე რუსთაველი ლაპარაკობს პოემის პროლოგში: “მიჯნური შმაგსა გვიქვიან...”).

***

ფრანჩესკო ასიზელის “ყვავილებში” (Fioretti, V) შეგვიძლია წავიკითხოთ: ფრანჩესკომ ასიზიდან ძმა ბერნარდო ბოლონიაში გაგზავნა საქადაგებლად და კეთილი საქმეების საკეთებლად. როგორი იყო მისი ქადაგება და კეთილი საქმეები? მას ერთი სიტყვაც არ წარმოუთქვამს, თითიც არ გაუნძრევია რაიმეს საკეთებლად, იჯდა ქალაქის მოედანზე და ითმენდა ათასგვარ შეურაცხყოფას ჯერ თავგასული ბავშვებისგან, რომლებიც ძონძებისა და უცნაური ქცევის გამო ამასხრებდნენ მას, როგორც გიჟს და ჭკუასუსტს. მერე ხალხმრავალი ბაზრის მოედანზე გადაინაცვლა უფრო მეტი დამცირების და შეურაცხყოფის იმედით. და ასეც მოხდა. ახლა უკვე მთელი ბაზარი, დიდიან-პატარიანად, ჩაერთო მის გამასხრებაში, მოსასხამზე ექაჩებოდნენ, აქეთ-იქით აქანავებდნენ, როგორც სათამაშო ნივთს რასმე, ესროდნენ ტალახს, ქვებს, რაც ხელში მოხვდებოდათ, აფურთხებდნენ. მისი ერთადერთი პასუხი კი ამ შეურაცხყოფებზე ნეტარი გამომეტყველება და ღიმილი იყო, რომელსაც ამ მოძალადე ბრბოს მოაფენდა. დღითი დღე, ის კვლავ და კვლავ უბრუნებოდა ამ ადგილს, რათა ისევ და ისევ ამ სანეტარო დამცირების მსხვერპლი გამხდარიყო. ჩაიარა მის წინ ერთ დღეს, მეორე დღეს სამართლის დოქტორმა, ბრძენმა კაცმა და მესამე დღესაც რომ ჩაიარა და დააკვირდა ამ უცნაურობას, აჰა, ამ ბაზარში, სეკულარობის უკიდურეს სამყოფელში, წინააღმდეგ პავლე მოციქულის გამოცდილებისა, რომ “მიწიერი ადამიანი არ ღებულობს იმას, რაც ღვთის სულისაგან არის, რადგან უგუნურებად მიიჩნევს” (1კორ. 2:14), ამა სოფლის ბრძენმა ამ კაცში რაღაც სხვა, რაღაც დაფარული, რასაც ვერავინ ხედავდა, დაინახა და თავისთვის ჩაილაპარაკა: “შეუძლებელია, რომ ეს კაცი წმიდა არ იყოს”.

XXXIV

იერონიმუსის აღსარება

"...როგორ უნდა შეეთვისონ ერთმანეთს ჰორაციუსი და ფსალმუნები, ვერგილიუსი და სახარება, ციცერონი და მოციქულები? და თუმცა სუფთასთვის ყველაფერი სუფთაა და არაფერი არ უნდა გაიკიცხოს, რაც მადლობით მიიღება, მაინც არ უნდა შევსვათ ერთად თასი უფლისა და თასი ეშმაკისა. ახლა გიამბობ ჩემს უბედურ თავგადასავალს, რაც შემემთხვა. იმ დროსაც კი, როცა ცათა სასუფევლის მოსაპოვებლად დიდი ხნის უარყოფილი მყავდა მშობლები, დები და ნათესავები, ფუფუნება და ამქვეყნიური სიამენი, და ქრისტეს მხედრად ვიყავი შემდგარი იერუსალიმს, თვით მაშინაც კი მიძნელდებოდა იმ წიგნების გარეშე ცხოვრება, რომელთაც დიდი შრომითა და რუდუნებით ვაგროვებდი რომში. და მე, შეჩვენებულს, მარხულობისას ციცერონის კითხვა მენატრებოდა. მღვიძარებასა და ცრემლის ღვრაში ვაღამებდი და, როცა გულის სიღრმიდან მომაწვებოდა ხოლმე ძველ ცოდვათა მოგონებანი, ისევ და ისევ პლავტუსს ვეტანებოდი. გონთმოსვლისას კი, როცა შევუდგებოდი წინასწარმეტყველთა კითხვას, მე აღმაშფოთებდა დაუხვეწელი სიტყვა და, ბრმა თვალებით ნათლის ვერმჭვრეტელს მეგონა, მზის ბრალი იყო ეს და არა ჩემივე თვალებისა... და აჰა, როცა ასერიგად განმცდიდა ძველი იგი მაცდუნებელი გველი, სწორედ დიდმარხვის შუაძალში ხურვებამ შეიპყრო ჩემი შიგანი და განუწყვეტლივ მიჭამდა ასოთ, ისე რომ მხოლოდ ძვალი და ტყავიღა დავრჩი. ამასობაში ჩემს დასამარხავად ემზადებოდნენ უკვე და ჩემს გაციებულ გვამს მხოლოდღა მკერდის ერთ კუნჭულში შერჩენოდა მცირედი სითბო. და, აი ამ დროს ანაზდეულად წარვიტაცე სულის მიერ და მიყვანული ვიქმენ მსაჯულის სამსჯავროზე, სადაც ისეთი სინათლე იდგა და ისეთი ელვარება მოსავდა იქ შეკრებილთ, რომ ძირს დაგდებულმა ზეახედვა ვეღარ გავბედე. კითხულმა, "ვინ ხარო", "ქრისტიანი ვარ-მეთქი", მოვახსენე, მან კი, დაბრძანებულმა, "ცრუობო", მითხრა, "ციცერონიანელი ხარ და არა ქრისტიანიო. სადაც საუნჯე შენი, მუნცა გული შენიო..." მე დავდუმდი და, როცა მცემდნენ (რადგან თავად მან ბრძანა, ვეცემე), ჩემი სინდისი კიდევ უარესი ცეცხლით იწოდა. გულში ვიმეორებდი ფსალმუნის სიტყვებს "ჯოჯოხეთსა შინა ვინ აღგიაროს შენ". მერე ავტირდი და ქვითინით აღმომხდა: "უფალო შემიწყალე, უფალო, შემიწყალე". როზგის ცემას ერთვოდა ეს სიტყვები. ხოლო იქ მყოფნი მუხლმოყრილნი ევედრებოდნენ ტახტზე დაბრძანებულს, ეპატიებინა ჩემთვის სიჭაბუკის ცოდვები და მოეცა მონანიების საშუალება და თუ, კვლავ დავიწყებდი წარმართული წიგნების კითხვას, მერეღა დავესაჯე. მე, რომელიც მზად ვიყავი უფრო მეტის პირობა მიმეცა, ვეფიცებოდი, ვუხმობდი ღვთის სახელს, ვამბობდი: "უფალო, თუ ოდესმე კვლავ ვიქონიე გარეშე წიგნები, თუკი ოდესმე წასაკითხად ავიღე ხელში, მაშინ უარმიყვია ჩემი თავი-მეთქი". ამ ფიცის სიტყვებით განტევებული დავბრუნდი მიწაზე და ყველას გასაოცრად თვალები გავახილე, რომლებიც ისე ავსებულიყო ცრემლებით, რომ ურწმუნო ხალხიც კი დაიჯერებდა ჩემს მონათხრობს. ეს არ ყოფილა გონის დაკარგვა, არც ფუჭი სიზმარი, იმის მსგავსი, რაზეც ხშირად ვიცინით ხოლმე. ამის მოწამეა ის ტახტი, რომლის ძირსაც მე ვეგდე; მოწამეა ის საშინელი სამსჯავრო, რომელმაც შემზარა, ღმერთმა მაშოროს ასეთი განსაცდელი-მეთქი. გარწმუნებ, დალურჯებულიც კი მქონდა ზურგი, გამოფხიზლებულს კიდევ მტკიოდა ნაცემი ადგილები. მას მერე ისეთი შურით შევუდექი წმიდა წიგნების კითხვას, როგორითაც წინათ გარეშე წიგნები არ მიკითხავს." (წმ. იერონიმუსის წერილი ევსტოხიასადმი, "ქალწულობის შენახვისათვის").

ძნელად მოიძებნება წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ესოდენ მჭევრმეტყველურად და მძაფრად გადმოსცემდეს კულტურათა ჭიდილს მათ გასაყარზე. კულტურა - ეს სიტყვა, ეს ფენომენი, რაც უნდა მნიშვნელოვანი იყოს კაცობრიობისა თუ კერძო ადამიანის ცხოვრებაში, არ გამოდგება იმ რეალობის აღსანიშნავად, რომლის წინაშე ესოდენ დრამატულად აღმოჩნდა

რომაელი ბერი. მის არსებაში ერთმანეთს დაუპირისპირდა და სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებრძოლა ორი სამყარო: ერთი - დახვეწილი ესთეტიზმის, მეორე - რწმენის; პირველი ცოდვის წყაროდ არის შერაცხილი, თუმცა მშვენიერია; მეორე - ჭეშმარიტებისა, თუმცა მისი სამოსელი დაუხვეწავია და შეურაცხყოფს მის ფაქიზ გემოვნებას. იერონიმუსი სამშობლოს იცვლის და ეს მეტისმეტად მტკივნეულია. რელიგიურ ენაზე ეს მოქცევაა, რომლის ეფექტი გინა დაღი თუ სტიგმა მის ხორციელ ბუნებას სწვდება, მის ძვალსა და რბილში ატანს.

სადაც *ვულგატას* (ბიბლიის ლათინური ვერსიის) შემოქმედი ვერ აღწევს სინთეზს და იძულებულია ერთი უკუაგდოს მეორის სასარგებლოდ, აღმოსავლეთში კაპადოკიელი მამები ბერძნულ წარმართულ მწერლობაში ახალი აღთქმის პრეფიგურატივებს ხედავენ. გრიგოლ ღვთისმეტყველს არ აშინებს "ოდისეა" - მას შეუძლია ოდისევსის ზღვაზე ხეტიალი ქრისტიანის სულიერ მოგზაურობად გაიაზროს. უფრო მეტი: ღვთისმეტყველი სასტიკად კიცხავდა მათ, ვინც არად აგდებდა გარეშე ცოდნას. მათ სურთ, ყველანი მათსავით უმეცარნი იყვნენო.

უფრო ადრე კლიმენტი ალექსანდრიელი წერდა: "ჩვენ შორის მცირედნი როდი არიან, ვისაც ეშინიათ ელინური ფილოსოფიისა, როგორც ბავშვს - მოჩვენებების... გვეშინია გაჰყვირიან ისინი, რომ შეცდომაში არ შეგვიყვანონო. თუ მათი რწმენა იმდენად სუსტია, რომ იმედი არა აქვთ წინააღმდეგობა გაუწიონ ცდომილებებს, მაშინ ამგვარმა ქრისტიანებმა უნდა აღიარონ, რომ მათ არასოდეს რწმენიათ ჭეშმარიტება".

***

"ჩემი ძმა არყოფილი ვითარ მიყვარდის უმეტეს მზისა და უმეტეს ხმალისა რამეთუ იყო იგი სხვაᲂ ჩემი" - ეს წინადადება, წარწერა (რაღაც არ ჰგავს) თუ, რაც უნდა ვუწოდოთ, უფრო ენიგმა, ადრეული ასაკიდან მეხსიერებაში ჩარჩა ადამიანს და იმუშავა მის არაცნობიერში. თუმცა იქნებ არც არაფერი იყო მასში ისეთი, რაც ჩაფიქრებად ღირდა, მხოლოდ ფონეტიკაა ("ფონეტიკას მოაქვს ხალიბის რკინა") ან სინტაქსის რიტმია, გაუგებრობის შედეგია მხოლოდ ან ირანის პლატოზე დასიცხული ფანტაზიის ნაშობი. ხოლო ჩართული "უმეტეს მზისა..." რომელიც აშკარად ჰამადანის (ძველი ეკბატანის) მზისა და აქემენიდთა ხმლის პატივით არის მოხმობილი, მხოლოდ თუ აბუნდოვანებს გამჭვირვალე იდუმალებას, რომელიც შესაძლოა ემარხოს წარწერაში. ჩანს, ძირითადი მახვილი ეცემა ერთ ცნებად ქცეულ ორ სიტყვას "სხვაÁ ჩემი", რომლებიც ერთგვარად განმარტავენ დასაწყის სამ სიტყვას, ასევე ცნებადქცეულთ - "ჩემი ძმა არყოფილი". მათ შორის კი სიყვარულია. რა გამოდის? მე მიყვარს ჩემი არშობილი ძმა, რადგან ის "ჩემი სხვა" არის, რომელიც ჩემშია ფარულად და გამოცხადება ელის. ანუ: მე მიყვარს არა ჩემი მე, ჩემი თავი, არამედ ის, ვინც ან რაც ჩემში *სხვად* თანამყოფობს.

კერა და საკიდელი

დედაკაცის არსებისა და ბუნების გამომხატველ სიმბოლოთა შორის ყველაზე მკაფიო და ყველაზე მახლობელი, დღესდღეობით, შესაძლოა, შორეული, ეგზოტიკაში გადასული საგანი - კერია, კერა, იყო იყოს, ქართველები რომ მეორენაირად შუაცეცხლს უწოდებენ, ძველ ელინთა *ჰესტია*, რომლის იდეას (პლატონური გაგებით) ოლიმპოზე მისი სახელმოდგამი ქალღმერთი წარმოადგენდა. უძრავი კერა-*ჰესტია* იყო შუაგული არა მხოლოდ სახლისა, რომლის გარშემო იკრიბებოდა ოჯახი, არამედ ქალაქისაც და, როგორც პლატონი გადმოგვცემს, ქვეყნისაც და ქვეყნიერებისაც. თუ რამ პატივი იყო მისაგებელი ადამიანის საცხოვრებლისადმი, თუ რაიმე მის კედლებს შორის ატარებდა ღირსებას, ეს კერია იყო. მაგრამ ის მარტო არ იყო: მის ზემოთ ჩამოკიდებული ჯაჭვი - საკიდელი მამაკაცის მყოფობას ამოწმებდა. ამ ნივთთა თავად ამგვარი განლაგება ადამიანის საცხოვრისის სივრცეში მეტყველებს იმ რეალობაზე, რაც დგას მათ უკან,

რასაც ისინი ასიმბოლიურებენ. ერთი არ ბატონობს მეორეზე, არ ცდილობს დაემსგავსოს ან დაიმსგავსოს - ეს ყოვლად შეუძლებელია. რომელ ადამიანურ სინამდვილეში შეიძლება გათანაბრდეს წრფე (ვერტიკალური საკიდელი) და წრე (მის ქვეშ არსებული კერია)? განსხვავება თვალსაჩინოა, მაგრამ ორთავე ბუნებას - მამრულს და დედრულს თანაბარი ღირსება აქვს. არც ერთი არ უპირატესობს მეორეზე. ისინი ერთმანეთისთვის არიან შექმნილნი, ერთმანეთის სხვანი არიან, და ასე არსებობენ დღესამომდე. თუ ეს სხვაობა წარმავალია და რაღაც კარდინალურად იცვლება ბუნებაში?

ამ – კერა-საკიდლის – სიმბოლურ წყობაში, ცხადია, უპირატესობის საკითხი არ დგას. თუ რამ პრობლემა გამოიკვეთება, ეს მოწოდების პრობლემაა. სწორედ მოწოდებისა, რომელიც ფუნქციას და მისგან გამომდინარე უფლება-მოვალეობას უდევს საფუძვლად. მოწოდება ფუნქციის სიღრმისეული განზომილებაა, ამავე დროს, მისი გამოცხადებაც. ფუნქცია მოწოდებაზეა დაფუძნებული და ამოზრდილი. უფლება უნდა განიხილოთ მოწოდების ფარგლებში, თუ რამდენად სრულყოფილად ახორციელებს თავის მოწოდებას რომელიმე მხარე. ფუნქცია ვერ წავა მოწოდების წინააღმდეგ, ვერ განვითარდება მისი საწინააღმდეგო გზით, რადგან მასზეა დამოკიდებული, მისით იკვებება. მოწოდებას ვერავითარი ძალა ვერ დაარღვევს, მამრი ვერ შეეცილება მდედრს მის მოწოდებაში, ვერ წაართმევს მას უფლებას, აღასრულოს თავისი მოწოდება. თუ მდედრს ეჩვენება, რომ ირღვევა მისი უფლებები, ეს იმის გამოა, რომ მას ბოლომდე არა აქვს გაშინაგნებული თავისი მოწოდება, რომელიც მის ხელთაა და ვერავინ მამრთაგან ვერ შეძლებს მის ხელყოფას. აქ რაღაც აბერაციაა: მდედრი თავისი უფლებების დარღვევას ხედავს იმაში, რომ მას გზას უჭრიან ისეთი ფუნქციებისკენ, რომლებიც მამრის მოწოდებას შეადგენენ. მაგრამ ჭეშმარიტება ერთია: კერია ვერ გახდება ჯაჭვ-საკიდელი. შესაძლოა, გლობალიზაციის ჩვენი დრო საზღვრების თანდათანობითი წაშლის დროა (დაე, წაიშალოს, რაც წასაშლელია!), მაგრამ არსებობს შესაქმისმიერი ფუნდამენტური დაპირისპირებანი, რომელთა შორის ზღვარის წაშლის მცდელობა არათუ გაუმართლებელია, არამედ შეუძლებელიც არის. და თუ შეუძლებელია, ყოველი მცდელობა, რბილად რომ ვთქვათ, ამაო ფუსფუსია და თვალში ნაცრის შეყრა. როცა ადამიანს დავიწყებული აქვს თავისი მოწოდება, მას ეჩვენება, რომ ირღვევა მისი უფლებები, რაკი მათ იქ არ ეძებს, სადაც ჯერარს.

“სიკვდილამდე მცირეხნით ადრე რაბი ზუსიამ თქვა: თუ სამსჯავროზე შემეკითხებიან, რატომ მოსე არ იყავიო, მე ვიცი, რა ვუპასუხო. მაგრამ თუ მკითხეს, ზუსია რატომ არ იყავიო, ვერაფერს ვუპასუხებ”.

რას გვეუბნება ეს აღსარება? მართლა ძნელია იყო ის, ვინც ხარ? რა გკარნახობს შენს ვინაობას? თუ რაბი, სიღრმეებში ჩაფლული მოძღვარი, არ არის დარწმუნებული თავის ჭეშმარიტ, შეუფარავ ვინაობაში, რა ქნას ადამიანმა, რომელიც ათასნაირი მოდისა და გავლენების მსხვერპლი ხდება ყოველდღიურად. ის ჰკარგავს ჯერ ინდივიდუალობას, მერე პიროვნულობას, საბოლოოდ კი - ბუნებას. ზღვარი წაშლილია ჩემსა და სხვას შორის. მას არ ძალუძს დაინახოს, იგრძნოს და წარმოთქვას: *სხვაი ჩემი.*

ქმნადი და ქმნილი

ბერძნული *კოსმოს* – “სტრუქტურა” და ებრაული *ყოლამ* - “დინება”, შესაძლოა, იყოს ის მსოფლმხედველობრივი საფუძველი, რომელიც ამ ორი ხალხის კულტურაში მენტალურ და ფენომენოლოგიურ განსხვავებებს ქმნის. მათ შორის თვალსაჩინოა ერთი, რომელიც ეპიურ შემოქმედებაში იჩენს თავს.

ზევსის თავიდან ერთხელ და სამუდამოდ მწყობრად წარმოშობილი კოსმოსის ანალოგები არიან ჰომეროსის გმირები, რომლებიც ასევე ზევსიდან იღებენ სათავეს. ყველანი,

მეტ-ნაკლებად საჩინონი "ზევსის ნაშიერნი" (*დიოგენეს*) არიან, თითქოს მათ შობითგანვე დაყვათ ეპითეტები, როგორც ბედისწერა, რომელთაც მთელი ცხოვრება ატარებენ. აქილევსი მუდამ "ფეხმარდია", მაშინაც კი, როცა ვერ ახორციელებს ფეხმარდობას; მენელაოსი მაშინაც "ომში მყივარია", როცა ტროადან დაბრუნებული უზრუნველად ატარებს დროს ელენესთან. ეს კიდევ არაფერი. ოდისევსს მაშინაც კი "მრავალნატანჯად" და "მრავალნაცად" მოიხსენიებს პოემა "ილიადა", როცა იგი ტროაში იბრძვის და ჯერ კიდევ არ დაუწყია თავისი ფათერაკებიანი მგზავრობა ღვინისფერი ზღვის უკიდეგანო სივრცეებზე. მის ეპითეტში ნაგულისხმევმა განსაცდელმა ფატალურად განსაზღვრა მისი მომავალი, მისი სიტუაციები, სადაც ის აუცილებლობით უნდა აღმოჩენილიყო.

აბრაამი და იაკობი დროჟამთან ერთად იცვლებიან და ამ ცვლილებათა შესაბამისად მათ ახალი სახელები ერქმევათ. მთის წყალუხვი ნაკადის გადალახვამდე იაკობი ერთი კერძო კაცი იყო, რომელიც თავის თავზე და თავის ჯალაბზე ზრუნავდა, მაგრამ იაბოკზე (ასე ერქვა მდინარეს მისი სახელის ანაგრამულად: ია-კობ/ია-ბოკ) გადასვლის შემდეგ მისი ეკსისტენცია ფუნდამენტურად იცვლება: ამიერიდან ის აღარ არის კერძო კაცი, არამედ მომავალი ერის მამა, მისთვის არცთუ გარკვეული მომავლის წინაშე პასუხისმგებელი. ის უცნობს, თავის "სხვას" შეება, რომლის სახელი ვერ შეიტყო, სანაცვლოდ თავისი ახალი სახელი - *ისრა'ელ* "ღმერთს შერკინებული" - გამოსტყუა. რად გინდაო ჩემი სახელის ცოდნა? საკმარისია, შენი ნამდვილი სახელი იცოდეო.

როცა დადგა ჟამი, როცა აბრამს თავის ისტორიულ მისიაში რწმენა უნდა განმტკიცებოდა, ასაკგადასულ უშვილო კაცს ახალი სახელი *აბ რაჰამ* "მრავლის მამა" ეწოდა.

უფრო შორს თუ წავალთ საუკუნეებში, კიდევ უფრო თვალსაჩინო იქნება გარდატეხები გმირის ცხოვრებაში. თუმცა სახელგანთქმულმა ჰერაკლემ თორმეტი გმირობა ჩაიდინა, მაგრამ რა შეემატა? ის არ გარდაქმნილა, იმავე ჰერაკლედ დარჩა, როგორიც იყო, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ელიზიუმს, რომელიც ჯილდოდ ერგო ამ ქვეყნად გაწეული ღვაწლისათვის. ჰერაკლესდარი დიდება არ რგებია შუამდინარელ გმირს გილგამეშს. ის არც კი მიილტვოდა დიდებისკენ. ორმა შეხვედრამ - ჯერ უცხო კაცთან, მერე სიკვდილთან ძირფესვიანად შეცვალა მისი პიროვნება და, შესაბამისად, ცხოვრება. თუმცა გადამწყვეტ ბრძოლაში ხელი მოეცარა, მაგრამ ისეთი არ დაბრუნებულა, როგორიც შინიდან გავიდა.

XXXV

უკუპერსპექტივა

ამა ქვეყნის გლახაკნი, დევნილნი, მგლოვარენი იქ ნეტარნი არიან. აქ დამარცხებული, იქ გამარჯვებულია... აქ შეგინებული იქ კურთხეულია...

რა არის უკუპერსპექტივა და სად არის სრულყოფილი ნეტარება?

ერთხელ ზამთარში წმინდა ფრანჩესკო და ძმა ლეონი პერუჯიდან სანტამარია დელი ანჯელის მონასტრისკენ მიდიოდნენ. ყინავდა. წმ. ფრანჩესკომ გასძახა დაწინაურებულს: "ძმაო ლეონ, ჩვენმა ძმებმა მთელ ქვეყნიერებას ჭეშმარიტი სიწმიდისა და სიქველის მაგალითი რომ აჩვენონ, ნუ იფიქრებ, რომ ამაშია სრულყოფილი სიხარული". მცირე ხნის შემდეგ: "ძმაო ლეონ, ჩვენი ძმები განრღვეულებს რომც კურნავდნენ, ბრმებს თვალებს რომც უხელდნენ, ყრუებს სმენას რომც უბრუნებდნენ, მუნჯებს რომც ალაპარაკებდნენ, ოთხი დღის მკვდრებს რომც აღადგენდნენ, ათას სასწაულს რომც ახდენდნენ, ნუ იფიქრებ, რომ ამაშია სრულყოფილი სიხარული". და კვლავ მცირე ხნის შემდეგ: "ო, ძმაო ლეონ, ჩვენმა ძმებმა ყველა ენა რომც იცოდნენ, წმიდა წერილის განმარტება რომც შეეძლოთ, წინასწარმეტყველების ნიჭიც რომ ჰქონდეთ, მომავლისა და გულთა მხილველნიც რომც იყვნენ, ნუ იფიქრებ, რომ ამაშია

სრულყოფილი სიხარული". კიდევ გაიარეს მცირეოდენი მანძილი და უფრო ხმამაღლა შესძახა: "ძმაო ლეონ, ჩვენი ძმები ანგელოზთა ენაზე რომც ლაპარაკობდნენ, ცისა და მიწის საიდუმლოებებს რომც ჭვრეტდნენ, ყველა ქმნილების ასავალ-დასავალი რომც იცოდნენ, ნუ იფიქრებ, რომ ამაშია სრულყოფილი სიხარული". გაიარეს მცირე მანძილი კვლავ შესძახა: "ო, ძმაო ლეონ, ჩვენმა ძმებმა თავიანთი ქადაგებით მთელი წარმართობაც რომ მოაქციონ ქრისტეს რჯულზე, ნუ იფიქრებ, რომ ამაშია სრულყოფილი სიხარული".

და, აჰა, ამ საუბარში სამიოდე მილი რომ გაიარეს, გაკვირვებულმა ძმა ლეონმა ჰკითხა წმიდანს: "მაშ, სად არის, მასწავლე, წმიდა მამაო, სრულყოფილი სიხარული?" მიუგო: "აი, სანტამარია დელი ანჯელის კედლებს რომ მივადგებით, ყინვისგან გათოშილნი, ლაფში ამოსვრილნი, მშიერ-მწყურვალნი, დავრეკავთ კარზე, მეკარე გამოვა გაავებული და შეგვეკითხება, ვინა ხართო, ვეტყვით, ორნი ძმანი ვართ, ის კი გაბრაზებული გვიყვირებს, ცრუობთ. თაღლითები ხართ, იმისთვის მოხვედით, რომ ქვეყანა მოატყუოთ, გლახებს მოწყალება წაართვათო. მოშორდით აქედან!" თუ ამის შემდეგ კარს არ გაგვიღებს და გარეთ, ბნელში, თოვლსა და ყინვაში უმწეოდ დაგვტოვებს, როცა ვიწვნევთ ამ უსამართლობას და სისასტიკეს, შეურაცხყოფას და თმენით დავითმენთ, არ ვიწუწუნებთ, არ მოვყვებით თავის მართლებას, ვიფიქრებთ, კარის მცველი გვიცნობს ჩვენ და ღვთის ნებით ლაპარაკობს ასეო, იფიქრე, ძმაო ლეონ, რომ ეს არის სრულყოფილი სიხარული. და თუ ჩვენ კვლავ დავრეკავთ კარზე, და კარის მცველი გამოვა გამძვინვარებული ჩვენს გასაყრელად, თითქოს უკანასკნელი ნაძირლები ვიყოთ, წადით, მოშორდით, თქვე მძარცველებო, სხვაგან ეძებეთ თავშესაფარიო, ჩვენ კი ამას მოვითმენთ და წყალობად მივიღებთ, ირწმნუნე, ძმაო ლეონ, რომ ეს ნამდვილად სრულყოფილი სიხარულია. და, თუ სიცივით და შიმშილით შეწუხებულნი კვლავ დავრეკავთ კარზე და მოვუხმობთ კარის მცველს, ცრემლთა დენით შევევედრებით, შეგვიშვი ღვთის გულისათვის, მოგვეცი თავშესაფარიო, ის კი გარეთ კეტით გამოენთება, დაგვიწყებს ყვირილს, თქვე უმაქნისო ნაძირალებო, ახლა გაჩვენებთ, რასაც იმსახურებთო, კაპიუშონით დაგვითრევს, ძირს დაგვყრის და კეტს დაგვცხებს და, თუ ჩვენ ამასაც მოთმინებით და მადლობით მივიღებთ, ჩვენი უფლის ტანჯვა-წვალებაზე ფიქრით, რომ მისი სიყვარულის გამო ვიზიარებთ ამ უსამართლობას, ამ განსაცდელს, ირწმუნე, ძმაო ლეონ, რომ ეს იქნება სრულყოფილი სიხარული.

უცებ და *ერთბაშად*

"ენა არ შეიძლება წარმოიშვას სხვანაირად, თუ არა უცებ და ერთბაშად", ვილჰელმ ჰუმბოლდტის ეს აზრი დღეს ძნელად თუ ვინმემ გაიზიაროს. შესაძლოა, ეს *უცებ* და *ერთბაშად* გადაჭარბებულად წარმოგვიდგენდეს ენის წარმოშობის სპონტანურობას, მაგრამ ისიც წარმოუდგენელია, რომ დროში იწელებოდეს სტრუქტურისა თუ სისტემის შექმნა - ნაკლულიდან მეტ-ნაკლებად სრულყოფილამდე.

ჰუმბოლდტი დასძენს: "მეტი სიზუსტით, რომ ვთქვათ, ენას ყოველ მომენტში მისი ცხოვრებისა ყველაფერი უნდა ჰქონდეს, რომლის წყალობითაც იგი ერთ მთლიანობას მოიპოვებს".

უნდა ვიკითხოთ: როგორ იქნება შესაძლებელი მთლიანობა, თუ იმთავითვე ნაწილები არ არსებობს? შესაქმის "პერიოდის" სავსებით კანონზომიერი "ჰერმენევტიკური წრეა": თუ არსებობს მთელი, არსებობს ნაწილებიც - და პირუკუ. ენის შესაქმის ერთიან აქტში, რომლის ავტორი ადამიანი არ არის, აზრს კარგავს ოპოზიცია - *ჯერ* და *მერე*. ყველაფერი ერთბაშად იქმნება. ადამიანში, მეტყველ არსებაში, მის ვირტუალურ უნარში, როგორც გამზადებულ ნიადაგში, *ითესება* ენის ლოგოსები, როგორც მცენარის თესლები, საიდანაც *უცებ* და *ერთბაშად*

აღმოცენდება სისტემა, რასა გრამატიკას ვუწოდებთ. განა რკოში ერთბაშად არ არის მოცემული ყველაფერი, რაც მუხად უნდა იქცეს?

ენა ღვთის დაფენინლ ნიადაგში - ადამიანშია დარგული, როგორც მცენარე. და თუმცა მის თესვაში ადამიანს ცნობიერი მონაწილეობა არ მიუღია, ის ზრუნავს მასზე, როგორც მებაღე უფლის გაშენებულ ბაღზე იზრუნებს. მას მიბარებული აქვს ეს ბაღი, იყენებს მას თავისი მრავალმხრივი საჭიროებისთვის. ის მისი სახლია, სადაც საიმედოდ არის დაბინავებული, სადაც ოცნებობს, საიდანაც ჭვრეტს სამყაროს...

***

სიტყვა იდიოტი ბერძნულიდან მომდინარეობს: *იდიოტეს* ნიშნავს "განსაკუთრებულს", "თავისებურს", "გამორჩეულს", "უნიკალურს" და ა. შ. ყველაფერს საშუალოდან, ანუ ნორმიდან გადახვეულს, რაიმე შეფასების გარეშე. საერთო ნორმიდან გამორჩეული კარგიც შეიძლება იყოს და ცუდიც. მაგრამ რატომღაც თანამდროვე ევროპულ ენებმა კი ცუდის მნიშვნელობა აირჩიეს. რატომ არ მიიღო იდიოტმა "გენიალურის" მნიშვნელობა?

სიტყვა კრეტინი "ქრისტიანის" ფრანგული ფორმიდან მომდინარეობს: cretien-cretin. როგორ მოხდა, რომ "ქრისტიანმა" ფრანგული ენის რომელიღაც დიალექტზე კრეტინის მნიშვნელობა მიიღო? აქ ორი შესაძლებლობაა. ხალხი ფიქრობს, განა კრეტინი არ არის ადამიანი, რომელიც მეორე ლოყას უშვერს ერთ ლოყაში გამრტყმელს? ვინც ასე იქცევა, ის ხომ ნამდვილი ქრისტიანია? ან ის ადამიანი, ვინც უდიდეს ბედნიერებად და სიხარულის წყაროდD უკიდურეს დამცირებას მიიჩნევს, როგორც ფრანჩესკო ასიზელი უქადაგებდა თავის სულიერ ძმას ლეონს სანტამარია დელი ანჯელისკენ მიმავალ გზაზე? ასეთი აზრი სეკულარულ საზოგადოებაშია გაჩენილი.

მაგრამ, შესაძლოა, ამ ტერმინის წარმოშობის ასეთი გაგებაც: აი, ეს ადამიანი იმსახურებს ქრისტიანის სახელს, ეს არის ნამდვილი ქრისტიანი. ასე უთითებდნენ ქრისტეზე: ecce homo, აჰა, ესერა ჭეშმარიტი კაცი.

ბაზარში ჩავლილმა იმ გასწავლულმა იურისტმა სწორედ ამგვარი თვალით შეხედა ძმა ბერნარდოს, რომელიც იდიოტივით და კრეტინივით ითმენდა, და უღიმოდა ათასგვარ შეურაცხყოფას, და ჩაილაპარაკა, შეუძლებელია ეს კაცი წმიდანი არ იყოსო.
ეს კრეტინია, ცოდვა მას არასოდეს მიკარებია. შობითგანვე უცოდველს, გზა სამოთხისკენ გამზადებული აქვს.

გაწბილებული დიოგენე

დიოგენე, რათა სოკრატესთვის ამაო პატივმოყვარებისადმი თავისი გულგრილობა ეჩვენებინა, დაგლეჯილი მოსასხამით გამოეცხადა მას. სოკრატემ კი: შენი მოსასხამის ყოველი ნაგლეჯიდან პატივმოყვარეობა იყურებაო.

პასუხი იმას ააშკარავებს, რომ ხშირად ზღვარი იშლება სიმდაბლესა და პატივმოყვარეობას შორის. ხშირად პატივმოყვარეობა სიმდაბლის სამოსელშია გამოწყობილი. სიმდაბლეში მისდაუნებურად პატივმოყვარეობა ჭვივის.

რა ქნას ადამიანმა, როგორ მოიქცეს თავმდაბალი ადამიანი, რომ მისი თავმდაბლობა სიამაყეს არ აცხადებდეს?

მეტა-მეტი-მიღმა

გივი მარგველაშვილი ამბობდა: "ჩემი გმირები გარბიან *მეტაში*, მეორე ნაპირზე...". - "იმიტომ ხომ არ გარბიან, რომ აქეთა ნაპირზე ზედ*მეტ*ნი არიან?" - "არა. თავად ნაპირი

მოითხოვს გადასვლას. გადასვლა პირველადია, როგორც ინდრას ნაბიჯი, რითაც მეორე ნაპირი შეიქმნა".

"იმანუელ კანტი რატომ არსად არ ახსენებს არსებითად ენას?" - "კანტს არ აინტერესებს ცალკეული ენები, როგორც არ აინტერესებს ცალკეული ადამიანის აზროვნება, არამედ გონება როგორც ასეთი. კანტს აინტერესებს *მეტაენა*. მეტაენას რომ არ ეარსება, თარგმანი შეუძლებელი იქნებოდა... გერმანული ენიდან გამომდინარე თარგმანი - über-setzen, über-tragen - არის გადასმა, გადაყვანა ერთი ნაპირიდან მეორეზე. უნდა არსებობდეს ორი ნაპირი, რომ გადასმა-გადასვლა განხორციელდეს. ორი ნაპირი კი ყოველთვის არის, ეს სოფლის დასაბამიერი სტრუქტურაა".

განსხვავებულ ენათა მიღმა (*მეტა-*), როგორც კრისტალის ხერხემალი, ჭვივის მეტაენა, რომელმაც შესაძლებელი გახადა, რომ მოციქულთა მეტყველება ყველასთვის გასაგები ყოფილიყო. აი, ისინი ლაპარაკობენ არამეულად, თავიანთ მშობლიური ენაზე და იქ დიასპორის ქვეყნებიდან შეკრებილთ მათი სიტყვა თავ-თავიანთ ენებზე ესმოდათ.

XXXVI

***

რენესანსის მეხოტბენი ზემოდან უყურებდნენ შუასაუკუნეების ბიზანტიურ ხატებს, რომლებიც უკუპერსპექტივის პრინციპით იყო შესრულებული, სწორი პერსპექტივის დარღვევის ნაყოფად მიაჩნდათ. თითქოს რენესანსული ფერწერა თავისი ახალი ტექნიკით ხატწერის შემდგომი პროგრესის შედეგი ყოფილიყოს. ბოლოს გაირკვა, რომ პერსპექტივას და უკუპერსპექტივას მხატვრობაში თავ-თავისი სრულყოფა და გამოყენების სფეროები აქვთ და მათი ერთ სიბრტყეზე და ერთ ევოლუციურ ხაზზე განლაგება უმართებულოა. თითოეული თავის მსოფლხედვას ააშკარავებს. უკუპერსპექტივა ქმნის ხატების არამქვეყნიურ საკრალურ სივრცეს, პერსპექტივა კი იმავე სეკულარულ გეომეტრიულ სივრცეში გვამყოფებს, სადაც ჩვენ, როგორც მაყურებლები, ფიზიკურად ვიმყოფებით. უკუპერსპექტივის სიღრმეში საგნები არ პატარავდებიან, როგორც პერსპექტივაშია; ისინი შორიდან ჩვენკენ მოდიან და ჩერდებიან - ნახატზე მათი მოსვლაა გამოხატული. უკუპერსპექტივა ყოვლისმხილველი თვალია, შენობის შიდას და გარეს, სამივე კედელს ერთდროულად რომ ჭვრეტს. თვალი ხედავს წმიდანის სახესა და კეფას ერთდროულად. აქ ხედვის სხვადასხვა კუთხეები ერთ ყოვლისმომცველ ხედვაშია მოქცეული. ეს ღვთის თვალით დანახული სივრცეა - იმას გვიჩვენებს, რასაც სახარება სიტყვებით გვეუბნება: "წინანი უკუანა და უკუანანი წინა".

უკუპერსპექტივულ ხატებში სინათლის წყარო არ ჩანს, საგნები ჩრდილს არ აფენენ, ყველაფერი ნათელშია განზავებული.

***

ერთხელ ზარათუსტრა ჰაომას მოსამზადებელი წყლის ამოსაღებად შუა მდინარეში შევიდა. ბადიით წყალი ამოხაპა თუ არა, იგრძნო, რომ ჩრდილი დაეკარგა. სწორედ ამ დროს აჰურამაზდა გამოეცხადა და დაელაპარაკა და ყველაფერი, რაც მოისმინა, ავესტას გათებშია (საგალობლებში) მოქცეული.

აჰურამაზდას ნათელი არ ჰგავდა ხილული მზის ნათელს, რომელიც ჩრდილებს აფენს საგნების უკან. აჰურამაზდას ზებუნებრივ ნათელში გაკვალთულმა ჩრდილი დაკარგა, რაც სხვა შემთხვევაში ავის ნიშანი იქნებოდა.

ეს ნიშნავს, რომ ზარათუსტრა აჰურამაზდას შექმნილ სამყაროში აღმოჩნდა, სადაც ანგრამაინიუს (არიმანის) ნამოქმედარს ჯერ კიდევ არ შეეღწია.

სიყვარული ბიბლიაში

იმ თვალუწვდენელ ეპოპეაში, როგორიც ბიბლიაა, სადაც მრავალმხრივი ვნებები ტრიალებს, თითქოს ადგილი ვერ უპოვია ქალ-ვაჟთა შორის სიყვარულს. თითქოს ყველაფერი რომანტიული, რაც დაფარულია მთელ ბიბლიაში, ერთმა "ქებათა ქებამ" შეიწოვა. მაგრამ, იყო შანსი, რომ ეს დრამატული პოემა ბიბლიურ წიგნებს შორის არ მოხვედრილიყო. რაბი აკიბას (გარდ. 132) ავტორიტეტის წყალობით გადაურჩა ეს ტექსტი დავიწყებას ან, უკეთეს შემთხვევაში, აპოკრიფებში მოხვედრას. მისმა სიტყვებმა "მთელი საუკუნე იმ ერთ დღედ არ ღირს, როცა ისრაელს *ქებათა ქება* მიეცა. მთელი წერილის ხომ წმიდაა, *ქებათა ქება* წმიდათა წმიდაა" - განსაზღვრა ამ წიგნის სამუდამო ადგილი.

***

არსებობს ორი წყვილი, რომელთაც სიყვარულს გვერდი ვერ აუარა ბიბლიამ: ისაკი და რებეკა, იაკობი და რახელი. მათ სხვადასხვგვარად გამოხატეს სიყვარული.

"და გავიდა ისაკი მინდორში სასეირნოდ საღამოხანს, და გაიხედა და ხედავს, აჰა, აქლემები მოდიან. და გაიხედა რებეკამ, დაინახა ისაკი და აქლემიდან ჩამოხდა. და უთხრა მსახურს: ვინ არის ის კაცი, მინდორში რომ მოდის ჩვენს შესახვედრად? და თქვა მსახურმა: ჩემი პატრონია. და აიღო ქალმა რიდე და ჩამოიფარა... და შეიყვანა ისაკმა ქალი თავისი დედის სარას კარავში და შეირთო ცოლად. და შეიყვარა იგი ისაკმა და დედის გამო მწუხარება გაუქარვდა" (დაბ. 24:64).

სხვაგვარი იყო იაკობისა და რახელის შეხვედრა. და სიყვარულის სხვაგვარი გამოხატულება.

ჭასთან, სადაც მწყემსები ცხვრებს არწყულებდნენ, იაკობი პირველად შეხვდა რახელს. მან სიტყვის თქმაც ვერ მოახერხა, მხოლოდ "აკოცა, ხმა აღმოხდა და ატირდა" (დაბ. 29:11).

აქ განუზომლად ნაკლებია სიტყვები, ვიდრე ისაკის ეპიზოდში, თუმცა სიყვარული აქ უფრო ძლიერია.

***

ქართველი თავადი, გენერალი, იმპერატორის კარზე მიღებული პირი, სასწაულით რომ გადაურჩა რეპრესიებს და მშობლიურ კუთხეს შეეფარა, დადიოდა სოფლიდან სოფლად, კარიდან კარზე, ერთგულ ნათესავებში და, გულს რა მოიოხებდა, გამომშვიდობებისას მასპინძლებს ამ ამოოხვრას უტოვებდა: Эх, бедный Государь... И себя погубил, и нас погубил!

ნების თავისუფლება

თუ აბსოლუტური არსება, როგორიც არის ღმერთი, წინასწარჭვრეტს მომავალში მოსახდენს, მათ შორის ჩემს საქციელსაც, რომელიც ღვთის თვალსაწიერში, რაკი ის ჭვრეტს მას, უკვე მომხდარია, - უკვე მოხდა ჩემს დაბადებამდე, უფრო მეტიც, "უწინარეს ყოველთა საუნუნეთა", თუ ასე არაა, ის აბსოლუტური მჭვრეტელი არ ყოფილა, - ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ადამიანი მოკლებულია თავისუფალ ნებას? ქრისტიანობა კი გვასწავლის, რომ ადამიანს აქვს თავისუფალი არჩევანის თანდაყოლილი უნარი, რომლის გამოყენებამ განსაზღვრა მისი

შემდგომი ბედი თუ ბედკრულობა ისტორიაში. როგორ შევარიგოთ ღვთის ყოვლის - წარსულის, აწმყოს, მომავლის - მჭვრეტელობა (რაც აბსოლუტის თვალში მომავლის აქტუალურ არსებობას გულისხმობს) ადამიანის თავისუფალი ნებასთან?

ასე შევხედოთ: მირიადი შესაძლებლობებიდან, რომლებიც ღმერთმა ჩემთან ერთად შექმნა, ერთ-ერთი ხომ ჩემი არჩევანი იქნება? ამ არჩევანს ხედავს ღმერთი თავისი ყოვლისმჭვრეტელი თვალით და პროვიდენციის შინაარსში შეაქვს. ჩემი ქმედებები პროვიდენციის მხოლოდ შინაარსია, დამოუკიდებლივ იმისა, თავისუფალი ნებით არის ჩადენილი თუ გარედან კარნახით.

თუ აბსოლუტს ჩემი ჯერეთ ჩაუდენელი ქმედებების ცოდნა აქვს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი ამ ქმედებათა მიზეზია. წინასწარცოდნა არასგზით არ ზღუდავს თავისუფალ ნებას, ის მხოლოდ წინასწარ ხედავს იმას, რასაც მე გავაკეთებ.

***

ძველი მეგობარი, ჩემი ძმა არყოფილი და სხვაი ჩემი, იტყოდა: თუ სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე უკანასკნელი განმკითხველი ჩემს სასიქადულო ქმედებებს არად შერაცხავს, დაე, *ჩემი* ყველაზე სამარცხვინო წამი მაინც აარიდოს დავიწყებას სამარადისოდ.

XXXVII

რწმენა და ცოდნა

ჯორდანო ბრუნო რწმენის კაცი იყო, გალილეი - ცოდნის. ბრუნომ არ უარყო თავისი რწმენა და დაისაჯა; გალილეიმ უარყო თავისი ცოდნა და გადარჩა. ამჯერად მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა სწამდა ბრუნოს, მაგრამ ის როლი, რომლითაც კარლ იასპერსმა (ან სხვამ მასზე ადრე) დატვირთა მისი პიროვნება, რეალურია ისტორიაში და მნიშვნელოვან ეკსისტენციალურ ჭეშმარიტებას ამხელს. ბრუნოს შემთხვევა ნამდვილად პარადიგმატულია, იმ წყებაში შედის, რომლის სათავეში ისტორიის თვალსაწიერზე სოკრატე დგას და მის შემდგომ ქრისტიან მოწამეთა დასი. იასპერსი ლაკონურად წერს: "არის ჭეშმარიტება, რომელიც ვერ იტანს განდგომას და არის ჭეშმარიტება, რომლისთვისაც განდგომა არაფერია". გასაგებია მოწამეობის არსი: ქრისტიანი იმდენად სავსეა ქრისტეს ჭეშმარიტებით, რომ მისგან განდგომა და უარყოფა, საკუთარ თავზე უარისთქმის ტოლფასია. სხვაგვარად მას არ შეუძლიათ დაუმტკიცოს ქვეყანას თავისი რწმენის ჭეშმარიტება, თუ არა ჯვარზე ასვლით. ნებაყოფლობითი სიკვდილით, თავის გაწირვით, ის იხსნის თავს, თავისი პიროვნების მთლიანობას. ამ ჭეშმარიტების მატემატიკურად და ლოგიკურად დამტკიცება შესაძლებელი რომ ყოფილიყო, საეჭვოა, ვინმეს თავი გაეწირა მისთვის. "ძნელად თუ ვინმე მოკვდეს მართლისათვის..." (რომ. 5:7).

დედამიწა მაინც ბრუნავს, თუნდაც მთელი ქვეყანა უარყოფდეს ამ ჭეშმარიტებას, მაგრამ ქრისტეს რწმენის უარყოფით მორწმუნეს ნიადაგი ეშლება ფეხქვეშ. ის გაცამტვერებულია.

მთა და გამოქვაბული

სივრცის ორი განზომილება სიმაღლე და სიღრმე იმთავითვე დაიტვირთა შესაბამისად მორალური და ინტელექტუალური შინაარსით: სიმაღლეს ზნეობრივი სრულყოფილების

მისანიშნებლად ვახსენებთ, სიღრმეს სიბრძნესთან ვაკავშირებთ. ვამბობთ: მაღალი ზნეობა და ღრმა აზრი (სიბრძნე). რატომ? ალბათ იმიტომ, რომ მაღალი ზნეობა მთის მწვერვალივით ადვილად აღსაქმელია, მაგრამ მიუწვდომელი, თუმცა მისი ბაძვა შესაძლებელია.

სიბრძნე, რომელიც სიღრმეში იბადება, სიღრმეშია წასული, ფიზიკური თვალისთვის ჩაუღწევადია. გამოქვაბულის გარეთ მდგომი ვერც აღიქვამს მას და, მითუმეტეს, ვერ ბაძავს.

რამდენადაც ზნეობა ხილულია, აზრი კი - დაფარული, სიბრძნე მაინც მაღალზნეობრივ ქმედებაში შეიძლება გაცხადდეს.

ამას ყველაფერს ენა გვაუწყებს, რომელმაც სიმბოლური ადგილები მოუძებნა სივრცეში ადამიანის აქტივობებს.

ტრადიციული სიმბოლიზმი (რენე გენონი) "მთის" ხილვადობასა და "გამოქვაბულის" დაფარულობაში ჭეშმარიტების ორ მდგომარეობას ხედავს: ჭეშმარიტების ხილვადობისა, როგორც "მთისა", და ჭეშმარიტების დაფარულობისა, როგორც "გამოქვაბულისა". "მთა" სიმბოლურად გამოხატავს ადამიანის ცნობიერების ყოვლისმომცველობას, "გამოქვაბული" კი - მისი შემეცნებითი თვალსაწიერის დავიწროებას. სულიერი მნიშვნელობით "სიმაღლე" და "სიღრმე" თითქოს სინონიმებია, მაგრამ მათ შორის ის განსხვავებაა, რომ პირველი საყოველთაოა, მეორე - ელიტარული. გამოქვაბული ის ადგილია, სადაც ადამიანი სრულიად ემიჯნება გარესამყაროს და მთლიანად შინაგან განზომილებაში გადადის. ის არა მხოლოდ სიღრმის, არამედ დაფარულის და, აქედან გამომდინარე, გამოუთქმელი საიდუმლოს გამოხატულებაა. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ "გამოქვაბულის" ხანაში, რომელიც მეორეულია და, ამასთანვე, ეზოტერული (შინაგანი), მხოლოდ მცირედნი თუ სწვდებიან ჭეშმარიტებას. ამ ხანაზე ითქმის, რომ "მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ" (მ. 20:16).

***

"ენა უფრო მეტია, ვიდრე სისხლი", წერდა ფრანც როზენცვაიგი (1886-1929), ფილოსოფოსი და მესიანისტი, რომელმაც შემოქმედებითი მოწიფულობის მწვერვალზე, საღი გონებრივი აპარატის სრული შენარჩუნებით და, შესაძლოა, ჩვეულებრივზე მეტად გააქტიურებით, მეტყველებისა და მოძრაობის უნარი დაკარგა. მიუხედავად ამისა, რამდენიმე წელიწადს განაგრძობდა მარტინ ბუბერთან ერთად დაწყებულ ბიბლიის თარგმნას. (ეს გვაგონებს მაქსიმე აღმსარებლის ბედს, რომელიც, გადმოცემით, უენო და უხელო განაგრძობდა მოღვაწეობას). როგორ ახერხებდა ამას როზენცვაიგი ძნელი წარმოსადგენია, - ამბობენ, ხმა შეცვალა სახის ნაკვთებისა და თვალის მოძრაობამ, რომელთაც მისი ერთგული ქალი ვერბალურ სახეს აძლევდა, - მას სწორედ ამ დროს შეეძლო ეგრძნო ენის სტიქიური მოწოლა თავისი წმიდა სახით, რაც მის განცდაში სისხლზე უფრო ცხოველმყოფელი იყო.

რატომ დააწყვილა ერთმანეთთან როზენცვაიგმა ენა და სისხლი? ჩანს, ებრაელობის სუბსტანციას ჯერ ენაში, მერე სისხლში ხედავდა.

დავიწყებული უფლისწულობა

კითხვაზე, რა არის სატანის მოქმედების ყველაზე ცუდი შედეგიო, პასუხად ითქვა: როცა ადამიანს დავიწყებული აქვს თავისი უფლისწულობა. "უფლისწულობაში" სულიერ-ინტელექტუალური თავისუფლება და ბუნებითი მოწოდება უნდა ვიგულისხმოთ. როცა ადამიანს დავიწყებული აქვს, რომ გონებრივი შემოქმედების ჯილდო თავად შემოქმედებაშია, რომ შემოქმედების ნიჭი შემოქმედების ნაყოფთან ერთად თავისთავად არის ჯილდო, ამიტომაც

ის არ შეიძლება იყოს საშუალება მასზე უდარესი ფასეულობის მოსაპოვებლად, რომ სულიერების სამსახურად მოწოდებული ნიჭი არ შეიძლება გადაიცვალოს ყოფით კეთილდღეობაზე. თუ ეს დავიწყებულია, განა აქ არ ჩანს ბოროტის მცდელობათა ყველაზე საშინელი შედეგი? სად არის სწავლულისა თუ მოძღვრის მოღვაწეობის ჯილდო? "მისი ჯილდო ის არის, - ამბობს ნორბერტ ვინერი, - რომ იგი უფლებამოსილი ხდება მონაწილეობა მიიღოს მთელი კაცობრიობის დიად წამოწყებებში". თავისი ნიჭის, თავისი მოწოდების, თავისი სინდისის კარნახით გონებრივი მუშაკი, როგორც წევრი საკაცობრიო ელიტისა, აკეთებს არჩევანს და ერთგული რჩება ამ არჩევანისა, რომელიც არის ერთადერთი მისი პრივილეგია - აქ არის მისი მოვალეობაც და უფლებაც მათ ჰარმონიულ ერთიანობაში. ეს არის მისი უფლისწულობა, ეს არის მისი აზნაურობა ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი გაგებით.

სწავლული არ უნდა მოელოდეს, რომ მისი შემოქმედების ასპარეზი ია-ვარდით იქნება მოფენილი. ის ბრძოლის ველია და ამ ველზე უხდება მას, როგორც ჯარისკაცს, ბრძოლა ჭეშმარიტების დასაცავად, როგორც აღმსარებელს, იმათი სულების გადასარჩებად, ვისაც მან თავისი მოწოდებით უნდა აგრძნობინოს ჭეშმარიტების გემო, გააღვიძოს მის სინდისში აზნაურობის ხსოვნა.

ამ ე. წ. გარდამავალ, ღირებულებათა დაკნინებისა თუ ქრობის ხანაში, როცა ახალ-ახალი "დემოკრატიული" კერპები იბადება და საზოგადოებაც მზად არის იტყვის უარს კეთილდღეობაზე, პატივზე, თანამდებობაზე, რეიტინგებზე, როცა დგება მის წინაშე არჩევანი: ან ეს ან ის? ან მაღალი მისია ან პატივი? წარუვალი ან წარმავალი? თვისება თუ რაოდენობა? შინაგანი თუ გარეგანი? ჭეშმარიტება თუ ჭეშმარიტებას მიმსგავსებული სიცრუე? რას უნდა ესწრაფოდეს ადამიანი - "დიდებას", რომელზეც უარი თქვა ქრისტემ, თუ ჭეშმარიტებას, რომელზეც თქვა, რომ "განგათავისუფლნეს თქვენ?"

***

დაპირისპირება ტოტალიტარიზმსა და დემოკრატიას შორის ადამიანსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობაზეა გადატეხილი. ტოტალიტარიზმს მიზნად აქვს სახელმწიფოს ტოტალური გაბატონება ადამიანის პიროვნებაზე; განიხილავს მას როგორც ერთიანი მასის ნაწილს. და ნაწილი, როგორც უმცირესი, უნდა ემორჩილებოდეს მთელს. პიროვნება ვალდებულია დათმოს თავისი იდენტობა მთელის სასარგებლოდ.

სახელმწიფო ტოტალიტარიზმის ცნება სრულებითაც არ არის საჭირო იმისათვის, რომ ადამიანის პიროვნებას წყალი შეუდგეს. განა ყოველი საზოგადოება ამას არ ცდილობს? რომელ საუკუნეში არ იყო ასე? როდის არ ცდილობდა საზოგადოება მოეთოკა პიროვნების გამოხდომანი? რომელი საზოგადოება არ ცდილობს ამსახუროს თავის სასარგებლოდ პიროვნებები, ხელი ააღებინოს მის უნიკალობაზე, განუმეორებლობაზე, გათქვიფოს მთელში, მთლიან მასაში. მთელი ინდივიდზე უფრო მნიშვნელოვანია, მთელი ინდივიდის მიზანია - აი, ტოტალიტარიზმის პრინციპი. ცნობილი ჰუმანისტი ტეიარ დე შარდენიც კი მიიჩნევს, რომ კოლექტიური ცნობიერება, ანუ კოლექტიური პიროვნება ევოლუციის მიზანია, უფრო მაღალი საფეხურია, ვიდრე ინდივიდუალური პიროვნება.

ჩვენს XIX საუკუნეში ერთადერთი ვაჟა-ფშაველა იყო, რომელმაც გაიაზრა ამ პრობლემის სიმწვავე და პიროვნების მხარი დაიჭირა ტოტალიტარული თემის წინააღმდეგ.

მისი თემი ხომ ტოტალიტარიზმის პარადიგმაა.

***

ძველი მეგობარი, ჩემი ძმა არყოფილი და სხვაი ჩემი, კიდევ ამბობდა: სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ჩემი ყველაზე საამაყო წამის გაცოცხლებას არ ვინატრებდი, არამედ უღიმღამო გზის პირზე, გამტვერილ ბალახ-ბულახებში, დავიწყებული წამის ამოტივტივებას...

XXXVIII

შუმერული ანდაზები

"რაც ფარულად ითქმის, ქალების უბანში სააშკარაოდ ითქმება";

"რა მწერალია ის მწერალი, ვინც შუმერული არ იცის?";

"გულში არ იბადება სიძულვილი, სიძულვილი ლაპარაკში იბადება";

"გოგონა, შენს მაგივრად შენი ძმა ვერ აირჩევს. შენ ვის აირჩევ?";

"ბედი კაცისთვის უდაბნოში გაშლილი სამოსელია";

"ნაპოვნზე ნუ ლაპარაკობ, დაკარგულზე ილაპარაკე";

"სიმდიდრე წაგივა, სიღარიბე მუდამ შენთანაა";

"ვისაც ბევრი რამ აქვს, მუდამ დარაჯად არის";

"ნასესხებ პურს უკან არავინ აბრუნებს";

"მწყემსმა მიწისმუშაკობას არ უნდა მიყოს ხელი";

"ვინც ლუდს სვამს, ის წყალსაც დალევს";

"ტყუილის შემდეგ მართალი ნათქვამიც ტყუილად ჩაგეთვლება";

"ძაღლს 'აიღე' ესმის, 'დადევი' არ ესმის";

"ძაღლი ძვალს ტკვერავდა და უკანალს ეუბნებოდა: აჰა, შენს დასაზიანებლად მოდისო";

"მგელმა უთუს (მზეს) შესჩივლა: ყველა ცხოველი ერთად ნავარდობს, მე კი სულ მარტო ვარო";

"უძაღლო ქალაქში მელა ბატონობს".

შუმერული იგავი

"ერთხელ მელამ ენლილს [შუმერის ღმერთს] ხარის რქები მოსთხოვა. როცა ხარის რქები ამოუვიდა, ძლიერმა წვიმამ დასცხო. რქები მის თავზე მაღლა აღმართულიყო და მელამ თავის სოროში შესვლა ვეღარ შეძლო. შუაღამემდე ძლიერი ქარი ქროდა და საწვიმარ ღრუბლებს მოდენიდა. მერე, როცა წვიმა შეწყდა და ბეწვი გაუშრა, მელამ თქვა: წავალ, ამ სამკაულს თავის კანონიერ პატრონს დავუბრუნებო.

დღე ღრუბლიანი იყო, მაგრამ არ წვიმდა. კი წვიმდა, მაგრამ არა იმდენად, რომ ადამიანს ფეხსამოსი გაეხადა. იდიგინა (ტიგროსი) თავის კალაპოტიდან არ გადასულა, ასე რომ, წყალს სახნავ-სათესი მიწები არ დაუტბორავს".

რა აკავშირებს ამ ორ აბზაცს ერთმანეთთან, გაუგებარია. თუ რამ საერთოა ამ ორ ნარატივს შორის, ეს საერთო სიტყვა წვიმაა, მაგრამ ჩვენი განჭვრეტა ამაზე შორს ვერ მიდის.

თმენა, მოლოდინი, იმედი

გაბრიელ მარსელი ერთგან წერს, რომ იმედი შეფარულია სურვილში, როგორც მოთმინება - პასიურობაში.

ან, დავძენ, სხვაგვარად: გარედან დანახული მოთმინება პასიურობად ჩანს, იმედი კი - სურვილად. ეს ადამიანის ფუნდამენტურ განცდათა დაკნინებაა. მოთმინება და იმედი შინაგან

რთული სულიერ-ინტელექტუალური მდგომარეობაა. რა არის პასიურობა მოთმინების წინაშე, რა არის სურვილი იმედის წინაშე?

ეს აზრი არ არის ბოლომდე გახსნილი. მაგრამ რას ამბობს ენა, რას გვკარნახობს ქართული ენა *თმენა-მოთმინების* მეშვეობით?

ქართულად ნათარგმნ ფსალმუნებში და "ვეფხისტყოსანში" მათ ორგანული მნშვნელობა აქვთ შენარჩუნებული, იმის ადექვატური, რაც სინამდვილეშია.

ეს ერთი განცდის სამსახეობაა: თმენა - მოლოდინი - იმედი. - ვითმენ მოლოდინით და იმედით, ვიმედოვნებ მოთმინებით. აღიარება "შენ ხარ თმენა ჩემი" (ფსალმ. 70:15) შეიცავს იმის აღიარებასაც, რომ "შენ ხარ მოლოდინი ჩემი", "შენ ხარ იმედი ჩემი".

"...რამეთუ არს სასოება თმენისაÁ..." (იოანე ზედაზნელის ცხოვრებიდან), ანუ: მოთმინებაში არის იმედი და ის განამტკიცებს მას.

"თმენით დაგითმო შენ, უფალო, ვიდრემდის მომხედნე" (შიოს ცხოვრებიდან), ანუ: იმედით გელი, ვიდრე მომხედავდე.

არის პავლე მოციქულის ეპისტოლეში უნიკალური ბერძნული სიტყვა *აპოკარადოკია*, რომელსაც ორად-ორგზის (რომ. 8:19; ფილ. 1:20) იყენებს ის დაძაბული, მძაფრზე მძაფრი მოლოდინის გამოსახატავად, რაც სხვა არაფერია, თუ არა რწმენასთან და მოთმინებასთან შერწყმული მოლოდინი.

რა ნიუანსს სძენს "ვეფხისტყაოსანი" ამ სიტყვას - თმობას? როგორ უნდა გვესმოდეს ამ სტროფში "თმობის თმობა":

"ამა საქმესა მიჯნური ნუ უხმობს მიჯნურობასა
დღეს ერთი უნდა, ხვალე სხვა, სთმობდეს გაყრისა თმობასა"
. . . . . .
კარგი მიუჯნური იგია, ვინ იქმს სოფლისა თმობასა" (27)

ან: "ღმერთმან არ მომცა ყმა-შვილი, ვარ საწუთროსა თმობითა" (64)

როგორ ითარგმნოს ჩვენს - დღევანდელ ენაზე "საწუთროს/სოფლის თმობა"?

***

პლატონი ამბობს: "ვინც მუზათაგან მოვლენილი შეშლილობის გარეშე ეცდება მიადგეს შემოქმედების ზღურბლს იმ იმედით, რომ მხოლოდ ხელოვნების წყალობით გახდეს კარგი პოეტი, იგი ჯერ კიდევ შორს არის სრულყოფილებისაგან..." ("ფედროსი")

დემოკრიტეც, ეს მატერიალისტი, ფიქრობდა, სიგიჟის გარეშე დიდი პოეტი არ არსებობსო.

აქედან გამომდინარე, სხვაა ლექსის წერის ხელოვნება (ტექნე) ანუ ტექნიკა და სხვაა პოეტური შემოქმედება. ისინი სხვადასხვა წყაროებით საზრდოობენ. პირველი ჭურჭელია, მეორე - შთაგონება, რომელიც მასში იღვრება. და ეს გონების ფონზე სიგიჟედ ჩანს გარეშე თვალში.

იგივე ითქმის მიჯნურობაზე, პლატონისეული მანიის ერთ-ერთ სახეობაზე, როგორც "ვეფხისტყაოსნის" პროლოგშია განმარტებული.

რატომ არ იყენებს პოეტი პროლოგში ქართულ "სიყვარულს" და მიმართავს არაბულ "მიჯნურობას"? შეგვიძლია ვთქვათ, რომ სხვაა სიყვარული, სხვაა მიჯნურობა?

რუსთაველი ამბობს: მრავალ არიან შეყვარებულნი, მცირედნი - მიჯნურნი.

XXXIX

მგელი და ცხვარი

ორი შეურიგებელი და ერთმანეთის მიმართ შეუვალი მსოფლხედვა - როგორ არსებობენ ისინი ერთი კულტურის ჭერქვეშ? როგორ ცნობენ ისინი, როგორ ეგუებიან ერთმანეთს?

ერთი მხრივ, თუ "და შემდგომად ორისა დღისა მოვიდა მგელი იგი [ვარსქენ] ტაძრად", მეორე მხრივ, "ველს მიდის ოჩიაური, მგელი, მჭამელი ცხვრისაო", ან თუნდაც "მუხლი მაიბი მგლისაო", "ლეკვები მგლისანი" და სხვა და სხვა. ქრისტიან მეფეს აშოტს დადევნებული მგლები კლავენ როგორც ცხვარს საკურთხეველზე. მგელი ძლევამოსილების სიმბოლოა, ცხვარი კი - უმწეობის. ძლევამოსილების მეორე მხარე სისასტიკეა, უმწეობისა კი - მორჩილება და თვინიერება და აქედან გამომდინარე ქრისტიანული სათნოებანი.

მგელი, ჩვენი სიხარბის სახით გამოცხადებული, სამოთხის გზას გვიღობავს, კრავი კი გაშლილი დროშით გვეგებება.

თუმცა მგლის სიხარბე, როგორც იგავებში ჩანს, პრობლემატურია. შესაძლოა, მგელი სულაც არ არის სხვა რომელიმე ცხოველზე ხარბი. მაგრამ ის სიმბოლოდ იქცა და ამას არაფერი ეშველება.

მეორე მხრივ, მგელი თავისუფლების სიმბოლოდაც შეგვიძლია მივიჩნიოთ, ცხვარი კი - მონობის, მორჩილების. მგელი გამოკვეთილი ინდივიდუალობაა, ცხვარი კი ცხვარია, უსახური თუ ერთსახე, ფარაში გამოურჩეველი.

მგელი ერთგულების სიმბოლოც შეიძლება იყოს. ერთმა ნატურალისტმა, რომელმაც მგლის ბუნაგში შეაღწია და მისი ბუნების წვდომისათვის მისი ეკსკრემენტიც კი გაკვნიტა, ძუ მგელზე დაწერა, ცოლად მხოლოდ ასეთ არსებას ვინატრებდიო.

LX

უფლის წინასწარმეტყველიდან მეფის მასხარამდე

ისრაელში მეფეებს კარზე წინასწარმეტყველები ჰყავდათ, რომლებიც რჩევას აძლევდნენ მათ გადამწყვეტ ჟამს. ერთადერთი წინასწარმეტყველი იყო, რომელსაც უფლება ჰქონდა მეფისათვის სიმართლე ეთქვა, თუნდაც ეს მის ინტიმურ ცხოვრებას შეხებოდა. წინასწარმეტყველი მისი სინდისის, "მამხილებელი გონების" პერსინიფიკაცია იყო. იგავურად ნათქვამში მეფე თავის პიროვნებას და თავის ქმედებებს ამოიცნობდა. ნათან წინასწარმეტყველმა იგავით ამხილა დავით მეფე, რომელმაც თავისი ერთგული ყმა მისი ცოლის დაპატრონების მიზნით მუხანათურად მოაკვლევინა. როგორც ჩანს, იგავური ენა არბილებს მხილების სისასტიკეს: იგავს ვირტუალურ სივრცეში გადააქვს რეალურად ჩადენილი საქციელი, წინასწარმეტყველი უბრალოდ ყვება ამბავს, რომლის სუბიექტად მეფე ან დაინახავს თავის თავს, ან არა. წინასწარმეტყველს კი თავისი მისია შესრულებული ექნება. მაგრამ მეფემ უნდა იფიქროს იგავზე, რადგან მან იცის, რომ წინასწარმეტყველი ფუჭად არ წარმოთქვამს იგავებს.

ალექსუნა - "ღვთისსუნელი"

არც მასხარები წარმოთქვამენ ფუჭად იგავებს, ისინი ხომ სულმუდამ იგავებით მეტყველებენ. პირდაპირი მნიშვნელობით ისინი არასოდეს ლაპარაკობენ, რის გამოც ვერავინ ხვდება - როდის ხუმრობენ, როდის სერიოზულად ლაპარაკობენ, როდის ამბობენ სისულელეს, როდის სიჭკვიანეს. ამ ჯუჯებს (ხშირად სამეფო კარზე გამოყავთ მასხარათა განსაკუთრებული ჯიში) პასუხისმგებლობა არა აქვთ - პასუხს არავინ მოსთხოვს, არაფრის ეშინიათ. ვერავინ ხვდება, როდის აშინებთ სიმართლის თქმა, როდის არა. მათი შიშიც კი სიმულაციურია. ისინი მეფის სამსახურში არიან და მეფე ითმენს მათგან გაგონილ სიმართლეს და ერთობა კიდეც.
მასხარებს არა მხოლოდ სამეფო კარზე ვხედავთ. მათი ასპარეზი ზოგჯერ მთელი სოფელი და დაბაა. თუ კარის მასხარა მეფეს ემსახურება, ესენი თავისუფალნი არიან, როგორც ძველი აღთქმის წინასწარმეტყველნი. შეხვდებით დაბა-სოფლის მასხარას, სახელად ალექსუნას და დას მისას ფატიუკას, ერთად დადიან, ფეხშიშველები დატანტალებენ. ალექსუნა თავისი მახვილი წვერით და სიტყვით - რით არ არის ის წინასწარმეტყველი, თმაგაწეწილი, შეშლილი? სულელი ვარ, ამბობს, "აბა, მე სუნელი არა ვარ, ჭკუა მომეკითხება?" დაჯდებოდა ალექსუნა რაიკომის კიბის საფეხურზე და ამსვლელ-ჩამომსვლელთა გასაგონად ლაპარაკობდა მართალს მიმსგავსებულ "სისუნელეებს". - "რას სუნელობ შენ", ხუმრობით დატუქსავდა შეცბუნებული დიდიკაცი. - "სუნელი რო არ ვიყო, ამას ვილაპარაკებდიო?" და ვერავინ ხვდებოდა მართლა "სუნელია" ეს ალექსუნა, თუ ზედმეტად ჭკვიანი.

ერთხელაც, მავანი ჩაუვლის მას, თვალს თვალში გაუყრის და, ფრანჩესკო ასიზელის დროინდელი სწავლული კაცივით ჩაილაპარაკებს: "შეუძლებელია, რომ ეს კაცი სულელი იყოს". დამხვდურის უძრავი მზერა კი იტყვის: "მიხვდიი?"

ფატიუკა რიონმა წაიღო და ბევრი ძებნის შემდეგ ალექსუნამ ხუთიოდე კილომეტრს იქით, სოფელ ნიგვზნარაში იპოვა გამორიყული და. მერე ამბობდა ალექსუნა თავის დაზე, ფატიუკაზე: "რიონია ჩემი სიძეაო, რიონს გავაყოლეო".

ალუდას ამაო ნახტომი

ალუდას ნახტომი მეცნიერულ ჰიპოთეზას ჰგავს, რომლისაც არავის სჯერა. ეს სისულელეა, ეს როგორ შეიძლება, ეს საღი აზრის საწინააღმდეგოა. გაურჯულებელის გარჯულება შეიძლება? ის კი ვერაფერს ამტკიცებს, რადგან მისი აზრი, ამ აზრის აღმოჩენა, ჯერ-ჯერობით რწმენის სფეროშია და სხვისთვის (გარეშესთვის) მიუწვდომელია. მას ისღა დარჩენია, რომ ჩაიდინოს ის, რაც ჩაიდინა. რითაც დაამტკიცებს, რომ ის აღარ ეკუთვნის ამ ხალხს, ამ საზოგადოებას. ალუდა ან ნამდვილად აქცევს (გაანამდვილებს) თავის ჰიპოთეზას, ან ისევ ჰიპოთეზაში დარჩება. ალბათ რამდენიმე თაობას დაუცდის, რომ ყველამ ირწმუნოს, როგორც ჰელიოტროპული სისტემა ირწმუნეს.

ჩვენ მუდმივად ჰიპოთეზებში ვცხოვრობთ, ზოგიერთ მათგანს ალბათ განამდვილება არ უწერია.

"რატომ და იმიტომ!"

"თუ ღვთისმეტყველი ხარ, ჭეშმარიტად ილოცებ; თუ ჭეშმარიტად ლოცულობ, ღვთისმეტყველი ხარ" (ევაგრე პონტოელი).

"ჩვენი მოძღვრება ევქარისტიის თანახმიერია; ევქარისტია კი თავის მხრივ ამტკიცებს მოძღვრებას" (ირინეევს ლიონელი).

"შეიცანი, რათა ირწმუნო; ირწმუნე, რათა შეიცნო" (ნეტარი ავგუსტინე).

"მთელი ნაწილების მიხედვით შეიცნობა, ნაწილი კი - მთელის საფუძველზე" (ანტიკური რიტორიკის ფორმულა გ.-ჰ. გადამერის სტატიიდან "გაგების წრე")

როგორ მოვხვდეთ ამ ჩაკეტილ წრეში, თუ თავიდანვე მის შიგნით არ ვიმყოფებით?

როგორც ჩანს, იმთავითვე უნდა ვიმყოფებოდეთ, იმთავითვე ჩართულნი უნდა ვიყოთ.

ერთადერთი პასუხი კითხვაზე "რატომ" არის "იმიტომ", რითაც, ჩვეულებრივ, ბავშვების ცნობისწადილს აკმაყოფილებენ. და ეს ბუნებრივია უკანასკნელი საზრისის წინაშე დასმული რატომ-კითხვისთვის. აქაც ჰერმენევტიკულ წრეში ვართ მოქცეული. ეს პასუხიც ამ წრის შიგნიდან არის გაცემული.

ეს თითქოს არაფრისმთქმელი პასუხია, მაგრამ ის მიგვანიშნებს ჩვენს სამყაროზე, მთლიანზე, როგორც ასეთზე, რომლის გარეშე სხვა არსებობა არ არსებობს, და ამ არსებობას ისეთი სიცხადე აქვს, რომ სწორედ ამგვარ პასუხს - "რატომ და იმიტომ" - მოითხოვს.

ბავშვი ყოფიერების (ქმნილების) შუაგულშია, ის შუაგულიდან სვამს კითხვას და ამიტომაც მისთვის პასუხი "იმიტომ" გასაგებია.

***

დე კვინსის (ცნობილი "ოპიუმის ინგლისელი მწეველის აღსარების" ავტორი), შესაძლოა, როგორც ემანუელ სვედენბორგის მკითხველს (ხორხე ლუის ბორხესის ცნობით), უთქვამს: "ყველაზე უმნიშვნელო საგნები ყველაზე მნიშვნელოვან საგანთა იდუმალი სარკეაო".

ვერ შევამოწმებთ, მაგრამ სვედენბორგი ნამდვილად იტყოდა ამას. მისი ხედვით (ჭვრეტით) ხომ ყოველ ამქვეყნიურ საგანს და მოვლენას თავისი ანალოგი აქვს მეტაფიზიკურ (მიღმიერ) სამყაროში. "მითხარ, უსახო რა ქმნილა?" მისი მჭვრეტელობა იქამდე კი აღწევს, რომ კუჭ-ნაწლავის ანალოგს ხედავს ანგელოსების ბუნებაში (ცხადია, ისინი არა ნივთიერ, არამედ სულიერ საზრდოს ინელებენ მათი მეშვეობით). ასეთი ხედვა ოდიოზურად ჩანს ორთოდოქსული (კათოლიკურ-მართლმადიდებლური) მოძღვრების შუქზე.

ეს სხვა საკითხია, მაგრამ ახლა ისმის კითხვა უმნიშვნელო საგანთა ადგილზე ნივთიერ თუ სულიერ სამყაროში. რაც უნდა უმნიშვნელო იყოს საგანი, თუნდაც ქვიშის მარცვალი თუ თვალისთვის ძლივს შესამჩნევი მწერი, თანახმა იქნება თუ არა შემოქმედი, რომ ამოიღოს იგი არსებობიდან, რაშიც იმთავითვე ჩართო? თუ ამოიღებს, რა მოხდება - ვისა აქვს ამის წარმოდგენის უნარი?

უსახო სახე

"როგორადაც არ უნდა დავანაწევრო ვეშაპის ტანი, მე მაინც მის ზედაპირზე ვრჩები; მე არ ვიცი იგი და არასოდეს მეცოდინება. თუ მე მისი კუდიც კი არ ვიცი, მისი თავი როგორღა მეცოდინება! და, მით უმეტეს, როგორ შევიცნობ მის სახეს, თუ მას საერთოდ არა აქვს სახე? ჩემს ზურგს, კუდს, დაინახავ, - თითქოს ამბობდეს, - მაგრამ ჩემს სახეს ვერ იხილავო. თუმცა წესიერად მის ზურგშიც ვერ გავრკვეულვარ და რა ვთქვა მის სახეზე, როცა მას სახე არც კი გააჩნია" (თავი 86).

ჰერმან მელვილის "მობი დიკი", საიდანაც ეს მონაკვეთია მოტანილი, თავისი ჩანაფიქრით სიმბოლური ნაწარმოებია. "იობის ვეშაპის" მდევნელი აქაბი მოსახელეა ბიბლიური ისრაელის მეფისა, რომლის სახელი ღვთისმებრძოლეობასთან არის ასოცირებული. დაუდგრომელი და შეუპოვარი აქაბი ებრძის არსებას, რომლის სახე მას არ უხილავს და ვერც იხილავს, რადგან მას სახე არა აქვს, მსგავსად იმისა, როგორც უსახობას ღვთის ატრიბუტად ასახელებენ უკუთქმით ღვთისმეტყველებაში. "სახე რა გითხრა მის უსახოსა სახისა?" ღმერთმა ყოველი სახე შექმნა, ანუ "სახე ყოვლისა ტანისა", მაგრამ თავად უსახოა. ვერ შევიცნობთ ვერც მის თავს, ვერც ბოლოს, საიდან და როდის იწყება, სად და როდის თავდება იგი. თუმცა ის არის ანი და ჰოე, ყოვლის დასაწყისი და დასასრული.

“ჩემს ზურგს იხილავ, სახე კი უხილავი იქნება” (გამ. 33:23), პასუხობს ღმერთი მოსეს მის თხოვნაზე, დაენახოს მას თავისი სახით. ზურგი კი იხილა? არ ჩანს, თუ იხილა.
თუმცა “ჩემს ზურგს იხილავ” წარმავალი მეტაფორაა, ისეთივე, როგორც მთვარის უკვე ხილული უკანა მხარის ხილვა.

LXI

***

“არც ერთ ფილოსოფოსს ისე სრულყოფილად არ ესმის ჩვენი, როგორც ძაღლებს და ცხენებსო”, ფიქრობდა ჰერმან მელვილი.

რომელი ფილოსოფოსს ესმის ადამიანის? რომელ ფილოსოფოსს ამოუცვნია ადამიანის უკანასკნელი საზრისი? ადამიანის, როგორც გონიერი არსების, და კონკრეტულად ამ ადამიანის მისია? სოკრატეს, რომელიც მთელს იმედებს ადამიანის შეცნობაში ლოგიკაზე ამყარებდა? პლატონს, რომელმაც ადამიანი მეტაფიზიკურ სამყაროში უძრავ და გაყინულ იდეად აქცია?

რომელმა ძემ და ასულმა უერთგულეს ისეთი თავდავიწყებით ადამიანს, როგორც ძაღლსა და ცხენს უერთგულია და დღემდე ერთგულობს?

პოვნა და აღმოჩენა

არაბმა მწყემსმა ყუმრანის გამოქვაბულში ტყავის გრაგნილი იპოვა და მისთვის ეს მხოლოდ ნივთი იყო, როგორიც შეიძლება ყოფილიყო კაჟის ნატეხი ან სხვა რამ, რომლისგანაც მას შეეძლო გამოსადეგი საგნის, ხელსაწყოს, დამზადება. და მპოვნელი ინახავს მას, როგორც ნედლს მასალას საჭიროების მოლოდინში.

ხოლო მას შემდეგ, რაც სხვა თვალი მოხვდა ამ ტყავებს, ისინი მყისვე კულტურის საგნად იქცნენ. მათ დაიბრუნეს ის სახე და საზრისი, რადაც თავის დროზე შეიქმნენ. ეს კი აღმოჩენა იყო, იმ პოვნაზე მაღალი საფეხური, თუმცა პირველის გარეშე მეორე ვერ მოხდებოდა.

***

მოგვისმენია მაღალი კათედრიდან, რომ ქართველი ბუნებით მართლმადიდებელია. რომ ქართველი ვალდებულია იყოს მართლმადიდებელი, თუ მას ქართველად ყოფნა სურს.

უფრო ადრე დოსტოევსკის პერსონაჟმა “ეშმაკებიდან” თქვა, ამგვარად გამოხატა რა სლავოფილური რწმენა: “არამართლმადიდებელი არ შეიძლება იყოს რუსი”, და უფრო მეტი: “ათეისტი არ შეიძლება იყოს რუსი, ათეისტი იმწამსვე შეწყვეტს რუსად ყოფნასო”.

დაახლოებით ამას ამბობდა ტერტულიანე, თუმცა მას არა რომელიმე ეთნოსის, არამედ კაცთა მოდგმის წარმომადგენელი, კერძოდ, მისი სული ჰყავდა მხედველობაში: anima humana naturaliter christiana, “ადამიანის სული ბუნებით ქრისტიანიაო”. რა გამოდის აქედან? თუ ადამიანი ქრისტეს არ ატარებს, ადამიანი არ არის. ასეა? ალბათ ასეა. ასეა, რადგან ქრისტე იშვა უწინარეს საუკუნეთა.

ქრისტიანი აპოლოგეტის ამ გამონათქვამის ჭეშმარიტება ეფუძნება წანამძღვარს და ლოგიკურ დასკვნას, რომ ადამიანის სული ღვთის შექმნილია და, რამდენადაც ქრისტე არის ძე ღვთისა, არ შეიძლება ადამიანი ქრისტიანი არ იყოს, ქრისტეს ღვთიურობას ზიარებული. ღმერთმა ადამიანის სული შექმნა და არა ადამიანის ეთნიკური კუთვნილება, რომელიც პირწმინდად ისტორიული კატეგორიაა. ამდენად, ეროვნულობის ცნებაში კონკრეტული რელიგიურობის შეტანა გაუგებრობაა.

XLII

სიტყვის ძირები

რა ცნობიერებამ წარმოშვა სიტყვა - *სახე*, რომელიც ქართული მორფოლოგიის კანონით ამგვარად იშლება: სა-ხ-ე? სა- თავსართია, -ე - ბოლოსართი, რომელთაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ გააჩნიათ. როგორ მიეწოდა ადამიანს ეს ინსტრუმენტები თუ ხარაჩოები? რომელმა აზროვნებამ შთააგონა ეს აბსტრაქციები? რჩება ერთადერთი ბგერა ხ, რომელიც იტვირთავს სიტყვის ამოსავალ სემანტიკას, მაგრამ თავად ერთთანხმოვნიანი ძირის მნიშვნელობა ამოუცნობია. ვიცით, რას ნიშნავს სახე, მაგრამ როგორც კი ჩამოვხსნით ხარაჩოებს, შეგვრჩება ეს ერთადერთი ბგერა, რომლის მნიშვნელობას ვერ ვწვდებით, ვერავითარი სიტყვით ვერ გამოვთქვამთ. სინამდვილის რა ნაწილს გამოხატავს ის?
იქნებ მის წვდომაში დაგვეხმაროს სიტყვები: ნა-ხ-ვა, ხ-ედ-ვა, ხ-ილ-ვა, რომლებიც შეიცავენ იმავე განუყოფელ და გამოუთქმელ ძირს? სახე ის არის, რასაც ვხედავთ, ვიხილავთ, რაც ხილულია?

[ანალოგიურად: სრულიად გაუგებარია, რა მნიშვნელობით არის დატვირთული ბგერა ს სიტყვებში სა-ს-ო, ე-ს-ავ-ს, მო-ს-ავ-ი. რას ნიშნავს ეს ძირი ამ ხარაჩოების (სა-X-ო, ე-X-ავ-ს, მო-X-ავ) გარეშე?].

ძველქართულში თანამედროვე სიტყვას "ნამდვილი" ასეთი ფონეტიკური სახე ჰქონდა: "ნანდვილ". თუ შევეცდებით მის ანალიზს, ჩავდივართ ძირამდე, რომელიც ორი ბგერით - ნდ არის გამოხატული: ნა-ნდ-ვ-ილ. სრულიად აშკარაა, რომ უკავშირდება იგი სიტყვას ნდ-ობ-ა. რა გამოდის? სინამდვილე (სი-ნა-ნ(მ)დ-ვ-ილ-ე) ანუ რეალობა ის არის, რაც ნდობას იმსახურებს,
რაც სანდოა, საწინააღმდეგოდ ბრაჰმანული განჭვრეტისა, რომ მთელი სინამდვილე სხვა არაფერია, თუ არა მაია - ილუზია?

ახლა ამ ილუზიას, ინდურ მაიას რომ მივსდიოთ, შესაძლოა, ძველქართულში აღმოჩნდეს მის შესატყვისად - ოცნება/უცნება "მოჩვენება", არარეალური რამ. დავშალოთ, ჩამოვხსნათ დამხმარე ელემენტები (ხარაჩოები) ამ სიტყვას: უ-ცნ-ებ-ა, რაც ენათესავება უცნაურს, უცნობს, გამოუცნობს - ნაცნობი და სანდო გარემოს (სინამდვილის) საპირისპიროდ.

მეორე მხრივ, ისმის კითხვა, რა საერთო აქვს ნდობას "შენდობასთან", რომელიც ასევე შეიცავს ნდ ძირს (შე-ნდ-ობა, შე-უ-ნდ-ო)?

ჩანს, შენდობა თავისი ამოსავალი "ჩანაფიქრით" ცოდვის, დანაშაულის პატიებას ნდობასთან აკავშირებს. მე შევუნდობ მას, ვინც იმსახურებს ან ამართლებს ნდობას.
რაღა ვთქვათ სიტყვაზე და-ნდ-ობ-ა? გავიმეორებთ ზემოთნათქვამს: ვინდობ მას, ვისაც ვენდობი.

დიდი ხელმოცარვა

"1994 წლის 22 ოქტომბერს ზ. ყ-შვილი და გ. ა-ევი წინასწარ შეთანხმებით, ქონების დაუფლების მიზნით, მივიდნენ ს-ის რაიონის სოფ, ს-ში მცხოვრებ გ. ღ-შვილის სახლში, სადაც მიიტანეს 2 ბოთლი შამპანიური, ამ უკანასკნელმა კი სუფრა გაშალა და დაიწყეს სმა. ქეიფის დროს გ. ა-ევმა ზ. ყ-შვილის მითითებით, მასპინძლის ქონების დაუფლების მიზნით, ბოთლი ჩაარტყა თავში გ. ღ-შვილს, შემდეგ კი წააქციეს ეს უკანასკნელი, ზ. ყ-შვილმა ყელში წაუჭირა ხელები და იქვე არსებული პურის საჭრელი დანა რამდენჯერმე ჩაარტყა კისრის არეში, რის შემდეგაც გ. ა-ევმა ეზოდან შემოიტანა ლითონის ღერძი, რომელიც ზ. ყ-შვილმა თავში ჩაარტყა გ.

ღ-შვილს, რომელიც მიღებული დაზიანების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა. ხმაურზე ოთახში შემოვიდა ზ. ყ-შვილის ბებიის მომვლელი ქალი, რომელსაც გ. ა-ევმა მუშტი დაარტყა სახეში, დააბრუნა თავის ოთახში და გარედან თოკით ჩაუკეტა კარები. თავდამსხმელებმა ბინიდან გაიტაცეს 75 ლარის ღირებულების ნივთები და, ვინაიდან მნიშვნელოვან ქონებას არ წარმოადგენდა, გზაზე გადაყარეს ისინი".

"გადაყარეს", მაგრამ როგორ, რა განწყობით - ბრაზით, სინანულით, დანანებით, ნიშნისმოგებით, სიმწრით, თუ ხელმოცარვის გრძნობით?..

XLIII

ხელმოცარულის სინანული

"...გოდერძი ა-ევმა ეზოდან შემოიტანა რკინის ნაჭერი, რაც გადასცა ნუგზარ ბ-ს. ამ უკანასკნელმა კი თავის არეში ჩაარტყა დაზარალებულს. მიღებული დაზიანების შედეგად გურამ გ. ადგილზევე გარდაიცვალა, რის შემდეგაც გოდერძი ა. და ნუგზარ ბ. დაეუფლნენ იქ არსებულ საყოფაცხოვრებო ნივთებს, სულ ღირებულს 75 ლარად, თუმცა მოგვიანებით, ნივთების დაბალი ღირებულების გამო, გადაყარეს ისინი".

"უფალო მოსამართლენო, გვაპატიეთ და შეგვიწყალეთ ჩვენ. რომ გვცოდნოდა, რომ არაფერი ებადა, არ მოვკლავდით..."

***

"პროგრესი არც აუცილებელია და არც უწყვეტი; ის ხორციელდება ნახტომებით, მოულოდნელად... ნახტომები ყოველთვის არ ნიშნავს ერთი და იმავე მიმართულებით უფრო შორს წასვლას; მათ თან ახლავთ ორიენტაციის ცვლილებები, ცოტა არ იყოს, ჭადრაკის მხედრისებურად, რომელსაც მარაგში ყოველთვის აქვს მრავალი სვლა, მაგრამ არასოდეს იმავე მიმართულებით; კაცობრიობა, რომელიც განიცდის პროგრესს, არასოდეს ჰგავს კიბეზე ამავალ პიროვნებას, რომელიც ყოველ მოძრაობაზე ერთ ახალ საფეხურს უმატებს ყველა იმათ, რომლებიც მან უკვე დაიპყრო...", წერს კლოდ ლევი-სტროსი.

აქედან შეგვიძლია რადიკალური აზრი გამოვიტანოთ: არ არსებობს ერთიანი საკაცობრიო კულტურის (ცივილიზაციის) პროგრესი. მაგალითისთვის, ეგვიპტური, შუამდინარული, დასავლური (ევროპული) და პრიმიტიული (პირველყოფილი თუ, რაც უნდა ვუწოდოთ) კულტურები თვისობრივად განსხვავებულნი არიან ერთმანეთისგან, ისინი შექმნილნი არიან "თავისი გვარისდა მიხედვით" და თითოეული მათგანი ამ "გვარში" აღწევს მწვერვალს; ისინი ერთმანეთს აღმავალ საფეხურებზე არ ენაცვლებიან.

მიუკერძოებელი თვალით ეგვიპტურ-აცტეკურ პირამიდებს კულტურშემოქმედებითი თვალსაზრისით არაფრით ჩამოუვარდება თავის გვარში სრულყოფილი, საკმაოდ რთული, ყოვლისმმომცველი სოციალური სისტემა, რომლებითაც ე. წ. პრიმიტიული, არაცივილიზებული საზოგადოებები გამოირჩევიან. როგორც პირამიდებშია, როგორც ამბობენ, ჩაწიაღებული სამყაროს მოდელი, ასევე პირველყოფილთა სოციუმი ასახავს იმ სამყაროს, როგორსაც მათი გონება ჭვრეტს. და, რაც მთავარია, რამდენადაც მარტივია ე. წ. პრიმიტიული ხალხების მატერიალური კულტურა და რამდენადაც მოკლებული არიან ისინი ტექნიკურ პროგრესს, იმდენად რთულია და გარეშეთათვის ძნელად ჩასაწვდომი ადამიანთა ურთიერთობები სოციუმში.

ჩანს, როგორც კლოდ ლევი-სტროსი ფიქრობდა, ცივილიზებული და არაცივილიზებული ხალხების კულტურები არა ერთი, არამედ სხვადასხვა მიმართულებით ვითარდებიან, ანუ,

სხვანაირად რომ თქვათ, ისევ გენიალური ანთროპოლოგის მეტაფორით რომ ვთქვათ, სხვადასხვა კიბეზე თავ-თავისი საფეხურებით მოძრაობენ.

***

პროფანისგან, რომელიც დილეტანტიც კი არ არის, თავხედობაა ეჭვის ქვეშ დააყენოს ანთროპოლოგის სამუშაო, ბევრისთვის ალბათ წყალგაუვალი თეზისი: "ზემო პალეოლითში ადამიანმა მოიშინაურა მგელი და ძაღლად აქცია იგი". მაგრამ სადაც ძაღლის ძვლები ეყარა, მოშორებით ხომ მოუშინაურებელი მგლის ძვლებიც ეყრებოდა და, რა დრო უნდა გასულიყო, რომ ამ ორი ცხოველის ძვალი ესოდენ განსხვავებულიყვნენ ერთმანეთისგან. ან როგორი უნდა ყოფილიყო პირველმოშინაურებული მგლის ძვალი, როცა ის ჯერ კიდევ ძაღლი არ იყო, როცა ძაღლამდე დიდი მანძილი ჰქონდა გასავლელი?

როდის, სად და როგორ

ვკითხულობთ: "მეცნიერები ვარაუდობენ, რომ სამყარო წარმოიშვა დროის რაღაც მომენტში და მისი ევოლუცია ერთი წერტილიდან დაიწყო, ანუ მოხდა დიდი აფეთქება, რომლის დროსაც წარმოიშვა დრო, სივრცე და მატერია - ჩვენი სამყარო".

სამწუხაროდ, იმ ხანის, როცა ჯერ დრო არ იყო, ანუ უდროობის შესახებ სხვაგვარად ვერ ვლაპარაკობთ, თუ არა კვლავ დროის კატეგორიით და დროში გაჩენილი სიტყვებით. რას გვეუბნება წინადადება "რომლის დროსაც წარმოიშვა დრო"?

როდის, სად და როგორ არსებობდა ის წერტილი, რომლის აფეთქების შედეგადაც წარმოიშვა დრო და სივრცე, და მატერია? რა, როდის, სად და რატომ აფეთქდა? ნუთუ დროსა და სივრცეში დატყვევებული ადამიანის გონებას ამის წამოდგენა შეუძლია?

თუ წერტილი, როგორც ზემოთ მოყვანილი ვარაუდი ამბობს, დროისა და სივრცის დასაწყისია, ის არ შეიძლება დროში და სივრცეში არსებულიყო; ის თუ მატერიის მიზეზია, მას ვერ ექნებოდა მატერიალური არსებობა (როგორც მათემატიკურ წერტილს, რომელსაც არა აქვს განზომილება). წერტილი ან სულიერი საწყისია, რომელიც მარადისობაში არსებობს და მასზე ვერაფერს ვიტყვით, ან არარაობაა, და ჩვენ მივდივართ თეზისამდე creatio ex nihilo, რის აღიარებასაც რატომღაც გაურბის მეცნიერება. თუმცა რატომ "რატომღაც"? როგორ შეიძლება არარაობა მეცნიერების საგანი იყოს?

დროსა და სივრცეში შეიქმნა სამყარო თუ სამყარომ, როგორც თავისი არსებობის მოდუსმა, მოიტანა დრო და სივრცე?

***

იბსენი წერდა: "მე სრულიად მოკლებული ვარ მოქალაქედ ყოფნის უნარს", და კიდევ უფრო მეტი: "თუ არის რაიმე გონივრული აუცილებლობა იმაში, რომ ინდივიდი უსათუოდ მოქალაქე უნდა იყოს? პირიქით, სახელმწიფო წყევლაა პიროვნებისთვის".

სახელგანთქმული დრამატურგი, რომელსაც შეგვიძლია XIX საუკუნის სოფოკლე ვუწოდოთ, როგორც ყოველი ანარქისტი, წინააღმდეგობაში ვარდება. გადაჭარბებაა სახელმწიფოს გამოცხადება წყევლად პიროვნებისთვის, თუმცა ის არც კურთხევაა მაინც და მაინც. შესაძლოა, პიროვნებასა და სახელმწიფოს განსხვავებული მიზნები ჰქონდეთ. ერთი ცოცხალი, მორალური არსებაა, მეორე - უპიროვნო მანქანა. მაგრამ ერთ რამეში ხომ თანხმობაა მათ შორის? ეს წესრიგია, კოსმოსი, რომელსაც პიროვნება და სახელმწიფო თანაბრად ესწრაფვიან. მაგრამ როგორ ხდება, რომ კოსმოსი ლევიათანის სახეს იღებს? თავად თომას ჰობსმა, სახლმწიფოს აპოლოგეტმა, დაარქვა მას ლევიათანი, ბიბლიური გველეშაპის სახელი.

ბიბლიაში კი ნათქვამია, რომ "იმ დღეს დასჯის უფალი სასტიკი, დიდი და ძლიერი მახვილით ლევიათანს, გველს მოსრიალეს, და ლევიათანს, გველს დაკლაკნილს, და მოკლავს გველეშაპს, ზღვაში მყოფელს" (ესაია, 27:1).

იბსენი ერკინებოდა ერთი მცირე სკანდინავიური ქვეყნის ლევიათანს, მაგრამ თავი შეაფარა დიდ გერმანიკულ ლევიათანს და თავს, როგორც სამშობლოში, საკმაოდ მყუდროთაც გრძნობდა.

(უინსტონ ჩერჩილი შენიშნავს, რომ თავისივე შექმნილი წითელი რუსეთიდან გაძევებული ლევ ტროცკი პეტიციებს პეტიციებზე უგზავნიდა ინგლისს, საფრანგეთსა და გერმანიას, რათა შეეშვათ იგი იმ ცივილიზაციაში, რომლის გაცამტვერება მისი ცხოვრების მიზანი იყო).

***

იბსენი კიდევ წერდა: "დემოკრატიის სასიცოცხლო ამოცანა საკუთარი თავის გაარისტოკრატებაა".

როდემდის უნდა გაიძახოდეს ადამიანი: უფლება, უფლება, უფლება! ბავშვებსაც ითრევენ ამ ძახილში, ასწავლიან, რომ მათაც მოითხოვონ უფლებები. არისტოკრატობა კი იმაშია, რომ დაჯერდე მოვალეობას - ეს უნდა იყოს შენი უფლება.

არის რაღაც პლებეური უფლებათა მუდმივ მოთხოვნაში. დემოკრატია ქმნის სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას, რომელსაც ლენინმა (შესაძლოა, სხვა ვინმემ) "პროლეტარიატის დიქტატურა უწოდა". მართლაც, უთვალავი უფლებებით შეჭურვილი დემოსი დემოკრატიის სახელით დიქტატურაზე უარს არ იტყვის. სხვა შორსმჭვრეტელი მოაზროვნე ამას "მასების ამბოხს" დაარქმევს. ერთი მხრივ, ამბოხებული დემოსი, მეორე მხრივ, დამთრგუნველი სახელმწიფო ლევიათანის სახით - ორივენი პიროვნებას, უკეთეს შემთხვევაში, ეჭვის თვალით უყურებენ.

.

***ჩემი* დრო**

ადამიანი, იაზრებს რა თავის სასრულობას, სხვა რა დარჩენია, თუ არა სიკვდილისთვის ყოფნად მიიჩნიოს არსებობა. ეს ეკსისტენციალიზმის ქრესტომათიული დებულებაა.

თუმცა ადამიანმა იცის, რომ მოკვდავია, მაგრამ ეს სავსებით თეორიული ცოდნაა, ისეთივე, როგორც სილოგიზმის პირველ წანამძღვარში ნათქვამი - "ყველა ადამიანი მოკვდავია". სოკრატე ადამიანია და ამიტომაც მოკვდავი - მე ვეთანხმები ამ დასკვნას, მაგრამ მხოლოდ სოკრატეს შემთხვევაში, მე კი ყველა არა ვარ, მე მე ვარ.

სხვა კვდება, "საწყალი" - მოვიხსენიებთ, ჩვენ კი როგორი გამონაკლისები ვართ, რომ ცოცხლები ვართ. მოვკვდებით, მაგრამ ოდესმე, უშაბათო ან როდინობის (თუ "ლოდინობის" - რომელია სწორი?) კვირას, ან მერვე დღეს მოვკვდებით, იმ დღეს, რომელიც დღეთა სათვალავს არ ეკუთვნის. მაგრამ ამ გარდაუვალ რეალობას, რომელიც ადამიანმა ცოდნით იცის, სოკრატესა და ეკსისტენციალიზმის სამარცხვინოდ, აქტუალურად არ განიცდის.

ახლა, აქტუალურად, სანამ ცოცხალი ვარ, სიკვდილი სხვების ხვედრია, მე კი ოდესმე, სხვა დროს ანუ ჩემ დროს მოვკვდები. მის შეგნებაში *ახლასა* და *ოდესმეს* შორის მარადისობაა. ჩემი დრო სრულიად უნიკალურია, შესაძლოა, არც კი არსებობდეს.

სხვა კუთხით თუ შევხედავთ ადამიანის ამგვარ ფიქრს, მისი არსებობა შეგვიძლია პიროვნების უნიკალურობის მტკიცებულებად მივიჩნიოთ და არც ისე ილუზორული იყოს, როგორც გვეჩვენება.

***

შესანიშნავი ბიბლიური სიტყვა-კონცეპტი *შალომ*, რომლის ზუსტი თარგმანი თანამედროვე ენებში არ მოიპოვება, ბერძნულმა ენამ სეპტუაგინტას მეშვეობით "მშვიდობის" (ბერძნ. *ეირენე*) ცნებამდე დაიყვანა, შეავიწროვა, შემოზღუდა. მაგრამ *შალომ* არა მხოლოდ მშვიდობას ანუ ზავს (უომობას), გინდა მყუდროებას ნიშნავს, არამედ ყოფიერების სრულყოფასა და განსრულებაზე, მთლიანობაზე მიუთითებს, იმ მდგომარეობაზე, როცა ყოველი საზღაური (ებრ. *შელემ*) გადახდილია, ყველაფერი კვლავ თავის დასაბამიერ სისრულეში ჰგიეს.

როცა მგზავრი მწყემსებს ესალმება სიტყვით *შალომ ყალეჰემ* (ჩვეულებრივი თარგმანით: "მშვიდობა თქვენდა"), ან "შალომია თქვენთან"? ამით ის უსურვებს მათ ფარის სიჯანსაღეს და სისრულეს, მთლიანობას, რომ ასიდან ერთი ბატკანიც არ აკლდეს.

სხვა ენებზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ქართული მშვიდობა ებრაული *შალომის* სემანტიკას უნდა შეიცავდეს: თუ ამ სიტყვის ძირად საკრალურ, კერძოდ, სისრულისა და განსრულების რიცხვ შვიდს - მ-შვიდ-ობ-ა - ამოვიკითხავთ, ის ყოფიერების სრულყოფილებაზე მიგვანიშნებს.

***

მოდის კაცი, ჯერ ა. ა-ძედ შეიცანი, მერე დაეჭვდი. უკან მოხედე, ისიც გაჩერდა და გიყურებს. ფიქრობ, ეს ა-ძეა, მაგრამ რაღაც სხვანაირია. მიესალმე გულითადად, რაღაცას ეტყვი კიდეც გაურკვევლად, დაურწმუნებლად, რომ ეს ა-ძეა, ვისაც ელაპარაკები. (უკანასკნელად როდის შევხვდით ერთმანეთს). მოგიკითხავს, რა ისმისო. კარგი ამბებიო, უპასუხებ. უკვე პასუხობ არა ა-ძეს, არამედ უცნობს. ეს იყო რესპუბლიკის ბანკთან, ვაკეში.

იმავე დღეს მოდის (საბურთალოს სუპერმარკეტ *Salve*-სთან) სხვა კაცი, რომელსაც ნოდარს მიამსგავსებ. შემობრუნდება და ღიმილით შენ გეკითხება: თქვენ ნოდარი ბრძანდებით?

XLV

***

მიქელანჯელო ამბობდა, ვერც ერთი მხატვარი ვერ შექმნის ისეთ სახეს, რომელსაც უკვე თავის საფარველქვეშ მარმარილოს ნატეხი არ შეიცავდესო.

მეორე მხრივ, ის ამბობს: "ქვა, რომელსაც ზედ საჭრეთელის ნიშანი აქვს, უფრო მეტად ფასობს, ვიდრე პირველქმნილი ქვა".

მოქანდაკე ქვაში, მისგან უცხო მასალაში ეძებს სახეს, მსახიობი კი თავის თავში - თავის სხეულს, თავის ნაკვთებს, თავის გამომეტყველებას, თავის ხმას, თავის მდუმარებას, თავის მიხრა-მოხრას იყენებს მასალად და "სხვად" გარდაქმნის მათ. ამ ყველაფრით მან თავის თავისგან "სხვა", არა საკუთარი თავი უნდა გამოხატოს. ეს ემოციები, რომლებიც მისი სხეულიდან გამოდის, უნდა გასხვისდეს - ეს იცის მაყურებელმა. და რაოდენ უსიამოვნოა, როდესაც მსახიობი საკუთარ ემოციებს ვერ იოკებს. ნაცვლად იმისა, რომ მისი ნატურალური განცდები, როგორც ნედლი მასალა, მის - ოსტატის ხელში გადამუშავდეს, სხვად გარდაისახოს.

მას უწევს საკუთარ-პიროვნული ემოციების დახვეწა, როგორც იმ ნედლი ლოდისა, საჭრეთელის ნიშანს რომ ელის.

ამას გულისხმობს მიქელანჯელო, როდესაც ამბობს, რომ ქვა, რომელსაც საჭრეთელის ნიშანი აძევს, პირველქმნილი ქვაზე მეტად ფასობსო.

***

შინ ვბრუნდებოდით, ნორიკოს სანახავად ვიყავით. ნორიკო უკვე იწვა, ვეღარ დგებოდა. "მშვიდობით, ზურაბ", გამომეთხოვა. ამ საღამოს შემდეგ, აღარ მახსოვს, კიდევ ვნახე თუ არა ნორიკო. ამ გამოთხოვებამ და მალე მისმა სიკვდილმა, შესაძლოა, ყველა სხვა შეხვედრა გადაფარა. ნორიკო, ნორიკო. ყველგან, საოჯახო თუ საგვარეულო შეკრებებზე ეს ნაღვლიანი სახელი ისმოდა. მთელი ეს პერიოდი დარწმუნებული ვიყავი, რომ ნორიკო მაშინ სამარადისოდ გამომეთხოვა. ვფიქრობდი, ალბათ იცოდა, რომ კვდებოდა და ამ გამოთხოვებით შეემზადა სიკვდილისთვის. მერე დავეჭვდი: იქნებ, უბრალოდ, იმ საღამოს, როგორც წამავალ სტუმარს დამემშვიდობა-მეთქი. ბოლო დროს გამიმტკიცდა ეს აზრი: უბრალოდ, ნორიკო გამომეთხოვა იმ საღამოს. მაგრამ არა, ახლა ისევ ძველ, ბავშვობის აზრს ვუბრუნდები: მხოლოდ იმ საღამოს რომ გამომთხოვებოდა, რატომ იტყოდა "მშვიდობითო"? ან სახელით ასე საზეიმოდ რატომ მომმართავდა?

XLVI

მაესტროს ცხვირსახოცი

როცა ვერაფრით - ვერც დირიჟორის ჯოხით, ვერც სიტყვებით, ვერც მიმიკით ვერ მიახვედრა ორკესტრანტები, რას მოითხოვდა მათგან, არტურო ტოსკანინიმ გვერდზე გადადო თავისი განუყრელი ინსტრუმენტი, ფრაკის ჯიბიდან ამოიღო აბრეშუმის ცხვირსახოცი, ყველას დასანახად ორი თითით მაღლა ასწია და გაუშვა თითები. აბრეშუმი ერთხანს მსუბუქად ფარფატებდა ჰაერში და, ბოლოს, გაოგნებული მუსიკოსების თვალწინ უხმაუროდ დაეშვა ძირს. - ახლა ხომ მიმიხვდით, ბატონებო? მაშ, ზუსტად აი ასე დაუკარით!

ასე იყო, როცა წინასწარმეტყველი სიტყვით ვერ აგებინებდა სათქმელს, ქმედებას მიმართავდა. იერემია ქედზე უღელდადგმული დადიოდა იმის ნიშნად, რომ ბაბილონის უღელი გარდაუვალი იყო. ეზეკიამ ყარიბის გუდა მოიკიდა ზურგზე, ყარიბის ჯოხი დაიჭირა ხელში და კედლის ნანგრევში გაძვრა იმის საჩვენებლად, რომ გადასახლება გარდაუვალი იყო.

სხვა დროსაც, უკვე კონცერტის დროს, მოუხდა მას ცხვირსახოცის ამოღება, ოღონდ ამჯერად ის პირდაპირი დანიშნულებით გამოიყენა. როცა მაესტრომ დაინახა, რომ მუსიკოსები - ოთხივე მევიოლინე, რომელთაც სოლო უნდა შეესრულებინათ, შიშისა და დაძაბულობისგან კბილს კბილზე აცემინებდა, ისე რომ რომ ვიოლინოებიც კი კანკალებდნენ მათ ხელში, გვერდზე გადადო ჯოხი, ამოიღო ცხვირსახოცი და თითქოს ხველების შესაჩერებლად პირზე მიიდო. ამ ჟესტმა გაუქარწყლა შიში მევიოლინეებს და ბრწყინვალედ შეასრულეს პასაჟი. იხსნეს მაესტრო და თავიანთი პრესტიჟი.

***

"ყარაულო, ღამის რომელია? ყარაულო, ღამის რომელია? ყარაული ამბობს: დილა მოდის და ღამეა ჯერაც" (ესაია, 21:11-12).

წინასწარმეტყველი ხედავს იმას, რაც ჯერ კიდევ არ დამდგარა. ხედავს დილასაც და ღამესაც ერთდროულად. დილაში - ღამეს, ღამეში - დილას. ამ ბინდბუნდში მწუხრსაც და იმედსაც ერთდროულად. ამ ხედვაშია მისი დიდებაც და ტრაგიზმიც.

***

ლიტურგიიის სრულყოფილი შესრულება მოითხოვს ღვთისმსახურისგან საკუთარი თავის დათმობას, განყენებას ემპირიული ემოციებისგან, დაცალიერებას; არავითარი არტისტიზმი, ხმის აკანკალება, პიროვნული საცოდავი განცდები... არამედ მიწიერი კაცის სრული კენოზისი, რასაც მისგან "რომელნი ქურუბიმთას" საგალობელი მოითხოვს. "რომელნი ქერუბიმთა საიდუმლოდ ვემსგავსენით,... ყოველივე სოფლიო დავუტეოთ ზრუნვა..." იმეორებს ღვთისმსახური საგალობელის სიტყვებს და, ვიდრე საიდუმლო ლოცვაში წარმოთქვამდეს ამას, მისმა შესამოსელმა იგივე თქვა. მაშ, რისთვის იმოსება ღვთისმსახური, თუ არა იმისთვის, რომ განსხვავდეს არა მხოლოდ მრევლისგან, არამედ საკუთარი თავისგანაც, რომ არაფერი დარჩეს იმ ადამიანისგან, რომელიც წეღან, სულ ახლახან ჩართული იყო ყოველდღიურობაში, როგორც ერთი მრავალთაგანი... წარმოთქმული სიტყვები მხოლოდ ადასტურებს ამ გარდაქმნას.

***

მამა სერგი ბულგაკოვი იხსენებს შორეული ბავშვობის დროინდელ ამბავს. იმ დილით, როცა მისი ხუთი წლის ძმა, "ქერუბიმის ნიშნით აღბეჭდილი" («с печатью херувима») კოლია, გარდაიცვალა, მამა, მღვდელი, ეკლესიაში იყო წასასვლელი ჟამისწირვის ჩასატარებლად. რუსეთის მიყრუებულ უიმედო პროვინციის სასაფლაოს უმრევლო ეკლესიაში მსახურობდა. მოვალეობის კაცი იყო და წავიდაო. ცრემლი სდიოდა მას და მის დიაკვანს და ასე სწირავდნენ.
რას გრძნობდა ღვთისმსახური, როცა "რომელი ქერუბიმთას" ისმენდა და თავადაც იმეორებდა? დაუტევა მან სოფლიო ზრუნვა? როგორ დაუტევა? ალბათ თავისი კერძო საგლოველი შეაზავა კოსმიურ წუხილს, რასაც საღვთო ლიტურგიაზე ისედაც განიცდიან.

XLVII

Deus sive natura

მარტინ ბუბერი წერდა, სპინოზამ წაართვა ღმერთს ადამიანთან საუბრის შესაძლებლობაო. არ არის სწორიო, თითქოს მისი Deus sive natura - "ღმერთი ანუ ბუნება" - სხვა, ახალი ღმერთი ყოფილიყოს. თავად მან თავის გულში დამარხა ის ღმერთი, რომელსაც ბავშვობაში მიმართავდა, ღმერთი, რომელიც არის ყოველი არსობის წყარო და მიზანი. სპინოზას სურდა მხოლოდ, რომ მოეწმიდა ღმერთისთვის ლაქა - ადამიანებთან საუბრის უნარი და მზადყოფნა. ადამიანთან მოლაპარაკე ღმერთი მას არასაკმარისად წმიდა, არასაკმარისად დიადი, არასაკმარისად ღვთაებრივი ეჩვენებოდაო.

ყოველი ათეიზმის პოზიციაც ეს არის: ის შეიწყნარებს ღმერთის რაღაც სახით არსებობას, თუნდაც კანონის, გონების (ratio), ბუნების (natura), ჩვენებურად "ბუნების ძალის", მაგრამ არამც და არამც არ იწამებს, ვერ წარმოიდგენს, რომ მას შეუძლია თითოეულ ადამიანთან მისვლა, მისი ყურისგდება, მოსმენა და პასუხი. ის ვერაფერს და ვერავის ვერ უნდა ხედავდეს, ვერავის ვერ უნდა უსმენდეს. ის არ შეიწუხებს თავს იმგვარი შემთხევითობისთვის, როგორიც ადამიანი და მისი ცხოვრებაა. უფრო მეტიც: ეს კანონ-ღმერთი ადამიანზე უსუსურია: იოტისოდენადაც ვერ

შეცვლის კანონს, რომელსაც თავად ემორჩილება. ადამიანი დანგრევს თავის ნაშენებს, ღმერთს ეს არ შეუძლია.

ავოე* და *ვაიმა

ქუჩის ქვემო წელზე მეოთხე კლასელი სომხიევი გამოვარდებოდა ერთი ციდა ეზოს კვადრატიდან და გაყინულ ჰაერს მიახლიდა თავის სასოწარკვეთილ ძახილს: ვაიმაჰ! ეს იყო ბარში, ბელინსკის დასაწყისში. ზემოდან კი, მთიდან, კერესელიძის მთელ სიგრძეზე ციგა-ტრანსპორტით ჩამოხრიგინდებოდა "სტარიკანკა" თავისი განუყრელი ძახილით - *ავოეეე*. ამ დიონისური ძახილის ამაღორძინებელი მეოთხე კლასელი პატარა ბიჭი იყო, მაგრამ როგორი გოლიათი ჩანდა! დაუჯერებელია. ყოველდღე ამ ტრანსპორტით ეშვებოდა სკოლამდე და უკანვე აჰქონდა ხრიგინ-ხრიგინით უკვე გამლღვალ ქვაფენილზე. სად ინახებოდა ეს ხელსაწყო, სანამ მისი პატრონი მერხს უჯდა? ვის ახსოვს?

ეს ქვემოთა *ვაიმაჰ* და ზემოთა *ავოეე* შეხვდა ერთმანეთს, როგორც ერთმანეთის საპირისპირო სიგნალები, რომლებიც, როგორც კლასების მემკვიდრეობა, მათ ავტორებზე ხანგრძლივი აღმოჩნდა.

ავოე თუ განგაში იყო ("მოვდივარ, ჩამომეცალეთ"), *ვაიმაჰ* თავის გლოვა იყო და შველას მოითხოვდა. ახსოვდათ კიდევ დაფასთან "რიგოლეტოს" აწურული სილუეტი, უმწეო, მიუსაფარი, უხმო, რომლის ყურებში კარნახის ხმა და აზრი ვერ აღწევდა. ის თავისთავადი იყო, იდგა როგორც საკუთარი თავის ძეგლი... და მთელი მისი სხეული ამ ძახილს მდუმარედ გამოსცემდა. მგონი, ის იყო სწორეთ ამ ძახილის პირველაღმომჩენი. აქ და ამ დროს.

XLVIII

***

რატომ არის, რომ ხშირად ყველაზე მნიშვნელოვანი დღე, საათი, წუთები მივიწყებულია და წინა პლანზე ამოყოფს თავს სრულიად უმნიშვნელო შეხვედრა ან უსაზრისო შემთხვევითი მყოფობა ამა და ამ ადგილზე, ამ გამხმარ ხესთან, რაღაცის დაჟანგებულ ჩონჩხთან? რატომ ტივტივებს ის მეხსიერების ზედაპირზე? იმიტომ ხომ არა, რომ ის ჯერ კიდევ არაფრის საფუძველი არ გამხდარა (და არც გახდება - ვერ მოასწრებს)? იმიტომ ხომ არ მიივიწყა ხსოვნამ ყველაზე მნიშვნელოვანი, რომ მან უნაშთოდ განმსჭვალა შენი ცხოვრება და მის სუბსტანციად იქცა?

***

"სიცოცხლე ბარში შეიქმნა. ძველმა შიშებმა, ძველმა ვნებებმა, ძველმა სასოწარკვეთამ მთებში აიყვანა იგი. აი, რატომ უნდა ახვიდე მთებში, რომ კვლავ შეძლო ჩამოსვლა" (ფოლკნერი "როცა დადგა ჩემი ჟამი").

რომელი ამერიკული გამოცდილებით წერს ამას ფოლკნერი, ძნელი დასადგენია, მაგრამ ეს ემოციურად შეფერილი თეზისი ზედმიწევნით ესადაგება ქართულ სინამდვილეს. ქართველები სახლობენ ბარშიც და მთაშიც - რომელია მათი პირველადი სამოსახლო? ქართველობა, როგორც ხალხი, მთაში წარმოიშვა? დღემდე სჯერათ, რომ ის მთაშია დაბადებული. იმაშიც დარწმუნებული არიან, რომ მთა, როგორც პირველწყარო, ყოფით და მენტალურ პროტოქართველურ არქაიზმებს ინახავს. ამ ზემოთ-ქვემოთ მოძრაობის

გამოცდილება ნამდვილად აქვს ქართველს. ვაჟა-ფშაველამ ეს მოძრაობა ეკსისტენციალურ სიბრტყეში გადაიტანა როგორც თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების ტრაგიზმის გამოხატულება. "მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდექ" - "ეხლა თავ-თავქვე მოვდივარ... მაღლიდამ დაბლა ჩამოსვლა, ვაჰმე, რა მეტად ძნელია!"

მისი განზოგადებაც შესაძლებელია, თუ ამ ასვლა-ჩამოსვლას ისტორიული პროცესის რიტმად მივიჩნევთ, რომელიც ისტორიას ამა თუ იმ სახით (გამოვლინებით) ახასიათებს. არის ჟამი ასვლისა და არის ჟამი ჩამოსვლისა, რასაც დღეს ვესწრებით. ძველი აღთქმის ხალხის ისტორია ამ რიტმზეა აგებული: ასვლა ქანაანში, ჩასვლა ეგვიპტეში, ასვლა ქანაანში, ჩასვლა ბაბილონში და ყველგან დიასპორის ქვეყანაში, ასვლა იუდაში და ა. შ.

ძველი ქანაანი, იუდა, მოგვიანო პალესტინა, ისრაელი, მაღალი ადგილი იყო და დღემდე ასეა, სადაც ადიან ბარის გაფანტულობიდან დაბრუნებულები, რომელთაც ოლიმ, ანუ ამოსულები ეწოდებათ.

"და აღვიდა იესუ იერუსალემდ..."

უცნობი ნაცნობი

კაცი ამოვიდა ავტობუსში. "აა, ერმალო..." ნაცნობმა სახემ უცხოდ შემომხედა. "არა", თქვა სახემ და იქ აღარ გაჩერდა, სადაც გამოჩნდა. წავიდა, გადაიკარგა. ხალხს შეეფარა. რაღაცამ შეზარა, შეაშფოთა. იმან ხომ არა, რომ თავისი წარმოუდგენელი ორეულის პოტენციური, თუმცა შეუძლებელი არსებობა იგრძნო?

ასეა ხოლმე: შენს შესახვედრად მოდის კაცი, შენი ნაცნობია, ღიმილს ამზადებ შესაგებებლად, კიდევ ერთი ნაბიჯი და ღიმილი შეგაშრება: მის ნაცნობ სახეში უცხო სხივი კრთის.

ჩვეულებრივი ამბავია: ყოველდღიურად უამრავი უცნობი ადამიანი გხვდება, ჩაგივლის, ჩაუვლი, არც შეხედავ სახეზე, შეუხედავადაც გრძნობ, რომ სხვაა და, ამდენად, უცხოა, ბუნებრივად, ლეგიტიმურად უცხო. არავის გაგონებს, არავისში შეგეშლება. ამაში არაჩვეულებრივს ვერაფერს ხედავ. მაგრამ, საკმარისია, ეს სხვა ერთ წამს ნაცნობად მოგეჩვენოს, მეორე წამს აბსოლუტური სხვა ხდება. ჰგავს, მაგრამ ის არ არის. შეიძლება ძრწოლამ აგიტანოს იმის პერსპექტივის წინაშე, რომ ორი აბსოლუტურად მსგავსი უნიკალობა არსებობს ამ სამყაროში. ნაცნობად მოჩვენებული უცხო კიდევ უფრო უცხო ხდება სწორეთ იმის გამო, რომ ნაცნობად მოგეჩვენა. ის, მოჩვენებული, მტრულ და საშიშ სახეს იღებს.

***

მარტინ ბუბერზე, რომელმაც პირველად დაწერა წიგნი ("გოგი და მაგოგი") ებრაულად, თქვეს, ებრაული ენა იმდენად კარგად არ იცის, რომ გაუგებრად წერდესო.

ეს იუმორით არის ნათქვამი, მაგრამ იუმორის ზერელობა არ ახლავს. მართალია, ბუბერი რთულად წერს, არ არის ადვილად გასაგები ავტორი, მით უმეტეს, რომ იგი გერმანულენოვანია. მაგრამ მთქმელს ენის გრამატიკული მხარე არ ჰქონია მხედველობაში. არც ის უფიქრია, რომ ბუბერი თავის გერმანულ წიგნებს განზრახ გაუგებრად წერს (თუმცა იუმორის სარჩული, შესაძლოა, სწორედ ამის ფიქრი ყოფილიყო). ალბათ საზრისი ამ იუმორისტული შეფასებისა ის უნდა იყოს, რომ მას მშობლიური გერმანულის ღრმა ცოდნა საშუალებას აძლევდა აზრი იმ სიღრმეებამდე წაეყვანა, სადაც ის აბსურდს აწყდება, აბსურდებით კი, რომელთა ზედაპირული მხარე პარადოქსია, მდიდარია ამ ავტორის შემოქმედება. ცხადია, გვიან ნასწავლი ებრაულ ენა არ გამოადგებოდა პარადოქსებისთვის.

[რაც შეეხება გერმანულენოვან ბუნდოვანებას. სადიპლომოს ნაშრომის შესასრულებლად აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა გერმანული წიგნი მათხოვა. მისი ავტორი არ იყო არც

ჰეგელი, არც შელინგი - წიგნი ბასრისა და ბაღდადის გრამატიკული სკოლების პოლემიკას ეხებოდა. რაც მესმოდა, გავიგე, ხოლო ის რისი გაგებაც ყველაზე მეტად მინდოდა, გაუგებარი დარჩა. გივი მარგველაშვილს მივუტანე, აზრი გამაგებინე-მეთქი. ფრაზა რომ ჩაკითხა, თავისებურად ახარხარდა, მერე მითხრა: ასე იციან წერა გერმანელებმა, უბრალო რამეს გააბუნდოვანებენო. "Словечка в простате не скажет", ასეთ შემთხვევებზე იტყოდა ხოლმე ჩემი ძმა ანდრეი ვიაზნიკოვი].

ზენონის პარადოქსი

არწივი ვერ ეწევა კუს. აქ უბრალო შეცდომა არ არის. ეს კოშმარული შეცდომაა. ზენონის ლოგიკას რომ მივყვეთ, არწივი კუს არათუ ვერ დაეწევა, ერთი წერტილითაც ვერ წაიწევს წინ, ვერც თავად არწივი და ვერც დაწინაურებული კუ, რადგან წერტილი არ არსებობს. გაიყინებიან არარსებულ, უგანზომილებო წერტილში, ან, როგორც მორევი, ჩაითრევს მათ, რათა ვერასოდეს დააღწიონ თავი.

რა არის ჯოჯოხეთი?

გიფიქრიათ? მართლა მდუღარე კუპრის ქვაბია? ვითომ ეს არის? მეჩვენება, რომ ერთ-ერთი ნიშანი ჯოჯოხეთისა დროის პრობლემაშია. მეჩვენება, რომ ზენონმა ჯოჯოხეთის სურათი დახატა. ჯოჯოხეთში მოხვედრილ ადამიანს შერჩენილია აქვს მოლოდინის განცდა (როგორც თითმოჭრილ ადამიანს თითის ტკივილი), მაგრამ დრო – მოლოდინის ჭურჭელი არ გადის, უფრო სწორად, არ მოდის ის წამი - და სრული განცდაა იმისა, რომ არასოდეს მოვა წამი, რომელსაც ელი. დრო არ გადის - ეს არის ჯოჯოხეთის მარადისობა, მარადიული უიმედო მოლოდინი.

ევოლუცია თუ შემოქმედება?

ჩარლზ დარვინი ფიქრობდა, რომ თუკი ევოლუცია ფაქტია, უნდა არსებობდეს გარდამავალი ფორმების უთვალავი რაოდენობა, რომელთა ნაშთებს სადღაც მიწის ქერქი უნდა ინახავდესო. უამნაშთებოდ ჩემი თვალსაზრისი მხოლოდ ჰიპოთეზაა.

დავაზუსტოთ: მაგალითად, თუ თაგვისგან ევოლუციის გზით ღამურა წარმოიშვა, აუცილებელია არსებობდეს უთვალავი გარდამავალი ფორმა, რომელიც დაადასტურებდა წინა კიდურების ფრთებად გადაქცევის ხანგრძლივ პროცესს. ასევე ითქმის სხვა ორგანოებზეც.

მაგრამ ასეთი ფორმები ჯერ არ აღმოჩენილა, რომ დარვინის ჰიპოთეზა, როგორც თავად მიაჩნდა, მეცნიერულ ჭეშმარიტებად აქციოს. ჯერჯერობით კი უნდა ვირწმუნოთ ბიბლიური [ჰიპო]თეზა, რომ თაგვი თაგვად იქნა ჩაფიქრებული და ღამურა ღამურად და ყოველი არსება თავისი გვარის მიხედვით შეიქმნა.

ქართული ანბანის შესახებ ნათქვამია: "ჯერხნობით ცნობილი VI ს. ქართული დამწერლობის ძეგლები ისეთი მაღალხარისხოვანი კალიგრაფიული განვითარების საფეხურს წარმოადგენენ, რომ ქართული ანბანის დასაწყისი ხანა სულ ცოტა 7-8 საუკუნით უწინარეს არის საგულისხმებელი... V-VI სს-ზე უწინარესი დროის ქართული დამწერლობის ძეგლების ჯერხნობით აღმოუჩენლობა ქართული ანბანის სიძველის უცილობლად დამრღვევ საბუთად ვერ გამოდგება, მით უმეტეს, რომ წესიერი არქეოლოგიური კვლევა-ძიება ჩვენში ჯერ არ ყოფილა. მაგრამ მომავალში შეიძლება აღმოჩნდეს გარემოება, რომლის შესახებ ამჟამად არავითარი ცნობები არ მოიპოვება, ამიტომ მაინც მეცნიერული სიფრთხილე სჯობია და სანამ ქართული დამწერლობის VI ს-ზე უწინარესი ძეგლები აღმოჩნდება, ჩემი ნათქვამი ქართული

ანბანის შესახებ ჯერჯერობით მხოლოდ ჰიპოთეზად მიმაჩნია, რომლის სიმართლეს მომავალი გამოარკვევს" (ი. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა, 1926).

მაგრამ დღემდე, მას შემდეგ, რაც გაითხარა ფარნავაზის სამშობლო ქალაქი, ეს უწინარესი ძეგლები არ ჩანს.

ამიტომ ჯერჯერობით ვირწმუნოთ, რომ ეს გენიალური ქმნილება, როგორიც ქართული ასომთავრულია, ერთიანი შემოქმედებითი აქტით შეიქმნა და არა შვიდსაუკუნოვანი ევოლუციის შედეგად რაღაც ნაცოდვილარიდან. მას ამ სრულყოფილებას, გარდა გენიისა, ვერაფერი შესძენდა.

L

***

ხელისუფებისკენ სწრაფვა ისევე მარხია ადამიანის ბუნებაში, როგორც მორჩილების მოთხოვნილება. ერთი მეორის გარეშე არ არსებობს. უფრო სწორად, ეს არის განუყრელი და განუყოფელი წყვილი, როგორც მედლის ორი მხარე, ისინი ერთდოულად არიან წარმოშობილი, ან, შესაძლოა, არც კი წარმოშობილან. ადამიანის გამჩენმა მოამარაგა ადამიანის არსება ერთ-ერთი მათგანით: ვის რომელი მიანიჭა და ვის რომელი. ისინი ასაზრდოებენ ერთმანეთს, მოითხოვენ ერთმანეთს... როლები იმთავითვე განაწილებულია, ერთმანეთს მოელიან, ერთმანეთისკენ მიისწრაფიან, ერთმანეთით სუნთქავენ, ერთმანეთის იმედი აქვთ.

***

სიტყვა, რომლითაც ჩვენ საიდუმლოს გამოვხატავთ, თავადვე აცხადებს თავის ბუნებას. დუმ-ს, დუმ-ილ-ი, ი-დუმ-ალ-ი, ი-დუმ-ალ-ებ-ა. საიდუმლო - ის რეალობა, რაზეც დუმან ან რაც დუმს.

რეალობა საიდუმლოა იმიტომ, რომ მასზე დუმან და იმიტომაც, რომ მისი თვისებაა დუმილი. ასეა თუ ისე, ამეტყველებული საიდუმლო წინააღმდეგობრივი ცნებაა. ამეტყველდებით ის კარგავს იდუმალებას, მას ეხსნება საიდუმლოს ბეჭედი. გამოთქმული (გათქმული) საიდუმლო აღარ არის საიდუმლო.

ამბობენ, სამყარო მდუმარებითა არის მოცულიო, სამყარო დუმსო. ეს იმას ნიშნავს, რომ სამყარო, უნივერსუმი, დუმილში და დუმილით ამხელს თავის არსს. საიდუმლოა მისი საფუძველი, თავად დუმს, დუმილით ლაპარაკობს და დუმილითვე შეიცნობა. ეს იგივეა, რაც ნიკოლაუს კუზელის მეტაფიზიკის მეთოდი: "მიუწვდომელი მიუწვდომლობით მიიწვდომება". ჩვენ მხოლოდ ის შევიცანით, რომ ყველაფერი შეუცნობელია.

"გახმაურებული ჭეშმარიტება აღარ არის ჭეშმარიტება"; "ვინც იცის, არ ლაპარაკობს, ვინც ლაპარაკობს, არ იცის" (დაო დე ძინი)

ცოდვა თუ ცოდნა

ცნობილმა საეკლესიო ავტორს დიაკონ ანდრეი კურაევს, რომლის მოხსენება ბიბლიის შემსწავლელი საზოგადოების სემინარზე (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1991) შეცდომით იყო გამოცხადებული როგორც "ადამის ცოდვა" ნაცვლად "ადამის ცოდნისა", მოხსენებაში სწორედ ადამის ცოდვაზე მოუხდა ლაპარაკი. კალმის შეცდომამ კი, რომელიც მხოლოდ ქართული კალმის ქვეშ შეიძლებოდა დაშვებულიყო, ცოდვისა და ცოდნის

სიღრმისეული კავშირი გამოაჩინა. მომხსენებელმა ცოდვის დასაბამი იმ ცოდნას მიაწერა, რომელიც ადამმა აკრძალული ხის ნაყოფის გემოსხილვის შედეგად მიიღო. თუმცა ეს მისი საკუთარი აზრი არ ყოფილა. ეს აზრი არსებობს ბიბლიის ამ ადგილის ეგზეგეზისში.

რაში მდგომარეობდა ადამის კარდინალური ცოდვა, რომელმაც მოწამლა მისი მოდგმა? ან რა შუაშია, ხე და მისი ნაყოფი?

იმ ხეს *post factum* ეწოდა სახელად "ხე კეთილისა და ბოროტის ცოდნისა (გარჩევისა)", რადგან ის იყო მისი უსარგებლო ცოდნის (გარჩევის) მიზეზი: ადამს არ უნდა სცოდნოდა, რა არის კეთილი და რა არის ბოროტი. ვერც ეცოდინებოდა, რადგან ადამი ამ ნაყოფის გემოსხილვამდე აბსოლუტურ სიკეთეში იმყოფებოდა, ნაყოფის შემდეგ კი სიკეთის გასაცნაურებლად რეალობაში ბოროტის შემოსვლა გახდა საჭირო.

ამიერიდან შუქ-ჩრდილებზეა აგებული ეს სამყარო და მისი ესთეტიკაც ამაზეა დაფუძნებული.

ულმანისი და სმეტონა

1955 წლის ზაფხულში სამი მეგობარი (ედიშერ გიორგაძე, ერლომ ახვლედიანი, ზ. კ.) მოსკოვისა და ლენინგრადის მოხილვის შემდეგ რიგას გავეშურეთ. ამ ქალაქს ყველაზე ანტი ქალაქის სახელი ჰქონდა და ასეც იყო. ყვებოდნენ ნაშუაღამევის ბაღებში რუსებზე ანგარიშსწორებებზე. ამბობდნენ, რუსულად დასმულ შეკითხვაზე პასუხს არ იძლევიანო. ჩვენ ეს არ გვაშინებდა: ჩვენი რუსული ამხელდა ჩვენს წარმოშობას და ჩვენ ქალაქში კითხვა-კითხვით თამამად დავდიოდით. გადავდიოდით კაფედან კაფეში, ბოლოს შუაღამისას ლუდხანაში მოვხვდით. ჩვენ მაგიდასთან შუახნის კაცი, თმაგაფოფრილი, აღგზნებული, დასავლური სტანდარტებით ზომაზე მეტად შემთვრალი, რატომღაც (თუმცა რატომ რატომღაც?) გაგვეხსნა, ჩვენ ჩვენსას, ის კი თავისას - დამოუკიდებლობის დაკარგვას მოთქვამდა. "ულმანის, ულმანის", იმეორებდა, "როცა ულმანისმა, ჩვენმა პრეზიდენტმა..."

კარლის ულმანისმა ნორჩ რესპუბლიკაში (ლატვიას დამოუკიდებლობის გამოცდილება არ ჰქონია), რუსების შიშით და წაბაძვით, ავტორიტარული რეჟიმი დაამყარა, გერმანიის მაგალითიც ჰქონდა. 1934 წლიდან გააუქმა ყველა პარტია, საკუთარიც კი, დახურა არასასურველი გაზეთები, დაითხოვა სეიმი, შეაჩერა კონსტიტუცია, თავი პრეზიდენტად დაინიშნა, სტალინისებურად ქვეყნის მამად და ბელადად იწოდა. მასაც ჰქონდა საყვარელი აფორიზმები: "ჩვენი მომავალი ხბოებშია" (ულმანისი რძის მრეწველობის მენეჯერი იყო), ან: "რაც არის - არის, რაც არ არის - არ არის". ლენინის დაბადების დღეს ქვეყანას ხეების დასარგავად მოუწოდა, რომ ახალნერგები რაიმე მოვლენისადმი მიეძღვნათ (ე. წ. საბჭოური ლენინური შაბათობები). მაგრამ ულმანისის ავტორიტარულმა რეჟიმმა ქვეყნის დამოუკიდებლობას ვერ უშველა.

საკვირველია, საიდან გაჩნდა მითი, რომ ულმანისი გორშია დამარხული?

ანტანას სმეტონას, ლიტვის პრეზიდენტის, მმართველობაც ავტორიტარული იყო (ქვეყანას შვიდასი წლის წინანდელი დამოუკიდებლობის გამოცდილება ჰქონდა), ვფიქრობ, იმავე მიზეზებით (თუმცა, შესაძლოა, არც ერთს, არც მეორეს ქვეყნის სხვაგვარი წყობა არც კი წარმოედგინათ), მაგრამ ლიტვაც დაიკარგა.

სმეტონას კაბინეტში რომ შევიდნენ, ერთადერთი წიგნი, რაც იქ ნახეს, პლატონის დიალოგები იყო. სმეტონას, აგრარული მოწოდების ულმანისისგან განსხვავებით, ჰუმანიტარული ინტერესები ჰქონდა.

ჭეშმარიტი შვილი

ჰკითხა ხასიდმა პატიოსან მამებს: "კეთილო ხალხო, ვინმე თქვენგანს რომ ჰკითხონ, თუ რისთვის წვალობს ამქვეყნად, მიუგებს: აღვზარდო შვილი, თორის მცოდნე და ღვთის მსახურიო. და როცა აღიზრდება, შვილს ავიწყდება, როგორ წვალობდა და იტანჯებოდა მამა მისი გულისთვის, მაგრამ თავის მხრივ ისიც შეუდგება ტანჯვა-წვალებას თავისი შვილის გულისათვის. და თუ ამ შვილსაც, მამა რომ გახდება, ჰკითხავთ, რის გამო იხეთქავს გულს, ისიც გეტყვით, რა საკითხავია, შვილისთვისო, რომ იცოდეს თორა და აკეთოს კეთილი საქმეები.

ასეა თაობიდან თაობამდე. მაგრამ როდისღა ვიხილავთ, გეკითხებით, მამებო, ჭეშმარიტ შვილს?

ასეა თაობიდან თაობამდე. სად არის ჭეშმარიტი შვილი, შუმერის დუმუ-ზი ("შვილი ჭეშმარიტი"), სად არის საბოლოო განსრულება, ცოდნისა და მსახურების გვირგვინი?

ამ მამათაგან თითოეული თავისი წიაღიდან ელოდა და კვლავ ელის მესიას, მაგრამ არ მოდის მესია, ძე ჭეშმარიტი, რომელიც უკვე მოსულია და სამყარო მეორედ მოსვლის მოლოდინშია.

სიშიშვლე

დიასპორა - "განთესვა", "განთესილობა" იმ კატასტროფის ამსახველი სიტყვა-ცნებაა, რომელიც ისტორიაში რამდენიმეგზის შეემთხვა ებრაელობას და თითქოს მისი მოდუს ვივენდი გახდა. "უსახლკარობა" და აქედან "ხეტიალი" - ეს თითქოს ზედაპირული მოვლენა, რომელიც გადაადგილებაში მდგომარეობს, ეკსისტენციალურ სიღრმეს აჩენს უსახლკაროს, მოხეტიალის და მარადი გერის ცხოვრებაში, "მარადი ურიის" ხატი და ფიგურა აქედან მოდის.
მაგრამ არსებობს მეორე სიტყვა-ცნება "გალუთი" (*გალუთ*), სიღრმისეული, რომელიც "სიშიშვლის" სემანტიკას შეიცავს და სხვა კუთხით ასახავს ამ მოვლენის საზრისს. გასახლება და უცხო ქვეყნებში გაფანტულობა ხალხის თვითშეგნებაში სიშიშვლის განცდას ბადებს: ის გაშიშვლებულია, დაუცველია, მას აღარ იფარავს თავისი ქვეყნის საზღვრები. ხალხი მხოლოდ თავის მიწაზეა დაცული. ბუნებრივად იბადება მწყემსური ყოფიდან ამოზრდილი მეტაფორა, რომელიც იეჰუდა ჰალევის ერთ ლექსშია: "როდემდის გაგრძელდება გალუთი, როდემდის იქნებიან რახელის ძენი ცხვრებივით გაპარსულნი?" ხალხი ცხვარივით არის გაპარსული, გაშიშვლებული, თავის ბუნებრივ საფარს მოკლებული. მეორე მხრივ, ქვეყნის დაცარიელება მკვიდრი მოსახლეობისგან აშიშვლებს ქვეყანას, თითქოს მიწაც ცხვარივით არის გაპარსული.

სიშიშვლე ქვეყანასთან მიმართებაში კიდევ სხვა ასპექტსაც აჩენს. ქვეყნის სიშიშვლე თითქოს გამხელაა ქვეყნის საიდუმლოსი, რომელიც უცხო თვალს არ უნდა დაენახოს. "მსტოვრები ხართ, ამ ქვეყნის სიშიშვლის სანახავად მოხვედით" (დაბ. 42:9), ეუბნება ეგვიპტის განმგებელი იოსები ძმებს. სიშიშვლე, უფრო სწორად, ის, რაც შიშვლად ჩანს, თითქოს ისეთი ღირებულებაა, რომელსაც საფარველი უნდა ჰქონდეს დადებული. საფარველის მოცილება სიშიშვლის პროფანაციაა.

სიშიშვლე წმინდაა, სანამ ის დაფარულია, მაგრამ საფარველი აეხდება და სხვათათვის ხილული გახდება თუ არა, სასირცხოს კატეგორიაში გადადის. ამიტომაც სიშიშვლე სირცხვილის მნიშვნელობას იძენს.

სიშიშვლის ახდა უკანონო სქესობრივი ურთიერთობის იურიდიულ ტერმინად იქცა: "არავინ მიუახლოვდეს თავის ხორცით ნათესავს მისი სიშიშვლის ასახდელად" (ლევ. 18:6).

და, რაკი სიშიშვლის ახდა (იგივე ზმნა, რაც გალუთში) უკანონო კავშირია, ღმერთი სჯის ისრაელიანებს სწორეთ გალუთით ყველა ქვეყანაში, სადაც კი გაფანტავს მათ. ეს არის განფანტვა-გალუთის ზნეობრივი საზრისი.

შეწყვეტილი ამბავი

ბავშვი სტუმრად უსმენდა თხრობას, რომელიც მოულოდნელად შეაწყვიტინა მთხრობელს ახალშემოსულმა სტუმარმა. ბავშვი სასოებით ელოდა, რომ მისალმება-მოკითხვის შემდეგ თხრობა გაგრძელდებოდა, მაგრამ ეს არ მოხდა და დარჩა ასე დაუმთავრებელი თხრობა. მას შემდეგ მტკივნეული იყო ფიქრი იმაზე, რომ არასოდეს ის გარემოება, რამაც თხრობა წარმოშვა, არ განმეორდებოდა (რატომღაც ეგონა, რომ თხრობის განგრძობის პირობა ყველა მაშინდელის დასწრება უნდა ყოფილიყო). მაგრამ ყრუ მოლოდინი მაინც ჰქონდა, დიდხანს გასტანა ამ მოლოდინმა. მერე მთხრობელიც მოკვდა და ყველა დაიხოცა, ვინც მოთხრობის ბოლომდე მოსმენა ვერ მოასწრო. მერე მიხვდა, რომ შეწყვეტა, დაუმთავრებლობა წუთისოფლის კანონია და არა გამონაკლისი:… შეწყვეტილი დიალოგი, ნაცნობობა, შეპირებები და სხვა და სხვა... საუბრის გადადება სხვა დროისთვის, რომელიც არასოდეს დგება.

არაფერი არ მთავრდება, ადამიანი ყოველთვის შუა გზაზეა. ან მთავრდება, მაგრამ ყოველთვის რაღაც დაუმთავრებლობის განცდა რჩება, რომ რაღაც არ მივიდა ბოლომდე, არ ამოიწურა. რაღაც დარჩა სათქმელი, გასაკეთებელი შენთვის, სხვისთვის...

მაგრამ იყო კაცი, დიდხანს რომ ყვებოდა ამბავს და ვერ ამთავრებდა, თავადაც უკვირდა, ვერ აეხსნა. ერთმა მსმენელმა ასე აუხსნა: "ვინც ეს ამბავი მოგიყვა, ალბათ ბოლომდე არ მოუყოლიაო".

პოტენციური დამნაშავეები

სახელმწიფო ყველგან სახელმწიფოა. ის მზად არის გათელოს ცალკეული ადამიანი ზოგადისთვის, კედელთან მიაყენიოს, გაჭყლიტოს. მგონი, იოანე ოქროპირი ამბობდა, რომ ადამიანი მუდამ დამნაშავეა ღვთის წინაშეო. ადამიანში არის დანაშაული, აქ არის ერთგვარი ანალოგი: განა ადამიანი, კერძოდ, პიროვნება ყოველთვის დამნაშავე არ არის სახელმწიფოს წინაშე? მაგრამ თუ ღმერთში არის უსაზღვრო მოწყალება, რომელიც ყოველივე დანაშაულს გადაფარავს, სახელმწიფო, კანონი, ბრმაა, გაულღობელი ყინულია.

საბჭოთა იდეოლოგიური სახელმწიფოში ყველას თავზე მოღერებული იყო უწყალო ლევიათანის თათები. აქ დანაშაულის ბევრი შანსი იყო. მაგრამ, ღვთისგან განსხვავებით, ლევიათანი შეუწყალებელი იყო სახელმწიფოს, როგორც სახელმწიფოს (არა ადამიანების) დანაშაულის მიმართ. არსებობდა სამარადისოდ უპატიებელი შეცოდებანი. ამგვარი დამნაშავე ამოირიცხებოდა არსებულთა სიიდან.

როგორ შეიძლებოდა პატიოსანი, სინდისიერი ადამიანი საბჭოთა სახელმწიფოსა და ხელისუფლების წინაშე დამნაშავე არ ყოფილიყო? განა უდანაშაულობა მისი ღირსების შეურაცხყოფა არ იქნებოდა? გულის სიღრმეში ის ამას გრძნობდა, შესაძლოა, თავს ვერ გამოუტყდებოდა, მაგრამ არსებობდა დანაშაულის აქტუალიზაცის შიში და ძრწოლა. ყველა მოქალაქე, ხელისუფლების მიმართ თვით ლოალურნიც, გულწრფელად მაქებ-მადიდებლებიც, ფანატიკოსნიც, თვით ხელისუფლებაში მყოფნიც კი, პოტენციური დამნაშავეები იყვნენ და ძრწოდნენ, მათ აძრწუნებდა ღალატის პერსპექტივა, რაც, როგორც წესი, სინამდვილედ ქცევას არ აყოვნებდა. ეს თვალნათლივ, ემპირიულად აჩვენა საბჭოთა ისტორიამ.

***

ბრიუსელიდან ტურნესკენ მიმავალ გზაზე, სადაც ერთ დროს გაუვალი ტყეები იყო და რეისბრუკ საოცარის სამშობლო, ტურნე კი პირველი ქრისტიანი ფრანკი მეფის ხლოდვიგის მშობლიური ქალაქი, ბელგიელმა კარდინალმა გოდფრიდ მარია ჟიულ დანეელსმა (Godfried Maria Jules Danneels) კითხვაზე, რას ფიქრობთ *ფილიოქვეზეო*, თვალები მაღლა აღაპყრო, ხელებიც აღმართა: ვინ იცის, რა ხდება ზეცაში, რა ხდება სამებაში!

დასასრული ჰგავს დასაბამს...

ისააკ ბაშევის ზინგერის ერთ გასაოცარ დოკუმენტური მოთხრობაში ამოიკითხავთ ანეკდოტს, როგორც იგავს, რომლითაც დედა შვილს დროის გონივრულად გამოყენებას უქადაგებს. თავად მოთხრობის ამბავი იმდენად გამაოგნებელია, რომ ეს ანეკდოტი არად ჩასაგდები უნდა ყოფილიყო. მკითხველს შეეძლო წაკითხვისთანავე დაევიწყებინა.

თურმე ერთი ხასიდის ცოლი სადილის გაწყობას სულმუდამ აგვიანებდა. ხასიდი იჯდა და ყოველთვის მოთმინებით ელოდა. ბოლოს მას აზრი გაუჩნდა, რომ ამ ლოდინის დრო წიგნის დასაწერად გამოეყენებინა. რამდენიმე წლის შემდეგ მან გამოაქვეყნა წიგნი, რომელიც თავიდან ბოლომდე სადილის მოლოდინის წუთებში იყო დაწერილი. ხასიდები ხომ მთელ ცხოვრებას მესიის მოლოდინში ატარებდნენ და, იმედია, მას ისეთივე წარმატებით ექნებოდა გამოყენებული მესიის მოლოდინის დრო, როგორც სადილის ლოდინის დრო გამოიყენა. და რამდენადაც დრო, თუ ის ადამიანს ეხება, არასოდეს ერთგვაროვანი არ არის და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ადამიანის განწყობილებით არის შეფერილი, ხასიდის ეს წიგნიც, მისი თეოლოგიური ხასიათის მიუხედავად, სადილის მოლოდინით იქნებოდა ნიშანდებული. ვის შეეძლო ის ამისთვის გაეკიცხა? ამ ჩვენი ჩანაწერების რომელიღაც აბზაციდან ვიცით, რომ ხასიდისთვის ჭამა ღვთისმსახურების ერთგვარი სახეა.

კიდევ ერთი ანეკდოტი თუ იგავი: მწეველმა კაცმა წევას თავი დაანება და თუთუნში დასახარჯ ფულს ცალკე ინახავდა. დროთა ვითარებაში იმდენი შემოსავალი დაუგროვდა, რომ კაცმა ამ თანხით სახლი აიშენა, თუმცა შიგ ცხოვრება ვერ მოასწრო: რაღაც მიზეზით სახლს ცეცხლი გაუჩნდა და ისევე ჩაიფერფლა, როგორც ის თუთუნი, რომელსაც ბევრი წელი ეწეოდა.
მორალი თითქოს ცხადია, თუმცა მისი საზრისი არც ისე ზედაპირზე ძევს, რომ ჩაღრმავება არ საჭიროებდეს. აქ ხომ ისეთ მოუხელთებელ ფენომენს ეხება საქმე, როგორიც დროა, რომელიც დღემდე თავსატეხს უჩენს ადამიანის აზრსა და საქმეს.

არის, ნეტავ, რაიმე მსგავსება ხასიდის მოლოდინის დროსა და მწეველის დროს შორის? რაში განივთდა ერთი და რაში - მეორე? მსგავსება შეიძლება მხოლოდ ის იყოს, რასაც სენეკა ამბობს, "ყველაფერი სხვისი გვაქვს, ლუცილიუს, მხოლოდ დრო არის ჩვენიო". მხოლოდ? უთუმცაო ნათქვამია. მაშინ დავსძენდით: არ წაგვერთმევა და ვერც გავექცევით. ასეა? იქნებ არც არის ასე. წაგართმევენ და გაგექცევა კიდეც. როგორ უნდა მოიქცე, რომ ის შენი იყოს? "მას გეცილების ვერავინ, არ არის გასაყოფელიო?" (თუმცა ეს ცოდნაზე ითქვა). მწეველი ფულს რომ მოუწეველი თუთუნისთვის ინახავდა, ის სადღაც ხომ უნდა დამწვარიყო, *ergo*, მთელი ეს დრო მაინც თუთუნის ნიშნით გადიოდა. სადღაც, ვირტუალურ დროში თუთუნი იწვოდა, არც იწვოდა. და, საბოლოოდ, თუთუნის დრომ სახლზე იძია შური... აშკარად გაექცა დრო მწეველს.
Weekend -ის აბზაცების ავტორმა, რომელიც არც ღვთისმეტყველია და აღარც მწეველი, დროის შევსების ახალი გამოცდილება შეიძინა. თუმცა 12 თვისა და 7 დღის (2010 წლის ჩვიდმეტი აპრილიდან 2011 წლის 24 ივნისამდე) ოთხიათას სამასორმოცდაოთხი საათი შეუძლებელია სიცალიერეში გასულიყო, მაგრამ ამ გამოცდილების გარეშე მას უეჭველად რაღაც დააკლდებოდა. დროის კონტინუუმი კვირიდან კვირამდე მონაკვეთებად დანაწილდა და ისეთი

პერსონაჟებით, ფიქრებით, გამონათქვამებით, მოწოდებებით, პარადოქსებით, ანეკდოტებით, ფიგურებით დასახლდა, რომლებსაც ერთ ჭერქვეშ, ერთ დროში, თავის შეფარება, შესაძლოა, არც კი ესურვათ. თუმცა, რატომ? არ უნდა უარვყოთ სიღრმისეული კავშირები, რომელთაც ერთ დასაბამამდე მივყავართ, ყველაფრის ერთი დასაბამი კი სამყაროს ერთიანობის დამაიმედებელი ნიშანია. "ყოველივე სიმრავლე ეზიარების რაისამე ერთსა", ამბობს პროკლე იოანე პეტრიწის ქართულით. არათუ ყოველი ნივთი, თუნდაც ქვიშის მარცვალი, რომლის ინდივიდუალობაზე არ ეზარება ლაპარაკი მეტაფიზიკოსს, ნაზიარებია პირველსაწყისს, არამედ ყველა და ყველაფერი ერთმანეთს არის ნაზიარები და მხარდამხარ მისკენ მიედინებიან, როგორც მათემატიკური დაბეჯითებით ამბობს სპინოზა, რომ "ქვეყანაზე არ არის რაიმე და არც მოიაზრება რაიმე, რაც თავისთავად იარსებებდა, სხვა რაიმესთან რაიმე კავშირის გარეშე". ღვთისმეტყველება მაინცდამაინც არ არის აუცილებელი იმისათვის, რომ ეს იდუმალი კავშირები განიცადო. ბოლოს და ბოლოს, ეს თვითჩაღრმავებისა და თვითშემეცნების საქმეა. თუ ადამიანს აქვს ერთი გონითი კერა (და ეს სადავო არ უნდა იყოს), როგორც შეგრძნებათა ცენტრი, რომლის მეშვეობით ცალკეული ელემენტებისგან იქმნება მთლიანი საგანი, ასევე ყველაფერი, რაც ცალ-ცალკე შემოვიდა მისი ინტერესების სფეროში, საბოლოოდ, კვლავ ერთიანობას უბრუნდება.
კიდევ ერთი თვისება აქვს ჩანაწერებს. როგორც ყოველი ნარატივი, არა მხოლოდ შეთხზული, არამედ რეალური ხდომილებაც, საზრისთა განსხვავებულ ფენებს შეიცავს, ასევე ერთ ჭერქვეშ მოქცეულ ამ გამონათქვამთა, მოწოდებებათა, ქმედებებათა, ხდომილებებათა, პარადოქსთა მკითხველი მათში ერთადერთი განზომილების ამოკითხვით არ კმაყოფილდება. ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი ნარატივი, ნივთიც კი, შეუძლია მრავალგანზომილებიან იგავად, მითოსად აქციოს.
მათ შორის ღვთისმეტყველი უყოყმანოდ ამ სამს გამოარჩევდა: "ნაოსნობა აუცილებელია...", "მარტოსული ყველაზე ძლიერია", "ნეტავ, უკანასკნელი ავაზაკი ისე მიყვარდეს..." - ეს პარადოქსები იმათთაგანია, რომლებიც ადამიანს, თავის თავისგანვე შეჩვენებულ არსებას, სამყაროს ყველა ქმნილებისგან გამოარჩევს. როგორ ხდება, რომ ამ არსებას თავისივე თავის წინააღმდეგ წასვლა შეუძლია? რა ძალით? ან რა არის "თავის თავი"? ჩანს, ადამიანი იმაზე მეტია, რასაც მის თვალში "თავის თავი" წარმოადგენს.

ღვთისმეტყველი ასევე ვერ დარჩება გულგრილი ორიგენის გენიალური ინტუიციის მიმართ, სახელდობრ, რომ დასასრული ჰგავს დასაბამს... თუმცა არც დასაბამი, არც დასასრული არავის უნახავს.

ეს არის დასასრული, დიდი შესვენება, შაბათი, ანუ ჩვენებურად კვირა, რომლის დასასრულს კვლავ ახალი დასაბამია მოსალოდნელი.

I (LXII)

ახალი წელი

ბაბილონელთა წარმოდგენით, როცა ძველი წელი დასრულდება და ქვეყნიერება, ქვეყანა, მეფობა კვლავ ქაოსში, საიდანაც პირველად აღმოცენდა, უნდა შთაინთქას, რათა განიწმიდოს ყველა უწმიდურებისგან, რაც წელიწადის მსვლელობაში დაგროვდა, და ახალი წელი, როგორც ახლადშობილი კვლავ, როგორც პირველად, უმწიკვლო დაიბადოს, რათა ისევ და კვლავ და კვლავ... ქვეყნის საბოლოო დასასრულამდე.

ამას ამბობს ძველი მითოსი.

კოსმოსისა და დროჟამის შემოქმედი დატყვევებულია ქვესკნელში ანუ, სხვაგვარად, შთანთქმულია ქაოსის მიერ, საიდანაც მან სამყარო შექმნა, რათა აღდგეს მესამე დღეს.

მეფე მიდის მარდუქის ტაძარში, რათა მიესალმოს აღმდგარ ღმერთს. ქურუმი მიიყვანს მეფეს ღმერთის ქანდაკებასთან, შემოაძარცვავს მას სამეფო შესამოსელს, ჩამოხსნის საჭურველს და რეგალიებს - გვირგვინს და კვერთხს, და ქანდაკის წინაშე დააწყობს. ძონძებით მოსილი მეფე მიწად დაემხობა და წარსთქვამს სინანულის სიტყვებს, რომ არასოდეს შესცოდავს ღმერთს, არასოდეს უგულებელყოფს თავის მოვალეობებს მისი ქალაქისა და ხალხის წინაშე. ქურუმი მოისმენს ამას, ყურებს აუწევს მეფეს და გააწნავს მას მწარე სილას, რომ ცრემლები წამოსცვივდეს თვალებიდან. ამის შემდეგ კვლავ შემოსავს მას ქურუმი სამეფო შესამოსელით და დაუბრუნებს რეგალიებს და მათთან ერთად ჩამორთმეულ ხელისუფლებას.

ბაბილონელებმა არათუ ის იცოდნენ, თუ ვინ შექმნა სამყარო და როგორ შეიქმნა იგი, არამედ მისი შექმნის თარიღიც იცოდნენ, თუ რომელ ასტრონომიულ მომენტში მოხდა ეს ამბავი. კოსმოგონიური მითოსი დაედო საფუძვლად რიტუალს, რომელიც სრულდებოდა ბაბილონში, იმპერიის ცენტრში. ყოველ გაზაფხულს, სამყაროს დაბადების დღეებში, თერთმეტი დღის განმავლობაში იმართებოდა მისტერია: ქაოსში დანთქმული სამყარო ხელახლა იბადებოდა, სამყაროსთან ერთად იბადებოდა ახალი წელიწადი და ახალი მეფობა. ქვეყნის ხალხი, რომელიც აქამდე გოდებდა სამყაროს, ქვეყნისა და მეფის აღსასრულზე, სიხარულით ეგებებოდა მათ აღორძინებას.

სამი მნიშვნელოვანი მოვლენა იკრებდა თავს ამ დღესასწაულში: სამყაროს განახლება, წელიწადის განახლება, მეფობის განახლება.

რა არის ჩვენთვის ახალი წლის საზრისი? რას ვდღესასწაულობთ ჩვენ დღეს და რას გვეუბნება ეს დღე, რისი სასწაულია (ნიშანია) იგი?

დამნაშავე ვარ, მაშასადამე, მართალი ვარ

როგორ ვცხოვრობდით და როგორ ვფიქრობდით საბჭოთა წყობილების დროს?

გულში ვაღიარებდით, რომ ყველანი დამნაშავეები ვიყავით *ამათ* (*ამგენის*) წინაშე, რადგან შინაგანად, ფიქრში მაინც, ვარღვევდით მათებურ სამართალ-სიმართლეს. თუ ვიტყოდით, რომ უდანაშაულონი ვართ, მაშინ უნდა გვეღიარებინა, რომ არ დაგვირღვევია მათებური სამართალი და, მაშასადამე, ჩვენც მათებურნი მათებური წესის მიხედვით ვცხოვრობდით, რაც მართალი არ იქნება. თუ ვარღვევდით მათ სამართალს, მათებული სიმართლით ვისჯებოდით და მოთმინებით ვიწყნარებდით სასჯელს, რადგან სრულებითაც არ გვსურდა მათებური სამართალ-სიმართლით ვყოფილიყავით გამართლებული. უნდა დავესაჯეთ და ასე დასჯილნი უნდა ვყოფილიყავით, ვიდრე მართალი სამართალი არ გაგვამართლებდა.

***

”ჩემი ძმა დილით ტყეში წავიდა ფიჩხის მოსაგროვებლად, თან ვირიც წაიყვანა. საღამოს რომ არ დაბრუნდა, მოსაძებნად წავედი. ვირი ვიპოვე, ჩემი ძმა კი არსად იყო. როგორც მითხრეს, რუსებს წაუყვანიათ” (ახალგორელის ჩვენება).

ეს ეპიზოდი, თუ მას მოვწყვეტთ კონტექსტს, სადაც მისი ერთადერთი ჭეშმარიტი საზრისი იკითხება, რაღაც იდუმალ განზომილებას იძენს. ვირი შემთხვევის დასაკონკრეტებლად არის ნახსენები, მაგრამ თავად ხდომილებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. სამაგიეროდ, ახალგორელი ყმაწვილის ამ წმიდაწყლის ინფორმაციული ჩვენების ფარგლებში მისი წონა საკმაოდ დიდია. მართალია, ვერ ვიტყვით რომ დაბრუნებული ძმა თავის დაკარგულ ძმას სახედართან ათანასწორებს, მაგრამ არც უმისობაა. სახედარს წონადობა დიდი აქვს ყოფაში, მაგრამ არანაკლები წონადობის არის ტყე, ფიჩხი, ძებნა, თუმცა ისინი სოფლელი

კაცის იმდენად ჩვეულებრივი საგნებია, რომ, შესაძლოა, მათში რაიმე სემიოტიკური დატვირთვა ვერ აღმოვაჩინოთ, სახედარი კი ამით დატვირთულია. თუმცა ეს საგნები ვირთან ერთად ყოველდღიურ ყოფაში ისეა ერთმანეთთან გადაჯაჭვულ-შერწყმული ბედისწერასავით, რომ მათი დანაწევრება და მოწყვეტა ერთმანეთისგან ცოცხალი ორგანიზმის ვივისექციის ტოლფარდი ქმედება იქნებოდა. დავტოვოთ ისინი დასაბამიერ სოფლურ ურთიერთობაში.

ძველი ტექსტი კი გადმოგვცემს ჩვეული ეპიური კილოთი: ”დაეკარგა ხრდალი ვირები კიშს, საულის მამას, და უთხრა კიშმა საულს, თავის შვილს: წაიყვანე ვინმე მსახურ ბიჭთაგან, ადექი, წადი და მოძებნე ვირები. და გადაიარა ეფრემის მთა და მოიარა შალიშის მხარე, და ვერ იპოვეს. და მოიარეს შაყალიმის მხარე, და არ იყო. და მოიარა ბენიამინის მხარე და ვერ იპოვეს” (1მეფ. 9:3-4).

არც ამ ხრდალ ვირებს ჰქონიათ რაიმე სიღრმისეული კავშირი იმასთან, რაც მათი ძებნისას თავისდა უნებურად მოიპოვა საულმა. მაგრამ მაინც, შემთხვევითობას ვერ დავუშვებთ: ეს ვირები, რომლებიც თავისთავად, უძებნელად გამოჩნდნენ, საულის გამეფების თანამდევნი არიან.

ფიროსმანის კვადრატები

ვახტანგ რურუას ”ფიროსმანის 100 კვადრატი” ერთი ფუნდამენტური საღვთისმეტყველო დებულების ჭეშმარიტებაში გვარწმუნებს: ღვთის შექმნილ სამყაროში არაფერია შემთხვევითი და უმნიშვნელო, მარგინალური, რადგან ყველაფერი და თავად არსებობა, რაკი ის აბსოლუტურმა ”არსებამ” შექმნა, მნიშვნელოვანია თავის მთლიანობაში და მის ნაწილებში. როცა ნიკალა ფიროსმანაშვილს ჰკითხეს, რატომ ხატავ ასეთ უმნიშვნელო საგნებსო, მიუგო (პასუხი რუსულ ენაზეა შემორჩენილი): Ежели мы не будем работать над низшим, как мы сумеем сделать высшее. ჩანს, მხატვრისთვის, რომელიც ხატავდა მთლიან სინამდვილეს, განსხვავება მნიშვნელოვანსა და უმნიშვნელოს შორის არც ონტოლოგიურად და, უფრორე, არც მეტაფიზიკურად და, ბოლოს, მხატვრულად, არ არსებობდა.

არსებობს კი სამყაროში უმნიშვნელო წვრილმანი? რატომ შეიქმნებოდა ის, თუკი შემოქმედის თვალში უმნიშვნელო იყო? არსებობს ნახატში უმნიშვნელო დეტალი? რატომ მიუჩენდა ადგილს მხატვარი რაიმე დეტალს, თუ მას უმნიშვნელოდ მიიჩნევდა?

ნაწილები (სამყაროსი თუ მხატვრის ტილოსი) მთელს, ერთ მთლიანობას ქმნიან, მაგრამ კვადრატის, როგორც ლუპის, შემოტანა მთლიანობაში გვარწმუნებს, რომ ნაწილი შეიძლება გამოეყოს მთლიანობისგან და ავტონომიურობა მოიპოვოს, ახალი საზრისი შეიძინოს იმ საზრისის გვერდით, რომელიც მას, როგორც მის ნაწილს, მთლიანობაში აქვს. ის მოექცა კვადრატში, გამადიდებელი შუშის არეში, და ამიერიდან თვითმყოფადია, თავისთავადი ნახატია, თავად არის მთელი და ერთი მთლიანობა და ასე კვლავ კვადრატების გამოყენებით, მისი ყოველი დეტალი ახალი საზრისით დატვირთული აღმოჩნდება.

სად ბაძავს მხატვარი სამყაროს შემოქმედს? სად, თუ არა, იქ, სადაც იგი, როგორც კრეატორი, ყოველ თითქოს უნიშვნელო წვრილმანს, რომელიც პერიფერიაზეა გადასროლილი და თითქოს არც კი მოითხოვს ჩვენგან ყურადღებას, მთელი თავისი შემოქმედებითი უნარებით, პასუხისმგებლობით, როგორც ფუტკარი, დასტრიალებს? უფორმო რიყის ქვა, გზაზე რომ გაბრკოლებს, ლოკოკინა თუ კოღოს ბეწვი, და უამრავი მსგავსი საოცრებანი ჩვენთვის მიუწვდომელ საზრისში ბრწყინავენ. შემოქმედის ხელი ამჩნევია მათ.

კვადრატმა ტილოზე, რომელსაც ეწოდება ”ლხინი ქართლში” აღმოაჩინა პერიფერიულ სიმრავლეში დედაბრების სახეები, რომელთაგან თითოეული გამოკვეთილი ინდივიდუალობაა (არავინ თხოვდა მხატვარს, მათი პორტრეტები შეექმნა); ”მოგზაურობა ურმით”, სადაც წინა პლანზე ვეება ჩარდახიანი ურემი გეცემა თვალში, იფიქრებ, რომ ამ ურმისთვის არის შექმნილი

ეს ტილო (მაგრამ შეცდები), კვადრატის მეოხებით ჩნდება თვითმყოფადი ”დეტალები”: შორს მოჩანს სხვა ურემი ცასა და მიწას შორის, უსასრულობისკენ ეულად მსვლელი, მას არავინ ამჩნევს, ის თითქოს მარგინალურია მთელისთვის, მაგრამ ის სრულყოფილია თავის მშვენებაში; ორიოდე სახლი, რომელიც სოფლის უჩინარ მხარეს ამხელს - ეს დამოუკიდებელი ნახატია. მხილველს შეუძლია მასში სხვა, მისი საკუთარი საზრისი ამოიკითხოს. განათავსე კედელზე ეს კვადრატები და დაარქვი *უცნობი ფიროსმანი*.

ფიროსმანი უთქვამს: ”ზოგი სურათი ისეთია, ერთი თვე რომ ხატო, თუნდაც მთელი წელიწადი, დასახატი არ გამოილევაო”. სად უნდა მიჩენოდა ამ ნათქვამს ადგილი, თუ არა ალბომზე - ”ფიროსმანის 100 კვადრატის” ეპიგრაფად.

კვადრატს შეუძლია ნახატის ფსკერამდე დაგვიყვანოს, როცა მის სივრცეში არა რაიმე ნივთი, საგანია მოქცეული, არამედ თავად ნახატის ქსოვილი, რომელიც შედგება ფერებისგან, ფერადი ძაფებისგან, ხაზებისგან, ფუნჯით დატოვებული კვალისგან - ეს ყველაფერი საშუალებებია და, ამდენად, თითქოს უსაზრისო ფონია ნახატისა, რომელიც მისგან დამოუკიდებლად თითქოს არ უნდა არსებობობდეს, მაგრამ არსებობს და, კვადრატში მოქცეული, თავისთავად ღირებულებას იძენს, თავისი საკუთარი საზრისით იტვირთება. ეს ხომ ის ნიადაგია (”გრუნტი”), რომელზეც თავად ყოფიერებაა დაფუძნებული.

წიგნის ბოლოს ცარიელი კვადრატი გიწვევს შესავსებად. ეს კონცეპტუალური წიგნია. მას ფიროსმანის შემოქმედების შესავალს დავარქმევდი.

II (LIII)

ტრაიანე

რომის იმპერატორ ტრაიანეს მმართველობა მის თანამედროვეთ აცვიფრებდა, არც ერთ წინამავალ იმპერატორს იგი არ ჰგავდა. იმპერატორი რომის ქუჩებში დაცვის გარეშე ფეხით დადიოდა, განსხვავებით წინამორბედ იმპერატორთაგან, რომელთაც ტახტრევანით დააბრძანებდნენ. ყოველ მოქალაქეს შეეძლო მასთან მისვლა და გამოლაპარაკება. მისი სასახლის კარი ყოველთვის ღია იყო. იმპერატორის უსაფრთხოებას და სიმშვიდეს ხალხის სიყვარული იცავდა და არა გვარდიის ჯარისკაცები.

დიონ კასიუსი იმპერატორ ტრაიანეს შესახებ წერდა:

”იგი ყველასგან გამოირჩეოდა სამართლიანობით, სიმამაცით და უბრალოებით... მას არავისი შურდა, არავინ დაუსჯია უსამართლოდ, პატივს მიაგებდა და აწინაურებდა ყველა ღირსეულ ადამიანს, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი. ცილი არავისთვის დაუწამებია, დასმენებისთვის ყურადღება არასდროს მიუქცევია... არ თაკილობდა უბრალო ადამიანებთან ურთიერთობას, მათთან ერთად ნადირობდა და სუფრას უჯდა, სვამდა ნებისამებრ და მუდამ ფხიზელ გონებას ინარჩუნებდა... უყვარდა მოქალაქეებთან სტუმრობა დაცვის გარეშე...”

ამბობდნენ, ერთხელ სალაშქროდ მიმავალი იმპერატორი ერთმა ქალმა გააჩერა და შესჩივლა, რომ მისი შვილი უსამართლოდ იყო პასუხისგებაში მიცემული. იმპერატორმა მსვლელობა შეაჩერა, ჩამოხდა ცხენიდან, გაყვა მთხოვნელს სასამართლოში და მხოლოდ იმის შემდეგ განაგრძო მსვლელობა, როცა საქმე ქალის სასარგებლოდ გადაწყდა.

ტრაიანე ამბობდა:

”მე მსურს ისეთი იმპერატორი ვიყო, როგორსაც ვისურვებდი, ქვეშევრდომი რომ ვყოფილიყავი”.

ქრისტიანობის მიმართ ტრაიანეს ეკუთვნის ფორმულა nomen ipsum „თავად სახელი”. თავად სახელი საკმარისია იმისათვის, რომ იდევნებოდნენ და ისჯებოდნენ.

მის დროს ეწამენ კლიმენტი რომაელი და ეგნატე ანტიოქიელი

მარკუს ავრელიუსი

ავიდიუს კასიუსი, რომელმაც იმპერიის აღმოსავლეთში თავი იმპერატორად გამოაცხადა, იმპერატორ მარკუს ავრელიუსის ნების წინააღმდეგ მოკლეს იმპერატორის ერთგულმა ჯარისკაცებმა. როცა აჯანყების ამბავი შეიტყო, იმპერატორი არც კი აღშფოთებულა და სასტიკი ზომები არ მიუღია კასიუსის შვილებისა და ნათესავების წინააღმდეგ. როცა სენატმა შეთქმულთა ქონების კონფისკაცია გამოაცხადა, მარკუს ავრელიუსმა არ ისურვა, რომ მისი ქონება იმპერატორის ხაზინაში შესულიყო, სენატს სთხოვა, სახელმწიფო ხაზინაში ჩაერიცხათ.
ამიანუს მარცელინუსი წერს:

”როცა იმპერატორს კასისუსისგან შეთქმულებისადმი გასაგზავნი წერილების შეკვრა გადასცეს, მას არც კი გაუხსნია, ბრძანა დაეწვათ, რომ არ გაეგო თავისი მტრების სახელები და არ შეეძულებინა ისინი”.

”ერთი რომაელის საყვედურზე, რატომ შეიწყალე აჯანყებულები, ხომ შეიძლებოდა გაემარჯვათო, იმპერატორმა უპასუხა: განა ისე ცუდად ვცემდით თაყვანს ღმერთებს და ისე ცუდად ვცხოვრობდით, რომ მათ გაემარჯვათ?”

მარკუს ავრელიუსმა უკანონოდ გამოაცხადა ქრისტიანობა მთელს იმპერიაში. მის დროს, რომელიც ოქროს ხანად არის ცნობილი რომის ისტორიაში, ეწამენ იუსტინე ფილოსოფოსი და პოლიკარპე სმირნელი.

***

ვიღაცას მოუნდა ადამიანის მაიმუნიდან წარმოშობის თვალსაჩინოების კეთილშობილური მიზნით, ბიოლოგიის სახელმძღვანელოში ერთმანეთის გვერდით დაებეჭდა ადრიან ევტიხიევის ბალნით ტოტალურად დაფარული სახე, მაიმუნი და წვერებიანი დარვინი. იმ ვიღაცის ექსპერიმენტს ისეთი შედეგი ჰქონდა, რომ ბავშვის ცნობიერებაში ერთი-ასად გაზარდა ჰოპოთეზის მტკიცებულება, რამაც იდეის ავტორისთვის მოულოდნელად საწინააღმდეგო ეფექტი გამოიწვია: ბავშვს ხანგრძლივი ისტერიკა, რასაც ბავშვებში გადაფიჩინებას უწოდებენ, დაემართა და მას მერე საბოლოოდ შეიძულა არა მხოლოდ ეს თეორია დარვინითურთ, არამედ ეჭვი დაებადა ადამიანის თავად არსებობის მართლზომიერებაში.

***

შმუელ აგნონი ამბობდა, მარტინ ბუბერი უცხო ენაზე წერს, მაგრამ ებრაელის დამშეულ სულს წმიდა ებრაული აზრით კვებავსო.

იყო ფილიპინების განმათავისუფლებელი მოძრაობის გმირი, რომელიც იმათ ენაზე წერდა, ვისგან გათავისულებასაც ესწრაფოდა. წერდა ესპანურად ესპანელების წინააღმდეგ... ხოსე პროტასიო რისალ-მერკადო ი ალონსო-რეალონდა (1861-1896) - ასეთ მქუხარე ესპანურ სახელს ატარებს ტაგალელი თუ მალაელი პოეტი.

მისი პატრიოტულ-ნაციონალისტური ”რელიგია” არ გახუნებულა იმის გამო, რომ იგი თავის პოეზიას დამპყრობელთა ენაზე ქმნიდა და, უკანასკნელად სიკვდილმისჯილის კამერაში დაწერილი მისი პატრიოტული ლექსი (Ultimo Adios ”უკანასკნელი დამშვიდობება”), რომელიც მხოლოდ ითარგმნა მამულის ენაზე, ტაგალურზე, ესპანური პოეზიის მშვენებად ითვლება. თუმცა დამოუკიდებლობის ხანაში ესპანური დავიწყებული იქნა და დღეს სახელმწიფო ენად ტაგალური და ინგლისურია.

ქვეყანა კი დღემდე დამპყრობელთა მეფის სახელს ატარებს. ბოლოს მშობლიურ ტაგალურსაც ფილიპინური (*ფილიპინო*) დაერქვა.

”სანატრელი მიწა”, ”სათაყვანებელი მამული, ”ჩემს ტკივილთა ტკივილი”, ”ჩვენი დაკარგული ედემი”, ”სანატრელი ფილიპინები”, ”ჩემი რწმენის არსი”... აი, რა წარმოსახვებით არის მოოჭვილი ეს ლექსი.

სად და როდის ეგულებოდა მამულისთვის თავგანწირულ პოეტს ”დაკარგული ედემი” - ესპანელების მოსვლამდე თუ ესპანელებამდელ ბუნდოვან წარსულში? რა ერქვა იმ ქვეყანას, რომელიც ესპანელებმა დაიპყრეს? ნამდვილად, ფილიპინები არ ერქმეოდა. მას იმგვარი არსებობა არც კი ექნებოდა, რომ ვინმეს მამული ყოფილიყო, არც ამ *ვინმეს* არსებობაა წარმოსადგენი. ტაგალური ნაციონალიზმი ხომ ესპანური კოლონიალიზმის პირობებში შეიქმნა.

დაე, ”დაკარგულ სამოთხესავით” წარმოსახვითი იყოს ეს მხარე, როგორც ბენედიქტ ანდერსონი წერს თავის წიგნში ”წარმოსახვითი საზოგადოებანი”, საიდანაც ამოღებულია ეს ესპანური ლექსი, რომლის პათოსი ილიას მამულის კონცეფციის ტყუპისცალია, თუნდაც ესპანურად, არა მამულის ენაზე იყოს გამოთქმული იგი (რაც სრულიად წარმოუდგენელი იქნებოდა ილიას ქვეყანაში), მაგრამ ეს წარმოსახვა საკმარისი გამოდგა იმისთვის, რომ ადამიანს თავი გაეწირა მისთვის. რატომ? როგორ? კითხულობს წიგნის ავტორი? როგორ ხდება, რომ წარმოსახვითი ანუ ობიექტურად არარსებული საგნებისთვის ადამიანი ყველაზე უძვირფასესს, რაც კი აბადია, არად აგდებს? იმავე წარმატებით (თუკი ეს წარმოსახვითობის თეორია წარმატებულია) შეგვიძლია სიყვარულს, მეგობრობას და სხვა გრძნობებს, რომლებიც ადამიანს არამქვეყნიურ მხარეში - ”დაკარგულ ედემში”, აბრუნებენ, წარმოსახვითი ვუწოდოთ. ნუთუ ვინმე ფიქრობს, რომ სიყვარული და მსგავი ეკსისტენციალური მიმართებები თავისთავად, ადამიანური ეკსისტენცის გარეშე არსებობენ და მათ ობიექტებში, კერძოდ, მამულის ლანდშაფტში აწყვია? სად და როგორ იბადება და სად ყვავის სიყვარული, ან სად იმყოფება ის მზა სახით, *მასში* - ობიექტში, თუ *ჩემში*?

და ბოლოს, უნივერსალურ მასშტაბში მთელი ეს სამყაროც სხვა რა არის, თუ არა *ნება* და *წარმოსახვა*, როგორც ერთი ძველი წიგნის სათაური გვაუწყებს?

III (LIV)

***

ბრძენი რაბი აკიბა (I-II სს.) ამბობდა, რომ სამყაროს შექმნა ღირდა იმისთვის, რომ ქებათა ქება შექმნილიყოო. ყველა ქმნილებაზე ასევე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ღირდა შესაქმნელად. ვერ დავუშვებთ, რომ რაიმე ქმნილება, რომელსაც ჩვენ უმნიშვნელოდ მივიჩნევთ, ასევე უმნიშვნელო და, ამდენად, შემთხვევითი და არაღირებული იყოს შემოქმედის თვალში. როგორ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ღვთის წარმატებულ ქმნილებათა გვერდით წარუმატებელი ქმნილებანი ანუ ხელმოცარული ცდანიც არსებობენ, რომელთა შედეგი უსარგებლოა? იერარქიულია ხილული სამყარო კოღოდან ადამიანამდე (ან პირუკუ)? ღირებულებათა კიბის რომელ საფეხურზე მივუჩინოთ ადგილი ბეჰემოთს ან ხვლიკს, როცა მათი და სხვა უამრავი უსახელო ქმნილების საზრისები არ ვიცით?

მაგრამ, თუ ქმნილება შემთხვევითი არ არის, ის აუცილებლობის შედეგი ყოფილა, ეს კი ეწინააღმდეგება ღვთის თავისუფლებას: თუ ქმნილება აუცილებლობის ძალით არსებობს, სადღაა თავისუფალი არჩევანი?

იქნებ სამყაროს შემოქმედის თავისუფლება იქ არის, სადაც მან, შემთხვევითობათა ანუ შესაძლებლობათა უსასრულო რაოდენობის მჭვრეტელმა, *ამ ერთზე* შეაჩერა თავისი არჩევანი.

***

შიდადინასტიური ბრძოლების ასაცილებლად ქრისტიანულ ეთიოპიაში ასეთი წესი იყო: ერთ ძნელად მიუვალ მთაზე - გეშენზე (თუ, მოგვიანებით ვეჰნიზე) ჰქონდათ საპყრობილე, სადაც ამწყვდევდნენ ყველა უფლისწულს და სამეფო სისხლის მატარებელს, ვისაც კი ტახტზე პრეტენზია შეიძლება ჰქონოდა. სამეფო კარმა სხვა ღონე ვერ მოიფიქრა. მეფე თავის შემდგომ ირჩევდა ერთს, როგორც წესი, პირმშოს, ხოლო დანარჩენებს გეშენის გზას გაუყენებდა, მათთან ერთად ყველა მეფის ნათესავს, ვის ძარღვებში სამეფო სისხლი ჩქეფდა. მრავალი წელი აქ ერთმანეთის გვერდით სხვადასხვა ასაკის უფლისწულები და მეფეთა ნათესავნი იყვნენ გამომწყვდეულნი. ზოგი, ჯერ კიდევ ბავშვი, იზრდებოდა, ზოგი ვაჟკაცდებოდა, ზოგი ბერდებოდა, და იხოცებოდნენ. იშვიათად თუ გაუღიმებდა რომელიმეს ბედი და გამოიყვანდნენ საპყრობილედან, რომ განთავისუფლებულ ტახტზე დაესვათ. დანარჩენები განწირული იყვნენ დასავიწყებლად, არავის მათი ბედი არ ანაღვლებდა. ვაი მას, პყრობილს, ვინც გარედან ვინმეს ყურადღებას მიიპყრობდა და იმასაც ვაი, ვინც გამოიჩენდა ყურადღებას პყრობილისადმი - ეს საკმარისი პირობა იყო სასტიკი სასჯელისთვის. ეს ნამდვილად კეთროვანთა ბანაკი იყო.

და აჰა, 1683 წლის შობის მეორე დღეს, მოგვითხრობს ეთიოპური ქრონიკა, მოხდა უჩვეულო ამბავი: ახლადარჩეულმა მეფემ იასუმ (იესუმ) მოინდომა თავისი პყრობილი ძმებისა და ნათესავების მონახულება. მან კარგად იცოდა, რა დღეში უნდა ყოფილიყვნენ ისინი. მაგრამ ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მეფემ მთის ძირში დატოვა მხლებლები და მარტო გაემართა საპყრობილისკენ, რომელიც ვეჰნის მთის თხემზე იყო მოწყობილი. იესომ აქ იხილა მიხრწნილი უფლისწულები და მათთან ერთად თავისი ჯერ კიდევ ჩვილი ძმები, ზოგნი ძონძებში, ზოგნი შიშველნი, მშიერ-მწყურვალნი (რადგან მათ სარჩენად გაცემული სახსრები საპყრობილემდე არ აღწევდა). რაც შეეძლო მათთვის იესუს გაეკეთებინა, ეს იყო ჯერ ცრემლი („ცრემლოოდა იესუ", იოან. 11:35), რამაც გულითად სიტყვებთან ერთად მოულოდნელი ნუგეში მოგვარა საპყართ; მერე შესამოსელი: თავისი უფლისწული ძმები შემოსა, როგორც თავად იყო შემოსილი, ანუ მეფურად, ხოლო თავისი ბიძები და, შესაძლოა, პაპები, შემოსა კიდევ უფრო მეტი პატივით (მეფურზე მეტი რაღა უნდა ყოფილიყო?), დააპურა და ასვა მათ და ხარობდა მათთან ერთად; და, ბოლოს, ყველასათვის უხვად გასცა ოქრო და ვერცხლი.

თავისი ნეგუსობის ამ მცირე მონაკვეთში იასუ-იესოს შესაძლებლობა მიეცა, ყოფილიყო ნამდვილად იესო, რომელმაც კეთროვანები მოინახულა, რათა ისევ დაბრუნებოდა თავის ნეგუსობას, რის შენარჩუნებასაც მის ხელში ეს სისასტიკე ემსახურებოდა. მაგრამ მის ადამიანობას არ ძალუძდა მისი გაუქმება. ამის უფლება ყოვლისშემძლე ნეგუსს არ ჰქონდა. მას ისღა დარჩენოდა, რომ ნეგუსობის საფარქვეშ იქ დაღვრილი ცრემლის სიტკბო-სიმწარით ენუგეშებინა თავი.

ცრემლი, შესაძლოა, მის უფროსი ძმასაც, ტახტის მემკვიდრეს, ეკუთვნოდა, რომლის სიკვდილმა ამ სამეფო პატიმართა ხვედრს აარიდა იასუ; ის, შესაძლოა, გლოვობდა რეტროსპექტულად თავის თავსაც ამ პყრობილთა შორის მყოფს, თუ რომ სამეფოდ გამზადებული უფლისწული - მისი უფროსი ძმა არ მომკვდარიყო.

ბოლოს კი, უკვე მეფობას განრიდებულ, მის მიერ აგებულ მონასტერში ბერად აღკვეცილ იასუს, რომელმაც თუმცა ნებაყოფლობით დაუთმო ტახტი თავის ძეს, მაინც დაემუქრა ეს კანონი, მაგრამ ვეჰნიში დატყვევებას, მან ისევ სიკვდილი არჩია.

წამოცთენები

მარკ ბლოკი, ისტორიკოსი, წერდა, რომ ისტორიკოსისთვის ღირებულია არა იმდენად ის, რაც მემატიანის მიერ "წინასწარი განზრახვითაა მოწოდებული", არამედ ის, რაც ავტორმა

უნებლიეთ თქვა, რაც მას წამოცთა. ამ წამოცთენებს ნაყოფიერად იყენებს სასამართლო გამოძიება. ამაზე მუშაობს გამომძიებელი. აქ აგროვებს ის სამხილებს.

წამოცთენები მხოლოდ ადამიანური ფენომენია თუ იგი ბუნების მოვლენებშიც შეგვიძლია ვივარაუდოთ? თუ დადასტურდება, ეს ღვთაებრივი წამოცთენები იქნება, და ისინი უეჭველად ღვთის ქმნილებაში მის დაფარულ საზრისს უნდა გვიმხელდეს. თუ სტოვებს შემოქმედი სამხილებს შესაქმის პროცესში? თუ სტოვებს, იმ განზრახვით უნდა სტოვებდეს, რომ ადამიანმა ამოიცნოს ისინი. თუ ასეა, ისინი უბრალო წამოცთენები არ უნდა იყოს, ისინი განზრახ უნდა იყოს წამოცთენილი, ვინძლო ადამიანი მიხვდეს შესაქმის ალტერნატივების არსებობას. სად ვეძიოთ - ანომალიებში, ”ბუნების ნათავხედარებში”, ამოუხსნელ უცნაურობებში, გამოცხადებებში, უხსოვარი დროიდან რომ თანსდევს კაცობრიობას?

გ.-ჰ. გადამერი ამბობს, რომ განმარტება (ჰერმენევტიკა) სრულიად შეუძლებელია იქ, სადაც საგანი სრულიად უცხოა. ჰერმენევტიკა აზრს კარგავს მაშინაც, როცა საგანი სრულიად ნაცნობია: ის უკვე განმარტებულია ამ ნაცნობობით, თავადვე განგვიმარტავს თავის თავს. ნაცნობში თუნდაც ფიორისოდენა მაინც უნდა იყოს უცხო, რომ განმარტებას აზრი ჰქონდეს.

მაგრამ მაინც ადამიანი ეძებს უცხოს, ჯერ არ ნახულს, ან აბსოლუტურად, სრულიად უცხოს. რეალურად არსებობს? ხომ არ სურს მას ქმნილების ფარდის უკან, სამყაროს კულისებში შეხედვა? ის უცხო, რომელიც რეალურად არსებობს მის რწმენაში ღვთიური წამოცთენების ნიშანი ხომ არ არის?

Tribus amicis in morte paribus

ერლომ ახვლედიანს (†)

იმ ნაწერმა კიდევ ჩამაფიქრა იგავზე: რა იქნებოდა ფიქრი, საუბარი, წერა, ურთიერთობა, ჩვენი ყოფა, თვით ფიქრი ყოფაზე, იგავი რომ არ არსებულიყო. ნუთუ ოდესმე იყო დრო, როცა იგავი ჯერ შექმნილი არ იყო? მაგრამ შექმნილია? ახლა ვფიქრობ, რომ როცა გასაჩენი გაჩნდა, მას იმთავითვე დაჰყვა იგავიც, რათა ამოევსო ხარვეზი ქმნილებათა შორის. თუ სამყარო იერარქიულია და კვლავ იარსებებს ყოფიერების საფეხურები, იგავიც იარსებებს: ზემო საფეხურის ჩენა ქვემოში, ღვთაებრივისა - ადამიანურში, ფიქრისა - სიტყვაში, სიტყვისა - ქმნაში, დიდისა - მცირეში, საიდუმლოსი - ცხადში, ქვეყნისა - პიროვნულში, *შენი* - ჩემში... და კიდევ რა უნდა ითქვას, რომ დასრულდეს, რომ ჩამოვიდეთ ბოლო, თუკი არსებობს, საფეხურზე, მაგრამ რა არის პიროვნულზე უღრმესი და *შენზე* უახლოესი ქმნილებათა შორის? იგავი განმსჭვალავს მათ ყველას, როგორც... (ამ როგორსაც თავისი იგავი მოჰყვება უთუოდ).

ოღონდ, როცა ნაწერი იკითხებოდა, რაც უნდა სულგანაბულს გესმინა, გინდა ზრდილობისთვის, გინდა სხვა რამ მიზეზით, ოთახში ათასჯერაც რომ გესმინა უცხოთა შორის, სხვებით გარსშემორტყმულს, ვერ ჩაწვდებოდი მოსმენილის იგავს. ან თუ იქნებოდა იქ ვინმე იმის მიმხვედრი, რისთვისაც ეს ნაწერი შეიქმნა? თუ აღმოჩნდებოდა ვინმე იმ დარბაზში, ვისაც შეეძლებოდა ამ ქროლვისგან, რომელსაც მკითხველის ბაგეები გამოსცემდა, ამოეცნო გულის დაფარული, ის, რაც აშკარად არ იყო გამოთქმული და, იქნებ, დამწერსაც არ სურდა ოდესმე გამოეთქვა. ან იქნებ არც კი უფიქრია, რომ ეს ნაწერი, როგორც პასუხი სხვის ნაწერზე, ყველაზე უკეთესი ჭურჭელი იქნებოდა საკუთარი იგავის გადასანახავად? ის დიდხანს ფიქრობდა, ოცნებობდა, ვიდრე წერას შეუდგებოდა, იმ მოუბრუნებელზე და სიმაღლეზე, რომელიც ვაითუ სამუდამოდ დაკარგულად ეჩვენებოდა და, რასაც თავის უსაკუთრესში განიცდიდა, იგავის ენაზე თარგმნიდა, თითქოს იგავით შეძლებდა იდუმალის დაფარვას. მაგრამ ამაოდ: როცა იგავი ჩნდება, სწორედ მაშინ იგრძნობა, რომ აქ რაღაცას საფარველი ადევს, რომ აქ რაღაც საიდუმლოა. და ეს აიმედებს იმ სხვას, თუნდაც არ ჰქონდეს იმის მოლოდინი, რომ ოდესმე საფარველი

აიხდება. იგავი თავისი არსებობით ღაღადებს საიდუმლოს და ჭეშმარიტებას, რადგან მისი არსებობა, როგორც მოწოდება, ჭეშმარიტების ჭურჭლად ყოფნაა. იცრუებს პირდაპირი სიტყვა, მაგრამ იგავი ვერ იცრუებს - მას არა უხარინ სიცრუესა ზედა, არამედ უხარინ ჭეშმარიტებასა ზედა... არა სადა დავარდების...

ედიშერ გიორგაძეს (†)

მეგობარმა დიდი ხნის წინ ნაწერი მათხოვა წასაკითხად. ცივ ზამთარში, ყინავდა, ნაწერი უბით შინისაკენ მიმქონდა. ყინვა თანდათან, თითქოს უსასრულოდ ძლიერდებოდა, თითქოს ყოველ ჩემს ნაბიჯზე თითო საფეხურით მაღლა იწევდა. იქ, სადღაც, ვერისუბნის შესახვევში, ჯავრიანი სიბრძნისმეტყველი, გვიანი მოსეირნე, თავისი ხელჯოხით იმ წლების ქვაფენილს ნაპერწკლებს აყრევინებდა და კვესების ხმა დეკემბრის ჰაერში ყინულის კრისტალებად ქვაფენილზე იმსხვრეოდა. გაკაშკაშებულ ვიტრინაში საზაფხულოდ მორთული მანეკენი, როგორც სირინოზი, გამომწვევად იღიმოდა. მისი დანახვისას ამ ყიამეთში ვის არ გააჟრჟოლებდა, მე კი უბეში ნაწერი მედო და თილისმასავით მეიმედებოდა. გზაში ვფიქრობდი: ოთახი მაქვს, შევალ, კარს საიმედოდ ჩავრაზავ, ერთი-ორჯერ გადავატრიალებ კლიტესაც და ღრიჭოში ჩავტოვებ სამუდამოდ, ჩასაჟანგებლად.

ეჰ, მეგობარო, მეგობარო. ნავთის შუქზე იმ მიხურულ დარაბებში შენი ბატიფეხური, აჩხა-ბაჩხა ნაწერი, რომ არც არე ჰქონდა, არც აბზაცი, არც წერტილი, არც თავი, არც ბოლო, უფრო ძვირფასად მეჩვენებოდა, ვიდრე ის ყდაშემოსილი წიგნები, მამაჩემის კარადაში რომ ბრწყინავდნენ ძველი შუქით. იმ საბრალო, თალხ ქაღალდზე ბაცი მელნით ნაწერი ჟამთა სვლაში კიდევ უფრო გამკრთალდებოდა, იქნებ კვალიც კი არ დაეტოვებინა ქაღალდზე და გამქრალიყო ნაღველთან და იმ ჟამთან ერთად, როცა იწერებოდა. მეგობარო, შენ იწყებდი დაუწყებლად, შუაგულიდან, შენს თითქოსდა, უცხოს ასე მოეჩვენებოდა, უთავბოლო ნაწერს, რომელიც იგავურად მახსენებდა ჩვენს მართლაც უდასაბამო ერთობას. როდის გაისმა პირველი სიტყვა, რომელიც უნდა მიეღო თითოეულ ჩვენგანს განუყოფელ საკუთრებად, რაკი მხოლოდ ჩვენ შორის, სხვისთვის არავისთვის, ითქვა?

თამაზ აბულაძეს (†)

მე მსურდა მისთვის მეთქვა: "ძვირფასო მეგობარო..." თუ რომ ეს მიმართვა იმ დროში, იმ ჩვენ ასაკში, ჩვენ შორის მიღებული ყოფილიყო. ეს სიტყვები მხოლოდ გულში უნდა გვეთქვა ან, იქნებ, გულშიც არ თქმულყო იმის დასტურად, რომ განცდა, ფიქრი მასზე, შენზე, აზრი, დამოკიდებულება პირველადია, ხოლო სიტყვა, მისი სამოსელი - მეორადი, რომ სული უსხეულმყოფელია. და განა ეს ჩვენი განცდა-გამოცდილება, რომელიც მაშინ სიბრძნისმეტყველურ საფეხურზე აგვყავდა, ჩვენდა სახიფათოდ არ აბათილებდა დებულებას, რომ "ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას"? ჩვენ კი არ გვსურდა, რომ ყოფიერებით განვსაზღვრულიყავით. სიტყვებს - "ძვირფასო მეგობარო" - რომანებში ამოკითხულთ, ოდნავადაც რომ გამოეხატა ჩვენი განცდა, მე ვეტყოდი სანუგეშებლად: ძვირფასო, რატომ ხარ ასე სევდიანი? საიდან მოდის ეს სევდა-ნაღველი? ნუთუ ყოფიერებიდან? ანთუ იმ ბზარიდან, ცასა და მიწას შორის ოდესღაც რომ გაჩნდა? ანთუ იმ დაკარგული მეცხრე ცის გამო, რომელიც, ვაითუ, სამუდამოდ მიუწვდომელია?

მეგობარო, ვეტყოდი: გიამბობდი სხვის იგავს: იყო და არა იყო რა, იყო და ახლაც არის, ერთი საწყალი ბავშვი. არც დედა ჰყავდა, არც მამა, ყველა დაეხოცა. დედამიწაზე არავინ დარჩა მისიანი. და რაკი მიწაზე აღარავინ ეგულებოდა, ცაში მოუნდა ასვლა, თან მთვარეც ხომ სიყვარულით დაჰნათოდა. და როცა მთვარეზე ავიდა, დამპალი ჯორკო დახვდა. მერე მზესთან წავიდა, მზე კი დამჭკნარი მზესუმზირა აღმოჩნდა. მერე ვარსკვლავებთან რომ მივიდა, მათ ნაცვლად ხელთ პატარა ოქროს ხოჭოები შერჩა, ცაზე ქინძისთავებით მიკრული. როცა ისევ

დედამიწა მოენატრა და უკან დაბრუნდა, მის ადგილას გადმოყირავებული ქოთანი დახვდა. დარჩა სულ მარტო, მარტოდმარტო. დაჯდა და ატირდა. და ახლაც ზის და ტირის და სულ მარტოა.

ნუთუ ეს სასტიკი იგავი არ დაგამშვიდებთ, სასოებას არ მოგგვრით? ნუთუ იგი წუთისოფლის მცირე სევდა-ნაღველს არ გადაწონის იმ ობლადშობილი პოეტის სევდითურთ? ეს ხომ სიზმრად მოფენილი იმ დიდი ჩრდილის იგავია, რომელიც ყველა ჩრდილს გადაფარავს ერთიანად, შენი ჩრდილიანად, და კვალსაც არ დატოვებს უკუქცევისას, ლეთეს ტალღასავით გადაივლის...

მოციქულის მოსასხამი

პავლე მოციქული ტიმოთესადმი მეორე ეპისტოლეს დასასრულს წერს:

”ისწრაფე, რომ მალე მოხვიდე ჩემთან, რადგან დემასმა მიმატოვა მე, შეიყვარა რა ეს სოფელი და წავიდა თესალონიკეში, კრესკესი - გალატიაში, ტიტე - დალმატიაში. მარტო ლუკაღა არის ჩემთან... მოსასხამი, რომელიც ტროაში კარპესთან დავტოვე, წამომიღე, როცა წამოხვალ, და წიგნებიც, მეტადრე პერგამენტები. მჭედელმა ალექსანდრემ დიდად მავნო. უფალმა მიუზღოს მას მის საქმეთაებრ... პირველად რომ ისმენდნენ ჩემს საქმეს, არავინ იყო ჩემთან, ყველამ მიმატოვა. ნუ მოეკითხებათ მათ...” (2ტიმ. 4:9-16).

ისე ჩანს, თითქოს ეს ეპისტოლე ერთ-ერთი უკანასკნელთაგანი იყოს, თუ სულ უკანასკნელი არა. მაგრამ ასე არ არის, თუმცა მასში დასასრული, უფრო, აღსასრული მეტყველებს თავისი ნიშნებით. ორგზის უხდება ამ ეპისტოლეში თქმა იმისა, რომ მიტოვებულია (”შენ იცი, რომ ყველამ მიმატოვა”, ”ყველამ მიმატოვა, ნუ მოეკითხებათ მათ”).
და საბოლოოდ, წინათგრძნობა, რომელიც აჯამებს მის ცხოვრებას: ”მე უკვე გამზადებული ვარ შესაწირავად, ჩემი წასვლის ჟამმა მოაწია. კეთილი ღვაწლით ვიღვწოდი, გავასრულე ასპარეზი... ახლა კი მომელის მე სიმართლის გვირგვინი...”

არსად, არც ერთ ეპისტოლეში პავლეს ასე არ ულაპარაკნია, არც არასოდეს უხსენებია საკუთარი ნივთები - აქ კი ეს მოსასხამი. რა უნდოდა იმ ეპისტოლეში, რომელიც მარადიულზე ლაპარაკობს და მოძღვრების საფუძველია, ამ წარმავალ საგანს? მოსასხამი და ნახსენები პერგამენტები დიდი ხანია ჭიამ შეჭამა, მოძღვრება კი ჰგიეს უკუნისამდე.

თუმცა რატომ? ეს მოსასხამი მისი განუყრელი თანამგზავრი სამისიონერო გზაზე, ქარიშხლებში, გემთა მსხვრევებში გამოტარებული, რომელიც ათბობდა მის სუსტს სხეულს, ნუთუ იმის ღირსი არ იყო, რომ ისევე შეზრდოდა მოძღვრებას, როგორც მის უძლურ ტანს იყო შეზრდილი.

თუ ადამიანის სული სამარადისოდ არის აღბეჭდილი მტვრად ქცეულ მის აღდგომილ სხეულზე, ასე, სამოსელიც უნდა ინახავდეს სხეულის ტვიფარს. უთუოდ პავლე აღდგება ამ თავის მოსასხამთან ერთად.

***

არის მარადიულ მეოჯახე (pater familias) და არის მარადიული მსხემი (ინდური მეოთხე აშრამის სინიასინი), რომელსაც შინ არ უდგება გული. ახალ დროში ამ უკანასკნელის საუკეთესო მაგალითია ჰერმან ჰესეს მოხეტიალე ხელოსანი კნულპი ამავე სახელწოდების ნაწარმოებიდან.
ორნი ერთ ოსტატთან შეგირდობდნენ. თავადაც გახდნენ ოსტატები და გაიჩინეს საქმე. ერთი დაოჯახდა, მეორემ მოხეტიალე ხელოსნის ხვედრი აირჩია. მოხეტიალე მისთვის ბოლო, ცივ ზამთარში ესტუმრა დამკვიდრებულს. მყუდრო ბინაში, ცოლის მზრუნველობის ქვეშ მოქცეულს და თავისუფალი მეგობრის შემხედვარეს, გაუჩნდება ქურდული ფიქრი, გაწყვიტოს ეს მზრუნველი ბორკილები და მასთან ერთად ახეტიალდეს, მაგრამ ეს მის ძალღონეს

აღემატებოდა. სტუმარს კი კერიის სითბო და მოულოდნელად გამოჩენილი ზრუნვა რაღაც შორეულს გაახსენებს, ინატრებს, დაასვენოს მაშვრალი სხეული და ჩაუშვას ღუზა სამუდამოდ, მინებდეს ზრუნვას, მაგრამ ეს მის ძალღონეს აღემატება. გზა, თუნდაც თოვლიანი, ქარბუქიანი ეძახის.

***

ტოლერანტობა თუ რაიმეს მოთმენას ნიშნავს, ჩვენ ვითმენთ ბევრ ისეთ რამეს ჩვენს გარშემო, რასაც არ ვიზიარებთ არც გონებით, არც რწმენით, არც ეთიკურად, არც ესთეტიკურად. არ მოგვწონს, მაგრამ ვიწყნარებთ. ვიწყნარებთ არა რწმენის შინაარსებს, არამედ რწმენას, როგორც ასეთს, როგორც ფაქტს და აქტს (რწმენის აქტს) სხვა პიროვნებაში. ამას გვკარნახობს თანაარსებობის ელემენტარული კულტურა დ ეთიკა, თუნდა პრაგმატიზმი. ასევე, თუ პატივს ვცემთ პიროვნების თავისუფლებას, პატივი უნდა ვცეთ მის რწმენასაც, როგორც მისი თავისუფლების გამოხატულებას, მიუხედავად იმისა, ვიზიარებთ თუ არა მას. მოთმენის, შემწყნარებლობის კულტურა ახალი დროის მონაპოვარია, ის ქრისტიანობის არსის გახსნაა ახალ დროში, რაც ადრე დახურული იყო. და, როცა ვიცავთ რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლის უფლებებს, ვიცავთ არა მის რწმენას, რომლის დაცვა ჩვენ არ გვევალება, არამედ მისი რწმენის უფლებას, ერთ-ერთს, ალბათ კარდინალურს, სხვა ადამიანურ უფლებათა შორის. ბევრს ეს არ ესმის, ან თავს იტყუებს და დემაგოგურად სარწმუნოებრივ სფეროში გადაჰყავს ადამიანის ღირსების პრობლემა.

შემწყნარებლობა თუ მაღალი შეგნების ფაქტია, რომელსაც თავად რწმენა (რწმენას ვგულისხმობ არაკონფესიურს) შეიცავს თავის თავში ან, სხვაგვარად, შეგნება (ცოდნა) უკვე რწმენის ფაქტად არის ქცული, როგორც აქსიომა, თუ რწმენით გამსჭვალული ცოდნა (და პირუკუ: ცოდნით გამსჭვალული რწმენა) ადამიანის გონითი მოღვაწეობის უმაღლესი საფეხურია, მას, შეუფერებელ ნიადაგზე მოხვედრილს, შესაძლოა (და ნამდვილადაც), პროფანაცია დაემუქროს, ფარისევლობად იქცეს. არაფრად მიღირხარ, მტერიც ხარ, მაგრამ ხომ გიტან... შემწყნარებლობა ნამდვილ მტკიცე რწმენაშია, შეუწყნარებლობა ატანა კი, რაც მისი მეორე მხრეა, სუსტი რწმენი, ან სულაც ურწმენობის ნიშანია...

***

როდესაც ერთმა რჯულისკაცმა იესოს ჰკითხა, ”ვინ არის ჩემი მოყვასიო”, იესომ მას ამბავი უამბო, რომელიც გულმოწყალე სამარიელის იგავის სახელით არის ცნობილი. გავიხსენოთ:

”კაცი ვინმე მიდიოდა იერუსალიმიდან იერიხოში და ყაჩაღებს ჩაუვარდა ხელში, და ტანსაცმელი გახადეს, და დაჭრეს, და ცოცხალ-მკვდარი მიატოვეს და წავიდნენ. შემთხვევით რომელიღაც მღვდელმა ჩაიარა იმ გზაზე, დაინახა იგი და მეორე მხარეს გადავიდა. მსგავსადვე ლევიანიც მოხვდა იმ ადგილას, მივიდა და დაინახა და მეორე მხარეს გადავიდა. გზად მიმავალი ვიღაც სამარიელი წააწყდა მას და დაინახა, და შეებრალა. მივიდა მასთან, ჭრილობები შეუხვია, ზეთი და ღვინო დაასხა, და შესვა თავის სახედარზე, და ფუნდუკში მიიყვანა და უპატრონა. მეორე დღეს წასვლის წინ ამოიღო ორი დინარი და მისცა ფუნდუკის პატრონს და უთხრა: მოუარე მას და, თუ ზედმეტი ხარჯი მოგივიდა, დავბრუნდები და გადაგიხდიო” (ლუკასაგან, 10:30-35).

განა საკითხავი იყო, რომელი უნდა ყოფილიყო ამ სამთაგან მოყვასი? მაგრამ იესო მაინც ეკითხება, მას სურს მიიღოს პასუხი, ათქმევინოს ის, რისი თქმაც მას, შესაძლოა, არაფრის დიდებით არ უნდა.

ეს არც არის იგავი: ყველაფერი, რაც სათქმელი იყო, პირდაპირ არის ნათქვამი, არაფერია შეფარული, ამბის გმირიც შეუფარავად თავისი ვინაობით არის დასახელებული. ყველამ იცის ეს იგავი, მაგრამ, შესაძლოა, ყველამ არ იცოდეს და, თუ იცის ბოლომდე არ იაზრებს იმას, თუ ვინ არის ეს სამარიელი, გმირი, რომელმაც გაბედა და უპატრონა დაყაჩაღებულს? ან ვინ ეტყოდა ამას იუდეველებს, ქრისტეს გარდა, რომელსაც ერთადერთს შეეძლო სამარიელ დედაკაცთან საუბარი და მისი ხელით მოწვდილი წყლის შესმა, რომ სწორედ ეს მათგან განკიცხული, ბილწებად შერაცხილი სამარიელი იყო მისი მოყვასი.

V (LVI)

***

გასული საუკუნის 50-იანი წლების სტუდენტებს ახსოვთ მაღალი, უცნაური აღნაგობის კაცი, როგორც აქლემი, აღამართული და მოხრილი, თითქოს მზედაკრული, დაბინდული მზერით; გიყურებდა, არც გიყურებდა - ვერ გაარკვევდი, ეს ღრმა სიბერის ბრალი იყო თუ მისი თვისება იყო ასეთი. სპარსეთის მზეს გამოეშრო მისი ტანი და მზერა. მხცოვან ირანისტს თავად სპარსის იერი შესძენოდა, ყოველ შემთხვევაში, სპარსის უნახავი სპარსს მისი სახით წარმოიდგენდა. ქცევაც და სიტყვა-პასუხიც, აზროვნების წესიც უცნაური იყო მისი. მეხსიერების დაქვეითებას (სკლეროზს) დააბრალებდნენ ზოგიერთ მის საქციელს, მაგრამ შეცდებოდნენ, ცდებოდნენ. თუ ხოჯა ნასრედინი დაკარგულ ნემსს იქ ეძებდა, სადაც არ დაუკარგავს, და ამ ქმედებაში სუფიები ღრმა აზრს ხედავენ, და ახლაც ამ მეტისმეტად პრაგმატულ საუკუნეში, აქცევენ რა მას მედიტაციის საგნად, მედიტაციის არანაკლებ საყრდენად გამოდგებოდა ანეგდოტი, რომლის გმირი თავადვე ეს კაცი აღმოჩნდა: რუსთაველზე მოსეირნეს ერთი ბოლოდან მეორე ბოლომდე ხელში ნაჭერი განუყრელი ქოლგა აღარ გაყოლია. კვლავ გაიარა განვლილი გზა რუსთაველზე, ვინძლო რომელიმე მაღაზიაში, სადაც კი შესულა, დარჩენოდა. არა, ბატონო, აქ არ დაგრჩენიათო და ა. შ. და ბოლოს, სადაც მიართვეს, აჰა, ბატონო, თქვენი ქოლგაო, ”თქვენ გაგახარათ ღმერთმა, პატიოსანი ხალხი ყოფილხართ. სადაც შევედი, არსად არ გამომიჩინესო...”

იუსტინე აბულაძე (1874-1962) იყო პირველი, რომელმაც ომარ ხაიამის რამოდენიმე რუბაი თარგმნა. თარგმანები არ გამოირჩევა ბრწყინვალებით, დიდად ჩამოუვარდება მის მოწაფეთა და მოწაფეთა მოწაფეების თარგმანებს, მაგრამ მათ შორის არის ერთი უსამკაულო, რომელიც, შესაძლოა, ბევრმა არ ჩათვალოს პოეზიად, ლექსადაც კი არ ჩააგდოს, ბწკარედად მიიღოს, მაგრამ არ შეუძლია არ იგრძნოს ზღვისა და წვეთის დიალექტიკა, და წვეთის ზღვასავით უნაპირო სევდა, რომელიც ამხელს ხაიამის სუფიობას და რომ ყოველი მისი რუბაი, თუნდაც სატრფიალოდ მიჩნეული, ერთს ამბობს, სხვას გულისხმობს.

ტიროდა წვეთი: ”ზღვას გამოვეთხოვე!”
ზღვა კი ხუვილით დასცინოდა მის მწუხარებას.
”ყველანი შენთანა ვართ და ყველა ერთი მეორეს ავსებს,
განშორების ჟამმა მხოლოდ ერთი წუთით გაგვყარა ჩვენ”.

ნადირობა ირემზე

ირმის მსხვერპლშეწირვაზე, ხანის ტყელას მითოსზე, სემინარის მზადებისას ერთხელ კიდევ გადავიკითხე უნიკალური ანდრეზი წმიდა გიორგის მიერ სალოცავებში გამოგზავნილი სამსხვერპლო ირმების შესახებ, რომელიც მთელს საქართველოს არის მოდებული. გადავდევი ჩანაწერი და თვალში მომხვდა თაროდან, არ ვიცი, როდის და რისთვის ჩამოღებული, იქვე მდებარე საფრანგეთის რევოლუციის ამსახველი დოკუმენტების წიგნი, სათაურით Свобода, равенство, братство, გადავშალე ალალბედზე (გვ. 24) და წავაწყდი 1789 წლის ჩანაწერებს ლუდოვიკო XVI-ის დღიურში:

თებერვლის 23 - ირემზე ნადირობა ტრივოს პავილიონში, მოვკალი ორი ირემი. მწუხრის ლოცვა...

აპრილის 2 - წვიმამ ხელი შემიშალა შველზე ნადირობაში. ქადაგება, მწუხრის ლოცვა.

აპრილის 6 - გასეირნება ფეხით მაილში ცხენების სანახავად, მოვკალი ორი შველი.

აპრილის 13 - ორშაბათი - გაციებული ვარ; სააღდგომო ლოცვა; მწუხრი.

აპრილის 22 - ნადირობა ირემზე პორ-როიალში, მოვკალი ორი.

გვ. 50.

მაისის 1 - პარასკევი, ნადირობა ირემზე ორსეში, მოვკალი ერთი...

მაისის 3 - კვირა, მწუხრი; მწუხრის ლოცვა...

მაისის 4 - გამოსვლა 9 საათზე. გენერალური შტატების პროცესია, საღამოთი ლოცვა.

მაისის 6 - არაფერი. მწუხრის ლოცვა.

მაისის 7 - ნადირობა ირემზე ჟიფში. მოვკალი ერთი.

მაისის 16 - ნადირობა ირემზე მარკუსიაში. მოვინადირეთ ერთი...

მეფე განაგრძობს ნადირობას ირემზე ივნისის სამი რიცხვიდან, ნადირობს მარლიში, მაგრამ, ჩანს, უშედეგოდ, ყოველ შემთხვევაში, ჩანაწერი არაფერს ამბობს. ხუთში პორ-როიალში, კლავს ერთს; ოც რიცხვში ნადირობს ბიუტარში და კლავს ერთს. 25-ში ”არაფერი”. მაგრამ ნადირობს ამჯერად სენტ-აპოლინში, თუმცა უშედეგოდ. 30-შიც ”არაფერი”.

არაფერი, ნადირობა, ლოცვა. აი, მისი დღიურის საკვანძო სიტყვები. ამ სამი მომენტით არის აღბეჭდილი მისი მეფობის დასასრული. ხანში, უსანეთში, ზეკარში და ბევრგან სხვაგან წმიდა გიორგის გამოგზავნილი ირემი ნებაყოფლობით უშვერდა კისერს სამსხვერპლო დანას. და ვიდრე ირემი ნებაყოფლობით ეწირებოდა მსხვერპლად, მათი ცოდვებიც შენდობლი იყო. ხოლო როცა იძულებით გამოჭრეს ყელი ირემს, სასჯელი დაედოთ.

ლუის, ამ კეთილ მეფეს, რომელიც პირველი ქრისტიანი მეფის ჰლოდვიგის სახელს ატარებდა და რომლის საყვარელი საქმიანობა ზეინკლობა, ნადირობა და ლოცვა იყო, მთელი დინასტიის ცოდვები ატვირთებინეს, რევოლუციისა და ხალხის სახელით გილიოტინაზე აიყვანეს როგორც მსხვერპლი ”სამშობლოს სასიცოცხლოდ”. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: ”ამას გეუბნებით ეშაფოტიდან, სანამ ღვთის წინაშე წარვდგებოდე: შენდობას ვუთვლი ყველას, ვისაც კი ბრალი აქვს ჩემს სიკვდილში”.

***

რუჟინელი რაბი გვიამბობდა:

ბაალ-შემ-ტოვს მძიმე ავად გაუხდა საყვარელი შვილი. ჩამოაქნევინა ცვილის სანთელი, წაიღო ტყეში, ხეზე მიამაგრა და აანთო. შეუდგა ლოცვას. დილით ბავშვი გამოჯანმრთელდა. როცა ჩემმა პაპისპაპამ, მეჟერიჩელმა მოძღვარმა, ბაალ-შემ-ტოვის მოწაფემ, იგივე მოინდომა,

არკი იცოდა, როგორ განაწყო თავი ლოცვისას ბაალ-შემ-ტოვმა, მაინც, როცა ყველაფერი თავისი მოძღვრისამებრ გააკეთა და ახსენა მისი სახელიც, ბავშვი განიკურნა.
ხოლო როცა რაბი მოშე-ლეიბ სასოველმა, მოძღვრის მოწაფემ, მოინდომა მსგავსადვე მოეხდინა განკურნება, თქვა: "ჩვენ ესეც არ შეგვიძლია, მაგრამ მე მოვყვები ამ ამბავს და კურთხეული უფალი განკურნავს". და განკურნება მოხდა.

მითოსთან ამ ამბავს საერთო არაფერი აქვს, მაგრამ იმის საილუსტრაციოდ კი გამოგვადგება, თუ როგორ შეიძლება "ჟამთ ვითარებით" ძალადაკარგულ რიტუალს და ლოცვას შეენაცვლოს ყველასთვის გასაგები და მისაწვდომი ამბავი. თუმცა არა მხოლოდ ამბავი-მითოსი, არამედ რიტუალიც ქმედითი რომ იყოს, რწმენას მოითხოვს.

"საქმეთა რჯულით? არა, არამედ რწმენის რჯულით" (რომ. 3:27).

VI (LVII)

***

"...ამას წინათ ქუჩაში მივდიოდი. ცრიდა. მიყვარს ამგვარი ამინდი, თითქოს ის ცოცხალია და გეხება. ყველა საზრუნავი დაბინავებული მქონდა. არსად მეჩქარებოდა.

უცებ ჩემ წინაშე აღიმართა ჩემი ცოდვები. რაც უფრო ვცდილობდი მათგან თავის დაღწევას, მით უფრო მეუფლებოდა ზიზღი და სიძულვილი საკუთარი თავისადმი. მრცხვენოდა, რომ ეს მე ვარ. დაუნდობელი სასოწარკვეთა დამეუფლა. მაგრამ მერე ცოდვის განცდამ ტკბილი ტანჯვა გამოიწვია ჩემში - თუ გინდა გათავისუფლდე ცოდვისაგან, უნდა ბოლომდე განიცადო იგი, რათა აამოქმედო შენში სინანული, როგორც თანანადები, ვალი. "მომანიჭე განცდა თვისთა ცოდვათა", რათა კვლავ მქონდეს უფლება სიყვარულისა, სიცოცხლისა და მოქმედებისა.

მე შევაგროვებ ჩემი ერის ჭირსა და ვარამს, მის სისუსტეებსა და დამარცხებებს, მისდამი სიძულვილსა და შურს ისევე, როგორც სხვები მის ღირსებებს აგროვებენ".

როცა ერლომ ახვლედიანი ამ სიტყვებს წერდა ("ძველი და ახალი", გვ. 58-59), მის თვალწინ კვლავ უნდა მდგარიყო ცოდვების გროვა და *ამასწინანდელი* ის დაუვიწყარი ცრიატი ამინდი. ასეა, განცდა მეტად ინდივიდუალურია, საკუთრივი და მას, თუნდაც უსხეულო რეალობას, ისეთივე კონკრეტული ადგილი უკავია, როგორც გზაზე დაგდებულ განუმეორებელი ფერის და კონფიგურაციის ლოდს, რომელიც სწორედ შენთვის გდია, როგორც შებრკოლების ლოდი.

და შენ იმსჭვალებოდი იოანე ოქროპირის შეგნებით, რომ ადამიანი ყოველთვის სცოდავს ღვთისა და საკუთარი თავის წინაშე და რომ ეს არ არის კატასტროფა, თუ გაქვს "განცდა თვისთა ცოდვათა".

და ყოველთვის, რაც უნდა შეგმთხვევოდა, კმაყოფილებით იმეორებდი იოანე ოქროპირის სიტყვებს:

"დიდება ღმერთს ყველაფრისთვის!"

***

ყველაფერი სიცოცხლესთან ერთად დასრულდა... ნუთუ ამიერიდან მხოლოდ სინანული რჩება ჩვენი ურთიერთობის ენად?

***

ორმოც ფრანგ უკვდავთაგანი პოლ ვალერი წერს: ”რწმენა იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ ერთი საგანი დაინახო იქ, სადაც სამი საგანია, ანდა ათასი. გამარტივება”.

როცა რწმენაზეა ლაპარაკი, *იქ* მისთვის მხოლოდ *ერთი* საგანი შეიძლება იყოს, არა სამი და არა ათასი. მრავალ საგანს ცნობისმოყვარეობა და ცოდნა აჩენს. რწმენა კი, მართლაც რომ, *ერთია* და *მარტივი*, არა გამარტივებული.

”მართა, მართა! ჰზრუნავ და შფოთ ხარ მრავლისათვის. აქა ერთისა არს სახმარ” (ლუკასაგან, 10:41).

ხდებადი და მომხდარი

რუსო ლაპარაკობს სულის ორ მდგომარეობაზე: წუთებზე, როცა ამბავი ხდება, და წუთებზე, როცა მომხდარს აღწერ. რატომ არ ამბობს რუსო ასე: ”წუთებზე, როცა ამბავი მოხდა”? არ ამბობს წყვეტილ დროში, რადგან ის წუთებზე ლაპარაკობს, რომლებიც ამბით დატვირთულნი მიედინებიან. ერთია დაუმთავრებელი ამბავი, სხვაა - დამთავრებული. დაუმთავრებელს ჯერარმომხდარის მოლოდინი ახლავს და იდუმალებით არის მოცული, რომლის აღდგენა მომხდარის თხრობისას უნდა აღდგეს. მაგრამ ამას არავინ აკეთებს. *ერგონი* ძლევს *ენერგეიას*. ადამიანს შედეგი უყვარს. შედეგზე ორიენტირებულია მისი შრომა... ეს დღევანდელი ლოზუნგია.

***

ვლადიმირ სოლოვიოვი ახლობლების წრეში ხშირად მკვეთრად გამოთქვამდა (რაც არ სჩვეოდა მას) უარყოფით დამოკიდებულებას ლევ ტოლსტოის რელიგიური შეხედულებების მიმართ... და, როცა ეკითხებოდნენ, რატომ არ აქვეყნებთ თქვენს ამ კრიტიკულ შენიშვნებსო, პასუხობდა, როგორ გგონიათ, მაქვს კი უფლება, იმ აზრებისთვის ვაკრიტიკო ადამიანი, რომელთა გამო ის თავის სამშობლოში იდევნებაო?

VII (LVIII)

***

როცა იმპერატორ მარკუს ავრელიუსს მეგობრებმა ურჩიეს, გაყროდა ცოლს ფაუსტინას, მან უპასუხა: თუ გავეყარე, მომიწევს იმპერიის დაბრუნება ანტონინუს პიუსისთვის, რომლისგანაც მზითვად მერგოო ფაუსტინა.

წყარო, საიდანაც ეს ცნობაა ამოღებული, ასეთ პასუხს იმპერატორის წესიერებას მიაწერს და ეს ასეც არის მის უბადლო იუმორთან ერთად, მაგრამ ჩვენი გადასახედიდან შეგვიძლია ამ პასუხში სხვა რამ, უფრო ღრმა და მნიშვნელოვანი, არქაული დავინახოთ. სახელდობრ, ის, რასაც ემოწმება ძველი პრაქტიკა და ეპოსი, რომ მეფობის პრინციპი თავისი სრულყოფილი და ეჭვმიუტანელი სახით მეფის ასულშია განსახიერებული.

***

ნიცშემ ამოქექა ერთი დიდი სქოლასტიკოსის აზრი, თუ როგორ აძლიერებს სამოთხის მარადიულ ნეტარებას ცოდვილთა მარადიული ტანჯვა და მისი ეს სიტყვები, როგორც ქრისტიანის საბოლოო ოცნება და იმედი, გამოაცხადა "მორალის გენეალოგიაში": Beati in regno coelesti videbunt poenas damnatorum, ut beatitudo illis magis complaceat, ანუ: "ნეტარნი, ცათა შინა მყოფნი, დაინახავენ შეჩვენებულთა სასჯელს, რათა ნეტარება მათთვის უფრო საამური იყოს". ასეთი რამ არც მართლმადიდებელთათვის არის უცხო. ნეტავ, რას ამბობს ამაზე, დღევანდელი, ან ერთი ან მეორე "ფილტვის" მორალური თეოლოგია? ნიცშე დამატებით იმოწმებს ტერტულიანეს წიგნს "სანახაობათა შესახებ" და მოყავს მოზრდილი მონაკვეთი ლათინურად, სადაც ეს თემა გაშლილი და დასაბუთებულიც არის. მაგრამ შეუწყნარებია კი ოდესმე ქრისტიანს ეს დასაბუთება უყოყმანოდ და სუფთა სინდისით?

პასუხი მეგობარს პინოჩეტის გარდაცვალების გამო

...რაც უნდა იყოს, რაც უნდა თქმულიყო ცოდვაზე, რომელიც მან იტვირთა, რათა ბევრი გადაერჩინა, რომ არ შეეშვა ქვეყანაში ეს შავი ჭირი და მომწამლავი გაზი, თავად გახდა ნებაყოფლობით მოწამვლის მსხვერპლი. გალობანი სინანულისანი შესანიშნავი პარადიგმაა. საერთოდ, ასეთი ადამიანები, როგორიც ფრანკო იყო და სხვანი იმ ეპოქაში, განგების ხელით მოქმედებდნენ. განგებამ მიუშვა ისინი, რადგან სხვა ადამიანური გზა ამჯერადაც არ იყო (რაც არცთუ იშვიათია ისტორიაში) სისასტიკის გარდა. ნამდვილად, ეს განზომილება აკლია შენს ნაწერს. ყოველი პოპულისტური ნაბიჯი მათი მხრიდან გამანადგურებელი იქნებოდა თავად მათთვისაც, როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად. შეუპოვრობასა და სიმტკიცეში ალბათ ამას გულისხმობდი. აქ ორი სიმართლეა: ადამიანური და საღვთო. საულის ადამიანობა, ტყვე მეფე რომ დაინდო, საღვთო სამართლით გაიკიცხა. შეგვიძლია სხვაგვარადაც დავსვათ საკითხი: პინოჩეტს წყევლა-კრულვას უთვლიდნენ მის სიცოცხლეში და ამ გატანჯულ მაწყევართ არ შეიძლება არ თანაუგრძნობდე. ღირდა ერთი დიქტატურის ასაცილებლად მეორე დიქტატურის დამყარება? დღეს შეგვიძლია ასე ვიფიქროთ. მაგრამ ეს ხომ მხსნელი დიქტატურა იყო? ისევ და ისევ პირველ თვალსაზრისზე უნდა დავდგეთ, რადგან ჩვენ ხომ ვიცით, რომ საბჭოთა დიქტატურა დიქტატურაზე მეტი იყო, შიშველი, უსაზრისო. იმხანად ცოტა თუ ფიქრობდა, რომ ეს ჭირი მხოლოდ სახადი და განსაცდელი იყო. იმ ხალხში შენ ცრემლიანი თვალები გამოარჩიე, მე კი შევნიშნე, როგორ ცეკვავდა ხალხი. რა აცეკვებდათ? როცა ეპოქალური ადამიანი კვდება, ცეკვა ის ენა არ არის, რომლითაც უნდა გამოხატავდე დამოკიდებულებას ეპოქალური ფაქტისადმი. სტალინის სიკვდილზე აცეცკვება მიუტევებელი ზერელობა იქნებოდა. დედაჩემს თვალებზე ცრემლი მოადგა. რატომ? რატომ და, მისთვის ეპოქა დამთავრდა. მე ვფიქრობ, ამ დასრულების გრანდიოზულობამ გამოიწვია ცრემლები. ზერელედ არ მოკიდებია ამ ამბავს. რაღაც შეიძრა მასში, თითქოს თავის წილ გაუხარელ წუთისოფელს ეთხოვებოდა, რომელიც მაინც მისი იყო.

ალუდას მოყვასი

იმ ორთაბრძოლის შემდეგ ალუდასთვის რომ დაესვათ იესოს კითხვის ანალოგიურად, ვინ არის შენი მოყვასიო, რა უნდა მოესმინათ პასუხად, თუ არა - მუცალი? მტრის პიროვნების მიმართ დაბადებულ სიყვარულზე, როცა სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირების სიმძაფრემ უკიდურეს ზღვარს მიაღწია, ლაპარაკი სხვა დროისთვის გადავდოთ, ახლა კი შევნიშნოთ, რომ იმ სამარიელზე არანაკლებ საძულველმა ურჯულომ ალუდაში გააღვიძა გრძნობა, რომელიც ნამდვილად ხსნის მომტანი იყო მისთვის. თუ სამარიელმა ის საცოდავი დაყაჩაღებული

ფიზიკური განადგურებისგან იხსნა და ბოლომდე, დაუსწრებლადაც, იზრუნა მასზე და დღესაც ზრუნავს, მუცალმა ალუდა სულიერი სივიწროვისგან იხსნა, ხედვა გაუფართოვა და არ მიატოვა განსაცდელში - მხარში ედგა მას უხილავად და ამხნევებდა ”თავისიანებთან” პაექრობისას - და იმ ვიწრო ბილიკზეც ბოლომდე გაყვა, რომელიც მხოლოდ მისთვის იყო გაკაფული.

***

ადამიანი ქმნის საკუთარ ბედს. ეს ქრესტომათიული ჭეშმარიტებაა. სარტრი ამბობს, რომ ის, რასაც ხალხი ბედისწერას უწოდებს, სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის არჩევანის შედეგი. ადამიანი თავისი არჩევანით სჭედს თავის ბედს. პირუკუ რომ იყოს, ადამიანს რომ რაღაც მის გარეშე არსებული ბედისწერა მართავდეს, ეს არსება ადამიანი არ იქნებოდა. ის, შესაძლოა, ანგელოსი ყოფილიყო, მაგრამ არა ადამიანი. ღვთის პროვიდენციაში ბედისწერისთვის ადგილი არ რჩება. განგება ითვალისწინებს ადამიანის თავისუფალ არჩევანს, თავისუფალ ნებელობით აქტებს და მის შედეგებს, ანუ ღმერთში თუმცა უკვე მომხდარია ადამიანური აქტი, მაგრამ ეს მომხდარი არ არის ფატალური, რადგან ის თავისუფალი აქტია, ღვთის განგებაში იმთავითვე, მის ჩადენამდე, ნაგულისხმევი და ჩაწერილი.

***

საფრანგეთის რევოლუციონერებმა მეფე ლუდოვიკო XVI-ს ჯერ როგორც კაპეტი, დინასტიის დამაარსებლის სახელი დაარქვეს - რატომ? - და მერე მოკვეთეს თავი. იმიტომ, რომ მათში მაინც არსებობდა თუ მეფის არა, მეფობისადმი პიეტეტი, რაც უფლებას არ აძლევდა მათ, მეფე ლუდოვიკო დაესაჯათ.

დასაჯეს მოქალაქე ლუი კაპეტი.

***

”მიყვარდ, არც მიყვარდ...” ასე პასუხობდა უკვე ხანშიშესული ქისტის ქალი, ერთ დროს გუროელი ხევსურის მოტაცებული, რომელმაც თავის მომტაცებელთან ერთად ბევრი განსაცდელი, დევნილება, უარყოფა, მშობლიურ თემებში მიუღებლობა განიცადა, მათი სიყვარულის ამბავი კი ლეგენდად დადიოდა. ვაჟი დაიღუპა და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეს ხევსურებმა სოფელში რძალი, არარძალი, ურძლო რძალი, იჯდა მდუმარედ, ხმას არ ძრავდა და, როცა ვინმე შეეკითხებოდა, ”გიყვარდა გუროელაევ?” - ნაღვლიანად პასუხობდა: ”მიყვარდ, არც მიყვარდ...”

***

თუ ერთი მინაწერი ხელნაწერზე მწერლის თუ გადამწერის უკვდავებას სასოებს: ”ხელი საბრალო მწერლისა მიწასა შინა ლპებისა, ხოლო ნაწერი მისი ჰგიეს ჟამთა ვიდრე უკუნითი უკუნისამდე. ამინ” - მეორე მინაწერი, რომელიც ამ ფრაზას მოსდევს, მწერლის ნამუშაკევის ამაოებას მისტირის: ”ვაი წელო, ვაი ზურგო, ვაი ნამუშაკევო და ნაჭირნახულეო, ვინ გაგშინჯავს და ვინ შეიტყუწბს შენს საქმესა”.

VIII(LIX)

იუდა და იოსების ძმები

ყოველთვის მაკვირვებდა მახარებლის სიტყვები მოციქულ იუდაზე ნათქვამი, რომ ის ”მპარავი იყო” (ი. 12:6). ნუთუ იმ საქციელს, რაც მან ჩაიდინა, ვერ უნდა გადაეფარა მისი მპარავობა, რომ ეს უკანასკნელი სახსენებლად ღირებულიყო?

ის მომენტი, რომ მისი ხელით აღსრულდა პროვიდენცია, არ გვაიძულებს, მისი საქციელი გააზრებული ნების შედეგად ჩავთვალოთ, თითქოს მან იცოდა გამოსყიდვის საიდუმლო, თითქოს სამების თათბირში მიეღოს მონაწილეობა. პროვიდენციამ თავისი მიზნის მისაღწევად ისევე გამოიყენა იუდას ამბორი, როგორც თავის დროზე ძმების სიძულვილი იოსებისადმი, მაგრამ არავინ უთქვამს, არავის გამოუთქვამს ვარაუდი, რომ ძმებს უნდა სცოდნოდათ, რა მოელოდა იოსებს ეგვიპტეში. პროვიდენციამ იოსების პირით აპატია ძმებს მუხანათობა: ”თქვენ ბოროტი განიძრახეთ ჩემთვის, ღმერთმა სიკეთედ შერაცხა, რათა ისე მომხდარიყო, როგორც დღეს არის: მრავალი ხალხის სიცოცხლე ეხსნა” (დაბ. 50:20). იუდასთვის არავის უთქვამს იგივე სიტყვები, რაც არცთუ მოულოდნელი იქნებოდა. ეს მხოლოდ ქრისტეს შეეძლო ეთქვა, მაგრამ ის უკვე ჯვარცმული იყო. მაგრამ ქრისტემ მოასწრო ეთქვა სხვა სიტყვები, რომლებიც არანაკლებ საგონებელში გვაგდებს: ”ძე სამე კაცისაჲ წარვალს, ვითარცა წერილ არს მისთვის, ხოლო ვაჲ კაცისა მის, რომლისა მიერ ძე კაცისაჲ მიეცეს. უმჯობეს იყო მისა, არა თუმცა შობილ იყო კაცი იგი” (მ. 26:24). იუდა პროვიდენციის მარჯვენა ხელი იყო, თუმცა მას ჩვენთვის დაფარული რაღაც სხვა მიზანი ამოძრავებდა. მაგრამ მან შეინანა, რომ მართალი კაცი გადასცა, და ის სიმბოლური ვერცხლიც დააბრუნა, და საკუთარი სიცოცხლესაც ბოლო მოუღო, რადგან ჩათვალა, რომ მისი დანაშაული მიუტევებელი იყო. როგორღა უნდა ეცოცხლა ამიერიდან ამის ჩამდენს. ამაზე ითქვა, ”უმჯობეს იყო მისა, არა თუმცა შობილ იყო კაცი იგიო”. მანაც არ აპატია თავის თავს და ნუთუ საკუთარი თავის განადგურებით, რაც თავისთავად უდიდესი ცოდვაა, ვერ გადაფარა გამცემლობის ცოდვა იმ კურიოზულ მპარაობასთან ერთად? ქრისტიანობა კი გვასწავლის, რომ უპატიებელი ცოდვა არ არსებობს და რომ არა არს კაცი, რომელიც ცხონდა და არა სცოდა, სახარებაც გვეუბნება, რომ სინანული მიტევების პირობაა, თუმცა ისიც დაწერილია, რომ ”ყოველი ცოდვაჲ და გმობაჲ მიეტეოს კაცთა, ხოლო სულისა წმიდისა გმობაჲ არა მიეტეოს კაცთა” (მ. 12:31). მიეტევება თუ არა უფლის გმობა? ქრისტეს გაცემა? ამაზე არაფერია ნათქვამი. მაგრამ ქრისტემ თქვა: ”დაღათუ შვიდგზის დღესა შინა შეგცოდოს [ძმამან შენმა] და შვიდგზის მოაქციოს და გრქუას შენ: შევინანე, მიუტევე მას” (ლ. 17:4). ესეც იყო ნათქვამი საბოლოოდ, ჯვარცმისას: ”მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან” (ლ. 23:340. სახარების მკითხველი, რომლის ცნობიერება იუდას ხსენებისას ივსება ყველაფერ იმით, რაც იუდაზე ითქვა და დაიწერა ამ ორიათასი წლის მანძილზე, არად აგდებს მოციქულისა და მახარებლის მათეს სიტყვებს, რომ იუდამ ”შეინანა და მიაქცია ოცდაათი იგი ვეცხლი მღვდელმთავართა მათ მიმართ...” (მ. 27:3) და თვით იუდას უკანასკნელ სიტყვებსაც ”ვცოდე, რამეთუ მიგეც სისხლი მართალი” (27:4) და იგი კვლავ და კვლავ რჩება მიუტევებელი ცოდვის მატარებლად. და რჩება მასზე წყევლა საუკუნეებში, სამარადისოდ.

ამ გაუგებარი, თუმცა მარტივთათვის გასაგები ბრალდებით - მპარაობით ერთხელ და სამუდამოდ დაიბეჭდა მისი საიდუმლო. მპარაობის ბეჭედი, როგორც ადვილად გასაგები, მიეცათ მასებს, რომ არავინ ჩაძიებოდა რეალურ მოტივს. და დღემდე მას წყევლის საფარველი ადევს.

წერილიდან ხომ ცხადია, რომ ეს აქტი ქრისტეს მიშვებით მოხდა, - წადი, მალე გააკეთე შენი საქმეო (ი. 13:27), რომელიც იმდენად გარდაუვალი აუცილებლობა ყოფილა, რომ არც ცაში, არც ამ ქვეყნად არ იყო ძალა მის შესაჩერებლად. და როგორ მოხდა, რომ ესოდენ ბანალურმა ვნებამ, როგორიც მპარაობაა, იტვირთა ამ საქმის სიმძიმე, თუ აქ რაღაც არქაული სიმბოლიზმი არ იყო გათამაშებული? ოცდაათი ვერცხლით - მონის საფასურით ადექვატურად შეფასდა

ქრისტეს კენოზისი და დამცირების ხარისხი ჯვარცმამდე და ჯვარცმისას (”არამედ თავი თვისი დაიმდაბლა და ხატი მონისაჲ მიიღო... დაიმდაბლა თავის თვისი და იქმნა იგი მორჩილ ვიდრე სიკუდიდმდე და სიკუდილითა მით ჯუარისაჲთა”, ფილიპ. 2:8).

აზნაურობა

ფილიპე გოგიჩაიშვილი ერთგან წერდა: ”ფრანგებს უთქვამთ რუსებზე: რუსს რომ ცოტა მოვფხიკოთ, უეჭველად თათარი გამოჩნდებაო; ქართველს თუ ”მოვფხეკთ”, შეიძლება თათარი არ გამოჩნდეს, მაგრამ აზნაური კი უეჭველად გამოჩნდება”.

ნამდვილად ასეა? გამოჩნდება კი მასში აზნაურობა, კაცთა მოდგმის ეს რჩეული სახეობა? უფრო საკითხავია, რა არის ის, რაც მოსაფხეკი გახდა, რაც ჟამთა ვითარებამ დალექა მასზე... რა არის ეს ჟანგი?

***

შავ კოსტუმში გამოწყობილი, ჯერ კიდევ ფხიზელი ირაკლი ნანეიშვილი თეთრი ყვავივით იჯდა ზღვის პირას ქვიშაში, და წამიერ განჭვრეტაში საკუთარ დანაშაულს ბედკრული ლელიანის სიტყვებით აღიარებდა: Dis, qu' as-tu fait, toi que voilà, de ta jeneusse... (”თქვი, რა უყავი შენ, აქ რომ ზიხარ, შენს ახალგაზრდობას…”).

პოეტი, ამას რომ წერდა, მონსის ციხეში იჯდა, ჩვენი მეგობარი კი - ქობულეთის ცისქვეშ.

***

ორი ადამიანის გაკეთებული ერთი და იგივე საქმე არ არის ერთი და იგივე. რატომ? იმიტომ, რომ ორი ადამიანი არ არის ერთი და იგივე ადამიანიო. ადამიანი შეუცვლელია, იგი სხვაზე ვერ გადაიცვლება, როგორც ინსტრუმენტი (თუმცა ამათ შორისაც დიდი სხვაობებია). იმაზე პლებეურ-დემოკრატიული რა უნდა იყოს, თუ არა დებულება, რომელიც დღეს ხშირად გაისმის, რომ შეუცვლელი ადამიანი არ არსებობს. ასეთი წარმოდგენა ადამიანზე მისი პიროვნების დამცირებაა, მისი უნიკალობის უარყოფაა, რაც ძირშივე ეწინააღმდეგება ღრმა ინტუიციებს ადამიანთა ურთიერთობებში. მე-და-შენურ ურთიერთობაში, იმ პროცესში, როდესაც ადამიანი ამართლებს ადამიანობას, მე და შენ შეუცვლელი წყვილია. ამაში ადამიანს ყოველდღიური პრაქტიკა არწმუნებს. მაგრამ ხმა ჩასძახის: შეუცვლელი ადამიანი არ არსებობს.

***

ჯოისმა, რომლიც პოლიგლოტი იყო, არ იცოდა, ვერ (ან არ) შეისწავლა თავისი წინაპრების ენა, გელური, სამაგიეროდ ისწავლა ნორვეგიული, იბსენი რომ წაეკითხა.

***

ზემოთ მარცხნივ მთაა ნაჯალე. აქ დაუნახავს ცეცხლის ბურთვი, საღამო ხანს, ”მზეებ იქავ იდგნა. გონთ ვიყავი, არც ნასვამ ვიყავ. მთიდან ამოვიდა, პირაღმე მოდიოდა, გადავიდა მთას, სანესაც გადაასწრო... ალბათ ვინამ ვისა ავად ჰყავდაო, შამასძახაო და დასახმარებლად მიდიოდაო. ბეგენგორის გზიდან მოვდიოდი, ნეკერი მომქონდა...”

დღე იწურებოდა, ნეკერი, ერთადერთი ნადავლი იმ დღისა, მიჰქონდა სახლში - ამგვარი სახილველის მოწმე კი გახდა.

ტრადიციის ძალა

აფრიკელ ტომს აჩალპას მისმა წინაპარმა დაუტოვა სვეტი *კაუვა-აუვა* (”სამყაროს ღერძი”). მიწაში ჩაარჭო, მერე ზედ აცოცდა და ცაში გაუჩინარდა. აჩალპა ამის შემდეგ მუდამ თან დაატარებდა სამყაროს ღერძს, მაგრამ მასზე ასვლა არავის შეეძლო - სისხლიანი იყო და ფეხი უსხლტებოდათ. თუმცა, სადაც კი გაჩერდებოდა დასაბანაკებლად აჩალპა, სადგომზე ამ სვეტს მაინც აღმართავდა და მშვიდად ეძინა. ერთხელ, როცა უნდა აყრილიყვნენ, მიწიდან ამოძრობისას სვეტი გაუტყდათ და ახლა გატეხილს დაატარებდნენ. ერთხელ მონათესავე ტომს ესტუმრნენ. ისეთი დაღლილები ყოფილან, რომ სვეტის აღმართვის თავი არ ჰქონიათ და ისე დაუძინიათ. დილას ყველანი დახოცილან ეყარნენ.

IX(LX)

შეხვედრა

საღამოხანს ჯავახუნის მიწისქვეშა გასასვლელში გიორგი ცინცაძის (ჟორესის) წიგნს მოვკარი თვალი. ყველაზე ქვემოთ იდო. უპრიანი იქნებოდა, მეთქვა, რომ ეგდო, რადგან თითქმის ასფალტის დონიდან ავიღე. სხვა რა უნდა გამეკეთებინა მისი ხსოვნისათვის იმ წუთას, იმ ჟამს, თუ არა, ამეღო ხელში ეს მოცისფროყდიანი წიგნი და მეკითხა ფასი და, როგორც არ უნდა დაეფასებინათ, უკან არ დამეხია. რა ღირს ეს წიგნი? გავუწოდე გამყიდველს. ის ერთწამს ჩაფიქრდა. საათი გვიანი იყო და მუშტარიც, მითუმეტეს ამ წიგნისა, ჩემი სახით ალბათ უკანასკნელი. ”მომეცი ორი ლარი”. წიგნი, რომელიც მახსოვდა მისი არცთუ ორიგინალური ჰაბიტუსით და ორი ერთმანეთის შემვსები სათაურით - ”გაგების მეთოდი ფილოსოფიაში” და ”პიროვნების პრობლემა”, გამოცემული 1975 წელს, 1200 ტირაჟით, ღირდა 2 მან. და 08 კაპ. ახლა კი უნივერსიტეტის გასასვლელში, სადაც მისი ავტორი ალბათ არაერთგზის შემხვედრია, ორი ლარი დამიფასეს. შესაძლოა, შუადღისას ან ნაშუადღევს, არა დღის მიწურულს, ხუთი ლარიც მოეთხოვათ. ვიანგარიშოთ: წიგნი გაძვირდა თუ ავტობუსის ბილეთი? 1975 წელს ორ მანეთად ორმოცჯერ შევიდოდი მეტროში, დღეს კი 2008 წლის მაისში 2 ლარად მხოლოდ ათჯერ. რას ნიშნავს ეს? მე არ შემიძლია ამის გაგება. ამ ანგარიშში (აჯობებდა, პურზე მეანგარიშა, თხუთმეტკაპიკიან შავ პურზე, წითელს რომ ვეძახდით) და გაუგებრობაში გავიარე მიწისქვეშა ტალანი და, როცა უკვე ავტობუსში ვიჯექი, გადავშალე წიგნი ალალბედზე და ეს ამოვიკითხე: ”ამ უკანასკნელ პრობლემათა წრეს ჩვენ მივყევართ გაგებისა და გაგებითი შემეცნების იმ თავისებურებასთან, რომელიც, განსაკუთრებით, ახალ ფილოსოფიაში, შეხვედრის ცნებით გადმოიცემა: შეხვედრა (”Begegnung”) სუბიექტ-ობიექტის გარეგნული უასაზრისო შეხება, ანდა მოვლენათა როგორც უაზრო ურთიერთგადახლართვა კი არაა, არამედ იგია *სხვასთან პაემანი*, პაემანი, რომელიც ადამიანისაგან მისი საკუთარი მნიშვნელობის გამო ისეთი გადაწყვეტილების მიღებას მოითხოვს, რომლის პასუხისმგებელიც თვითონვე იქნება, ანდა, რომელიც მის შემდგომ ყოფნას სხვაგვარად, ახლებურად განსაზღვრავს” (გვ. 13).

***

ისევ და ისევ ვუბრუნდებით ფიქრს სამარადისოდ დაწყევლილ იუდაზე, სიმონის ძეზე, ისკარიოტელზე... ნამდვილად სასაცილოა იმის ფიქრი, რომ მისი საქციელი ვერცხლისმოყვარეობა იყო. იმ საქმისთვის, რაც გარდაუვალად უნდა აღსრულებულიყო, არ უნდა ჰქონოდა არსებითი მნიშვნელობა მოტივს, სიხარბე იქნებოდა, თუ მოძღვრისადმი სიძულვილი, რაც უნდა გამოვრიცხოთ. იესოს სიტყვები ”რასაც აკეთებ, მალე გააკეთე” იუდას მიმართ მას შემდეგ არის ნათქვამი, რაც მასში სატანა შევიდა პურის ნატეხთან ერთად, რომელიც იესომ ამოაწო ღვინოში და მისცა მას (იოან. 13:27). რატომ დაუკავშირდა ერთმანეთს ზიარება და სატანის შესვლა, ეს ჩვენს გაგებას აღემატება. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ მათეს

სახარებიდან იგივე სული, აწ ეშმაკის (ბერძნ. დიაბოლოს) სახელით, რომელმაც უდაბნოში სცადა იესოს გამოცდა. ის კი არ შევიდა განსაცდელში (მათ. 4:1-11). ერთმა იესომ უწყოდა, იუდას მოტივი, მაგრამ იქნებ ჩვენც როგორმე მივხვდეთ, რაკი მასში უკვე ის განმცდელი (*დიაბოლოს*) იმყოფებოდა, რომელიც ცდილობდა იესოს გამოცდას უდაბნოში. იესოს გაცემით ახლა იუდას სურდა გამოეცადა ჭეშმარიტება: თუ შენ ნამდვილად ის ხარ, რადაც თავს ასაღებ, ანგელოზებმა დაგიფარონ და გიხსნან შუბოსანთა ხელიდან. იმ მისთვის საბედისწერო ღამით, როცა მან პროვიდენციას უნებური სამსახური გაუწია, ვერ დაინახა იესოს შემწე ანგელოზები (როგორც სატანამ მაშინ უდაბნოში), მაგრამ ხომ დაინახა, როგორ ჩამოათალა იესოს ერთ-ერთმა მისმა თანმხლებმა მომხდურს ყური, იესომ კი დაუყონებლივ გაუმრთელა, და ეს სიტყვებიც მოისმინა: ”იქნებ გგონია, არ შემეძლოს შევევედრო ჩემს მამას, რომ ახლავე დამიყენოს ანგელოზთა თორმეტი ლეგიონი და მეტიც? აბა, როგორ აღსრულდება წერილი, ეს რომ არ მოხდეს?” (მათ. 26:53). იუდა დარწმუნდა იმაში, რომ ეს უნდა მომხდარიყო, იმასაც მიხვდა, რომ ეს მისი ხელით გაკეთდა და იმ წამს უთუოდ ყოველგვარ სასოს წარუკვეთდა იმ სიტყვების გახსენება, რომლებიც სერობისას გაიგონა იესოსგან, მაგრამ მაშინ ყურადღება არ მიუქცევია მათთვის: ”ვაი იმ კაცს, ვის მიერაც გადაიცემა ძე კაცისა. უჯობდა იმ კაცს არ დაბადებულიყო” (მათ. 26:24). ამ ფრაზებში სამგზის განმეორებული ”კაცი” (*ანთროპოს*) საკმარისი უნდა გამხდარიყო იმისათვის, რომ იუდას ჩაედინა ის, რაც ჩაიდინა, ვერცხლი რომ მიუყარა მღვდელმთავრებს და შიშთვილიბა.

მამამთავარნი

ადამ, ადამ! შენ სირცხვილმა შეგიპყრო, შენს განძარცულ
სხეულს რომ დახედე. ”ადამ, სადა ხარ?” გარინდებულს
ხმა გესმოდა, იქ ცაში კი შენს მაგივრად ანგელოზნი მოთქვამდნენ,
როცა ქვეყნიერების მეფედ გაჩენილი ბნელეთის მთავრის მონად
გიხილეს, მაგრამ ანგელოზებიც ვერ განჭვრეტდნენ
მომავლის ბინდში, რომ გამოსყიდულს უფრო მეტი დიდება
მოგელოდა, ვიდრე გაჩენისას მიწის მტვერისაგან
გამოსახულს გქონდა,

აბელ! მსხვერპლს, შენგან შეწირულს, ციდან დასტური
ჰქონდა, თუმცა შენი სისხლიც დაიღვარა და, როგორც
მსხვერპლი, ცას შეჰღაღადებდა, დამღვრელს - მიწისმუშაკს მიწისაგან
სწყევლიდა, შენმა სისხლმა კი, უბრალოდ დაღვრილმა,
გამომსყიდველის სისხლი მოასწავა.

ნოე! როცა რისხვის თასი პირთამდე აივსო და
უკანასკნელი სასწორი აღიმართა, შენმა სრულებამ ადამის
მთელი მოდგმა გადაწონა. შენ ძველში და ახალში განიცადე
საიდუმლო, არა ნისლში, ”არა სარკითა და სახითა”, და
გადარჩი. შენ პირველი იყავი, ვინც სულიწმიდას თვალი ჰკიდა
- მტრედს, ახლადაფრენილს საბუდარიდან, სადაც დასაბამით
სიცოცხლეს ჩეკდა.

სემ! შენს მოდგმაში რაღაც დიდებული ისახებოდა.
თუ იგრძენი მამის სიშიშვლის დამფარავმა,
რომ ვენახის სისხლი უცხო და შორეულ
საიდუმლოს ინახავდა?

ებერ! შენ მდინარე გადაგილახავს და ხსოვნად სახელში
ჩაგრჩენია. გაღმა დაგიგდია წინაპართა გზა ახალი ბილიკის
გასათელად. ვის განშორდი, მომავლის ბინდში
ვის სახეს ხედავდი?

აბრამ! აბრაამ! დილის ბინდში გაემართე სამშობლოდან
უცნობი მიწისკენ, როცა ჩაგესმა: აიყარე, წადი, აბრამ! და შენც
უსიტყვოდ წახვედი, რათა უხილავის სანაცვლოდ ხილული დაგეთმო.
მაშინაც დილის ბინდი იყო, როცა კვლავ დაძახილზე -
აწ უკვე: აბრაამ! - ერთადერთი ძე აღთქმისა დასაკლავად
მიგყავდა. რწმენით თუ გწამდა, რომ უფალი აღთქმული
მიწის ქვებისგანაც, რომლებიც შენ ფეხქვეშ იძვროდნენ,
აღგიდგენდა ისაკს.

ისაკს სახელად სიცილი ერქვა, მაგრამ არასოდეს
გაუცინია. ისაკს ორგზის წასკდა ცრემლი: პირველად - არა მაშინ,
როცა მორიას მთაზე მის თავზე დანა აღიმართა, -
არა, მაშინ, როცა პირველად შეიცნო რებეკა დედაზე
დარდის გასაქარვებლად, და მეორედ, მწუხრზე, როცა ნანატრმა
ხმამ უსინათლოს კურთხევა მოსთხოვა, მას კი ის ერთადერთი
გაცემული ჰქონდა.

იაკობ, კურთხეულო! ერთო და მრავალო! მრავალო ერთში -
ისრაელში, და ერთო მრავალში, შენს თორმეტში,
რომელთა შორის ერთი ვარსკვლავი აკიაფდა. ანგელოზთა კიბის
მხილველი შავეთში ჩასვლას ნატრობდი რახელის ძესთან, მისი
(შენ გეგონა!) სისხლით შეღებილი კვართი კი ღამეებში
სასთუმლად გედო.

იოსებ, მამის ნებიერო, მისი წყალობისგან განძარცული,
უკან მოუქცეველ შავეთისკენ ეშვებოდი: ჯერ ჭაში,
მერე დაბლა ეგვიპტეში, საბოლოოდ ეგვიპტის დილეგში,
რათა არასოდეს გეხილა მზე და ვარსკვლავები.
მერე აღზევდი ფარაონის მეორე კაცად, რათა მრავალთათვის
ხსნა მოგეტანა და ძმების ბოროტება
სიკეთედ გექცია.

***

ისე გადავიდა კლასიკური ხანა, რომ ელინს, მსოფლიოში უმდიდრესი მწერლობის შემქნელს, თარგმანი არასოდეს დასჭირვებია, არც მოთხოვნილება ჰქონია; თავის განთქმულ ცნობისმოყვარეობას ზეპირგადმოცემებით იკმაყოფილებდა; ათასგვარ ყურმოკრულ, სინამდვილისგან დაშორებულ ამბებს ისტორიის მამა ჰეროდოტე ისტორიად ასაღებდა. და აი, ელინიზმის სულმა შესაძლებელი გახადა ბერძნული ენა უცხო ენით დაინტერესებულიყო, რის შედეგადაც იშვა *სეპტუაგინტა*, ძველი აღთქმის ბერძნული თარგმანი - უპრეცედენტო

მონუმენტი ძველ სამყაროში. იმდენად საშურად ჩაითვალა ეს საქმე, რომ ალექსანდრიის ებრაელთა საჭიროებისთვის შექმნილი თარგმანი ალექსანდრიის განთქმულ ბიბლიოთეკაში დაიდო და მითიც შეითხზა იმის თაობაზე, რომ თავად ეგვიპტის მეფემ პტოლემეოს II ფილადელფოსმა (ძვ. წ. 283-246) ბიბლიოთეკის პრესტიჟის ასამაღლებლად ებრაელებს ათარგმნინა ეს წიგნი. იმავე ხანებში ეგვიპტელი მანეთონი ბერძნულ ენაზე წერს *ეგვიპტიაკას*. ხოლო ბაბილონში მჯდარი მაკედონელი (სელევკიდი) მეფე ანტიოქოს I სოტერი (ძვ. წ. 281-261) ბაბილონის ქურუმს ბეროსოსს აწერინებს *ბაბილონიაკას*, რომელიც შეიცავდა შუამდინარეთის მითოსურ და ისტორიულ ამბებს წარღვნიდან ალექსანდრეს დრომდე.

ასე გაუხსნა გული ბერძნულმა ენამ ბარბაროსულ ხალხებს, ოღონდ ეს მოხდა მაშინ, როცა თავად ბერძნებისა და ამ ხალხების კლასიკური ხანა კარგახნის გადასული იყო.

X(LXI)

***

”თუ დამნაშავე ცემის ღირსი იქნება, წამოაქცევინოს იგი მსაჯულმა და აცემინოს თავის წინაშე დანაშაულის კვალობაზე, როგორც იმსახურებს. ორმოცი დარტყმა აკმარონ, მეტს ნუ დაარტყამენ, თორემ თუ გადაამეტეს და ბევრი ურტყეს, დამცირდება შენს თვალში შენი ძმა” (მე-2 რჯ. 25:2-3).

არსად, არც ერთ კოდექსში არ დაკავშირებულა ერთმანეთთან სასჯელი და დამნაშავის, როგორც ადამიანის, ღირსება, უფრო სწორად, მისი უფლება ღირსებაზე. ადამიანი, რაც უნდა დამნაშავეს იყოს და წყევლა-კრულვას უთვლიდეს მას მთელი საზოგადოება, სასჯელის უსამართლოდ აღსრულებამ არ უნდა შელახოს მისი ღირსება, არ უნდა დაამციროს მასში პიროვნება, პირუტყვის დონემდე არ უნდა დაიყვანოს იგი, რომელსაც დაუზოგავად სცემენ მათი პატრონები - თუმცა მოსეს რჯული პირუტყვის (და, ასე გასინჯეთ, მიწაზე უძრავად მდგარი ხისაც კი) ინტერესს იცავს (მე-2 რჯლ. 20:19).. ”რა დაგიშავე, მესამედ რომ მცემ?” - ათქმევინებს ბიბლიის ტექსტი ბალაამისგან ნაცემ სახედარს (რიცხ. 22:27-28).

რა ცინიზმია... ადამიანის ნაირნაირ რეალურ თუ არარეალურ უფლებათა აღმოჩენების, უზომო დეკლარაციებისადმი სახელმწიფოთა მიერთების და საგანგებოდ გამოყოფილ დღეთა აღნიშვნების, დემონსტრაცია-მანიფესტაციების ამ ბუმში სრულიად მიკარგული და დავიწყებულია ჭეშმარიტება, რომ ერთადერთი, რაც ადამიანის განუყოფელ საკუთრებას შეადგენს, ეს არც მისი ქონებაა და არც მისი ფიზიკური არსება, არც მისი ორიენტაცია, არც რაიმე დამსახურება და ღვაწლი, ნიჭი თუ სიბრძნე, -ერთადერთი ეს მისი ღირსებაა, რომლის წინაშე კანონიც კი უკან იხევს, მაგრამ კანონის აღმასრულებელი უმწეო პატიმარს ორმოცდამეერთე, ყველაზე მტკივნეულ დარტყმის ქვეშ აყენებს. ეს სენი (სენია მხოლოდ?) ჩვენში ვერა და ვერ აღმოიფხვრა.

ადამიანი ყველაფერს გაუძლებს, მაგრამ იმის შელახვას, რაც ფსალმუნში ”მხოლოდშობილებად” (ფსალმ. 21:21) იხსენიება, ანუ იმ *ერთადერთს*, რაშიც მან ჰპოვა თავისი არსებობის გამართლება, ვერ შეეგუება. მისი ხელმყოფელი ძაღლთან არის გაიგივებული. ”იხსენ... ხელთა ძაღლთაჲსა მხოლოდშობილებაჲ ჩემიო”, ამბობს ფსალმუნი (21:21).

პარადოქსია, მაგრამ უკანასკნელად რასაც ადამიანი თმობს ადამიანური ღირსების შესანარჩუნებლად, ისევ და ისევ ღირსებაა. ის, სასოწარკვეთილი, მზად არის თქვას: ”დაე, მიწაზე გათელოს ჩემი სიცოცხლე, დაე, მტვრად აქციოს ჩემი ღირსება” (ფსალმ. 7:6).

დაე, ასე იყოს. ეს ერთგვარი ხარაკირია. სხვა ღონე არ არსებობს ძაღლების წინააღმდეგ. ვინც მათ უნდა აოკებდეს, თავად მათი მიმსევია.

***

”ღამეულ სტუმარს ველოდები, ის კი არ მოდის” - ასეთი სათაური აქვს ბოძიუის ერთ ლექსს, სადაც, გარდა ბობოქარი ქარისა, იმაზე მეტი არ არის ნათქვამი, რაც სათაურში იკითხება. აი, ეს ლექსიც თამაზ ჩხენკელის სიტყვებით:
”თქორავს და ბობოქრობს ქარი. / ძველი და სველია ფარდა. / ყოველი შემოსა მწუხრმა / მბჟუტავი სანთლების გარდა. / სტუმარი არ მოდის ჩემთან, - / ეშინის ბინდის და ქარის; / ამაოდ ავსილი ჭიქა / და იქვე მდუმარი ქნარი”.

რა უიმედობაა, რა უსასოობაა...
მაგრამ არა, ყოველთვის ასე არ არის. გამოჩნდება ხსნა. ის შორიდან და საუკუნეების შემდეგაც მოდის.

”რა უბედური ქარია, / წამოველ, ვიცი, მელოდი, / დავლიეთ, გაგიხარია...”

***

ქვათახევის გზაზე, მაღალაანთ სოფელს რომ გავუსწორდით, ზემოდან ავხედეთ და ედიშერმა (†) ერთ ხეს შემახედა. რომ გეკითხა ხისთვის, ხე გიპასუხებდა, ხე აღარ ვარ, ხე ვიყავიო. მოკრიალებულ ცაზე მისი ანაბეჭდი ჩონჩხად ჩანდა. დაგრეხილი ტანი, გაჩაჩხული ტოტები, რომლებსაც უკვე, რა ხანია, აღარ ახსოვდათ, როდის იყვნენ მწვანით შემოსილნი, რაღაც მარდიულის, უკვდავის, სახეს ქმნიდნენ. უცომო, უფუარი პური, ხმიადი, რომელიც არასოდეს კვდება, არ იხრწნება, ის რჩება თავისივე თავის ანაბეჭდად. ეს ხე თავის ძეგლად იყო აღმართული ამ სერზე, არაფრის მაქნისი, ყოვლად უსარგებლო, უჩრდილო... მაინც იდგა. როგორ ითმენდა მის აქ დგომას ეს მიწის ხალხი, აკი თქმულებაც არის მათ შორის, გამხმარი ხე უნდა მოიჭრას, სიკვდილი იცისო. მაგრამ ეს ხე მხოლოდ გამხმარი არ იყო და ის არც ვინმეს ეზოში იდგა, ყველასაგან დავიწყებული. და ვინ შენიშნავდა, ჩემი მეგობრის მეტი, მის სილამაზეს, მის დაფარულ მშვენებას, მახინჯი ფორმებით რომ იხატებოდა.

***

კვლავ ჩვენს წინ არის იუდა განუშორებლად, ვიდრე ქრისტიანებად მიგვაჩნია თავი, იუდა, კაცი კარიოტელი (*იშ კარიოტ,* როგორც მოხსენიებულია მისი ცხოვრების გადამწყვეტ ეპიზოდში). ყველაზე უფრო საუდუმლოებრივი პიროვნება საკაცობრიო ისტორიაში, თითქმის მოწამე თუ მოწამის ანტიპოდი. ის არათუ მოციქული აღარ არის, კაციც აღარ არის იმის შემდეგ, რაც ჩაიდინა. და ეს ფიქრი აწამებს მას მარადისობაში: აი, ეს ვყოფილვარ მე და ეს ვიქნები სამარადისოდ. ვერაფერი შემცვლის. მიტევებასაც არ ითხოვს იგი: რომც მიეტეოს (ნუთუ არ შეუნდო მას იესომ? ესეც არ ვიცით), ის მუდამ ამ შეგნებით იქნება ავსილი: ”ცოდვა ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის...”

და უკუნითი უკუნისამდე არაფერი შეიცვლება.

რა დარჩება მისგან განკითხვის დღის შემდეგ, თუ მთლიანად ფერფლად არ იქცა.

***

გასული თვის ”მარანში” (27.04.2012) ამოვიკითხე:

”რას წარმოადგენს ტიპიური ქართული სუფრა და როგორ მიირთმევენ იქ ღვინოს? ჭიქას აუცილებლად ბოლომდე ცლიან... დაგემოვნებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ღვინოს აღიქვამენ, როგორც სითხეს, რომლითაც თრობის რაღაც ხარისხი მიიღწევა...”

დამაფიქრებელია. არასოდეს დასმულა კითხვა: რა არის ღვინო საზოგადოდ და, კერძოდ, ქართულ სუფრაზე - მიზანი თუ საშუალება? რისთვის ესაჭიროება ღამეული სტუმრის მომლოდინეს ღვინო? დასაგემოვნებლად? რატომ არის "ამაოდ ავსილი ჭიქა", განა მის ამვსებს უსტუმროდაც არ შეუძლია მისი დაგემოვნება? თუ ამ ერთ ჭიქა ღვინოს უფრო მეტი დანიშნულება აქვს, ვიდრე მხოლოდ მისმა გემომ შეიძლება იტვირთოს?
რა თქმა უნდა, და ეს ყველას შეუმჩნევია, რომ ქართულ სუფრაზე ღვინის ხარისხს (სუბიექტურად, გემოს) არანაკლები მნიშვნელობა აქვს (პირველი ჭიქის შესმისთანავე იწყება მისი შეფასება მდუმარედ, გულში ან ჩუმი გადალაპარაკებით (უტაქტობაა წუნის საჯაროდ გამოცხადება) მის სოციალურ ფუნქციასთან ერთად ("სადმე ძვირფასს გადავკრავდით ღვინოს..."), მაგრამ ის ნამდვილად მეორეულია და სხვა ჭრილში ჰგიეს. ღვინის დაგემოვნებით ტკბობა ინდივიდუალურადაც შეიძლება და, შესაძლოა, უფრო ეფექტურიც არის, როცა არაფერი, "ქართული სამზარეულოს ზოგადი სტილის" (იმავე წერილიდან) ჩათვლით, მის სრულყოფილ დაგემოვნებას, ვთქვათ პირდაპირ: დეგუსტაციას ხელს არ უშლის. ტკბობა ღვინით თუ ტკბობა მეგობრებთან ურთიერთობით? როგორია ქართული სუფრის საზრისი მის ჩანაფიქრში მის "მეტაფიზიკურ" სრულყოფილებაში?

მამუკას სახელი

მამუკა ქალუნდაურს, გუროელ გოგოჭურს, ბეგენგორის გმირს, ზურაბ ერისთავთან ბრძოლაში გამარჯვებისთვის პირაქეთელმა ხევსურებმა, ერთი ჩირდილელი ქალი ჰყავდათ, ცოლად შესთავაზესო, ისეთი იყოო, წყალს რომ სვამდა, ყელში მოჩანდაო. ქალს დაუწუნებია ნაბრძოლი, პირფლიანი მამუკა, ამიტომაც ქალუნდაური შეარქვესო. იქნებ პირიქით: მამუკამ დაიწუნა ქალი, არ ინდომა როგორც მებრძოლმა და მოწმიდარმა, დავლათიანმა. თუ ეს ასეა, ქალ-უნდაურში შეგვიძლია ამოვიკითხოთ სიტყვა უ-ნდ-ო (*უნდომი*) ან, კვლავ პირიქით, რაც ნაკლებ სარწმუნოა, მამუკას სურდა ის ქალი (*ქალ უნდ*), მაგრამ დაწუნებულ იქნა და ამან წარმოშვა მისი ზედწოდება.

ასეა თუ ისე, ის ჩირდილელი საოცრება არ შეხვდა მამუკას და ამ უხვედრელობის სანაცვლოდ გორშეღმის ატაბეში მისთვის ადგილი მიუციათ. ასე მოხვდა ატაბეში გუროელი გოგოჭური, რომელიც დღემდე იქ სახლობს. ეს ერთადერთი ოჯახი.

***

არაბული ენის პირველსავე გაკვეთილზე ბუნებითმა გრძელმა ხმოვნებმა მიიქციეს ყურადღება. ქართულში, სადაც არ არის გრძელი ხმოვნები, როცა ორი ხმოვანია გამოსათქმელი, ორად, ერთმანეთის მიყოლებით წარმოითქმის. როგორც წარმოვთქვამთ, როცა ვკითხულობთ მაღაზიის კარებზე: ღია, ღია-ა (ა და ა). მაგრამ ბუნებითი გრძელი ხმოვანი ერთია და არა მრავლის ჯამი. როცა მის წარმოთქმაში ვარჯიშობ მთელი დღის განმავლობაში და რადიოდანაც გესმის გაბმული ااااااااااااااااااا, სიზმარში ხმა ვიზუალურ სახეს იძენს, ხმა, რომელიც გრძელ ხმოვანს განასახიერებს სივრცულ განზომილებაში. ხილვაში იგი ანბანის იმ ასონიშნად გევლინება, რომელიც ამ ხმოვნის სიგრძეს იტვირთავს. ეს არის ალეფის ვერტიკალი, რომლის ელასტიკას უსასრულოდ განშლის საშუალება აქვს - ასეთია ამ ანბანის გრაფიკა. ის შეგიძლია ქაღალდის განაპირას დასვა და მეორე განაპირამდე გასწიო, გაწელო და მას ვერაფერი შეაჩერებს უსასრულობისკენ. "შექმნა ღმერთმა ცანი..." *ხალაკა-ლ-ლاااااااااااااااااا

ისევ ალუდა

ბერდიაევი ფიქრობს, რომ ნამდვილი ტრაგედია არის ტრაგედია თავისუფლებისა და არა ბედისწერისა. ასეა?

თუ ასეა, ბერძნული ტრაგედია არ ყოფილა ნამდვილი ტრაგედია. მაგრამ, აი, ალუდა ქეთელაურის ტრაგედია ნამდვილი ტრაგედიაა, რადგან იგი თავისუფლებაზეა აღმოცენებული და არა ბედისწერაზე. არაფერი წინასწარ არ არის დასაზღვრული ალუდას ''ბედში'', განგებას არაფერი დაუთქვამს მისთვის, გარდა იმისა, რაც მუცალმა გამოუგზავნა (ამცნო) მოულოდნელად. სოფოკლეს გმირი ბედისწერის წინაშე უძლურია, როგორც არ უნდა ცდილობდეს მისგან თავის დაღწევას. თავად ტრაგიკოსის თავზეც ბედისწერა დამოკლეს მახვილად არის ჩამოკიდებული. ვაჟა-ფშაველა ბედისწერისგან თავისუფალია და, როგორიც თავად არის, ასეთივეა მისი გმირიც.

***

თუ ყოველივე არსებული ღმერთმა, რომელიც ყველგანმყოფია და „აღმავსებელი ყოველივესი'' (ეფეს. 1:23), სამყარო არაფრისგან შექმნა, თავად ეს არაფერი საიდან გაჩნდა? ან რა სახის არსებობა შეიძლებოდა ჰქონოდა, თუ ჰქონდა, არაფერს? თუ ღმერთი ყველაფერია ყველაფერში, სადღაა არაფერი და რა იყო ის ცარიელი ადგილი, რომელიც თავად არ აუვსია ყოველივეს აღმავსებელს, მაგრამ თავისი ქმნილებით კი აავსო? იქნებ წარმოვიდგინოთ და ვირწმუნოთ, რომ ღმერთი არაფერშიც მყოფობდა, რადგან ყველგანმყოფობა მისი არსებითი თვისებაა და მას ვერაფერი, თუნდაც თავად არაფერი, წინ ვერ დაუდგებოდა. არაფერში მყოფობს იგი სხვაგვარსახით? მაგრამ თუ ყველგანმყოფი ღმერთი თუნდაც სხვაგვარყოფნით არაფერშიც მყოფობს, როგორ შეიძლება, რომ ის „ადგილი'', სადაც იმყოფება, არაფერი იყოს. საბოლოოდ, ეს განსჯა, არაფერ-სიტყვისთვის აღსანიშნის რეალური არსებობის მინიჭებით წყალობით, სიტყვის თამაშად გვეჩვენება და კვლავ პარადოქსის წინაშე ვდგავართ. რა შეუძლია თქვას ამ სიტყვამ - „არაფერმა'', რომლის უკან არაფერია?

ჩანს, შეუძლია თქვას. თუ გვაქვს იმის პრეზუმპცია, რომ ღმერთმა სამყარო არაფრისგან შექმნა (და არა არსებულისგან, რომელიც მარადიულად თანაარსებობდა მასთან ერთად, მის გვერდით) და თუ შესაქმის პრინციპად მივიღებთ ნებას, ნებელობის აქტს, და არა პასიური გადმოდინების - პლოტინისეულ ემანაციის პროცესს, რომელიც წინასწარგამზადებულ სიცარიელეს მოითხოვს გადმოდინებულის მისაღებად, იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ იმავე ნებას, რომელმაც შესაქმე ჩაიფიქრა, სიცარიელეც უნდა შეექმნა ქმნილებათა სათავსოდ.

როგორ წარმოვიდგინოთ სიცარიელის, ანუ არარაობის, არაფრის შექმნა? კაბალამ შემოიტანა კონცეპტი *ციმცუმ* („შეკუმშვა''), ერთგვარი სამუშაო ჰიპოთეზა ან თეზა მედიტაციისთვის, რომლის თანახმად ღმერთმა შესაქმის წინ თავისი ყველგანმყოფობის შეკუმშვით შესაძლებელი გახადა შესაქმე. შეკუმშვის შედეგად, თითქოს ღვთის „გარეთ'' გაჩენილი თუ დარჩენილი სიცარიელე მისმა ქმნილებამ, მისმა *სხვამ* დაიკავა. ღმერთმა ქმნილებას - თავის *სხვას* ადგილი დაუთმო. შეკუმშვისგან დარჩენილი ადგილი ღვთის არსების საპირისპირო ადგილია, სადაც ღმერთი *არ მყოფობს* თავისი მარადიული სრულყოფილებით, არამედ თავისი ქმნილების ანუ *სხვაგვარყოფნის* სახით. აღმოჩნდება, თუ ჭვრეტაში კიდევ წინ წავალთ, რომ ეს ღვთის გარეშე დარჩენილი *არაფერი* სრულიადაც არ არის სიცარიელე და არც არაფერი, არამედ ის სავსეა რამედ ქცევის ნდომით, პოტენციებით, უსასრულოდ მრავალფეროვანი შესაძლებლობებით, რომელთაგან უფლის აბსოლუტურად თავისუფალი ნებით ერთადერთმა, სახელდობრ, ასეთმა ჰპოვა განხორციელება. ნების თავისუფლების

ხარისხი უსასრულო შესაძლებლობების პირდაპირპროპორციულია. ამ უსასრულობაში არაფერი ყველაფრის ტოლფასია.

ქრისტიანობაში ციმცუმის ანალოგი შეგვიძლია კენოზისში (ბერძნ. *კენოსის* „წარმოცარიელება") დავინახოთ: სამების მეორე ჰიპოსტასმა, ძე-ღმერთმა, იმ ზომამდე „წარმოაცარიელა", „შეკუმშა" ღვთაებრიობა, რომ განკაცება შეძლო, ანუ თავისივე შექმნილის ხორცში მოთავსდა. ქრისტიანულ თეოლოგიაში ეს აქტი ღვთის ყოვლისშემძლეობის მწვერვალად არის მიჩნეული. ამბობენ, კენოზისი განუზომლად მეტია შესაქმეზე: თუ შესაქმის ავტორი ყოვლადძლიერია, თავისავე ქმნილებებში სხვაგვარყოფნით განხორციელებული ყოვლადუძლიერესია.

გადავიტანოთ ეს კოსმოგონია ადამიანურ მასშტაბში. გვეჩვენება, რომ უმაღლესი ადამიანური სათნოების - თავგანწირვის აქტი სწორედ ციმცუმში, კენოზისში მდგომარეობს, როცა ადამიანი იზღუდავს თავს, თმობს თავის ეგოს და ამ თმობით ადგილს *სხვას* უთავისუფლებს.

„ჩემი ძმა არყოფილი ვითარ მიყვარდის..., რამეთუ იყო იგი სხვაÁ ჩემი..."

ქსანი, ქსანი...

2008 წლის 21 ივლისის დილით ცხრაზმის ხევზე მიდენილი სამი მგზავრი მახიარეთს გასცდა და ხანდოს ყელისკენ არაგვის ხეობაში გადასასვლელს შეუდგა. უკანასკნელ სახლთან დედაბერმა, "გაგიჭირდებათო", "გაგვიჭირდეს, ოღონდ გზა არ დაგვებნეს-მეთქი", პასუხად "ღმერთი არ დაგაბნევთო", გაგვაყოლა. გზა მართლაც არ დაბნევიათ, არც ის უფიქრიათ, რომ უკანასკნელად (ერთი მათგანის სიცოცხლეში მაინც) უწევდათ ამ გზაზე სიარული.

მწყემსის ბინებთან, სადაც შეისვენეს, თხუთხმეტი წლის ჭორჭოხელმა შმაგი ბალხამიშვილმა არა მხოლოდ გზა ასწავლა მგზავრებს, არამედ ხანდოს ყელამდეც წაუძღვა მათ. მგზავრები ჩამორჩნენ, ის კი შორით დროშასავით მოჩანდა უღელტეხილზე. მადლიერმა მგზავრებმა სამაგიეროდ გრიგოლ რობაქიძის სამი სიტყვა ასწავლეს "მზეგრძელ იყავ საქართველო", რათა ხანდოს ყელიდან ჯერ უკან ქსნისთვის, მერე წინ არაგვისთვის გადაეძახა მათთან ერთად.

"მზეგრძელ იყავ საქართველო"... თავისი ექოებით, გადაძახილებით ერთხანს გაისმოდა იმ უკაცრიელობაში.

[იბეჭდებოდა:Weekend 17.04.2010-25.05.2012]